

გიორგი ნადარეიშვილი

რმმის

სამოქალაქო

სამართალი

მეორე გადაშავებული გამოცემა

თბილისი

2005

რომის სამოქალაქო სამართალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. მან საძირკველი ჩაუყარა თანამედროვე სამოქალაქო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს. სწორედ ამიტომ მისი საფუძვლიანი დაუფლება მნიშვნელოვანწილად აადვილებს სამოქალაქო სამართლის, როგორც სამართლის ფუნდამენტური დარგის შესწავლას. ეს კი შესაბამისი ლიტერატურის არარსებობის გამო ძალზედ გაძნელებული იყო.

წინამდებარე წიგნი ასეთი სახის სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე შექმნის ვველაზე სერიოზული ცდაა.

ეს ნაშრომი, რომელშიც რომის სამოქალაქო სამართალი ლექციების კურსის სახითაა წარმოდგენილი, დიდ დახმარებას გაუწევს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ პირებს.

განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, მეცნიერ-მუშაკთათვის, აგრეთვე სამართლის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი:

ზაზა ნანობაშვილი

© “ბონა კაუზა”

თბილისი, 2005 წ.

ბ-285052

ISBN 99928-983-6-4



11136

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	6
§ 1. რომის სამოქალაქო სამართლის საგანი	8
§ 2. ლიტერატურა რომის სამოქალაქო სამართლის შესახებ	9
§ 3. რომის სამოქალაქო სამართლის წყაროები	12
§ 4. სარჩელები	23
§ 5. ნივთები	42
§ 6. საკუთრების უფლება	60
საკუთრების უფლების სახეები	67
§ 7. საკუთრების უფლების შექმნა. საკუთრების უფლების შექმნის ხერხები	71
§ 8. საკუთრების უფლების შეწყვეტა და მისი სახეები	80
§ 9. საკუთრების უფლების დაცვა	82
§ 10. უფლებები სხვის ნივთზე (“იურა ინ რე ალიენა“)	88
სერვიტუტის შეწყვეტა	94
§ 11. ვალდებულებითი სამართალი	102
ხელშეკრულების ცალკეული სახეები	110
§ 12. კრძო დანაშაულებანი (“დელიქტა პრივატა“)	125
§ 13. პირები	134
§ 14. ძველი რომის მემკვიდრეობის სამართალი	148
§ 15. მემკვიდრეობა პრეტორული სამართლის მიხედვით	155
ლათინური სამართლებრივი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებითურთ	163
გამოყენებული ლიტერატურა	194

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ქართველ იურისტ მეცნიერთა ინტერესი ძველი რომის სამოქალაქო სამართლის მიმართ ბუნებრივია. საქართველო ძრავალი საუკუნის განმავლობაში ცხოვრობდა ბერძნულ-რომაული კულტურული სამყაროს არეალში. არ არის საკამათო, რომ ბერძნული და რომაული სამართალი სხვადასხვა დროს გავლენას ახდენდა ქართულ სამართალზე. არც ის არის გამორიცხებული, რომ ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან კულტურულ-სამართლებრივ ურთიერთობას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა.

1992 წელს ჩვენ რუსულიდან ქართულად ვთარგმნეთ ე. მ. შტაერმანის “რომის სამართალი“, რომელიც ჩვენივე შენიშვნებითა და ჩანართებითურთ დაიბეჭდა ფურნალ “სამართლის“ იმავე წლის მეორე, მესამე და მეოთხე ნომრებში.

მოგვიანებით ჩვენვე ვთარგმნეთ ო. ს. იოფეს “რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები“, რომელსაც თან ახლავს ჩვენივე ჩანართები და შენიშვნები. ამასთან ერთად, ორი თავი – “პირები“ და “შემკვიდრების სამართალი“ ჩვენ მიერ იყო დაწერილი.

ავტორი კითხულობდა რომის სამოქალაქო სამართლის კურსს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე, აგრეთვე ეკოლოგიურ-ეკონომიკურ ინსტიტუტში და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომსაც საფუძვლად ჩვენ მიერ წაკითხული ლექციების კურსი უდევს.

უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე ისწავლება საგანი – რომის სამოქალაქო სამართალი.

ქართულ ენაზე 1947 წელს რუსულიდან ითარგმნა და გამოიცა ო. ს. პერუტერსკის წიგნი “სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია, ნაწილი პირველი, ნაკვეთი მეორე – ძველი რომი“, რომელმაც კარგი სამსახური გაუწია ჩვენს სტუდენტობას.

მაგრამ ეს წიგნი ამჟამად ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

1970 წელს ბუდაპეშტში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა ცნობილი უნგრული რომანისტის გ. დიოდის მონოგრაფია “საკუთრება უძველეს

წინაკლასიკურ რომის სამართალში“. ამ წიგნის პირველი თავი –
“მოძრავ ქონებაზე კრძო საკუთრების წარმოშობა“ დაიბეჭდა კრებულში
“ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“ (ტომი IV, 1986, გამ.
“მეცნიერება“ გვ. 179-197). იგი თარგმნა დოც. ს. გოგინავამ.

რუსული ენიდან ქართულად არის თარგმნილი ჰენრიხ
დერნბურგის “პანდექტები“, მაგრამ ხსენებული წიგნი დღეს
ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ქართულ ენაზე გამოიცა, აგრეთვე, ვ. მუტრეველის მიერ
წაკითხული ლექციების კურსი სახელწოდებით “რომის სამართალი“.

მაგრამ, რაც გაკეთებულია, საკმარისი არ არის.

ჩვენი, ქართული საეკლავოური ლიტერატურა მიძღვნილი საერთოდ
რომის სახელმწიფოს და სამართლის ისტორიისადმი, შეტისმეტად
ღარიბია. ასევე ღარიბი ვართ რომის სამოქალაქო სამართლის
საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურით.

იბელი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოში გამოჩნდებიან არა
მარტო რომის სამოქალაქო სამართლის პოპულარიზატორები, არამედ
მკვლევარებიც.

ცხადია, ქართულ ენაზე არსებული ნათარგმნი ლიტერატურით
ძნელია სრული წარმოდგენის შექმნა რომის სამართლის, როგორც
ანტიკური სამყაროს წიაღში შექმნილი საბრძნის ერთი დარგის შესახებ.
ამიტომაც სტუდენტს, რომელსაც სურს საფუძვლიანად გაეცნოს რომის
სამოქალაქო სამართლის ისტორიას, მოუხდება დამატებით გაეცნოს
რუსულ ენაზე ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ წიგნს “რომის
კრძო სამართალი“ (მოსკოვი, 1948). რომის სამართლის ისტორიის
ღრმად შესწავლისათვის ასევე რეკომენდირებულია ი. ა. პოკროვსკის
ნაშრომები “რომის სამართლის ისტორია“ (მოსკოვი 1913), “სამართალი
და ფაქტი რომის სამართალში“ – ნაწილი მეორე, “პრეტორული
სამართლის გენეზისი“, (კიევი, 1902), “სამოქალაქო სამართლის
ძირითადი პრობლემები“ (1917).

სტუდენტებს რომის სამოქალაქო სამართლის შეთვისებას
გაუადვილებს ვ. ა. რიასენცევის “სქემების კრებული რომის სამო-
ქალაქო სამართლიდან“ (მოსკოვი, 1971, რუსულ ენაზე).

შ ე ს ა ვ ა ლ ი

რომის სამოქალაქო სამართალმა უდიდესი როლი შეასრულა სამართალგანვითარების ისტორიაში.

ძველი აღმოსავლეთის სინამდვილეში სამართალგანვითარების უმაღლესი დონე აისახა ცნობილ ხამურაბის (ძვ. წ. 1790-1752) კანონებში – ბაბილონის სახელმწიფოში მოქმედ სამართლის ძველში. ხოლო ანტიკურ ხანაში სამართალგანვითარების უფრო მაღალი ეტაპი იყო ძველი რომის სამოქალაქო სამართალი.

ძველი რომის ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, მისი დამსახურება ცივილიზებული კაცობრიობის წინაშე იმით არ ამოიწურება, რომ ის ერთგვარად შუამავლის როლში მოგვევლინა ანტიკურსა და თანამედროვე სამყაროს შორის.

არ იქნებოდა საკმარისი იმის აღნიშვნაც, რომ რომმა ახალ ხალხებს გადასცა ის კულტურული ღირებულებანი და პოლიტიკური გამოცდილება, რაც რიგი საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ იქნა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების წრეში და მის გარემომცველ მიდამოებში, რომმა აითვისა და წინ წასწია ძველი მსოფლიოს კულტურა.

განსაკუთრებით დიდი იყო რომაელებისა და რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი რიგი ხალხების წარმომადგენელთა დამსახურება სამართალგანვითარების სფეროში, რაც დღეს საყოველთაოდ აღიარებულია ისტორიულ მეცნიერებაში.

კლასიკური, ანუ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების წრეში სახელმწიფოსა და განსაკუთრებით სამართლის განვითარების უმაღლესი დონე აისახა, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ბაბილონის კანონმდებლობაში.

სამართლის ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ქრისტეს დაბადებამდე მეხუთე-მეოთხე საუკუნეებში რომის სამართალი თავისი განვითარების დონით ჩამორჩებოდა ძველ ბაბილონურ სამართალს. ეს მოსაზრება საფუძველს არ არის მოკლებული. მაგრამ დროთა ვითარებაში პერსპექტივა რომის სამოქალაქო სამართლის სასარგებლოდ შეიცვალა. მომდევნო საუკუნეებში და განსაკუთრებით კი რომის სამართლის განვითარების

კლასიკურ ხანაში, როდესაც მკვეთრად გამოვლინდა ხსენებული სამართლის სისტემის უპირატესობა, “დაიხვეწა და განვითარდა იურიდიული ტექნიკა, დამკვიდრდა იურიდიული აზროვნების სასტიკი ლოგიკურობა“, რომის სამართალი ახალ ისტორიულ სიმაღლეზე აღმოჩნდა ძველი ბაბილონის სამართალთან შედარებით.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ძველი რომის იურისპრუდენციის, ძველი რომის სამართლის განვითარებაში საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს მეცნიერმა იურისტებმა, რომელთა შორისაც მრავლად იყვნენ აღმოსავლეთის ხალხთა წარმომადგენლებიც, მათ შორის ცალკე აღნიშვნის ღირსია წარმოშობით ებრაელების – იულიუს პაულუსის (ახ. წ. III ს), ებლიუს პაპინიანუსის (დაახლ. 150-212 წ. წ), დომიცოუს ულპიანუსის (დაახლ. 170-228) და სხვათა დამსახურება.

რომის სამოქალაქო სამართალზე გარკვეული კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ბერძნულმა ფილოსოფიამაც.

რომის სამართლის ისტორია უშუალოდ და მჭიდროდ იყო დაკავშირებული კლასობრივ და შიდაკლასობრივ ბრძოლის ისტორიასთან სახელმწიფოში, საწარმოო ძალების განვითარების რთულ პროცესებთან, აგრეთვე კულტურულ-ისტორიული რიგის მოვლენებთან.

რომში, ისევე როგორც ძველი სამყაროს რიგ სხვა ქვეყნებშიც, სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების ისტორია ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. საკუთრების სამართლის ისტორია წარმოადგენდა მთლიანად აღებული რომის სახელმწიფოსა და რომის იმპერიის საზოგადოების შინაგანი ისტორიის მეტად საინტერესო ნაწილს.

ძველი რომის სამოქალაქო ისტორია გადაწნული იყო ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებთან. ჩვენ უნდა ვიცოდეთ და შევიძველოთ რომის სამოქალაქო სამართლის ყველა თვისება, შევისწავლოთ ყველა მისი მხარე, რომ ძართებული წარმოადგენა გვჭირდეს მის შესახებ.

სალექციაო საათების შეზღუდულობის გამო ძართებულად მიგვაჩნია, რომ გავაერთიანოთ გადმოცემის დარგობრივ-ქრონოლოგიური წესი.

§ 1. რომის სამოქალაქო სამართლის საგანი

ძველი რომაელები სამოქალაქო სამართალში – “იუს ცივილე“-ში სხვა აზრს და შინაარსს დებდნენ, ვიდრე ეს დღეს ესმით.

ius civile-ში რომაელები გულისხმობდნენ იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც რომის სახელმწიფოს მოქალაქეებზე ვრცელდებოდა.

რომის მოქალაქეები კი თავიანთ თავს “ქვირიტებს“ ეძახდნენ. ისტორიულ წყაროებში რომის მოქალაქეები იხსენიებიან, როგორც “პოპულუს რომანუს ქვირიტეს“. ამიტომაც ცივილურ სამართალს ქვირიტულ სამართალსაც ეძახდნენ.

დღეს სამოქალაქო სამართალში ვგულისხმობთ სამართლის იმ დარგს, რომელიც მოცემული საზოგადოების წევრთა შორის ქონებრივ ურთიერთობას აწესრიგებს. ხოლო ძველი რომაული გაგებით კი “იუს ცივილე“-ში გარდა სამოქალაქო სამართლისა, იგულისხმებოდა სისხლის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სახელმწიფო სამართალი და ა.შ.

რომაელები თავიანთ სამართალს ორ ნაწილად ყოფდნენ: საჯარო და კერძო სამართლად.

მათი აზრით, საჯარო სამართალი იცავდა სახელმწიფოსა და საზოგადოების საერთო ინტერესებს, ხოლო კერძო სამართალი – რომის მოქალაქეთა კერძო ინტერესებს, ცალკეული პირების ინტერესებს.

ცნობილი რომაელი იურისტი ულპიანე დომიციუსის (170-226) აზრითაც საჯარო სამართალი იცავს სახელმწიფოს ინტერესებს, ხოლო კერძო სამართალი – ცალკეული ინდივიდების ინტერესებს.

ჩვენი შემდგომი მსჯელობის საგანი იქნება სწორედ რომის კერძო სამართალი, რომლის ცენტრშიაც კერძო საკუთრების ინსტიტუტი იდგა.

საჯარო სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით კერძო სამართლებრივი ნორმების ამოქმედება დაკავშირებული იყო დაინტერესებული პირის ინიციატივასთან, რომლის უფლებებიც დარღვეული იყო ან რომელსაც დარღვევის საფრთხე ემუქრებოდა.

რომის კერძო სამართლის თავისებურებად ითვლება ის გარემოება, რომ იგი ოჯახს განიხილავდა, როგორც სამეურნეო მოვლენას, სამეურნეო ერთეულს და არა როგორც პიროვნულ კავშირს.

არსებობს კერძოსამართლებრივი ნორმების დალაგების ორი სისტემა — პანდექტური და ინსტიტუციური.

პანდექტური სისტემისათვის ნიშანდობლივია ნორმების გადმოცემა ოთხ განყოფილებად: სანივთო სამართალი, ვალდებულებითა სამართალი, საოჯახო სამართალი და მემკვიდრეობითი სამართალი.

რაც შეეხება ინსტიტუციურ სისტემას, ის გამოყენებული იყო სახელგანთქმული რომაელი იურისტის გაიუსის ინსტიტუციებში. მისთვის უცნობია ე.წ. ზოგადი ნაწილი, ამასთან, კერძო სამართლებრივი მასალები დალაგებულია პირების, ნივთების და სარჩელების სახით.

ჩვენი გადმოცემა, ჩვენი ლექციები პანდექტური სისტემის მიხედვით იქნება დალაგებული.

§ 2. ლიტერატურა რომის სამოქალაქო სამართლის შესახებ

რომის სამოქალაქო სამართლის შესახებ დღეს არსებობს ვრცელი, თითქმის ამოუწურავი ლიტერატურა. ამავე დროს კვლავ გრძელდება რომის სამართლის წყაროების კვლევა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეს მსოფლიოში გამოდის თერთმეტი სპეციალური ჟურნალი, რომელთა მიზანიც არის რომის სამართლის საკითხებზე კვლევითი ხასიათის სამეცნიერო წერილების გამოქვეყნება.

ჩვენ ამ ლიტერატურას დავასახელებთ ძალიან შეზღუდულად და მოკლედ, რამდენადაც ის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისთვის არის გათვალისწინებული და არა ახპირანტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

რომის სამართლის საკითხების კვლევაში დიდი დამსახურება აქვს თეოდორ მომზენს, მაგრამ მისი ყურადღების საგანი ძირითადად იყო რომის სახელმწიფო სამართალი და რომის სისხლის

სამართალი, შედარებით ნაკლებად, — სამოქალაქო სამართალი. მასვე ეკუთვნის რომის ისტორიის მრავალტომეული. თ. მოძუნი იყო ნობელის პრემიის ლაურეატი.

გერმანელ რომანისტთაგან უნდა დავასახელოთ ჰენრიხ დერნბურგი და მისი “პანდექტები“, რომელიც გერმანულიდან რუსულად არის თარგმნილი, ხოლო რუსულიდან ქართულადაც ითარგმნა მიმდინარე საუკუნის ოციან წლებში.

რომის სამოქალაქო სამართლის შესასწავლად კარგი საშახურის გაწევა შეუძლია გერმანელი მკვლევარის — ბარონის ნაშრომს, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს “რომის სამართლის სისტემა“ და რუსულადაც არის ნათარგმნი.

რომის სამოქალაქო სამართლის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი იყო გერმანელი მეცნიერის რუდოლფ იერინგის ნაშრომები, რომელთა შორის უნდა დავასახელოთ “რომის სამართლის სული მისი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე“ და “რომის სამართლის განვითარების ისტორია“.

უახლესი ხანის გერმანელი მკვლევარებიდან აღნიშვნის ღირსია მ. კაზერის ნაშრომი “რომის კერძო სამართალი“, რომელიც 1955 წელს გამოქვეყნდა გერმანიაში.

1963 წლის ბერლინში დაიბეჭდა ა. კრაცლაინის წიგნი — “საკუთრება და მფლობელობა“ ძვ. წ. V-IV საუკუნეების ბერძნულ სამართალში“.

აღნიშვნის ღირსია აგრეთვე პ. კოშაკერის ნაშრომები რომის კერძო სამართლის საკითხებზე, დიტერ ზიმონის წიგნი — რომის საპროცესო სამართლის შესახებ.

1958 წელს სოფიაში, ბულგარულ ენაზე გამოქვეყნდა მნ. ანდრეევის ნაშრომი — “რომის კერძო სამართალი“.

იტალიურ ენაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ბონფანტეს ნაშრომები რომის კერძო სამართლის შესახებ, მათ შორის, პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს რომის სამართლის კურსი, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა რომში.

მეოცე საუკუნის ოცდაათიან-ორმოციანი წლების საფრანგეთში მრავალი ახალი ნაშრომი გამოქვეყნდა რომის სამართლის შესახებ,

მათ შორის აღსანიშნავია რ. მონიეს რომის სამართლის სახელმძღვანელო (პარიზი, 1938) და ჰ. ლევი-ბრიულის ნაშრომები რომის სამართლის ცალკეულ საკითხებზე.

ინგლისურ ენაზე 1970 წელს გამოქვეყნებულ ვ. დიოშდის ნაშრომის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი წინამდებარე ნაშრომის წინასიტყვაობაში.

რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩევა პროფ. ი. ა. პოკროვსკის წიგნი “რომის სამართლის ისტორია” (1913), მისივე “სამართალი და ფაქტი რომის სამართალში, ნაწილი მეორე – პრეტორული სამართლის გენეზისი” (კიევი, 1902), “სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრობლემები” და ა.შ.

აქვე უნდა დავასახელოთ პროფ. ვ. მ. ხვოსტოვის “რომის სამართლის ისტორიაც,” რომლის მეშვიდე გამოცემაც რუსულ ენაზე დაიბეჭდა მოსკოვში 1919 წელს. ამ თითქმის ხუთას გვერდიან წიგნს რომის კერძო სამართლის ისტორიით დაინტერესებული პირები არასოდეს დაივიწყებენ.

განსაკუთრებით დიდია პროფ. ი. ს. პერეტერსკის დამსახურება. მან არა მარტო დაწერა სახელმძღვანელო რომის სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, არამედ თარგმნა კიდევაც ლათინურიდან რუსულად დიდი ნაწილი რომის სამოქალაქო სამართლის ისეთი ძეგლისა, როგორიც არის დიგესტები.

ასევე, დასაფასებელია ი. ბ. ნოვიცკის წიგნები “რომის კერძო სამართალი” და “რომის სამოქალაქო სამართალი”.

1948 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა სქელტანიანი (582 გვ) წიგნი სახელწოდებით “რომის კერძო სამართალი”. მის შუღვენაში მონაწილეობდნენ ი. ს. პერეტერსკი, ვ. ა. კრასნოკუტსკი, ე. ა. ფლეიშიცი, ი. ს. როზენტალი და ი. ბ. ნოვიცკი.

ხსენებული წიგნი დაშვებული იყო სსრკ განათლების სამინისტროს მიერ იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოდ. ხსენებულ წიგნს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

რუსული ენის მცოდნე სტუდენტებს ვურჩევთ გაეცნონ ამ ნაშრომს.

§ 3. რომის სამოქალაქო სამართლის წყაროები

ქალაქი რომი დაარსებულად ითვლება ქრისტეს დაბადებამდე 753 წელს.

ძვ. წ. 753 წლიდან ძვ. წ. 510 წლამდე რომში მთელი ძალაუფლება მეფეების ხელში იყო. მეფეს რომაელები “რექს” სიტყვით აღნიშნავდნენ. მეფეს ხელთ ჰქონდა უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება, რომელსაც გამოხატავდნენ სიტყვით “იმპერიუმ”. მეფე აღჭურვილი იყო აგრეთვე უმაღლესი სამოქალაქო ხელისუფლებითაც – “პოტესტას”. გარდა ამისა, მეფე ასრულებდა უმაღლესი ქურუმის, ქურუმთუხუცესის ‘პონტიფექს მაქსიმუსის’ მოვალეობასაც. ასეთი ვრცელი ძალაუფლებით აღჭურვილ მეფეს ხელთ ეპყრა უმაღლესი მსაჯულის ფუნქციებიც, მაშასადამე, მეფე იყო მოსამართლეს (ანუ “იუდექს”) და იგი განაგებდა ქვეშევრდომების სიკვდილ-სიცოცხლეს.

ძვ. წ. 510 წლიდან ძვ. წ. 31 წლამდე რომში რესპუბლიკური წყობილება არსებობდა. რესპუბლიკის ხანაში მეფის შესადარი უფლებებით სარგებლობდა კონსული, რომელსაც ერთი წლით ირჩევდნენ.

ძვ. წ. 31 წლიდან ახ. წელთაღრიცხვის მესამე საუკუნემდე რომში არსებობდა ე.წ. პრინციპატის ხანა. სახელწოდება წარმოიშვა სახელმწიფოს სათავეში მდგომი პირის – პრინციპსისაგან. ეს იყო რესპუბლიკიდან იმპერიისაკენ თანდათანობით გადასვლის პერიოდი, ამ ხანას ისტორიკოსების ნაწილი მაინც იმპერიის პერიოდად თვლის, ხოლო IV-V საუკუნეები ითვლება დომინატად, იმპერიის უკანასკნელ ხანად.

დროთა ვითარებაში რომი ქალაქ-სახელმწიფოდან მსოფლიო სახელმწიფოდ იქცა. ამ სახელმწიფოს წიაღში წარმოიშვა და განვითარდა რომის სამოქალაქო სამართალი – მსოფლიო მნიშვნელობის სამართალი.

ჩვენ არ გაგვაჩნია სანდო ცნობები რომის ისტორიის უძველესი პერიოდის შესახებ. რომის სამოქალაქო სამართლის წყაროებს სწორედ ამ ბნელ პერიოდში აქვთ ფესვები გადგმული.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველი ჩვეულებითი სამართალი

ყალიბდებოდა გვარების (გენსების) და დიდი ოჯახების ჭრილში. გვარი კარჩაკეტილ საზოგადოებრივ ერთეულს წარმოადგენდა, სადაც, დროთა ვითარებაში, ყალიბდებოდა ქცევის გარკვეული, ნებადართული წესები და როდესაც ამ გვარებისა და ტომების გაერთიანების პროცესში პოლიტიკური სტრუქტურები ჩამოყალიბდნენ, სახელმწიფოც წარმოიშვა. რომაელების უძველეს სახელმწიფო ორგანიზაციაში შეინიშნებოდა პირველყოფილი, არქაული წესწყობილების ნიშნები. იგივე უნდა ითქვას სამართლის შესახებაც. ჩვეულებითი სამართლის უძველესი სახეობა იყო ე.წ. "იუს გენციუმ", რომელსაც მაშინ ჰქონდა სულ სხვა მნიშვნელობა, ვიდრე კლასიკურ ხანაში, რომის იმპერიის ეპოქაში "იუს გენციუმ" ნიშნავდა "ხალხთა სამართალს", ხოლო არქაულ ხანაში "იუს გენციუმის" ქვეშ იგულისხმება ის სამართალი, ის ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომელიც გვარის – გენსის წიაღში იყო აღმოცენებული და ჩამოყალიბებული მანამ, სანამ ჩამოყალიბდებოდა სრულიად რომაული ჩვეულებითი სამართლის ნორმები, მოქმედებდნენ სწორედ ამ მუტნაკლებად განცალკევებული გვარების და ტომების, ნათესაური კავშირების წიაღში წარმოშობილი ქცევის წესები. საერთაშორისო სამართლის ისტორიკოსმა ვ. ე. გრაბარმა ერთ-ერთ თავის სამეცნიერო ნაშრომში გამოარკვია, რომ "იუს გენციუმ" თავდაპირველად სწორედ განცალკევებული გვარის ან ტომისთვის დამახასიათებელ ჩვეულებით სჯულს, ჩვეულებით სამართალს, წეს-ჩვეულებას ნიშნავდა და მხოლოდ შედარებით გვიან მიიღო მან ჯერ "ხალხთა სამართლის" და შემდეგ საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობა. ამ "გენსებში" – გვარებში ყალიბდებოდა შედარებით განკრძობებული დაუწერელი სამართლის ნორმები. ამის გადმონათობი შეინიშნება რომის სამართლის შესახებ არსებულ წყაროებშიც, სადაც გვხვდება გამოთქმა "დეკრეტა გენტილიცია" ე. ი. ცალკეული გვარების, გენსების დადგენილებები და წესები, რომელთაც ძალა ჰქონდათ მხოლოდ ამ გვარების წევრთა მიმართ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგივე მოვლენას ადგილი ჰქონდა ქართულ სინამდვილეშიც. XIV საუკუნის ერთ-ერთ ქართულ სამართლის ძეგლში გვხვდება გამოთქმა "გვარის წესი" და "ალაგის

წესი“. “გვარის წესში“ სწორედ ცალკეული გვარისთვის დამახასიათებელი ქცევის წესი, გვარისთვის დამახასიათებელი ჩვეულებითი სჯული იგულისხმება.

სტუდენტებს და “საერთოდ, რომის სამართლით დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ წაიკითხონ ვ. ე. გრაბარის საინტერესო ნაშრომი რუსულ ენაზე: “რომაული ტერმინის, იუს გენციუმ“-ის თავდაპირველი მნიშვნელობა“, რომელიც ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (“უჩენნიე ზაპისკი“) დაიბეჭდა 1964 წელს.

ლათინურ “იუს გენციუმ“, როგორც ეს ვ. გრაბარის გამოკვლევიდანაც ჩანს, ერთ ხანს სატომთაშორისო და საგვართაშორისო სამართალსაც ნიშნავდა.

მაშასადამე, უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ “იუს გენციუმ“ ნიშნავდა ჯერ გვარის ტომის შიგნით მოქმედ სამართალს, სატომთაშორისო და საგვართაშორისო სამართლის შემდგომ ე.წ. “ხალხთა სამართალს“ დაბოლოს, საერთაშორისო სამართალს.

სავარაუდოა, რომ არქაულ ხანაში ქცევის შედარებით განკერძოებული წესები იქმნებოდა პატრიარქალურ ოჯახებშიც, სადაც ოჯახის მეთაური “პატერ ფამილიას“ თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა ოჯახის წევრთა მიმართ და საოჯახო სასამართლოს ოჯახის დამნაშავე წევრის დასჯის უფლებაც კი გააჩნია.

პირველყოფილი გვაროვნული და თემური წყობილების დროს წარმოშობილი ჩვეულებითი სამართლის ნორმები მეტ-ნაკლებად მოქმედებას განაგრძობენ სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგაც.

დროთა ვითარებაში ხდებოდა ამ დაუწერელი, ჩვეულებითი სამართლის ნორმების ერთმანეთთან დაახლოება. უძველესი ჩვეულებითი სამართალი რელიგიასთან იყო გადაწნული, თავდაპირველად სამართალი და რელიგია ერთი სიტყვით აღინიშნებოდა “fas“ და ცხადია “fas“-ის ბატონობის ხანაში ქურუმები თამაშობდნენ დიდ როლს სამართალწარმოებაში გერმანელი მეცნიერი რუდოლფ იერინგი აღნიშნავდა კიდევ, რომ თავისი “ფას“-ით რომის სამართალი აღმოსავლეთისაკენ იცქირებაო

ხსენებული ავტორი ნაშრომში “რომის სამართლის არსის შესახებ” წერდა: სამართალი (“იუს”) ადამიანის დაწერილია და ამიტომ ის განვითარების უნარიანია. სამართლის ნორმის საკლდედგული ძალა ხალხის საყოველთაო შეთანხმებას ეფუძნებოდა, მისადმი უპატივცემულობის გამოჩენა ხელყოფდა და შეურაცხყოფდა მხოლოდ წმინდა ადამიანურ ინტერესებს.

ამის საწინააღმდეგოდ “ფას” (ფას) ემყარებოდა ღმერთების ნებას და, მამასადაბე, ის უცვლელად ითვლებოდა, თუ თვით ღმერთები არ მოისურვებდნენ ნოვაციას, სიახლის შემოღებას. “ფას“-ის ნორმების დარღვევა ღმერთების წინაშე ჩადენილ დანაშაულად ითვლებოდა.

“ფას“-ში რომის სამართლის მკვლევარები მის კონსერვატიულ მხარეს, ხოლო “იუსში“ მის პროგრესულ მხარეს ხედავენ.

რელიგიური ნორმების მფარველები და შემნახველები ქურუმები იყვნენ.

თავდაპირველად სწორედ ქურუმები ითვლებოდნენ ჩვეულებითი სამართლის, ამ დაუწერელი სამართლის, შემნახველებადაც და მათთვის ახსნა-განმარტების მიმცემლებადაც. არ იქნება გადაჭარბება, თუ ვიტყვით, რომ პირველი იურისტები სწორედ სასულიერო პირები – ქურუმები იყვნენ. გვაქვს ცნობები იმის შესახებაც, რომ ქურუმები აწარმოებდნენ კალენდარს. როგორც ჩანს, ქურუმები ადგენდნენ იმ დღეებს, როდესაც შეიძლებოდა სამართლებრივი პროტენზიების წამოყენება, ქურუმები მონაწილეობას იღებდნენ გარიგებათა დადებაში, საქორწინო ცერემონიაში და ა.შ.

რომის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებასთან ერთად თანდათან ხდებოდა სამართლისა და რელიგიის ერთმანეთისაგან გამოიჯვანა. “იუს“ და “ფას“ დამოუკიდებელ ცნებებად გამოყოფილდნენ და ქურუმებიც თანდათან გამოშორდნენ სამართალწარმოებას. “ფას“-ის ნორმები, როგორც ჩანს, ადამიანების და ღმერთების ურთიერთობას ეხებოდა.

ზოგიერთ ნარატიულ წყაროში ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ ქალაქ რომის დაარსების შემდეგ, პირველ საუკუნეებში, მეფეებმა (რექსებმა) გამოსცეს კანონები. რომის სამართლის

მკვლევარებს ეს ცნობები სარწმუნოდ არ მიაჩნიათ და მოუთითებენ იმის შესახებ, რომ რეჟესებს (მეფეებს) არ ექნებოდათ უფლება ერთპიროვნულად, სახალხო კრების დასტურის გარეშე გამოეცათ კანონები.

არ არის გამორიცხული, რომ მეფეების ხანაში ქურუმების მიერ წერილობითი სახით შედგენილი ყოფილიყო სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული.

ცნაღია, წერილობითი სამართლის ძეგლის გამოცემა გულისხმობს ხალხის სიცაღლოურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების განსაზღვრულ დონეს.

პირველი, ნაძვლილი, დაწერილი რომაული სამართლის ძეგლი იყო ე.წ. "თორმეტი ტაბულის კანონი" ("ლოუქს დუოდეციმ ტაბულარუმ"). ეს დაწერილი კანონი ხდება რომის სამართლის მნიშვნელოვანი წყარო ძვ. წ. V საუკუნის შუა წლებიდან.

ძველი რომაული გადმოცემების თანახმად თორმეტი ტაბულის კანონის გამოცემა დაკავშირებული იყო პატრიციებსა და პლებებს შორის კლასობრივ ბრძოლასთან. პლებები მოითხოვდნენ სასამართლო მოხელეების თვითნებობათა აკრძალვასა და წერილობითი კანონების შემოღებას, რომელიც აღკვეთდა ჩვეულებითი სამართლის ზეპირი გადმოცემების საფუძველზე მოქმედი ნორმების გაურკვეველობა-ბუნდოვნებას, მათ განუსაზღვრელობას. ზოგიერთი ხარატიული, მოთხრობითი ხასიათის წყაროს მიხედვით რომაელებმა საბერძნეთში გაგზავნეს ხალხი, რათა იქიდან გადმოეღოთ ბერძნული კანონები. მაგრამ ეს ვერსია არ მართლდება. თორმეტი ტაბულის კანონები განსხვავდებიან ძველი ბერძნული კანონმდებლობისაგან.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ რომის სამართლის ეს უძველესი წერილობითი ფიქსაცია მოხდა ძვ. წ. დაახლოებით 451-450 წლებში. კანონიერების შესადგენად შექმნილი იყო სპეციალური დეცემვირების კოლეგია – "დეცემვირი ლეგატუს სკრიბუნდი" და ეს კანონები გამოფენილი იყო რომში ფორუმზე, თორმეტ ტაბულაზე (დაფაზე). ფიქრობენ, რომ ეს თორმეტი "სჯულის ფიცარი" – ტაბულა განადგურდა ძვ. წ. 387 წელს, როდესაც გალეები თავს დაესხნენ რომს, გადაწვეს და გააჩანაგეს იგი.

მართალია, თორმეტივე ტაბულა განადგურდა, მაგრამ მათ

შინაარსის შესახებ მონაცემები შემოგვიწვავს სხვადასხვა სახის თხრობითმა, ნარატულმა წყაროებმა.


თორმეტი ტაბულის კანონები შეიცავდნენ სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და პროცესუალური სამართლის ნორმებს, მაგრამ ეს ნორმები იქ ერთმანეთისაგან არ იყო გამოჯუნული.

თორმეტი ტაბულის კანონების ყურადღების ცენტრში დგას სამოქალაქო სამართლის (საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის) და სამეზობლო სამართლის ნორმები.

პირველ ტაბულაში საუბარი იყო სასამართლოში გამოძახების წესის შესახებ, მეორე ტაბულაში – ხარჩელების გარჩევის შესახებ. სავალო მონობას ეხებოდა მესამე ტაბულა. მეოთხე ტაბულა ეხებოდა მანციპაციური გარიგებების დედების წესებს. მეხუთე ტაბულაში საუბარი იყო საოჯახო სამართლის საკითხებისა და ანდერძის შესახებ.

როგორც ირკვევა მეექვსე ტაბულა – “სჯულის ფიცარი“ ეხებოდა ადგილ-მამულების სარგებლობის წესებს. მეშვიდე “ტაბულაში“ საუბარი იყო ქურდობის შესახებ, მერვეში – ისეთი დანაშაულის შესახებ, როგორცაა პირადი შეურაცხყოფა. მეცხრე ტაბულაში ლაპარაკი იყო სისხლის სამართლის სასჯელების შესახებ. მათში საუბარი იყო დასაფლავების წეს-ჩვეულებების და, აგრეთვე, ზოგიერთი ცერემონიის შესახებ. მეთერთმეტი დაფაზე აღბუჭდილი ყოფილა ნორმები საჯარო ხასიათის საქმეების შესახებ ქალაქში, ხოლო მეორმეტე დაფა ეხებოდა პრივილეგიებს.

საერთო შეფასება თორმეტი ტაბულის კანონისა ასეთია: ის თაგისი ეპოქისათვის განვითარებულ სამართლის ძეგლს წარმოადგენდა. ხსენებული სამართლის ძეგლი იცნობდა მიწაზე კერძო საკუთრებასა და ანდერძის ინსტიტუტს. მაგრამ, ამასთანავე, აქ ვხვდებით ზოგიერთ არქაულ მოვლენას, მაგ., ე.წ. “ნექსუმ“-ს. კანონები აწესებდა კრედიტორის მხრივ ვალაუვალე პირის – დებიტორის დამონებას. იშვიათად ასე უმოწყალოდ დაემონებინოს კრედიტორს დებიტორი, როგორც ეს ხდებოდა ძველ რომში. სამართალი შეუნიღბავად იდგა კრედიტორის მხარეზე, ფულიანი



ქ. ც. ე. 1-7

ადაპიანების ძხარეზე და აკანონებდა ღარიბებისა და წვრილი გლეხების ექსპლოატაციას ფულიანი დიდკაცობის ძხრიდან.

მართებულია ერთი ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ "შემდგომი დროის არც ერთ კანონმდებლობას მოვალე ისე შეუბრალებლად და დაუნდობლად არ დაუნარცხებია კრედიტორ-მევახშის ფეხქვეშ, როგორც ეს ძველი ათენისა და ძველი რომის კანონმდებლობამ ჩაიდინა".

თორმეტი ტაბულის კანონის მიხედვით ჩვენ წინაშე წარმოდგება პატრიარქალური საზოგადოება, სადაც ოჯახი სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოგვაგონებს და სადაც ოჯახის უფროსი, ანუ "სახლის უფალი" (პატერ ფამილია) უდიდესი ძალაუფლებით სარგებლობდა. ამავე კანონების მიხედვით ჩვენ შესაძლებლობა გვქვია წარმოვიდგინოთ საოჯახო საკუთრება, რომელიც საგვარეულო საკუთრების დაშლის შემდეგაა წარმოშობილი, თავის მხრივ უკვე იშლება და თანდათან ინდივიდუალურ კერძო საკუთრებად უნდა გადაიქცეს. ზოგან, როგორც ჩანს, ეს კერძო საკუთრება უკვე ჩამოყალიბებულია და მისი ანდერძით გასხვისება ნებადართულია.

თორმეტი ტაბულის კანონი რომის სახელმწიფოში ითვლებოდა "მთელი საჯარო და კერძო სამართლის წყაროდ". როგორც ისტორიკოსი ლივიუსი გვამცნობს, ამ კანონებს ასწავლიდნენ სკოლებშიც და ციცერონის სიტყვებით რომ ვთქვათ, "ასწავლიდნენ, როგორც აუცილებელ სიმღერას".

რომის სამოქალაქო სამართალი რესპუბლიკის ხანაში ცალკეულ საკითხებზე ახალ-ახალი კანონების გამოცემის გზით ვითარდებოდა.

რესპუბლიკის ხანაში რომის სახელმწიფო ძლიერდებოდა და თანდათან მსოფლიო სახელმწიფო ხდებოდა. ვითარდებოდა ხელოსნობა და ვაჭრობა, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. ჩნდებოდა მოთხოვნილება ახალ კანონებზე, რომლებიც ამ ურთიერთობებს მიაწესრიგებდნენ. თანდათან ლათინური "ლექს" () იღებს "ხალხი ბრძანებს" მნიშვნელობას. მოგონება სახალხო კრებების ძველი როლის შესახებ, დიდხანს ცხოვრობდა ხალხის ხსოვნაში.

აკი იურისტ გაიუსის “ინსტიტუციებში” ნათქვამი იყო, რომ კანონი არის ის, რასაც ხალხი ბრძანებს და აწესებსო”.

ძველ რომში თანამდებობის პირებს გააჩნდათ უფლება-მოსილება, დაედგინათ ედიქტები – ქვევის საკალდებულო წესები.

იყო დრო, როდესაც მაგისტრატი – თანამდებობის პირი ზეპირად გამოსცემდა განკარგულებებს. მაგრამ რესპუბლიკის ბოლო საუკუნეებში, ე.წ. “ოქროს ხანაში”, მაგისტრატი უკვე წერალობითი ფორმით გამოსცემდა თავის განკარგულებებს.

პრეტორი რომში ითვლებოდა ერთ-ერთ ისეთ უმაღლეს თანამდებობის პირად, რომელიც უპირატესად სასამართლო ფუნქციებს ასრულებდა.

ლეგისაქციური პროცესიდან ფორმულარულ პროცესზე გადასვლამ გააძლიერა პრეტორის როლი მართლმსაჯულებაში. პრეტორს გააჩნდა როგორც კანონის გამოყენება-შეფარდების, ასევე მისი ახსნა-განმარტების უფლება. ამიტომაც პრეტორული იუსტიცია სამართალგანვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ეს კარგად არის ნაჩვენები ცნობილი მკვლევარის – ი. ა. პოკროვსკის ნაშრომში “პრეტორული სამართლის გენეზისი” (კიევი, 1902).

პრეტორული სამართალი ხელს უწყობდა ტრადიციის ფარგლებში მოქველებული ტრადიციების დაძლევას, საკანონმდებლო ხარვეზების შევსებას, ახალი ნორმების დამკვიდრების მეშვეობით სამართალგანვითარებას. “ცივილურ სამართალთან” შედარებით “პრეტორული სამართალი” ნაკლებად კონსერვატორული და განვითარებისუნარიანი იყო.

რომის სამოქალაქო სამართლის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს იურისტებმა. ქურუმი იურისტები, რომლებიც უპირატესად რომის წარჩინებულთა ინტერესებს იცავდნენ, დროთა ვითარებაში საერო იურისტებმა შეცვალეს. უმაღლესი იურიდიული სასწავლებლები ხელს უწყობდნენ იურიდიული აზრის განვითარებას, მართალია, თავდაპირველად იურისტების საქმიანობას წმინდა პრაქტიკული მიმართულება ჰქონდა, მაგრამ თეორიული საკითხებით დაინტერესებაც არ იყო მათთვის უცხო.

იურისტები იძლეოდნენ სასარგებლო რჩევებს (“რესპონდერე”).

პასუხობდნენ კერძო პირების მიერ დასმულ კითხვებს იურიდიულ შემთხვევებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, იურისტების საქმიანობის მნიშვნელოვანი სახეობა იყო “კავერე” – სხვადასხვა იურიდიული აქტების შედგენა და სათანადო ფორმულების გამომუშავება ამ აქტებისათვის.

იურისტები ადგენდნენ სხვადასხვა ხელშეკრულებების ტექსტებს, საანდერძო განკარგულებათა პროექტებს და ა.შ.

იურისტების მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მხარე იყო ე.წ. “აგერე”, რჩევა-დარიგების მიცემა პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებით და მხარეთა საპროცესო მოქმედების ხელმძღვანელობა, რჩევა სარჩელის აღძვრის შესახებ და ა.შ. ძველ რომში პროცესუალური წარმომადგენლობა და რწმუნებულად გამოსვლა, გარკვეულწილად შეზღუდული იყო.

რომაელი იურისტების დონეზე კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ბერძნულმა ფილოსოფიამ. ცნობილი რომაელი იურისტის კვინტუს მუციუს სცევოლის ნაშრომებს ეტყობა ბერძნული ფილოსოფიის ზეგავლენა. ხსენებული იურისტი ცხოვრობდა დაახლოებით ძვ. წ. 140-82 წლებში. ამ ზეგავლენამ, თავის მხრივ, დააჩქარა საკუთრების ზოგადი ცნების გამომუშავება.

იმპერიის ხანაში სახალხო კრებებს უკვე აღარ იწვევდნენ.

პრინციპატის ხანაში კანონებს უკვე სენატი ღებულობდა, მაგრამ სენატი მოკლებული იყო დამოუკიდებლობას და, ფაქტობრივად, იმპერატორთა ნება-სურვილს აფორმებდა.

რომის იურისპრუდენციის აყვავების ხანა მოიცავდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ სამ საუკუნეს – ე.წ. პრინციპატის ხანას. მესამე საუკუნის მეორე ნახევრიდან კი იწყება რომის სახელმწიფოსა და რომის სამართლის დაქვეითების ეპოქა.

ი. ს. პერეტერსკის ამ დაქვეითების მაჩვენებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ ა.წ. 426 წელს გამოვიდა კანონი იურისტების ციტირების შესახებ. სავალდებულო ძალა მიეცა ხუთი იურისტის – გაიუსის, პაულუსის, პაპინიანუსის, ულპიანუსის და მოლესტინუსის თხზულებებს და იმ იურისტების ნაწერებს, რომლებსაც ეს იურისტები იმოწმებდნენ. თუ რომელიმე საკითხის შესახებ ხსენებულ

ორისტთა შორის სსუდასხვა აზრი იყო გამოთქმული, მაშინ უპირატესობა ეძლეოდა უმრავლესობის აზრს, ხოლო, თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, იმ მოსაზრებას ეძლეოდა უპირატესობა, რომელიც პაპინიანუსს ჰქონდა გამოთქმული.

იმპერიის ხანაში იყო კოდიფიკაციის ცდებიც.

438 წელს გამოიცა იმპერატორ თეოდოსიის კოდექსი, სადაც სისტემატურად იყო გადმოცემული რომაული კანონები მეოთხე საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული.

იმპერატორ თეოდოს მუარე (402-450) აღმოსავლეთ-რომის იმპერატორი იყო, მაგრამ მისი კოდექსი დასავლეთ რომის იმპერიაში უფრო მეტი წარმატებით სარგებლობდა, ვიდრე აღმოსავლეთში.

უნდა ითქვას, რომ კოდექსი არ იყო სრულყოფილი. ის შეეცავდა რომის სამართლის მხოლოდ ნაწილს, იმპერატორის გამოცემულ “კონსტიტუციებს”, ამიტომ ახალი საკანონმდებლო ძეგლის შედგენა საჭიროდ იყო მიჩნეული.

ამ ამოცანის განხორციელებას შეუდგა აღმოსავლეთ-რომის (ბიზანტიის) იმპერატორი იუსტინიანე დიდი /527-565/, რომელიც რომის დასავლეთ-იმპერიის შემოერთებასაც ცდილობდა.

528 წლის 13 თებერვალს იმპერატორმა იუსტინიანემ შექმნა ორი საკანონმდებლო კომისია, პირველ საკანონმდებლო კომისიაში იყო ათი კაცი. იმპერატორმა განიზრახა თავისი მეფობის პირველივე წლებში ერთად მოეყარა თავი რომის იმპერატორების მიერ ადრე გამოცემული კანონებისათვის და საკანონმდებლო რეფორმაც განეხორციელებინა.

საკანონმდებლო კომისიას სათავეში ჩაუდგა ტრიბონიანოსი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ საკანონმდებლო კომისიაში შედიოდა ათი კაცი. მათ შორის იყვნენ ცნობილი სამართალმცოდნე პროფესორები მაგ. თეოფილისი (თეოფილე).

529 წელს ხსენებულ პირველ კომისიას უკვე შედგენილი ჰქონდა “იუსტინიანეს კოდექსი”. ამავე წელს იგი იმპერატორმა გამოცა თავისი სახელით. რა თქმა უნდა, მოძველებული თეოდოსიის კოდექსი საფუძვლიანად გადაამუშავდა. ყველა მოძველებული კანონი უარყვებ და ახალ კოდექსში არ შეიტანეს.

530 წელს მეორე საკანონმდებლო კომისიამ დაიწყო მუშაობა ძველი რომაელი იურისტების ნაწერების შეკრების მიზნით. ამ კომისიაში 16 კაცი მუშაობდა. მათ ხელახლა შეისწავლეს და გადაამუშავეს უზარმაზარი სამართლებრივი მასალა. კომისიის ხელში გაიარა რომაელი იურისტების დაახლოებით ორ ათასამდე წიგნმა (სამი მილიონი მუხლის მოცულობით). ამ იურიდიული ოკეანიდან ამოკრიბეს მხოლოდ 150 ათასი მუხლი. ამ მასალის შერჩევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ტრიბონიანოსმა. 533 წელს გამოქვეყნდა დიგესტები, ანუ პანდეკტები, რომელიც 50 წიგნისაგან შედგებოდა. დიგესტებმა შემოგვინახეს ცნობილი რომაელი იურისტების ნაშრომებიდან ამოკრიბილი ადგილები, როგორც ანტიკური ცივილიზაციის დიდი საგანძურიდან ჩვენამდე მოღწეული ხელიხელსაგოგმანებ, მარგალიტები.

სამეცნიერო ლიტერატურაში შეიძლება წავიკითხოთ ბრალდება ტრიბონიანოსის წინააღმდეგ, რომლის თანახმად, თითქოს ის გახდა მიზეზი დიდი რომაელი იურისტების ულპიანუს დომიცეუსის (170-228), პაულუს იულიუსის (ახ. წ. III ს.) პაპინიანუს ემელიუსის (დაახლ. 150-212) გაიუსის (II ს.) და რიგი სხვა სამართალმცოდნეების ნაწერების ჩვენამდე მოღწეულობის მიზეზად. სიმართლე რომ ითქვას, ტრიბონიანოსი აქ არაფერ შუაშია. დიგესტები რომ არ შეექმნათ, არ არის გამორიცხული, რომ ისიც არ გვეცოდინებოდა რომაელი იურისტების ნაშრომების შესახებ, რაც დღეს ვიცით. ზოგი ისტორიკოსი კი, პირიქით, ტრიბონიანოსის დიდ დამსახურებად თვლის ისეთი სამართლებრივი კრებულის შედგენას, რომლის წყალობითაც ჩვენამდე მოაღწია ნაწევრებმა ცნობილი რომაელი იურისტების ჩანაწერებიდან.

აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი თავის ლექციებში ბიზანტიის ისტორიიდან (თბ., 1948, გვ. 99) აღნიშნავდა: შეიძლება სწორედ იმის გამო აღარ არის დაცული ამ იურისტების დიდი ნაშრომები, რომ საზოგადოება რეცეფციით კმაყოფილდებოდა და მთლიანი ნაწარმოებები იურისტებისა მიივიწყა. ეს აზრი მართებული ჩანს.

შესაძლოა, სამეცნიერო ლიტერატურაში შეგვხვდეს საკითხის ასეთნაირი დასმაც.

იუსტინიანემ და მისმა კომისიამ შერყვნა კლასიკური სამართალი. მათ შეამოკლეს და შეავსეს კლასიკოს იურისტთა ტექსტები ცხადია, ეს უმიზეზოდ არ მომხდარა. ბიზანტიოლოგ კულაკოვსკის აზრით, ეს გამოიწვია დროებამ, ელინიზმმა და ქრისტიანობამ თავისი აღმოსავლურობით მოახდინეს გავლენა.

იმპერატორ იუსტინიანეს საკანონმდებლო კრებულის შესამე ნაწილს წარმოადგენს ინსტიტუციები — მოკლე დამხმარე სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და ახალბედა იურისტებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების იურიდიული განყოფილების სტუდენტებისათვის. “ინსტიტუციების” გამოყენება ნებადართული იყო სასამართლოებშიც. ამგვარად, “ინსტიტუციები” სამართალის მოქმედ ძეგლსაც წარმოადგენდა.

მოგვიანებით ხსენებულ კრებულს დაემატა ე.წ. “ნოველები” — ახალი კანონები. ეს კანონები ქვეყნდებოდა 535 წლიდან 565 წლამდე — ოცდაათი წლის განმავლობაში, — იმპერატორ იუსტინიანეს გარდაცვალებამდე.

“კორპუს იურის ცივილის” -ის სხვა ნაწილებთან შედარებით, “ნოველებში” ამკარად იგრძნობა ქრისტიანული იდეების ზეგავლენა. როგორც ჩანს, ქრისტიანული მოძღვრება გადაქცეულია სამართლის თეორიულ საფუძვლად.

§ 4. სარჩელები

რომის სახელმწიფოს განვითარების ადრეულ საფეხურზე სახელმწიფოს არ ჰქონდა შესაძლებლობა კერძო პირთა შორის სამართლებრივ ურთიერთობაში ჩარევისა. არ არსებობდა სახელმწიფო სასამართლოები, რომლებიც განიხილავდნენ სამოქალაქო საქმეებს.

უბველეს, ადრე სახელმწიფოებრიობის ხანაში უფლებების დაცვა კერძო საქმედ ითვლებოდა; თავის დაცვა თავად დაინტერესებულ პირს უხდებოდა.

ახალწარმოშობილი სახელმწიფო თავის მთავარ ამოცანად თვლიდა გარეშე მტრებისაგან დაეცვა მოსახლეობა და კერძო პირთა ურთიერთობაში საერთოდ არ ერეოდა. ჯერ კიდევ

ერთმანეთისაგან არ იყო გამოჯნული სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი. ამასთან, სახელმწიფო, დღევანდელი თვალსაზრისით, არც ზოგიერთ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში ჩარევით იწუხებდა თავს. ქურდობა დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა კერძო დანაშაულად და სახელმწიფო არ ერეოდა ქურდისა და გაქურდულის ურთიერთობაში.

სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც ამას რომის სამოქალაქო სამართლის სპეციალისტები მართებულად აღნიშნავენ, თავის ამოცანად არ თვლიდა გაერჩია სამოქალაქო სამართლებრივი დავები. ასეთ ვითარებაში თითოეულს თავისი ძალით და საშუალებებით უნდა დაეცვა თავისი უფლება, რაც ამ უფლებების თუ უფლების დაცვას აძნელებდა.

მას შემდეგაც კი, რაც სახელმწიფო მომძლავრდა და მან თავის ამოცანად ჩათვალა სამოქალაქო სამართლებრივი დავების გარჩევა, თვითნებობა ბოლომდე ვერ იქნა აღკვეთილი. და ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო თვითონ გამოდიოდა მოსარჩელის როლში, ის სასამართლოს საშუალებით კი არ იკმაყოფილებდა თავს, არამედ სასამართლოს გვერდის ავლით, საკუთარი ხელისუფლების გამოყენებით.

კანონები, რომლებიც მოქალაქეთა თვითნებობას კრძალავდნენ და ამ თვითნებობისათვის სასჯელს ითვალისწინებდნენ, საკმაოდ გვიან, რესპუბლიკის ბოლო ხანებში მიიღეს.

თანდათან ვითარება იცვლებოდა. ვითარდებოდა საპროცესო კანონმდებლობა. რომის სამოქალაქო პროცესის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ სამართალწარმოება ორ სტადიად იყო გაყოფილი. სამოქალაქო პროცესის პირველ სტადიას ერქვა “ინ იურე”, მეორეს – “ინ იუდიცო”.

სამოქალაქო პროცესის პირველ სტადიაში მონაწილეობდნენ მოსარჩლე, მოპასუხე და მავისტრატი. ამასთან, ეს უკანასკნელი – სასამართლო მავისტრატი არ გამოდის მოსამართლის როლში. ის მხოლოდ მხარეთა საზეიმო-იურიდიულ აქტში მონაწილეობს და წარმოთქვამს სათანადო რიტუალთ გათვალისწინებულ სიტყვებს. ცხადია, მოსარჩლევს და მოპასუხეც ასრულებდა სამართლით

გათვალისწინებულ სამართლებრივ რიტუალს ... მოსარჩელე აცხადებს თავის მოთხოვნას, თავის პრეტენზიას, თავის მხრივ მოპასუხეც გამოთქვამს თავის საწინააღმდეგო მოსაზრებას. თუ მოპასუხე მოსარჩელის საზეიმო განცხადებას სამართლიანად ჩათვლიდა და დაეთანხმებოდა, საქმე ამით დამთავრდებოდა.

იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე უარყოფდა მოსარჩელის მოთხოვნებს, მაგისტრატი მოწმეების დასწრებით დაადასტურებდა შექმნილ ვითარებას და მოსამართლეს დანიშნავდა. მოსამართლე შეეცდებოდა, რომ მხარეები შეთანხმებულიყვნენ მოსამართლის ვინაობასთან დაკავშირებით. თუ ამის შესახებ მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევდნენ, მაშინ მაგისტრატს შეეძლო თვითონ, მხარეების სურვილისაგან დამოუკიდებლად, თავისი ინიციატივით დაენიშნა მოსამართლე.

ჩვენამდე მოღწეული ცნობებით რესპუბლიკის ადრეულ პერიოდში "ინ იურე" საქმეს არჩევდა კონსული. ძვ. წ. IV საუკუნეში ეს ფუნქცია პრეტორის ხელში გადავიდა. როდესაც რომში ფულად-სასაქონლო ურთიერთობა განვითარდა და ქალაქში მრავალი უცხოელი ("პერეგრინუსი") ვაჭარი ჩამოდიოდა, ისინი ხშირად გამოდიოდნენ მოსარჩელედ რომის მოქალაქეების წინააღმდეგ. პერეგრინუსების წინააღმდეგ სარჩელებს აღძრავდნენ რომაელებიც. ასეთი საქმეების გასარჩევად სახელმწიფომ პერეგრინუსების პრეტორის თანამდებობა დააწესა.

დავას ერთპიროვნულად განიხილავდა მოსამართლე. ჩვეულებრივ მოსამართლის როლში წარჩინებული ადამიანები, საგვარეულო არისტოკრატის ნაშიერები — სენატორები გამოდიოდნენ. თანდათან სენატორთა გარდა მოსამართლეობის უფლება მოიპოვეს უფრო დაბალი წარმომავლობის ადამიანებმაც, უბრალოდ, შეძლებულმა მოქალაქეებმა.

რომში სპეციალურად დგებოდა იმ პირთა სია, საიდანაც უნდა აერჩიათ მოსამართლეები. რესპუბლიკის ბოლო პერიოდში მოსამართლეთა რიცხვი ცხრაასამდე გაიზარდა.

ძველი რომის სამართლის ისტორიამ იცის სასამართლო პროცესის საბი სხვადასხვა ფორმა. ლეგისაქციური, ფორმულარული

და ექსტრაორდინარული.

რესპუბლიკის ხანის რომის სახელმწიფოში გავრცელებული იყო ლეგისაქციური პროცესი.

ლეგისაქციო რომის სამართლის ისტორიის მკვლევარებს განსსვავებულად აქვთ განმარტებული. უფრო მისაღებად მიგვაჩნა პროფ. ი. ა. პოკროვსკის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ლეგისაქციური პროცესი დაკავშირებული იყო მხარეების მიერ კანონისმიერი მოქმედებისათვის უპირატესობის მინიჭებასა და თვითნებობაზე უარის თქმასთან.

ძველი რომის სამართლისათვის წინაკლასიკურ პერიოდში დამახასიათებელი იყო ფორმალიზმი და რიტუალურობა. დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა უესტების და სიტყვიერი ფორმულების გამოყენებას. ამასთან სამართალს ახასიათებდა სარჩელის იდეის დომინანტობა, ამ იდეის ბატონობა. სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიძვრებოდა, თუ არსებობდა კანონი, რომლის მიხედვითაც ასეთი სარჩელი დაიშვებოდა. არსებობდა ლათინური იურიდიული ანდაზა, რომელიც ამ იდეას გამოხატავდა: “ნულა ლეგის აქციო სინე ლეგე”.

რომში დიდი ხნის განმავლობაში, გვიან იმპერიის ხანაში, სასამართლო პროცესი ორ სტადიად იყოფოდა — “ინ იურე” და “ინ იუდიციო”.

“ინ იურე” სტადიაზე უნდა გარკვეულიყო, არსებობდა თუ არა სარჩელისათვის სამართლებრივი საფუძვლები.

პროცესის “ინ იურე” საფეხურზე დიდ როლს ასრულებდა მაგისტრატი. მოსარჩელე და მოპასუხე თავიანთ პრეტენზიებს წარუდგენდნენ მაგისტრატს და არა მოსამართლეს. მაშასადამე, “ინ იურე” სტადიაზე მხარეთა პრეტენზიებს იზილავდა მაგისტრატი და არა მოსამართლე.

მაგისტრატს მინიჭებული ჰქონდა სათანადო იურისდიქცია. ლათინური “იურისდიქციო” ნაწარმოებია სიტყვებისაგან “იუს დიკერე”, რაც ნიშნავს “სამართალი ლაპარაკობს”. მაგისტრატს სამართლის ნორმების გამოყენების უფლება ჰქონდა მინიჭებული. თავდაპირველად მაგისტრატის როლში გამოდიოდა კონსული. რომის

სამართლის წყაროების მონაცემებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მაგისტრატის როლში კონსულების შემდგომ გამოდიოდნენ პროტორები. თუ სამოქალაქო დავაში მხარეებად უცხოელები გამოდიოდნენ, მაშინ ეს საქმე ეხებოდა უცხოელების – “პრეგრინუსების” პროტორს. თუ სამოქალაქო დავაში მხარეებად ქალაქ რომის მცხოვრებლები გამოდიოდნენ, მაშინ მაგისტრატად ქალაქის პროტორი – “ურბანუსების” პროტორი გამოდიოდა.

მხარეები თვითონ უნდა გამოცხადებულიყვნენ სასამართლოში. წარმომადგენლობას რომის სამართალი არ უშვებდა. ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული წარმომადგენლობის მნიშვნელობა; არავის არ ჰქონდა უფლება ემოქმედა სხვა პირის სახელით.

“ინ ოურე” სტადიაზე დაადგენდნენ სარჩელის შესატყვისობას კანონთან, მის კანონისმიერობას, მაგისტრატი ნიშნავდა მოსამართლეს. არსებობდა მოსამართლეთა სიები და მაგისტრატი ამ სიიდან ერთ-ერთ მოსამართლეს შეარჩევდა. ჩვეულებრივ მოსამართლეების რაოდენობაში წარჩინებული ადამიანები – სენატორები გამოდიოდნენ.

სამოქალაქო სამართლის პროცესის მეორე სტადიის – “ინ ოუდიციოს” მიზანი საქმის ფაქტობრივი მხარის შემოწმება იყო. ეს შეეხო ერთპიროვნულად მოსამართლესაც. ერთი მოსამართლე – “უნუს ოუდექს” დიდ როლს თამაშობდა კერძოსამართლებრივი დავების განხილველ პროცესში. მოსამართლე გამოიტანდა გადაწყვეტილებას – “სენტენციას”.

კერძოსამართლებრივი დავის გადაწყვეტა შეიძლებოდა შუაგაციის – არბიტრის ან საქმის განსახილველად სპეციალურად შექმნილი ჟიურის მეშვეობით.

სამოქალაქო სამართლის პროცესში, მოუხედავად იმისა, რომ გარჩევის კანონისმიერი წესი დადგენილი არ იყო, ბუნებრივად გამოიკვეთა მხარეების თანასწორობა.

კერძოსამართლებრივი დავის გარჩევის პროცესში ყურადღებით მოისმენდნენ მხარეების განცხადებებს, მოუსმენდნენ მოწმეებსაც და ამის შემდეგ განიხილავდნენ მტკიცებულებებს (დამამტკიცებელ საბუთებს). ცნობილი მკვლევარი ი. ს. პერეტერსკი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: ძველ რომში მხარეები დიდი

თავისუფლებით სარგებლობდნენ დამამტკიცებელი საბუთების წარდგენის საქმეში, “ამ საბუთების შეფასება მოსამართლის შეხედულებისამებრ ხდებოდა. საქმის განხილვა იმით თავდებოდა, რომ მოსამართლე თავის გადაწყვეტილებას გამოიტანდა. თუ რომელიმე მხარე მოსამართლესთან არ გამოცხადდებოდა, გადაწყვეტილება დამსწრე მხარის სასარგებლოდ გამოჰქონდათ”.

ლევისაქციური პროცესის შესახებ ცნობებს გვაწვდის ცნობილი რომაელი იურისტი – გაიუსი. ხსენებული ავტორი გვამცნობს, რომ კანონის შესაბამისად შეიძლებოდა ხუთი სახის სარჩელის აღძვრა.

ეს სარჩელები იყო: 1. ლევის აქციო საკრამენტუმ (მოსარჩელეს შეაქვს განსაზღვრული თანხა და იმავე ოდენობის თანხის შეტანას მოითხოვს მოპასუხისაგან).

2. ლევის აქციო პერ მანუს ინიექციონემ (მოსარჩელეს ხელის დადებით მიჰყავს მოპასუხე სასამართლოში).

3. ლევის აქციო პერ პიგნორის კაპიონემ (დებიტორის ნივთის ხელში ჩაგდების შემდეგ სარჩელის აღძვრა).

4. ლევის აქციო პერ იუდიცის პოსტულაციონემ (სარჩელი გამოიყენებოდა ქონების გაყოფის დროს).

5. ლევის აქციო პერ კონდიციონემ (ამ სარჩელის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით: მხარეები ერთობლივ მოითხოვდნენ პრეტორისაგან მოსამართლის დანიშვნას).

სიტყვა აქციო (აკციო) მრავალცნებიანი სიტყვა იყო ლათინურში. დიდ ლექსიკონებში მისი 14 მნიშვნელობაა დაფიქსირებული.

მისი სამართლებრივი მნიშვნელობა იყო სარჩელი, აგრეთვე სასამართლო დავა, სასამართლო პროცესი, საბრალდებო სიტყვა, სარჩელის ფორმა, სასამართლო დავის აღძვრის უფლებამოსილება.

სარჩელის მეორე სახე ‘ლევის აქციო პერ მანუს ინიექციონემ’ საკმაოდ არქაული შინაარსისა იყო. კრედიტორი დებიტორს ხელდადებულს მიიყვანდა სასამართლოზე.

ერთ დროს, არქაულ ხანაში, კრედიტორს უფლება ჰქონდა დებიტორის დამონებისა. რადგანაც მონა ნივთად ითვლებოდა,

მაშასადამე, კრედიტორს მისი მოკვლის უფლებაც ჰქონდა.

ძველი სამყაროს არცერთ ქვეყანაში კრედიტორს ვალაუკალი დებიტორის მიმართ ამდენი უფლებები არ ჰქონია.

ფორმულარული პროცესი. თანდათან, ეკონომიკის, კულტურისა და სახელმწიფოებრიობის განვითარებასთან ერთად ლეგისაქციური პროცესი უკვე ვეღარ პასუხობდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობის მოთხოვნილებებს, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. თუ როდის შეცვალა ლეგისაქციური პროცესი ფორმულარულმა, ამის ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის, მაგრამ ამ პროცესის არსებობის ბოლო ქრონოლოგიური წერტილი იყო ახალი წელთაღრიცხვის 294 წელი. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ფორმულარული პროცესისი არსებობა ემთხვევა რომის იურისპრუდენციის კლასიკურ ხანას.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ძვ. წ. IV- I საუკუნეები რომის სახელმწიფოსა და სამართლის შედარებით სწრაფი განვითარების ხანაა. მდინარე ტიბრის ნაპირზე მდებარე პატარა ქალაქი-სახელმწიფო გადაიქცა მსოფლიო სახელმწიფოდ და მსოფლიო ისტორიის უძლიერეს ფაქტორად. რომის სახელმწიფოს “ოქრის ხანად” ითვლება ძვ. წ. II- I საუკუნეები. დაახლოებით ამ დროს რომის სახელმწიფოში ვითარდებოდა მსხვილი მიწათმფლობელობა, რომელიც ძირითადად მონურ შრომას ემყარებოდა. მსხვილმა მიწათმფლობელობამ შეავიწროვა წვრილი მესაკუთრეობა და გლეხობის გადატაკება გამოიწვია.

რომის იურისპრუდენციის უმაღლესი განვითარების ხანა იყო ახ. წ. I - II და III საუკუნეები, სწორედ ამ დროს ფუნქციონირებდა ფორმალური პროცესი.

ამ ხანებში შეუძლებელი იყო ლეგისაქციური პროცესისათვის დამახასიათებელი სასტიკი და არაპრაქტიკული ფორმალიზმის მოთმენა. ამასთან, ლეგისაქციური პროცესი ეყრდნობა მეტისმეტად ტუნწად შედგენილ და ხარვეზებიან კანონებს. ამ ხარვეზების შევსების შესაძლებლობა კი არ არსებობდა. გაიუსის ინსტიტუციებში (IV, 2) საუბარია იმის შესახებ, რომ, თუ ვინმე სარჩლობდა თავის მამულში ვაზის აჩეხვის გამო, სარჩელში მას ვენახისთვის ხეები

უნდა ეწოდება, სხვანაირად ის სარჩელს /საქმეს/ წააგება. რადგან სარჩელის საფუძველი უნდა ყოფილიყო თორმეტი ტახტის კანონები, ხოლო ამ კანონებში სარჩელის კანონიერ მოტივად აღიარებული იყო ხეების აჩეხვა სხვის ადგილ-მაძულში.

ფორმულარულმა პროცესმა შეცვალა რა ლეგისლაციური პროცესი, ბოლო მოუღო არა მარტო მის ფორმალიზმს, არამედ მის რიტუალოზობასაც. მოსარჩლე და მოპასუხე გათავისუფლდა უესტების გამოყენებისა და წინასწარგანსაზღვრული სიტყვების წარმოთქმისაგან.

ფორმულარულ პროცესს სახელწოდება დაუმკვიდრა პრეტორის ფორმულამ. პრეტორის ფორმულაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ოთხი ელემენტი, ანუ ნაწილი.

პირველ ნაწილში პრეტორის ფორმულა ითვალისწინებდა მოსამართლის დანიშვნას (ლათინურად “იუდიცის დომინაციო”)

პრეტორის ფორმულის მეორე ნაწილში გადმოცემული იყო ის საფუძველი თუ საფუძველები, რომელიც სარჩელის მიზნად ითვლებოდა.

მესამე ნაწილში მოცემული იყო თვით სასარჩელო მოთხოვნის დაპირობადებული დასაბუთება — “ინტენციო”, მაგალითად, ასეთი თუ გაიუსი მართლა ვაღდებულობა ვადაინადოს ასი სესტერციუმის და ა.შ.

პრეტორის ფორმულის მეოთხე ნაწილში — “კომდემნაციოში” უნდა ყოფილიყო მითითება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო მოსამართლე, თუ სასარჩელო მოთხოვნა დადასტურდებოდა.

მართებულია მკვლევარ ო. ს. იოფეს აზრი იმის შესახებ, რომ პრეტორის მითითება გამოიხატებოდა იმ ფრაზის გაგრძელების სახით, რომელიც ფორმულის წინარე ნაწილს ეხებოდა: თუ ის, რაც იქ იყო მოხსენიებული, დადასტურდება ‘მოსამართლე მიუსჯის, თუ არა და უარს ეტყვის სარჩელზე’.

საჭიროების შემთხვევაში, არ იყო აკრძალული, თუ პრეტორის ფორმულაში იქნებოდა დამატებითი, დამხმარე ნაწილიც.

ისევე როგორც ლეგისლაციური სასამართლო პროცესი,

ფორმულარული პროცესიც ორი სტადიისაგან შედგებოდა.

“ინ იურე“ სტადიის მიზანი ფორმულარულ პროცესში პრეტორის ფორმულის მიღება იყო. ამ მომენტიდან სასამართლო პროცესი დაწყებულად ითვლებოდა. საერთო წესის თანახმად, არ შეიძლება ამავე საქმეზე მეორე სარჩელის აღძვრა. აკი ლათინური იურიდიული ანდაზაც ამბობდა: “არ შეიძლება ორჯერ აღიძრას ერთი და იგივე საქმე“.

თუ ლეგისაქციური პროცესის ფარგლებში უცხოელების – “პერეგრინუსების“ უფლებების დაცვა შეუძლებელი იყო, რადგანაც მათ არ შეეძლოთ ამ პროცესში მონაწილეობის მიღება, ფორმულარულმა პროცესმა ამ მიმართულებით გადადგა ნაბიჯი. სახელმწიფომ სპეციალურად შექმნა “პერეგრინუსების პრეტორის“ თანამდებობა. მაშასადამე, გაფართოვდა იმ პირთა წრე, რომელთა ინტერესებსაც სამოქალაქო სამართლის პროცესი იცავდა.

მაშასადამე, ფორმულარულმა პროცესმა აღმოფხვრა ის ხარვეზები, რაც ახასიათებდა ლეგისაქციურ პროცესს.

პროცესის “ინ იუდიციოს“ სტადიაზე მოსამართლის მთავარი ამოცანა იყო შეემოწმებინა პრეტორის ფორმულაში აღნიშნულ-ჩამოყალიბებული ფაქტები. სასამართლოზე მოისმენდნენ როგორც მოსარჩლეს, ასევე მოპასუხეს და მათ დამცველებსაც.

მართალია, მოსამართლეს შეეძლო უარი ეთქვა საქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანაზე, თუ შეატყობდა, რომ საქმე მრავალ საეჭვო მომენტს შეიცავდა, მაგრამ თუ მოსამართლე საქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას განიზრახავდა ის გარკვეულად შებოჭილი იყო პრეტორის ფორმულის მითითებით.

პროფ. ი. ს. პერეტერსკი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მოსამართლე შებოჭილი იყო პრეტორის ფორმულაში ჩამოყალიბებული მითითებებით. ავტორის აზრით, თუ ინტენციოში აღნიშნული ფაქტები დადასტურებული იყო, იგი ვალდებულად ითვლებოდა დაეკმაყოფილებინა სარჩელი და გვერდი არ აექცია ფორმულაში გაკეთებული დასკვნებისათვის. ამრიგად, პრეტორი აღგენდა სარჩელის იურიდიულ შედგენილობას, ხოლო მოსამართლე, ძირითადად, გამოიკვლევდა საქმის მხოლოდ ფაქტობრივ მხარეს.

ძველი რომის სამოქალაქო სამართლის მკვლევარები და მათ შორის, ი. ს. პერუტერსკიც მართებულად აღნიშნავენ, რომ ფორმულარული პროცესის ბატონობის ხანაში მოსამართლე ვალდებული იყო გადაწყვეტილება იმ ფაქტების ფარგლებში გამოეტანა, რომელიც პრეტორის ფორმულაში იყო ჩამოყალიბებული. თუ პრეტორის ფორმულაში უზუსტობა გაიპარებოდა, მოსამართლეს უკვე არ შეეძლო მისი გასწორება.

თუ მოსარჩელე იმაზე მეტს მოითხოვდა, ვიდრე მას მოპასუხისაგან კანონის მიხედვით ეკუთვნოდა, ე.ი. ე.წ. "პლუს პუტიციოსთან" გვეჭნებოდა საქმე, მაშინ მოსამართლეს, რომელიც უკვე დარწმუნდებოდა, რომ მოპასუხეს ასეთი დიდი თანხა არ მართებს, ევალდებოდა მოსარჩელისთვის უარი ეთქვა სარჩელის სრული მოცულობით დაკმაყოფილებაზე. ეს წესი იმ შემთხვევაშიც იმოქმედებდა, თუ მოსარჩელე თუნდაც სულ უმნიშვნელო ტერტის მიღების პრეტენზიას განაცხადებდა. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელე კარგავდა უფლებას ახალი სარჩელი წარედგინა სასამართლოსათვის უკვე შემცირებული, მაგრამ ნამდვილად კანონიერი თანხის ფარგლებში.

მაშასადამე, მოსამართლის გადაწყვეტილება სამართლებრივ ურთიერთობაზე დიდ ზეგავლენას ახდენდა. უკვე განხილულ საქმის გამო მოსარჩელე ხელახლა ვერ ისარჩლებდა იმავე მოპასუხის წინააღმდეგ. ლათინური იურიდიული ანდაზაც აკი ამბობდა, რომ არ შეიძლება ორჯერ აღიძრას ერთი და იგივე საქმე — "ნონ ბის ინ ეადემრე".

ფორმულარულმა პროცესმა წარმოშვა საჭიროება განათლებულ იურისტებზე. იურისტის ცოდნა საჭირო იყო სარჩელის დასაბუთებისათვის, მოსარჩელის ფორმულის გამოსაძებნად და ა.შ. იურისტის დახმარება შეიძლებოდა დასჭირვებოდა თვით პრეტორსაც კი. რომის სამართლის ისტორიის მასალები ადასტურებენ მოსაზრებას, რომ რომის იურისპრუდენციის განვითარების ოქროს ხანა ემთხვევა ფორმულარული პროცესის არსებობის ეპოქას. შეიძლება ითქვას, რომ ფორმულარული პროცესის შემოღებამ ხელი გაუძარტა რომის სამოქალაქო სამართლის განვითარებას.

ძველ რომში პრეტორი ერთ-ერთი ისეთი უმაღლესი თანამდებობის პირი იყო, რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა სამართალგანვითარებაზე. მას გააჩნდა ძალაუფლება, გამოეცა ყველასთვის სავალდებულოდ შესასრულებელი განკარგულებები. მასვე გააჩნდა უფლება სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით განეკითხა ურჩები. პრეტორს შესაძლებლობა ეძლეოდა შეეცხო კანონში არსებული ხარვეზები სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნით და იმ შემთხვევაშიაც დაეცვა ქვეყნის და საზოგადოების უსაფრთხოება, როდესაც ამის საშუალებას არასრულყოფილი კანონმდებლობა ნაკლებად იძლეოდა.

ექსტრაორდინარული პროცესი, როგორც ჩანს, ჩაისახა ჯერ კიდევ იმპერიის დამყარებამდე, რესპუბლიკური ხანის მიმწუხრეზე. ფორმულარული პროცესი ნორმალურ სასამართლო პროცესად ითვლებოდა არა მარტო რესპუბლიკის ხანაში არამედ პრინციპატის ეპოქაშიც, როგორც ეს აღნიშნული აქვს დიდ რომანისტს ი. ა. პოკროვსკის. მაგრამ იმპერიის დასაწყისში ფორმულარული პროცესის გვერდით წარმოიშვა ექსტრაორდინარული პროცესი — “ექსტრაორდინარია კოგნიციო”. ამ პროცესს უკვე არ ახასიათებდა ორ სტადიად დაყოფა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რესპუბლიკის ბოლო პერიოდში ჩაისახა “ექსტრაორდინარია კოგნიციო” — “საგანგებო პროცესი”. თუ რომის მოქალაქე დაცვას ვერ პოულობდა ცივილურ სამართალსა და ფორმულარულ სამოქალაქო პროცესში, მაშინ ის მიმართავდა მაგისტრატს თხოვნით, დაეცვა მისი უფლებები ადმინისტრაციული ღონისძიებების გამოყენებით, თუ მაგისტრატი მოქალაქის თხოვნას ყურადღების ღირსად ჩათვლიდა, მაშინ ის არა მარტო განიხილავდა საქმეს, არამედ მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას მოიყვანდა კიდევაც სისრულეში.

იმპერია თანდათან იშორებდა რესპუბლიკური ხანისთვის დამახასიათებელ დემოკრატიულ სამართლებრივ დაწესებულებებს.

იმპერიას სჭირდებოდა თავისი ინტერესების არადემოკრატიული, გამარტივებული წესებით დაცვა. იმპერატორი ენდობოდა თავის მოხელეს — პრეტორს და მას აძლევდა ხელმწიფებას

(უფლებამოსილებას) უშუალოდ, საერთო წესების მხედველობაში მიუღებლად – ექსტრაორდინალურად განეხილა საქმე.

ექსტრაორდინარულ პროცესს ზოგჯერ კოგნიციურ პროცესსაც ეძახიან. “კოგნიციო” ნიშნავდა იურისდიქციის საკუთარ ხელში აღებას, გამოძიების ჩატარებას მაგისტრატის მიერ.

თუ ლეგისაქციური და ფორმულარული პროცესი საქვეყნოდ მიმდინარეობდა, ექსტრაორდინარული პროცესი საიდუმლოდ ტარდებოდა და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილება ქვეყნდებოდა საჯაროდ. ამასთან ერთად წერილობითი წარმოება ბატონდებოდა სასამართლო პროცესში.

ექსტრაორდინარული პროცესის ერთ-ერთი დიდი ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ ერთხელ დაწყებული საქმე შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო, დაბალი ინსტანციიდან უფრო მაღალში გადატანილიყო და ასე თვით იმპერატორის კანცელარიაძლე მიეღწია. სასამართლო პროცესიდან ხაზინას მნიშვნელოვანი შემოსავალი შემოსდიოდა. ბიუროკრატიული სასამართლო პროცესი ხელსაყრელი იყო იმპერატორის მოხელეებისთვისაც.

კერძო დავების განმხილველი სასამართლო პროცესი უკვე აღარ იყოფოდა ორ სტადიად – “ინ იურე” და “ინ იუდიციო” სტადიად. სასამართლო პროცესს თავიდან ბოლომდე იმპერატორის ინტერესების დამცველი მოხელე აწარმოებს.

იმპერიის ბოლო საუკუნეებში, დომინანტის ხანაში დასაშვებდ ითვლებოდა პროცესის განსაკუთრებული სახეც, როდესაც მხარეებს უფლება ეძლეოდათ საერთოდ არ მიემართათ სასამართლოს დაბალი ინსტანციებისათვის და უშუალოდ მიემართათ უმაღლესი მსაჯულისათვის – იმპერატორისათვის. მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა.

ექსტრაორდინარული პროცესის ხანაში მხარეთა გამოცხადება სასამართლოში სასურველი იყო, მაგრამ, პრინციპში, შეიძლებოდა საქმის გარჩევა მხარის გამოცხადების გარეშეც. დასაშვებად ჩაითვლებოდა, მხარის ინტერესები მის დამცველ მოხელეს ეწარმოებინა. ასეთ შემთხვევებში მხარეთა გამოცხადება პროცესზე სავალდებულო არ იყო.

მოსამართლე გარჩევდა რა საქმეს, გამოიტანდა განაჩენს, რომელსაც “დეკრეტუმ” ერქვა. განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა (“აპელაცია”).

ექსტრაორდინარულ პროცესს ახასიათებდა შეჯიბრებითობა. სასამართლო საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ მასალებს არ ავროვებდა და პროცესის ძხარეებს ავალუბა მათ შეგროვებას. თვით სასამართლო პროცესი არა საქვეყნოდ, არამედ საიდუმლოდ მიმდინარეობდა. სასამართლო პროცესი ფაქსირდებოდა წერილობით. სასამართლო ხარჯებს სახელმწიფო არ ეწეოდა.

რომის სამოქალაქო სამართალი არსებითად წარმოგვიდგება, როგორც სარჩელების სისტემა. სარჩელი (“აქციო”) კლასიკურ რომაულ სამართალში განიმარტებოდა, როგორც საშუალება სასამართლო პროცესის მეშვეობით მიაღწიო ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მისარჩლის ინტერესებს შეესაბამებოდა.

რომაელა იურისტების შეხედულებით უფლებებს ნამდვილ ღირებულებას მისი სასამართლო წესით დაცვა ანიჭებდა. რომის სამართლის წყაროების დეტალურმა ანალიზმა მკვლევარები იმ მოსაზრებაზე მიიყვანა, რომ უფლებების სასამართლო წესით დაცვა რომელი იურისტების წარმოდგენით მჭიდროდ არ იყო დაკავშირებული მატერიალურ სამართალთან. თუ პირს ეძლეოდა შესაძლებლობა აღედრა სარჩელი ამა თუ იმ კატეგორიის საქმეებზე, შეგვეძლო ვვითქვა, რომ სახელმწიფო იცავდა ხსენებულ უფლებას სასამართლო წესით. სარჩელი იყო უფლების სასამართლო წესით დაცვის საშუალება. რომის კერძო სამართალს ძარიებულად მიჩნევენ სარჩელების სისტემად.

სარჩელის განმარტებას “დიგესტებში” ვხვდებით. სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა პირის უფლება სასამართლო წესით განახორციელოს კუთვნილი მოთხოვნა (პრეტენზია).

სარჩელებს ჩვეულებრივ ყოფდნენ სანივთო და ვალდებული პირის, ანუ ვალდებულებით სარჩელებად.

სანივთო სარჩელებს ეძახდნენ (“აქციონეს ინ რემ”). თუ მესაკუთრე არამფლობელი აღძრავდა სარჩელს მფლობელი

არამესაკუთრის წინააღმდეგ, ეს იქნებოდა სანივთო სარჩელი. ასეთი სარჩელის შემთხვევაში მოპასუხედ შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი პირი, რომელიც ხელყოფდა მესაკუთრის უფლებას. მოსარჩელის სანივთო სარჩელი შესაძლოა მიმართული ყოფილიყო დარღვეული ქონებრივი უფლებების აღდგენისაკენ.

“აქციო ინ პერსონამ” – ვალდებული პირის სარჩელი, ანუ ვალდებულებითი სარჩელი მიმართული იყო იქითკენ, რომ ვარკვეულ დებიტორს შეესრულებინა კრედიტორის წინაშე ნაკისრი ვალდებულება.

დიდი რომაელი იურისტი იულიუს პაულუსი, მეორე ცნობილი რომაელი იურისტის პაპინიანუსის თანამედროვე და თანამშრომელი, ერთმანეთს უპირისპირებდა ნივთზე საკუთრების უფლებას ერთის მხრივ და, მეორე მხრივ სხვა პირისგან იმის მოთხოვნის უფლებას, რომ მან რაიმე მოქმედება ჩაიდინოს ან რაიმე ქმედებისაგან თავი შეიკავოს. იულიუს პაულუსის შესახებ ცნობილია, რომ ის გარდაიცვალა ახ. წ. III საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც რომაული იურისპროდენცია განვითარების უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდა. იულიუს პაულუსი ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ მეცნიერ იურისტად ითვლება. ფრაგმენტები მისი ნაწერებიდან ხშირად არის ციტირებული “დიგესტებში”.

იულიუს პაულუსის თანახმად საკუთრების უფლება შეიძლება დაარღვიოს ნებისმიერმა მესამე პირმა. წინასწარ არ არის ცნობილი, წინასწარ ვერავინ იტყვის, თუ ვინ შეიძლება დაარღვიოს მესაკუთრის უფლება, სანივთო უფლება. ამიტომ სარჩელი მიმართული იქნება მესამე პირის წინააღმდეგ. ვინც დაარღვევს მესაკუთრის სანივთო უფლებას. ასეთ სარჩელს ეწოდება “აქციო ინ რემ” – სანივთო სარჩელი. მესაკუთრის უფლებების ამგვარ დაცვას თანამედროვე სამართალში ეძახიან აბსოლუტურ დაცვას, ხოლო მესაკუთრის უფლებას აბსოლუტურ უფლებად თვლიან.

რაც შეეხება “აქციო ინ პერსონამ”-ს, ანუ ვალდებული პირის მიმართ სარჩელს, ხსენებული სარჩელი იცავდა პიროვნული ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობებს ორი ან რამდენიმე წინასწარ ცნობილ პირთა შორის. მაგალითად, თუ გაიუსმა იკისრა

სამართლებრივი ვალდებულება იულოუსის წინაშე, რომ რაიმე მოქმედებას შეასრულებდა მის სასარგებლოდ, მაშინ იულოუსს ენიჭებოდა უფლება მოეთხოვა სწორედ გაიუსისაგან და არა სხვა ვინმესაგან ამ მოქმედების შესრულება. მოცემულ შემთხვევაში სწორედ გაიუსს შეეძლო იულოუსის უფლებების ხელყოფა. ამდენად, გაიუსის წინააღმდეგ სარჩელის აღძვრა მხოლოდ იულოუს შეეძლო ამიტომაც ამ სარჩელს “აქციო ინ პერსონამ” ეწოდებოდა.

განასხვავებდნენ, აგრეთვე ცივილურ სამართალზე დაფუძნებულ ცივილურ სარჩელებს, პრეტორული სარჩელებისაგან, რომლებიც პრეტორულ სამართალს ეყრდნობოდნენ.

რომის სამართალი იცნობდა აგრეთვე ე.წ. პოპულარულ სარჩელებს, რომლის აღძვრის უფლება გააჩნდა რომის ყველა მოქალაქეს. თუ ვინმეს ქმდება ხალხს რაიმე საფრთხეს უქადდა. მაგალითად, ვინმემ რაიმე მძიმე ნივთი გზის პირას ისე ჩამოკიდა, რომ იგი შეიძლებოდა გზაზე ჩამოვარდნილიყო და დაეზიანებინა გამვლელები ან სიცოცხლე მოესპო მათთვის... ასეთ და მსგავს შემთხვევებში ნებისმიერ პირს შეეძლო აღედრა სარჩელი და დაეცვა საზოგადოების ინტერესები შესაკუთრის გაუფრთხილებელი ქმედების წინააღმდეგ.

რომის სამოქალაქო სამართალი ანსხვავებდა ორგვარ სარჩელს – “აქციო სტრიკტი იურისა” (შკაცრი სამართლის სარჩელს) და “აქციო ბონაე ფიდეი“-ს (კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული სარჩელი).

შკაცრი სამართლის სარჩელის შემთხვევაში მოსამართლე შეზღუდული იყო მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულებით, რამდენადაც სარჩელის საფუძველი სწორედ ხელშეკრულება იყო. ხოლო კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული სარჩელის შემთხვევაში მოსამართლეს შეეძლო მხედველობაში მიეღო სამართლიანობა და საერთოდ მორალური მომენტები. ამ შემთხვევაში მოსამართლე არ იქნებოდა შეზღუდული სამართლის შკაცრი ნორმებით.

ძველ რომში მოსამართლეები არა მარტო სამართლის ნორმების შემფარდებლები, არამედ სამართლის ნორმების ახსნა-განმმარტებლები და სამართალშემოქმედნიც კი იყვნენ გამოჩენილის

შემთხვევებში, რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა ე.წ. “აქციო უტილისს“, ე.ი. სარჩელს ანალოგიით. დაახლოებით ძვ. წ. III საუკუნეში რომში შემოუღიათ კანონი, რომლის მიხედვითაც, თუ ერთი პირი მეორე პირის ქონებას უკანონოდ, არამართლზომიერად ანადგურებდა, ზიანის მიმყენებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებდა პასუხს, თუ ზიანი მიყენებული იყო “კორპორე კორპორი“, ე.ი. სხეულებრივი ნივთის სხეულებრივ ნივთზე ზემოქმედების შედეგად.

პრეტორმა თავისი ძალაუფლების გამოყენებით დაზარალებულთა დაცვის არეალი გააფართოვა და დაცვა გაავრცელა იმ დაზარალებულებზეც, რომელთაც იზარალებს არა სხეულებრივ ნივთზე სხეულებრივი ნივთის ზემოქმედების შედეგად, მაგრამ ზიანის მიმყენებლის ბრალით. მაგალითად, “პირმა სხვა პირის ცხოველი განზრახ შიმშილით მოკლა“.

რომის სამართალი იცნობდა აგრეთვე სარჩელს ფიქციით, ე.ი. ისეთ სარჩელს, რომელიც გარკვეული ფიქციის დაშვებასთან იყო დაკავშირებული. ლათინურად ამ სარჩელს ერქვა “actio ficticia”

საზოგადოებრივ და სამართლებრივ ურთიერთობათა გართულებამ და განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ერთი პირიდან მეორეზე მოთხოვნის გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ. პრეტორმა მხარი დაუჭირა ამ იდეას და მოსამართლეებს მისცა მითითება დაეშვათ ფიქცია, რომ ახალი პირი, რომელსაც გადაეცა მოთხოვნის უფლება, ჩაეთვალიათ მოთხოვნის უფლების გადამცემის მემკვიდრედ. რომის სამართლის მიხედვით მემკვიდრე მამკვიდრებლის (სამკვიდროს დამტოვლებლის) უფლებისმონაცვლედ ითვლება. ასე და ამგვარად, რომის სამოქალაქო სამართალში მოთხოვნის უფლების გადაცემამ სასარჩელო დაცვა მოიპოვა.

რომის სამართლის მიხედვით ქურდობა კერძო დანაშაულად ითვლებოდა. რა თქმა უნდა, საერთოდ მოწინავე რომის სამართალი ამ საკითხში ვერ დაიკვეხნიდა განვითარების მაღალი დონით. დაზარალებულ მხარეს შეეძლო აღედრა სარჩელი ქურდის წინააღმდეგ მოპარული ნივთის დაბრუნების შესახებ. გარდა ამისა, გაქურდულ პირს ქურდისაგან ჯარიმის გადახდაც შეეძლო მოეთხოვა. ასე წარმოიშვა საჯარიმო სარჩელები და სარჩელები დარღვეული

ქონებრივი უფლებების აღდგენის შესახებ. ამ უკანასკნელს ლათინურად რეიპერსეკუტორული სარჩელი – “აქციონეს რეიპერსეკუტონაე” ერქვა.

ი. ბ. ნივიცკი “კონდიკციონე“-ს განმარტავდა როგორც ცივილურ სამართალზე დამყარებული ისეთ სარჩელს, რომელშიც სარჩელის საფუძვლები არ იყო მითითებული (აბსტრაქტული სარჩელები). სარჩელის ფორმულაში არ იყო მითითებული ის კონკრეტული ზეპირი თუ წერილობითი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოპასუხეს გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა.

პრეტორს მისთვის მინიჭებული ძალაუფლების ფარგლებში შეეძლო “ინტერდიქტების”, ანუ ამკრძალველი ნორმების გამოცემა.

რომის სამოქალაქო სამართალმა იცოდა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის ცნება – “რესტიტუციო ინ ინტეგრუმ”. თუ პირმა ხელშეკრულება დადო ძუქარის ან მოტყუების ვითარებაში, პრეტორს შეეძლო ასეთი ხელშეკრულების გაბათილება და თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა.

რომის სამოქალაქო სამართალში უხვდებით ხანდაზმულობის ცნებასაც. კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ პირს აღარ შეეძლო დაეკვა თავისი უფლება სასამართლო წესით.

რომის სამოქალაქო სამართალში კარგად გამოიკვეთა დროის მნიშვნელობა სამართალში. გარკვეულ ვითარებაში, გარკვეული პირობებს დაცვით, დროს შეეძლო სამართლებრივი დაცვა მიენიჭებინა ფაქტისათვის, ფაქტობრივი მდგომარეობისათვის; ფაქტი შეიძლებოდა გადაქცეულიყო უფლებად. რომის სამართლის ნორმებით, დროის გარკვეულ მონაკვეთს შეეძლო უფლების ვაქარწყალეობაც. მაშასადამე, გარკვეული ურთიერთობების გათვალისწინებით, დრო ერთს ართმევდა უფლებას და აღჭურავდა ამ უფლებით მეორეს.

რიგ შემთხვევაში დროის ფაქტორი ხელს უმართავდა ნივთის ფაქტობრივ მფლობელს გადაქცეულიყო მის მესაკუთრედ. აქედან მივიღეთ შეძენითი ხანდაზმულობის სამართლებრივი ცნება. ისეც ხდებოდა, რომ კანონმდებლობის გაგებით “ხანგრძლივი დროის” განმავლობაში არ სარგებლობდნენ უფლებით, უფლება

გაქარწყლდებოდა.

რომაელებს ჰქონდათ უხსოვარი დროის ცნებაც, რომელსაც “ვეტუსტას“-ს ეძახდნენ. უხსოვარი დროიდან არსებული ვითარება მართლწოდებრად იგულისხმებოდა.

თუ ერთი ადვილ-მაძულის მესაკუთრეს სხვა საშუალება არ გააჩნდა გზაზე გასასვლელად, გარდა მეზობელი მესაკუთრის ადვილ-მაძულისა და ის, ფაქტობრივად, საგზაო სერვიტუტით, “უხსოვარი დროიდან“ სარგებლობდა. სამართალი ასეთ ურთიერთობას კანონიერად ჩათვლიდა. “დიგესტებში“ მოტანილია ცნობილი რომაელი იურისტის – სცევოლას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლოები, ჩვეულებრივ, იცავენ სხვის ადვილ-მაძულზე გამავალ წყლის მილებს, როდესაც ისინი უხსოვარი დროიდან ფუნქციონირებენ, თუმცა ასეთი სხვის მაძულზე გამავალი მილების გაყვანის უფლების კანონიერი საფუძვლები დამტკიცებული არ არის.

დროის გამოთვლის ხერხს გარკვეული მნიშვნელობა მიეცა, რადგანაც დროსთან იყო დაკავშირებული პირის სრულწლოვანების დადგენა. ამ შემთხვევაში პირის დაბადების საათსაც კი ეძლეოდა მნიშვნელობა.

წელიწადად იანგარიშებოდა 365 დღე. თუ პირს, კანონით, სარჩელის აღძვრის უფლება ერთი წლის განმავლობაში გააჩნდა, მაგრამ რაიმე საპატრიო მიზეზის გამო, მან ეს ვერ შეძლო, მას დროს უხანგრძლივებდნენ. მაგალითად, როდესაც მოსარჩელეს ეძლეოდა მოპასუხე და ა.შ. დროის ასეთ ათვლას ერქვა “ტემპუს უტილე“, ხოლო დროის უწყვეტ ნაკადად ათვლას “ტემპუს კონტინუუმ“-ს ეძახდნენ.

თუ პირი რაიმე საპატრიო მიზეზის გარეშე არ სარგებლობდა თავისუფლების პროცესუალური დაცვის შესაძლებლობით კანონით დადგენილ ვადის განმავლობაში, მაშინ ის კარგავდა სარჩელის აღძვრის უფლებას.

კლასიკური ხანის რომის სამოქალაქო სამართალმა არ იცოდა სასამართლო ხანდაზმულობის ცნება როგორც პროცესუალური უფლების გაქარწყლებისა იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი

პირი კანონით დადგენილი დროის განმავლობაში იჩენდა სამეურნეო და სამართლებრივ უმოქმედობას, — მართებულად აღნიშნავდა ი. ს. პერეტერსკი.

კლასიკურმა რომის სამართალმა იცოდა მხოლოდ ზოგიერთი სარჩელის აღძვრისათვის დაწესებული კანონიერი ვადები. მაგალითად, თავდებობის ზოგიერთ სახეობას ძალა ჰქონდა მხოლოდ ორი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ის უკვე აღარ ითვლებოდა ძალის მქონედ და გაქარწყლდებოდა. როდესაც სასარჩელო ხანდაზმულობა კანონით იყო დადგენილი, სარჩელის აღძვრის უფლება გაქარწყლდებოდა მხოლოდ უფლებამოსილი პირის უმოქმედობის შედეგად სამართლებრივი ნორმა ხანდაზმულობის შესახებ, პრინციპში, უვადოდ მოქმედებდა.¹

სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ ზოგადი სამართლებრივი ნორმის არსებობის შემთხვევაში, თუ მოსარჩლეს რაიმე საპატიო მიზეზით არ შეეძლო მოქმედება, მას გაუგრძელებდნენ სარჩელის აღძვრის ვადას, მაგრამ ვადიანი სარჩელების შემთხვევაში, ასეთი რამ არ დაიშვებოდა.

ახ. წ. V საუკუნეში როგორც სანივთო, ასევე ვალდებული პირის ანუ ვალდებულებითი სარჩელებისათვის დაწესდა სასარჩელო ხანდაზმულობა.

ახ. წ. VI საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანეს საკანონმდებლო რეფორმების შემდეგ, ბიზანტიაში უძრავი ქონების საკუთრების შესახებ სარჩელის აღძვრა ოცდაათი წლის განმავლობაში შეიძლებოდა.

ცნობილი საბჭოთა რუსი ავტორი პროფ. ი. ს. პერეტერსკი თავის სტუდენტთა სახელმძღვანელოდ განკუთვნილ ნაშრომში იხილავდა რა ხანდაზმულობის საკითხს ძველ რომში, წერდა, რომ მიწის ნაკვეთი ორი წლის განმავლობაში, ხოლო სხვა ნივთებით ერთი წლის განმავლობაში სარგებლობა მოსარგებლეს ამ ნივთის საკუთრების უფლებას ანიჭებდა. ავტორი ამასთან დაკავშირებით

¹ იხ. "რომის სამართალი". მოსკოვი, 1948, პროფ. ი.ბ. ნოვიცკის და პროფ. ი.ს. პერეტერსკის რედაქციით.

ასკვნიდა:

“ხანდაზმულობის ასეთი მოკლე ვადები გაბატონებულ კლასს საშუალებას აძლევდა ადვილად გაეფორმებინა ხელთჩაგდების და ძარცვის აქტები, მით უფრო, რომ ხანდაზმულობით საკუთრების შესაძენად არც შეძენის კანონიერი საფუძველი იყო საჭირო და არც მფლობელის კეთილსინდისიერება. ხანდაზმულობა საერთოდ დიდ როლს ასრულებდა რომაულ სამართალში. აღებ-მიცემობის ნაკლები სისწრაფე, გარიგებათა განუვითარებლობა და მისთანები იწვევდნენ იმას, რომ ფლობის ხანდაზმულობა ნივთის მიმართ საკუთრების არსებობისა და უღავობის გამოვლენის ყველაზე ხელშესახები წესი ხდება. ამიტომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ გარიგებით ნივთის შეძენის შემთხვევაში კვირიტული საკუთრება სრული მოცულობით ხანდაზმულობის გავლის შემდეგ შეიძინებოდა — მანამდე შეძენის უფლება ჯერ კიდევ საეჭვო იყო, რადგან შეიძლებოდა ნამდვილი მესაკუთრე გამოჩენილიყო“.

პროფ. ი. ს. პერეტერსკის ეს შეხედულება გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

§ 5. ნივთები

რომის სამოქალაქო სამართლის წიაღში თანდათან გამოჩნდა ნივთის ცნება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ნივთის შესახებ რომაელ იურისტებს თავისებური, ჩვენგან განსხვავებული შეხედულება გააჩნდათ. რომაელების აზრით ნივთი არის არა მარტო გარე სამყაროს მატერიალური საგნები, არამედ იურიდიული ურთიერთობები და უფლებებიც კი. “დიგესტებში“ (50.16.23) გვხვდება ნივთის ასეთი განმარტება: “ნივთის სახელწოდება მოიცავს აგრეთვე იურიდიულ (სამართლებრივ) ურთიერთობებსა და უფლებებს“.

ცნობილი რომელი იურისტი გაიუსი ნივთებს ყოფდა სხეულის მქონე (სხეულებრივ) და უსხეულო ნივთებად. ლათინურად სხეულის მქონე ნივთი იქნება “რეს კორპორალეს“, ხოლო უსხეულო ნივთი — “რეს ინკორპორალეს“.

რომის სამართლის თანახმად, სხეულის მქონე ნივთად

ჩათვლებოდა ოქრო, ვერცხლი, ტანისამოსი, მცენარეები, ცხოველები, მიწა და ა.შ. ე.ი. ყველაფერი ის, რაც ხელშესახებია. პროფ. ი. ს. იოფე მართებულად აღნიშნავდა, რომ სოციალური მოვლენებისადმი ნატურალისტური მოდგომისას, რაც დამახასიათებელი იყო ძველი დროის მსოფლმხედველობისათვის, უფლება მხოლოდ განივთებული სახით წარმოიდგინებოდა, ამიტომაც ნივთების პრობლემას რომის კერძო სამართალში დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ.

უსხეულო ნივთად ჩათვლებოდა მემკვიდრეობის უფლება, ვაღდებულება, საკუთრების უფლება, სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება და ა.შ.

პროფ. იოფე არც თუ უსაფუძვლოდ აღნიშნავდა, რომ ძველი რომაელების შეხედულებით ნივთი ესაა, ბუნების – ცოცხალის თუ არაცოცხალის გარკვეული ნაწილი. მონებიცა და პირუტყვებიც ცოცხალი ბუნების შემადგენელ ნაწილებად იგულისხმებოდნენ.

რომის სამოქალაქო სამართლის წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ ძველ რომში უძრავი ქონების ცნება – საკუთვნელითურთ, გაცილებით ვიწრო იყო, ვიდრე მოგვიანებით ბერეუწახიული ევროპის ქვეყნების სამართალში.

ისტორიულად უძრავი და მოძრავი ქონების ცნება ცვალებადი შინაარსისა იყო. თავდაპირველად, სახლები და ნაგებობები მოძრავ ქონებად ითვლებოდნენ არა მარტო იმიტომ, რომ ხის შენობათა და, საერთოდ, ხის ნაგებობათა ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა მათი არსის დაუზიანებლად შეუძლებოდა, არამედ იმიტომაც, რომ კანონმდებლის ნებით იგი ასეთად ცხადდებოდა. ნივთთა კლასიფიკაციაში სახელმწიფო ინტერესებიც იჩინდა თავს. ფაქტია, რომ კანონმდებლობა გემებს (ხომალდებს) ხან მოძრავ ქონებად თვლიდა, ხან კი უძრავად.

შუა საუკუნეების ევროპაში უძრავი ქონება – ადგილ-მამული სახელმწიფოში ადამიანის, პიროვნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის საფუძველი იყო, ამიტომაც, ცხადია, უძრავი ქონების სამართლებრივი რეჟიმი უფრო დეტალურად დაშუშავდა კანონმდებლობაში. სახელმწიფოს ინტერესები მეტწილად უძრავ ქონებასთან იყო გადაწნული-დაკავშირებული, ვიდრე მოძრავთან.

ამ და როგი სხვა მიზეზების გამოც, უძრავი ქონების წესი შედარებით რთული სამართლებრივი პროცედურების შესრულებას ითვალისწინებდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მოძრავი ქონების გასხვისების რეჟიმი უფრო თავისუფალი იყო სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევისაგან.

ფაქტია, რომ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე რომის სამოქალაქო სამართალმა უკვე არ იცოდა სამოქალაქო ბრუნვაში უძრავი და მოძრავი ქონების სამართლებრივი რეჟიმი.

დიდხანს რიგ სამართლებრივ სისტემებში მოძრავი ქონების და უფლების ტიტული იყო “პოსსესსიო” – მფლობელობა.

საკუთრების უძველესი რომაული ფორმები აისახა თორმეტი ტაბულის კანონებში, სადაც მათ “ფამილია” და “პეკუნია” ერქვათ.

1970 წელს ბუდაპეშტში უნგრელმა მკვლევარმა გ. დიოშდიმ ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი “საკუთრება ძველ და წინარეკლასიკურ რომის სამართალში”, სადაც სათანადო წყაროების მოძარჯვებით დაამტკიცა, რომ “ფამილია” წინარეკლასიკურ რომის სამართალში ნიშნავდა ოჯახის უფროსის, ძველი ქართული ენით – “სახლის უფალის” ხელქვეშეთი ოჯახის წევრების და მონების ერთობას. მაშასადამე, ძველი რომაული “ფამილია” თავისუფალი სტატუსის ადამიანებისა და მონების ერთობა იყო, სადაც ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობა იყო გამოკვეთილი. ამ ვითარებაში საკუთრება და ხელისუფლება ერთმანეთთან შერწყმულად წარმოიდგინებოდა.

ლათინურ ენაზე “პეკუნია” სიტყვასიტყვით ნიშნავდა პირუტყვს, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით – ქონებას, საკუთრებას, ფულს. ციცირონთან “პეკუნიაში ფაცერე” ნიშნავს ქონების შოვნას.

ძველ რომში ხმარებაში იყო აგრეთვე “პეკულიუმ” – იმავე საკუთრების, ქონების მნიშვნელობით. “დიგესტებში” პირადი საკუთრების აღსანიშნავად ზოგჯერ “პეკულიუმ” არის გამოყენებული. მამის ხელისუფლებას დაქვემდებარებული შვილის პირად საკუთრებას ერქვა “პეკულიუმ ფილიის”.

ოჯახის უფროსი, ლათინურად “პატერ ფამილიას”, ერთნაირად

განაკება საკუთრების ორივე ხსენებულ სახეობას, როგორც “ფამილიას” ასევე, “პეკუნიასაც”.

იმ ხანებში, როდესაც რომში პატრიარქალური მონობა თამაშობდა დიდ როლს, მონაც ოჯახის წევრად იყო მიჩნეული. ოჯახის უფროსის (“სახლის უფლის”) ძალაუფლება მეტად სატიკი იყო როგორც მონის, ასევე შვილების მიმართაც.

რომის ისტორიის განვითარების შედეგებით ძალად საფეხურზე “ფამილია” და “პეკუნია”, როგორც საკუთრების სახეობანი, ერთმანეთს შეერწყა, ერთმანეთს გადაეწნა და დღის წესრიგში დაისვა მათ აღსანიშნავად ერთიანი ტერმინის გამოხატვის საჭიროება.

მართებულად მიგვაჩნია უნგრელი რომანისტის – გ. დიოშდის მოსაზრება, რომ ტერმინები “ფამილია” და “პეკუნია” იმ დროის ნაყოფია, როდესაც რომაელებისათვის მთავარი შემოსავლის წყარო იყო არა მიწათმოქმედება, არამედ მესაქონლეობა. იმ ხანებში, სავარაუდოა, რომ საკუთრების უბირველესი საგნები იქნებოდა მონები და პირუტყვი. მაგრამ ასეთი ვითარება უნდა ვიგულისხმოთ თორმეტი ტაბულის კანონების შედგენის წინარე ხანისათვის, ვინაიდან ძვ. წ. V საუკუნეში მიწათმოქმედება რომაელებისათვის შემოსავლის ძირითად წყაროდ ითვლებოდა. ადვილ-მამულიც უკვე კრძო საკუთრების უფლების საგანს შეადგენდა, თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც.

რომში შედეგებით ადრე ვითარდება კრძო საკუთრება მიწაზე. იტალიის ბუნებრივი პირობები შესაძლებელს ხდიდა ინდივიდუალური მფუნეობის ვევექტურად წარმოებას.

აქ პატრიარქარულ ძრავალწევრიან ოჯახებს ცალ-ცალკე შექლოთ მიწის ვრცელი ნაკვეთების დაქუშავება. თანდათან გვარის შიგნით ჩნდებოდა შეძლებული ოჯახების ფენა. პატრიარქარულ ოჯახებში მონებზე და მუშა პირუტყვზე მოთხოვნილება იზრდებოდა. ცხადია, კრძო საკუთრება ჯერ საკარმოდამო, ხოლო შემდეგ საზნავ-სათეს მიწებზეც წარმოიშვა, რომლებიც მანამდე მთელი გვარის საკუთრებას შეადგენდნენ.

მართებული ჩანს მეცნიერ-რომანისტთა მოსაზრება, ისტორიის თვალსწიერზე ძველ იტალიაში ადვილ-მამულზე და პირუტყვზე

სავგარეულო საკუთრება დამაჯერებლად ჩანს, მაგრამ მონებზე კოლექტიური საკუთრების ნიშნების შესახებ არაკითარი ინფორმაცია არა გვაქვს.

შესაძლოა, რომ მონები იმთავითვე ოჯახების, უფრო სწორად ოჯახის უფროსების კერძო საკუთრებად იქცნენ. თუ ძველი რომის მაგალითის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობა თვით ოჯახის შიგნით უნდა ჩასახულიყო და მონების ურთიერთობა ბატონებთან ყოველთვის პიროვნული ხასიათის ყოფილიყო.

ცხადია, პატრიარქალურმა მონობამ დააჩქარა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევა და კერძო საკუთრების საწყისების საბოლოო გამარჯვება. საოჯახო საკუთრება ოჯახის უფროსის – “პატერ ფამილიას” კერძო საკუთრებად იქცა.

თავდაპირველად, საოჯახო საკუთრების მიმართ ოჯახის მეთაურს განუსაზღვრელი მესაკუთრული უფლებები არ გააჩნდა. ოჯახის ქონება საოჯახო კოლექტივის საკუთრებად ითვლებოდა.

რომში კერძო საკუთრების სწრაფმა განვითარებამ ღრთოთ ვითარებაში გამოიწვია იურიდიული ტერმინოლოგიის შესატყვისი განვითარება.

ოჯახის უფროსის, თითქმის შეუზღუდველი ძალაუფლება ოჯახის წევრების მიმართ, ჯერ შეიზღუდა, შემდეგ კი თანდათან დაკნინდა.

რომის წარმატებულმა დაყრდნობამ ომებმა მეზობელ ქვეყნებში ტყვე-მონებით გაავსო რომის ბაზარი, პატრიარქალური მონობის ნაცვლად, მთელი მონათმფლობელური სისტემა წარმოიშვა. პირადი და ქონებრივი ურთიერთობა ერთმანეთს გაემიჯნა, რომის სახალხო მუერნეობაში თავისუფალი, უშუალო მწარმოებლის გლეხების მეურნეობის სარბიელი თანდათან შეავიწროვა მსხვილმა მონათმფლობელურმა ლატიფუნდიებმა.

განვითარდა მარტივი სასაქონლო მეურნეობა. თანდათან სულ უფრო და უფრო მეტი შრიძის პრილუქტები მზადდებოდა უშუალოდ ვაცვლისათვის. იზრდებოდა ვაჭრობისა და ვაჭრობის როლი, რასაც ერთგვარად ხელი შეუწყო ლითონის ფულის გაჩენამაც. აღმოჩენილ

იქნა “საქონელთა საქონელი“, რომელიც “ფარულად ყველა სხვა საქონელს შეიცავდა“, და რომელიც შეიძლებოდა, როგორც ერთი ეკონომისტი წერდა “ყოველგვარ სანატრელ და სასურველ საგნად გადაქცეულიყო“. ფული იქცა სიმდიდრის განსახიერებად, ეკონომიკური ძლიერების წყაროდ. თანდათან რომის ძლევაძმოსილი სახელმწიფოს ქონების სტრუქტურაში ფულის როლი იზრდებოდა. ამ მიმართულებით იზრდებოდა კერძო სიმდიდრის სტრუქტურაც. ყოველ საზოგადოებაში ძლიდართა სოციალური ფენის ქონების შეღგენილობა, მისი სტრუქტურა გვეხმარება მთელი ეკონომიკური სისტემის სპეციფიკის გარკვევაში.

რომის საზოგადოებაში საქონელთა მასისა და ქონების სახით არსებულ სიმდიდრეს, აგრეთვე ფულად ავლა-დიდებას თანდათან ემსტებოდა ადგილ-მაძულების, მიწის ნაკვეთების სახით სამოქალაქო ბრუნვაში ჩართული ქონებაც.

გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ცალკეულ პირთა უფლება, რომელიც მათ გვარის ან ტომის მიერ თავდაპირველად მიცემული პარცელების მფლობელობას ანიჭებდა, იმდენად განმტკიცდა, რომ ახლა ეს პარცელები მათ სამემკვიდრეო საკუთრებას შეადგენდა. სიმდიდრით აღზევებული რომაელები ესწრაფოდნენ, რომ მიწის ნაკვეთების გასხვისების, უძრავი ქონების ნასყიდობის ინსტიტუტი ვაეთავისუფლებინათ ძველი გვაროვნული თემის იმ შემზღუდველი უფლებებისაგან, რომელიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე უკვე სოციალური პროგრესის ბორკილებად იყო ქცეული. დღის წესრიგში იდგა მიწის სრული და თავისუფალი საკუთრების წარმოშობა.

ერთი ცნობილი მკვლევარი წერდა: “მიწის სრული თავისუფალი საკუთრება ნიშნავდა არა მარტო მიწის დაუბრკოლებელი და შეუზღუდველი ფლობის შესაძლებლობას, არამედ ავი ნიშნავდა ამ მიწის გასხვისების შესაძლებლობასაც. ვიდრე მიწა გვარის საკუთრება იყო, ეს შესაძლებლობა არ არსებობდა.

მაგრამ, როცა ახალმა მიწათმფლობელმა საბოლოოდ მოიშორა გვარისა და ტომის უძაღლესი საკუთრების ბორკილები, მან გაწყვიტა ის კავშირიც, რომელიც მას მანამდე განუყრელად აკავშირებდა

მაწასთან“.

მაწის კერძო საკუთრებასთან ერთდროულად გაჩნდნის ფულმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეკონომიკის, სახელმწიფოებრიობის, სამართლის და კულტურის განვითარებას. მაწის ადგილ-მამული გასაყად და დასაგირავებულ საქონლად იქცა, გაჩნდა იპოთეკაც.

სამართალსაც თავსატეხი გაუჩნდა. საჭირო გახდა საკუთრების მფლობელობის, სერვიტუტების და “უზუფრუქტების“ ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიჯვანა.

საკუთრების შექმნას ადრეკლასობრივი ეპოქის რომში “მანციპიუმს“ ან “მანციპაციო“-ს ეძახდნენ, ხოლო საკუთრების უფლების ობიექტებს – “რეს მანციპი“-ს.

თავდაპირველად, რომაელებისათვის შედარებით პრიმიტიულად წარმოდგენილი საკუთრების უფლების გამოსახატავად იხმარებოდა ტერმინი “მანუს“, რომელიც უძველეს ხანაში სიტყვა-სიტყვით ხელს ნიშნავდა. წინარე სამართლის ხანაში რომში საკუთრებას პოლისემიური სიტყვა “მანუს“-ით რომ გამოხატავდნენ, აღნიშნული აქვს ცნობილ მეცნიერს – რუდოლფ იერინგს.

“მანუს“-თან არის დაკავშირებული “მანციპიო“, “რეს მანციპი“ და ა.შ. მართალია, “მანუს“-თან, ხელთან ლათინურში ძრავალი იურიდიული ტერმინია დაკავშირებული, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც ქართულ ენაში უკავშირდება “ხელს“; რომელიც ძველად იწერებოდა, როგორც “ველი“.

ჩვენი აზრით, წინარექრისტიანულ ხანაში, სავარაუდოდ, საქართველოშიც, “ხელი“ ნიშნავდა საკუთრებას საფიქრებელია, რომ მაშინ “ხელი“ საკუთრებასაც ნიშნავდა და ძალაუფლებასაც. უფლებასა და სამართალსაც.

ლათინური გამოთქმა “რეს მანციპი“ ხელს უკავშირდება ლათინურად “მანუ კაპერე“ ნიშნავდა ხელით აღებას, გადატანით მნიშვნელობით ხელში ჩაგდებას დაპყრობას; ნივთის მიმართ ძალაუფლების განხორციელება, მისი პყრობა, არა მხოლოდ ნივთის მიმართ თვითნებურად მოპყრობის უფლებას ნიშნავდა, არამედ ნივთების შეშუქებით ადამიანთა დამონებასაც გულისხმობდა. “მანუს

კაპრე“ ისეთი ქმედება იყო, რომელიც მიუთითებდა ამა თუ იმ ნივთის თავისი ქონების შემადგენლობაში მოქცევას.

“მანციპიუმ“ სიტყვას თვლიან ხელიდან, “მანუს“-იდან წარმოშობილად (“მანუს“+“კაპიო“).

“მანციპიუმ“ პოლისემიური, მრავალი მნიშვნელობის მქონე სიტყვა იყო “მანციპიუმ“ ნიშნავდა ნასყიდობის საბუთს, საკუთრების უფლებას, საკუთრებას, მფლობელობას, შეუზღუდავ ძალაუფლებასაც კი, აქედან გამომდინარე, “მანციპო“ ნიშნავდა “საკუთრებად ვაძლევ“, “ვყდი“, ხოლო ცნობილ იურისტთან და სახელმწიფო მოღვაწესთან – ციცერონთან “რეს მანციპი“ ნიშნავს პირად საკუთრებასაც კი.

ახ. წ. I საუკუნის მწერალთან და ფილოსოფოსთან სენეკასთან ვხვდებით გამოთქმას – “ნიჰილ ფორტუნა დატ. მანციპიო“, რაც ნიშნავს, ბედი არაფერს ვაძლევს (მუდმივ) საკუთრებადო.

ცხადია, საკუთრების ზოგადი ცნების გამოშნატველი ტერმინი ყოველთვის არ არსებობდა. ის შედარებით გვიანი წარმოშობისაა. რომის ისტორიის უძველეს პერიოდში “მანციპიუმის“ არსებობა საკუთრების მნიშვნელობით არაა სავარაუდებელი. როგორც ჩანს, მაშინ ის მხოლოდ “რეს მანციპის“ შეძენას ნიშნავდა.

რომის სამოქალაქო სამართალში, დიდი ხნის განმავლობაში, ნივთების დაყოფა, კლასიფიკაციაში მთავარი ადგილი ჰქონდა დაკავებული დაყოფას “რეს მანციპი“-დ და “რეს ნეკ მანციპი“-დ.

იმ ნივთების გაყიდვა, გაჩუქება თუ სხვა ხერხით გასხვისება, რომლებიც “რეს ნეკ მანციპი“-დ ითვლებოდა, ადვილად, არა ფორმალური გადაცემის გზით შეიძლებოდა. მაგალითად, შინაური ფრინველების, წვრილფეხა პირუტყვის, მაგ. ცხვრის გაყიდვა, საოჯახო სახმარი ნივთების გასხვისება შედარებით ადვილად შეიძლებოდა.

მართებულად აღნიშნავდნენ რომის სამოქალაქო სამართლის მკვლევარები, რომ “რეს მანციპის“ კატეგორიაში შედარებით დიდი მნიშვნელობის ნივთები, საგნები შედიოდნენ. თავდაპირველად მასში მხოლოდ ქალაქ რომის ფარგლებში მდებარე მიწის ნაკვეთები, ე.წ. “აგერ რომანუს“ იგულისხმებოდა.

შედარებით გვიან, “რეს მანციპის“ კატეგორიაში შეიტანეს

მთელი იტალიის ფარგლებში მდებარე სახნავ-სათესი მიწები, შენობები, მუშა საქონელი, მონები, სოფლის სერვიტუტები.

კანონმდებელი მოითხოვდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო საკუთრების უფლება “რეს მანციპის” კატეგორიის ნივთებზე “მანციპაციოს” ფორმალური აქტის მეშვეობით შეიძლებოდა გადაცემულიყო.

რომის სამართლის წყაროების შესწავლაში ამ უკანასკნელ ხანს მიღწეულ შედეგს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ “რეს მანციპის” კატეგორიის ნივთები სწორედ ისეთებია, რომლებიც ძლიერი მიწათმოქმედი საოჯახო კომლის არსებობისათვის იყო აუცილებელი.

ამასთან დაკავშირებით, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რომის სამართლის წყაროებში არის არაპირდაპირი და რამდენაღბუ ბუნდოვანი მითითება იმის შესახებ, რომ ძალიან შორეულ ხანაში, სავარაუდოა, ადრეკლასობრივი განვითარების საფეხურზე ძველ რომში ნივთები ორ დიდ კომპლექსად განიყოფებოდა — “ფამილიად” და “პეკუნიად”.

“ფამილიას” კატეგორიაში შედიოდნენ საოჯახო საკუთრების საგნები, ხოლო “პეკუნია” გულისხმობდა ინდივიდუალური საკუთრების ობიექტებს.

რაც შეეხება ნივთების დაყოფას ორ დიდ კატეგორიად “რეს მანციპი“-ად და “რეს ნეკ მანციპი“-ად, ამის შესახებ არსებობს თითქმის ამოუწურავი ლიტერატურა.

რომის სამართლის ისტორიის ცნობილმა სპეციალისტმა, იტალიელმა მეცნიერმა ბონფანტემ კეთილსინდისიერად შეაგროვა და გაანალიზა ისინი. ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით, რაიმე ახალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობაც კი გამორიცხებულია.

გ. დიომდი, რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის ცნობილი უნგრელი მკვლევარი იზიარებდა შეხედულებას, რომ “რეს მანციპის” შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საოჯახო საკუთრებასთან. ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება მისაღებია.

მეორე ცნობილ მკვლევარს — დე ვიშერს გამოთქმული

პქონდა მოსაზრება რომლის მიხედვითაც, “რეს მანციპი” უნდა ყოფილიყო სამხედრო დანიშნულების მქონე ნივთების კომპლექსი, მაგრამ ეს მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული. დე ვიშერის მოსაზრება მკაცრ კრიტიკას ვერ უძლებს.

რამდენადაც ცნობილია, ძველ რომში მონებს, ძროხებს, ხარებს, სახედრებს, მაინც და მაინც სამხედრო მიზნებისთვის არ იყენებდნენ, რომ არაფერი ვთქვათ მხეველებზე – მონა ქალებზე. “რეს მანციპის” წრის ქონებიდან მხოლოდ ცხენებსა და ჯორებს იყენებდნენ ოშში. ძველი რომის საისტორიო წყაროების მონაცემების მიხედვით ანტიკურ ხანაში ცხვრის ფარა არ მიეკუთვნებოდა “რეს მანციპის” რიგის ნივთთა კატეგორიას. როგორც ჩანს, უკვე ადრე ანტიკურ ხანაში ცხვრის ფარა ცალკე ინდივიდის საკუთრება იყო და არა მთელი საოჯახო კოლექტივისა. მაშასადამე, ე.წ. “რეს მანციპის” წრის ნივთები შეადგენდნენ ძლიერი საგლეხო კომლისათვის აუცილებელი ქონების უმნიშვნელოვანეს ნაწილს, იმ აუცილებელ ქონებას, ურომლისოდაც ძველი დროის იტალიაში საგლეხო კომლს თავისი ძირითადი დანიშნულების შესრულება გაუჭირდებოდა.

საგლეხო კომლი თავისი ძირითადი დანიშნულების შესრულებას ვერ შესძლებდა სახნავ-სათესად ვარგისი ადგილ-მაძულის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოებისათვის აუცილებელი მუშა საქონლის გარეშე.

როგორც ირკვევა, ლათინურში სიტყვა “მანციპიუმ”, არა მხოლოდ ადრეულ ხანაში, არამედ მოგვიანებითაც კი, იხმარებოდა მონის მნიშვნელობით.

გ. დიომდი მართებულად ფიქრობდა, რომ “რეს მანციპის” ეკონომიკური ასპექტები ღრმა კავშირშია “მანციპიუმის” განსაკუთრებულ თავისებურებებთან... მიწის ნაკვეთი, მონები და მუშა პირუტყვი წარმოადგენდა საგლეხო მეურნეობის ეკონომიკასა და, აქედან გამომდინარე, პატრიარქალური ოჯახის აუცილებელ საფუძველს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ხარების, ჯორების და, საერთოდ, მუშა საქონლის როლი პატრიარქალურ ოჯახებში. იმ კომლებში, რომლებიც თავისუფალ პირთაგან შედგებოდნენ, ასევე,

პატრიარქალურ ოჯახებში, სადაც მონურ შრომას იყენებდნენ ყველაზე დიდი ჯაფა მაინც მუშა პირუტყვს ადგებოდა.

“მანციპიუმ” ნიშნავდა საკუთრების უფლების შექენას, ხოლო საკუთრების უფლების მნიშვნელოვანი ობიექტები სწორედ “რეს მანციპიუმი” იყო. ისეთი ნივთები, საგნები და ადამიანები, რომლებიც “მანციპიუმს” მიეკუთვნებოდნენ, წარმოადგენდნენ მამინდელს საგლეხო კომლის, როგორც სამეურნეო უჯრედის, არსებობის აუცილებელ საფუძველს.

ცნობილია, რომ კლასიკური ხანის რომის სამართალი მესაკუთრეს აძლევდა ნივთის მიმართ სრულ ძალაუფლებას. მაგრამ სანამ მესაკუთრის ეს აბსოლუტური უფლებები საკანონმდებლო ნორმების სახით ჩამოყალიბდებოდა, ცხადია, რომის სახელმწიფოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. საოჯახო საკუთრების გვერდით ინდივიდუალური, კერძო საკუთრების საწყისებიც განვითარდა. საკუთრების საოჯახო და კერძო საწყისები ერთმანეთს გადაენასკვა. ერთსა და იმავე დროს “მანციპიუმ” ეკონომიკური მნიშვნელობის ცნებაც იყო და იურიდიულიც.

საფუძველს არ არის მოკლებული მოსაზრება, რომელიც “რეს მანციპიში” ხედავს ადრეკლასობრივი ხანის საზოგადოებრივი საკუთრების ნაშთებს.

ასეთ მოსაზრებას ეთანხმებოდა ცნობილი მეცნიერი ი. ს. პერეტერსკიც. მისი აზრით ნივთების “რეს მანციპად” და “რეს ნეკ მანციპად” დაყოფის წარმოშობის საკითხი ეკუთვნის სამართლის ისტორიის ყველაზე ბუნდოვან საკითხთა რიცხვს. ამასთან, მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, რომ ჩვენთვის ცნობილ ეპოქაში გარიგების შესასრულებლად მოწვეული გარეშე პირები — მოწმეები მხოლოდ ადასტურებდნენ განხორციელებულ გასხვისებას. ი. ს. პერეტერსკი მართებულად სვამდა საკითხს: “ხომ არ წარმოადგენს ეს წესი იმ კოლექტივის გარიგებაში მონაწილეობის მხოლოდ გადმონაშთს, რომელიც არა მარტო ადასტურებს გარიგებას, არამედ, აგრეთვე იძლევა გარიგების დადების ნებართვას, კონტროლს უწყვეტ გარიგების სისწორეს”

საკითხის ასეთი დასმა, ჩვენი აზრით, მეცნიერულ საფუძველს

არა მოკლებული.

ძველ რომში კერძო საკუთრების ისტორია, უპირატესად, მოძრავი ნივთების ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკას უკავშირდება და მასთან ერთად იწყება.

მიწის ნაკვეთების კერძო საკუთრების საგნად გადაქცევა შედარებით გვიან მოხდა და, ცხადია, ეს პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ძველი რომის ისტორიის მონაცემების თანახმად, საერთო საკუთრებიდან კერძო ადვილ-მამულების სახით გამოყოფილ მიწაზე ინდივიდუალური საკუთრების აღმოცენება, როგორც ეს “რეს მანციპის” ნუსხიდანაც შეიძლება დავასკვნათ, სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად და ბინადრულ მიწათმქმედებაზე გადასვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო.

ძველი იტალიის სინამდვილეში თითქოს მონა და მუშა საქონელი ადვილ-მამულის ორგანული კუთვნილებისა და წარმოების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა.

რომის სამოქალაქო ისტორიის ცნობილი სპეციალისტის ბართოლდ გეორგ ნიბურის აზრით ყველა კანონმდებელი, ხოლო უწინარეს ყოვლისა, მოსე, სათნოების, სამართლიანობისა და კეთილ ზნე-ჩვეულებათა დასაცავად გამოცემულ თავიანთი განკარგულებების წარმატებას ამყარებდნენ მიწის საკუთრებაზე ანდა ყოველ შემთხვევაში იმაზე, რომ მოქალაქეთა რაც შეიძლება დიდი რაოდენობა უზრუნველგყოთ მიწათმფლობელობით.

ძველ რომში, როგორც საისტორიო წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, არსებობდა მიწაზე კოლექტიური საკუთრება, რაც არ გამოირიცხავდა, რა თქმა უნდა, მიწის კერძო მფლობელობას. თანდათან მიწის კერძო მფლობელობა გადაიქცა მიწის კერძო საკუთრებად. მიწებზე კერძო საკუთრების წარმოშობის შემდეგ თავისუფალი რომაელი რომაელად ჩაითვლებოდა იმდენად, რამდენადაც მას გააჩნდა სუვერენული უფლება რომის მიწის ნაწილის მიმართ.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების გვერდით კერძო საკუთრების აღმოცენებამ, მიწის გადაქცევამ სხვა საგნების გვერდით გარიგების საგნად, თანდათან მოამზადა ნიადაგი საკუთრების აბსტრაქტული

ცნების გამოშვებული ტერმინის წარმოშობისათვის.

ძველ რომში წარმოებით ურთიერთობათა განვითარებამ განაპირობა ის გარემოება, რომ საკუთრების ძირითად ფორმად ჩამოყალიბდა ინდივიდუალური კერძო საკუთრება სახნავ-სათეს ძიწის ნაკვეთებზე, მონებზე, მუშა-საქონელზე.

სწორედ საკუთრების ხსენებულ სახეობას, რომელიც მხოლოდ რომაელ მოქალაქეებს, მოგვიანებით ლათინებსა და პურეგრიანებს ჰქონდათ, ეწოდა თავდაპირველად ტერმინი “საკუთრება”.

კერძო საკუთრების ინსტიტუტი, რომელიც მოგვიანებით ხსენებული ცნების გამოშვებული ტერმინით “დომინიუმ” ან “პროპრიეტას”-ით აღინიშნებოდა მისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებით უკვე ძველი ცივილური სამართლისთვისაც იყო ცნობილი.

მაგრამ, როგორც რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი პროფ. ი. პოკროვსკი სამართლიანად აღნიშნავდა, ნივთების დაყოფა “რეს მანციპად” და “რეს ნეკ მანციპად”, აგრეთვე მოგონება ოდესღაც არსებულ “ფამილიას” და “პეკუნიაზე” მიგვითითებენ, რომ რომში კერძო საკუთრება უცებ არ წარმოშობილა. რომში კერძო საკუთრების აღმოცენებადამკვიდრებას წინ უძღოდა ხსენებული ცნების მოშვადებისა და გადაშუშავების ხანგრძლივი პერიოდი.

ი. ა. პოკროვსკი თავის კაპიტალურ ნაშრომში – “რომის სამართლის ისტორია” ერთმანეთთან აახლოებს ნივთების კლასიფიკაციას “რეს მანციპად” და “რეს ნეკ მანციპად” ნივთების დაყოფასთან “ფამილიად” და “პეკუნიად”.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ნივთების კლასიფიკაციის ისეთი სახეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ნივთებს ყოფდნენ სხეულებრივ და უსხეულო ნივთებად. ნივთების ასეთ დაყოფას არ იცნობდა ე.წ. “ახალი ხალხების” სამართალი – ფეოდალური ევროპის და ბურჟუაზიული ევროპის სამართალი.

ცნობილი ცივილისტი, პროფ. ო. ს. იოფე ხსენებულთან დაკავშირებით წერდა: მაგრამ ფასიანი ქაღალდების სული უფრო და უფრო მეტ გავრცელებასთან ერთად, განსაკუთრებით აქციების

გაჩენის შემდეგ, რომლებიც ერთი მხრივ აქციონერის საკუთრების ობიექტია, ხოლო მეორე მხრივ, საბუთი, დოკუმენტია, სადაც ფიქსირებულია მისი მთხოვნილების უფლება სააქციო კომპანიის მიმართ.

ბურჟუაზიულ ცივილიზტურ დოქტრინაში ვითარდება ორნაირი იდეა. ერთი მათგანის მიხედვით, ყოველი ნივთი იურიდიული თვალსაზრისით ნივთი კი არ არის, არამედ გარკვეული უფლებაა. მეორე კონცეფციის თანახმად, ნივთი არა მარტო ბუნების ნაწილია, არამედ ხელოვნური, იურიდიული წარმონაქმნია.

მაგალითად, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ქონებრივ უფლებებს, ო. ს. იოფეს აზრით, გარკვეულ ანალოგიას პოულობს ნივთების იმ რომაულ კლასიფიკაციასთან, რომელიც მათ შემადგენლობაში გამოყოფდა სხეულებრივ და უსხეულო ნივთებს.

როგორც ვხედავთ, ნივთების კლასიფიკაციის საკითხშიაც რომის სამოქალაქო სამართალი თავის ხმას აწვდენს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სამართლებრივ ურთიერთობათა ისტორიულ სიმაღლეზე.

რომის სამოქალაქო სამართალმა იცოდა აგრეთვე ბრუნვიდან ამოღებული ნივთის ცნება. ასეთი ნივთის გასხვისება არ შეიძლებოდა.

საერთო ნივთების ("რეს კომუნეს") კატეგორიას მიეკუთვნებოდა, საერთო ნივთად ითვლებოდა, მაგალითად, ჰაერი.

სახელმწიფო მიწები და სახელმწიფო მონები ბრუნვიდან იყვნენ გამორიცხულნი.

ასევე ბრუნვიდან იყვნენ ამორიცხულნი რელიგიური ორგანიზაციების, ტაძრების კუთვნილი ნივთები, ე.წ. "წმინდა ნივთები".

კლასიკური ხანის რომაული იურისტების აზრით სახელმწიფო მიწები, სახელმწიფო ბინები ითვლებოდნენ კომერციული ბრუნვიდან ამორიცხულებად, ისინი ჩვეულებრივი სამოქალაქო ურთიერთობის სფეროს გარეთ იდგნენ. მათ ერქვათ "რეს ექსტრა კომმერციუმ".

"დიგესტებში" ვხვდებით ნივთების სხვა კლასიფიკაციასაც. როგორც ჩანს, რომაელები საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნივთებს ყოფდნენ უძრავ, მოძრავ და თვითძრავ ქონებად. ნივთების ასეთი კლასიფიკაცია ჩანს ქართული სამართლის

ზოგიერთ ძეგლში. მაგალითად, იგი ჩანს XI საუკუნეში შეღებულ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონშიც.

ღრთია ვითარებაში ეს კლასიფიკაცია გამარტივდა და ნივთებს ყოფდნენ უბრალოდ უძრავ და მოძრავ ნივთებად.

რომის სამართლის წყაროებში ვხვდებით ინდივიდუალურად განსაზღვრული და გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთების ცნებაც. ნივთების ხსენებული კლასიფიკაცია, რომის სამოქალაქო სამართლის ერთი მკვლევარის აზრით ეყრდნობოდა რომაელების მიერ შემჩნეულ იმ თავისებურ მოვლენას, როდესაც საჭირო ხდებოდა იურიდიული შეფასების სხვადასხვანაირად აგება იმისგან დამოკიდებულებით, თუ როგორ იყო განსაზღვრული ესა თუ ის ნივთი ბრუნვის კონკრეტულ პირობებში.

ადამიანებმა (ვაჭრებმა) რომლებიც ცხენებით თუ ძროხებით ვაჭრობას ეწეოდნენ, შეამჩნიეს, რომ გარკვეული ჯიშის ცხენი და ძროხა მეტად ფასობდა, ვიდრე საერთოდ გავრცელებული ჯიშები. ჯოგიდან ცალკეული ცხოველების გამოცალკავება და ინდივიდუალიზაცია გაჩნდა. მსგავსი ცხოველების მასიდან გამოყოფდნენ განსაზღვრული ცხოველის ნაშიერს. ამ გარემოებას გარკვეული პრაქტიკული შედეგიც მოსდევდა. თუ ხელშეკრულების თანახმად გამყიდველს მყიდველისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი უნდა გადაეცა, მაგრამ გადაცემამდე ეს ნივთი მოისპო, მაშინ ხელშეკრულებაც მოიშლებოდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი დაიღუპებოდა თუ განადგურდებოდა, გამყიდველი ვალდებული იყო იგი სხვა მსგავსი ნივთით შეეცვალა და გადაეცა მყიდველისათვის.

გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრულ ნივთებად ითვლებოდნენ ისეთი ნივთები, რომლებიც განისაზღვრებოდნენ წონით, რიცხვით ან ზომით — “რეს ქვე პონდერე, ნუმე მეურავე კონსტატ” — ამბობდნენ რომაელები.

რომის სამართლის წყაროებში ვხვდებით მოსახმარი და მოუხმარი ნივთების ცნებას. ერთი კატეგორია მოხმარების პროცესში, გამოყენების პროცესში არ ისპობა, არ ქრება. მაგალითად, შენობები, ადგილ-მამულები და ა.შ. მაგრამ, მეორე მხრივ, ისეთი ნივთები,

როგორცაა მარცვალი, ხილი, ღვინო და ა.შ. არ შეიძლება გამოიყენო ისე თუ ისინი არ მოიხმარე, თუ ისინი არ გააქრე არ “მოსპე“. ეს ნივთები შეიძლება გამოვიყენოთ მათი მოხმარების მეშვეობით. მოსახმარ ნივთთა კატეგორიაში ხვდებოდა ფულიც. ჩვეულებრივ, ფულას – მონეტების გამოყენება შეიძლებოდა მისი დახარჯვის გზით.

ნივთების ხსენებულ თავისებურებების შესახებ ცოდნამ გარკვეული ზეგავლენა მოახდინა სამოქალაქო სამართლის ნორმების ჩამოყალიბებაზე. კანონმდებელი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მოსახმარი ნივთების გაქირავება არ შეიძლება, რომ გაქირავება შეიძლება მხოლოდ მოუხმარი ნივთებისა.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა აგრეთვე გაყოფადი და გაუყოფადი ნივთების ცნებებსაც. მონას რომის სამართალი ნივთად თვლიდა. გონივრული არ იქნებოდა, რომ როდესაც ორი პირი ერთი მონის შესაკუთრე იყო, მონის შუაზე გაჭრა. მონა გაიყიდებოდა და თითოეული მიიღებდა საფასურის ნახევარს, მაგრამ როდესაც საქმე ეხებოდა ადგილ-მაშულს, საცხოვრებელ ბინებს და ა.შ. აქ გამორიცხული არ იყო მათი ისეთნაირად გაყოფა, რომ ნივთს არ დაეკარგა თავისი მანამდელი თვისებები.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა აგრეთვე ბუნებრივი და ცივილური ნაყოფების ცნებას, შესაბამისად მათ ეძახდნენ “ფრუქტუს ნატურალეს“ და “ფრუქტუს ცივილეს“. ბუნებრივ ნაყოფად ითვლებოდა მაგალითად ცხოველის ნამატი, ხეხილის ნაყოფი, რამდენადაც ისინი თავისი ბუნებრივი თვისებების მეშვეობით იძლეოდნენ ნაყოფს – ძროხა სბოს მოიგებდა, ვაშლის ხე ვაშლს მოისხამდა და ა.შ.

ცივილურ ნაყოფად ჩაითვლებოდა გასესხებული ფულიდან აღებული პროცენტი.

თავის ნაშრომში “რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები“ ო. ს. იოზე მართებულად აღნიშნავდა, რომ ძველ რომში ცივილური და ბუნებრივი ნაყოფის გამიჯვნასთან ერთად შემოღებულ იქნა წესი, რომლითაც ხსენებული ნაყოფები ეკუთვნოდა ნაყოფისმომცემი ნივთის შესაკუთრეს, თუ ხელშეკრულებით სხვა

რამ არ იყო გათვალისწინებული.

რომის სამოქალაქო სამართლის მკვლევარები ერთხმად მიუთითებენ, რომ რომაელებს სარჩელი უფლებიდან კი არ გამოჰყავდათ, არამედ სარჩელის არსებობიდან კეთდება და დასკვნა უფლების არსებობის შესახებ. ეს მოსაზრება მართებულია, მაგრამ ახალი დროის სამოქალაქო სამართალში უფლებამ დაიმკვიდრა პრიორიტეტი სარჩელთან შედარებით და სამეცნიერო ლიტერატურაშიც უფლებამ და სარჩელმა, ასე ვთქვათ, ადგილები დაუთმეს ერთმანეთს. სარჩელები ჩაითვალა უფლებებიდან ნაწარმოებად, უფლებებიდან გამომდინარე სამართლებრივ ინსტიტუტად.

ასე, თანდათან, სანივთო და პირადი სარჩელების ცნება შეავიწროვა სანივთო და პირადი უფლებების ცნებამ.

რომის სამოქალაქო სამართალი სანივთო უფლებებად აღიარებდა საკუთრების უფლებას, გირავნობის უფლებას და რიგ სხვა უფლებებს ნივთზე.

თანამედროვე სამოქალაქო კოდექსები სანივთო უფლებად აღიარებენ აგრეთვე ქონების ოპერატიული მართვის უფლებას, მიწის ნაკვეთის სამისდღეშიო სარგებლობის უფლებას, სერვიტუტებს და ა.შ.

პირად უფლებებს მიაკუთვნებენ, პირველ ყოვლისა, ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ უფლებებს.

რომელიმე უფლება რომ სანივთო უფლებად ვცნოთ, ამისთვის საკმარისი არ იქნება უფლების კავშირი რომელიმე ნივთთან, გარდა ამისა, სანივთო უფლებას უნდა გააჩნდეს კიდევ ორი ნიშან-თვისება. პირველ ასეთ ნიშან-თვისებათაგანს შეადგენს ე.წ. ძიდევნების უფლება (რუსულად იქნება 'პრავო სლედოვანია'). სასწავლო სახელმძღვანელოებში მიდევნების უფლება განმარტებულია დაახლოებით ასე: თუ ნივთი გადადის ერთი პირის ხელიდან მეორის ხელში, მესამე პირის კუთვნილი სანივთო უფლება მის მიმართ მაინც ძალას ინარჩუნებს.

მაგალითად, კრედიტორმა გარაოდ მიიღო დებიტორის ნივთი, მაგრამ დებიტორმა ეს ნივთი გაყიდა, გაასხვისა. მოგირავნე კრედიტორი ინარჩუნებს ნივთზე გირავნობის უფლებას მიუხედავად

იმისა, რომ დებიტორმა ნივთი გაყიდა, გაასხვისა. გასხვისებულ ნივთს თან მისდევს კრედიტორის კუთვნილი სანივთო უფლება.

მეორე მხრივ, სანივთო უფლების მეორე ნიშან-თვისებაა უპირატესი უფლება, მართებულია მოსაზრება, რომ უპირატეს უფლებას უფრო მეტი მნიშვნელობა და ძალა აქვს, ვიდრე ნივთთან დაკავშირებულ პირად უფლებებს. აღნიშნავს რა ამ გარემოებას, პროფ. ო. ს. იოფეს მოაქვს ასეთი მაგალითი:

თუ დებიტორს (მოვალეს) რამდენიმე კრედიტორი ჰყავდა, მაშინ რა ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაც არ უნდა ყოფილიყო მათი უფლებები წარმოშობილი, თუ დებიტორი თავის ვალს არ ფარავდა, ყველა კრედიტორს თანაბარი უფლება ექნებოდა მიექცია გადასდევინება დებიტორის ქონებაზე. ხოლო თუ დებიტორის ქონება საკმარისი არ იქნებოდა ვალების დასაფარავად, მაშინ კრედიტორის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ სათანადო პროპორციების დაცვით. ვთქვათ, ყველა კრედიტორი თითოეული დენარისათვის მიიღებდა ნახევარ დენარს. მაგრამ თუ დებიტორმა ერთ-ერთ კრედიტორს რაიმე ძვირფასი ნივთი გირაოს სახით გამოუყო, მაშინ ასეთი ფრთხილი და წინდახედული კრედიტორი უნდა დაკმაყოფილებულიყო პირველყოვლისა (პირველ რიგში) მისთვის გამოყოფილი გირაო ნივთის გაყიდვის შედეგად, ხოლო თუ რაიმე თანხა ვადარჩებოდა, სხვა კრედიტორებსაც დააკმაყოფილებდნენ.

ხდებოდა ისეც, რომ ერთი ნივთი რამდენიმე კრედიტორის მიერ იქნებოდა დაგირავებული. ასეთ შემთხვევაში კრედიტორებს დააკმაყოფილებდნენ დაგირავებული ნივთის ხარჯზე იმ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც იყო წარმოშობილი ამა თუ იმ კრედიტორის უფლება დაგირავებულ ნივთზე. ამასთან დაკავშირებით, რომაელ იურისტებს შეეძლოთ დაემოწმებინათ იურიდიული ანდაზაც: “ქვი პრიორ ესტ ტემპორე, პოტიორ ესტ იურე” ვინც დროში პირველია, მას გააჩნია უპირატესი უფლება.

§ 6. საკუთრების უფლება

რომის სამოქალაქო სამართალი საკუთრების უფლებას თვლიდა უმთავრეს სანივთო უფლებად.

საკუთრების უფლებას რომის სამოქალაქო სამართალში განმარტავდნენ როგორც ნივთზე სრულ ბატონობას – “პლენა ინ რე პოტესტას”.

რომის სახელმწიფოსა და რომის კულტურის ოქროს ხანა იყო ძვ. წ. II-I საუკუნეები, როდესაც რომი მსოფლიო მნიშვნელობის ქვეყნად გადაიქცა. რომის სახელმწიფო, რომის კულტურა და სამართალი ამ დროს განვითარების მაღალ დონეზე იდგა, თუმცა, რომის იურისპროდენციის კლასიკური ხანა შედარებით გვიან, იმპერიის ხანაში ღვება.

საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინი რომში უცებ არ წარმოშობილა. ის საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა.

არ არის საფუძველს მოკლებული რუდოლფ იერინგის მოსაზრება, რომ უძველეს ხანაში რომაელები საკუთრების ცნებას “მანუს” სიტყვის მეშვეობით გამოხატავდნენ. “მანუს” ლათინურად ხელს ნიშნავდა. “ხელი” ამავე დროს ძალაუფლებასაც ნიშნავდა. უძველეს ხანაში კი ძალაუფლება და საკუთრება შერწყმულად წარმოიდგინებოდა. ასევე იყო ძველ საქართველოშიც, სადაც ხელი ნიშნავდა სამართალს, უფლებას, საკუთრებას, თანამდებობას და ა.შ. არსად არც ერთი ენაზე ხელს არ უკავშირდებოდა იმდენი იურიდიული ტერმინი, რამდენიც ქართულ ენაზე. ლათინურში ხელს “მანუს” უკავშირდება “მანციპიუმ”, “რეს მანციპი”. უძველეს ლათინურ ენაში ჯერ კიდევ არ იყო ტერმინი, რომელიც საკუთრების ზოგად ცნებას გამოხატავდა “მანციპიუმ” მხოლოდ “რეს მანციპის” შეძენას ნიშნავდა. ზოგჯერ “მანციპიო” – ქონება საკუთრების ცნების გამომხატველადაც გვხვდება. გამოთქმაში “ნიპილ ფორტუნა დატ მანციპიო” – “მანციპიო” მიახლოებით საკუთრების ცნებას გამოხატავს.

საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინები რომის სამოქალაქო სამართალში საკმაოდ გვიან ჩამოყალიბდა. მხოლოდ

რომის რესპუბლიკის მიმწუნრზე ვხვდებით საკუთრების უფლების ზოგადი ცნების გამოსახატავად ისეთ ტერმინებს, როგორცაა “დომინიუმ” და “პროპრიეტას”. “დომინუს” ნიშნავდა ბატონს, ხოლო “დომინიუმ” – სიტყვა სიტყვით ბატონობას, გადატანითი მნიშვნელობით კი საკუთრებას. – “პროპრიეტას”, რომელიც – “პროპრიუმ”-იდან საკუთარიდან არის ნაწარმოები, საბოლოოდ მკვიდრდებოდა საკუთრების მნიშვნელობით.

ქართულ სამართალში “დომინიუმი”-ს შესატყვისად მოჩანს “პატრონობა”, ხოლო “პროპრიეტას”-ის ანალოგიად უნდა მივიჩნიოთ “ჩემება” და “საკუთრება”.

საკუთრების ზოგადი ცნების წარმოშობა რომის სამოქალაქო სამართალში მრავალი ფაქტორით იყო განპირობებული. ამ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ უპირველესი უნდა ყოფილიყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული, აგრეთვე პოლიტიკური განვითარების შედეგებით ძალადი დონე. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები ბერძნული ფილოსოფიის ზეგავლენა რომელიც იურისტების მსოფლმხედველობაზე. ეს ფილოსოფია ხელს უმართავდა ზოგადი ცნებების შემუშავებას.

მოგვიანებით, თვით ბერძნულ სამართალშიც საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინი რომის სამართლის ზეგავლენით დამკვიდრდა.

რა თქმა უნდა, საკუთრების ზოგადი ცნების გამომხატველი ტერმინი უცებ არ წარმოშობილა, ის თანდათან იხვეწებოდა და თავისუფლდებოდა მასში ჩანაცვლებული სოციალურ-პოლიტიკური ბინარეგებისაგან.

არქაულ, წინარესპუბლიკურ, ე.წ. მეფეების ხანაში საზოგადოების განუვითარებლობა, მისი მჭიდრო კავშირი ბუნებრივ გარემოსთან ადამიანებს აძულებდა თავიანთი სუსტი ძალები გაერთიანებინათ თემებში, გვარებში, დიდ ოჯახებში და ა.შ. არქაული ხანის ჩვეულებების და მითოლოგიის ვექტორი მიმართული იყო კოლექტივის მთლიანობისა და ერთიანობის შენარჩუნებისაკენ.

ცხადია, ძველ რომში, ისტორიული ხანის დასაწყის სტადიაზე, არ შეიძლება ვილაპარაკოთ ინდივიდის, როგორც ასეთის, მით

უფრო პიროვნების უფლებების შესახებ. ინდივიდი, როგორც თავისუფლების ატრიბუტი, აქ ჯერ კიდევ არ არის, ძაგრამ აქ უკვე არსებობდა საზოგადოებრივი ხელისუფლება, რომელიც აწესრიგებდა და ერთმანეთთან ათანხმებდა კოლექტივის ცხოვრების ყველა მხარეს. აქ მომწესრიგებელი ნორმების როლს ჩვეულებები ასრულებდნენ.

სავარაუდოა, რომ ე.წ. "რექსების ხანაში" არსებული სახელმწიფო წყობილება წარმოადგენდა საკუთრებითი ურთიერთობების ორგანულ, სტრუქტურულ ნაწილს, ხოლო თვით არქაული საკუთრებითი ურთიერთობა მიმართული იყო, ორიენტირებული იყო არა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესისაკენ, არამედ არადიფერენცირებული სოციალური ორგანიზმის შენარჩუნებისაკენ.

მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება იყო შემდგომი, უფრო მაღალი საფეხური საკუთრების იმ სახეობის განვითარებისა, რომელსაც თავის დროზე უყრდნობოდა ტომობრივი წესწყობილება.

რომში წარმოშობილი საკუთრების უფლების ზოგადი ცნების გამოშატველი ტერმინი და საკუთრების უფლების ცნება შეითვისეს "ახალმა ხალხებმა". საკუთრების ცნების დახვეწა დღესაც გრძელდება. არქაული სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურებისათვის დამახასიათებელ საკუთრების ცნებასთან შედარებით, ის უკვე დავიწროვებულიცაა.

რ. ზ. ლიფშიცმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მომავალში მოხდება საკუთრების ცნების გაფართოება და ამის ტენდენცია ზოგან შეიმჩნევა კიდევ.

ასეთ ვითარებაში, ფიქრობს მკვლევარი, სამართალი გადაიტყვევს სოციალური კომპრომისის ინსტიტუტად, სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესების კოორდინაციის საშუალებად.

საკუთრება ძველ რომში, თავდაპირველად მაინც, ტომობრივ ელოვერს ატარებდა, საკუთრების სუბიექტად იგულისხმებოდა რომაელი ხალხი და, მხოლოდ მოგვიანებით, რომის მოქალაქეებიც.

საინტერესოა საკუთრების თავდაპირველი სახელწოდებაც:

“დამინიუმ ვქს იურე კვირიციუმ” – ქვირიტული საკუთრება. ე.ი. საკუთრება ვერ წარმოიდგინებოდა ინდივიდის რომელიმე ტომისადმი კუთვნილების გარეშე. მაშასადამე, საკუთრება იყო კვირიტული, საფიქრებელია, გაბატონებული ტომისძიერი. მიწის კერძო საკუთრება რომის მოქალაქეობას უკავშირდებოდა.

მიწის მესაკუთრე გვევლინება რომის მოქალაქედ და როგორც რომაელი, იგი აუცილებლად მიწის მესაკუთრეა.

რომაელები საკუთრების უფლებაში ხედავდნენ არა ურთიერთობას მესაკუთრეთა შორის, ან მესაკუთრესა და არამესაკუთრეს შორის, არამედ ადამიანებსა და ნივთებს შორის. საკუთრება მათთვის იყო ნივთზე სრული ბატონობა. ასეთი განსაზღვრება გულისხმობდა ნივთზე არასრული ბატონობის გამიჯვნას ნივთზე სრული ბატონობისაგან. რომაელმა იურისტებმა გამიჯნეს გირავნობა, როგორც ნივთზე შეზღუდული ბატონობა, ნივთზე შეუზღუდველი ბატონობისაგან – საკუთრებისაგან.

მართალია, საკუთრება ნივთზე სრულ ბატონობად ითვლებოდა, მაგრამ დაუშვებელი იყო ამ ბატონობის ბოროტად გამოყენება. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით დასაშვები იყო მესაკუთრის უფლებების გარკვეული, სამართლიანი შეზღუდვა.

ნივთზე სრული ბატონობა გულისხმობდა ნივთზე გონივრულ ბატონობას.

მართებულად მიუთითებენ, რომ რომში საჯარო ინტერესებზე მითითებით კანონი ავალდებულებდა მესაკუთრეს, არ დაეშვა თავისი სახლის ნგრევა და ნორმალურ ვითარებაში შეენახა მის ადგილ-მამულზე გამავალი გზები და ქუჩები.

ასეთი შეზღუდვები, წერდა ო. ს. იოფე, ‘არ ეწინააღმდეგებოდნენ საკუთრების უფლების აღიარებას სრულ ან, უფრო ზუსტად, ყველაზე უფრო სრულ ბატონობად ნივთზე, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში მხედველობაში ჰქონდათ არა უსაზღვრო, არა ზღვარდაუდებელი სისრულე ხელისუფლებისა, არამედ მხოლოდ ისეთი ძალაუფლება, რაც მისაწვდომია მხოლოდ მესაკუთრისათვის“.

რომის სამოქალაქო სამართლის მიხედვით მესაკუთრეს

კუთვნილი ნივთის მიმართ გააჩნდა სამი უფლებამოსილება: 1) "უტი", 2) "ფრუი" და 3) "აბუტი".

უფლებამოსილება "უტი" გულისხმობდა სარგებლობას. ე.ი. ხსენებული უფლებამოსილება შესაკუთრეს უზრუნველყოფდა უფლებით მიეღო ნივთიდან მისთვის, ნივთისათვის დამახასიათებელი სასარგებლო თვისებები.

უფლებამოსილება "ფრუი" გულისხმობდა ნაყოფის შეგროვების უფლებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაყოფის ცნება მოიცავდა ე.წ. "ცივილურ ნაყოფსაც", ცივილურ შემოსავალსაც, გასესხებული ფულიდან მიღებულ პროცენტსაც.

რაც შეეხება უფლებამოსილება "აბუტი"-ს, ის გულისხმობდა პირველ ყოვლისა განკარგულებას, ნივთის გაყიდვის, გაჩუქების, ანდერძით დატოვების უფლებას. "აბუტი" გულისხმობდა აგრეთვე ნივთისადმი თვითნებურად მოპყრობის უფლებასაც, თვით ნივთის მოსპობა-განადგურებამდე.

მოუხედავად იმისა, რომ რომის სამოქალაქო სამართლის წყაროები ჩვენამდე საკმაოდ არის მოღწეული, მათში არ გვხვდება საკუთრების უფლების ზუსტი განმარტება, მაგრამ შესაკუთრის ცალკეული უფლებამოსილებანი არის მოხსენიებული.

ამ წყაროების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაკუთრეს გააჩნდა 1) "იუს უტენდი", ე.ი. ნივთის სარგებლობის უფლება; 2) "იუს ფრუენდი" – ნივთის შემოსავლით და ნაყოფით სარგებლობის უფლება და 3) "იუს აბუტენდი" – ნივთის განკარგვა-გასხვისების და ნივთისადმი თვითნებურად მოპყრობის უფლება. ზოგჯერ საკუთრებას უფლებაზე რომაელები შემოკლებითაც საუბრობდნენ და მასში მხოლოდ "იუს უტენდის", "იუს აბუტენდის" გულისხმობდნენ. მაგრამ უფრო მართებულად მიგვაჩნია ი. ბ. ნოვიცკის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საკუთრების უფლების შინაარსის შემოხსენებულ სამ ელემენტს მართებული იქნებოდა თუ დავუმატებდით "იუს პოსსიდენდი"-ს – ნივთის ფლობის უფლებას და "იუს ვინდიკანდი"-ს – ნივთის მისი ფაქტობრივად მოპყრობელ-ძველობელიდან გამოთხოვის უფლებას.

დღევანდელი თვალსაზრისით საკუთრების რომაულ გავებას

ის ხარვეზი გააჩნია, რომ მასში არ იყო გათვალისწინებული მესაკუთრის ისეთი უფლებამოსილება, როგორცაა მფლობელობა, ნივთზე ფაქტობრივი კონტროლი, ნივთზე ფიზიკური და სამეურნეო ბატონობა.

რომის სამოქალაქო სამართლის სპეციალისტების აზრით ეს ხარვეზი უმიზეზოდ არ წარმოშობილა, რადგანაც მესაკუთრის ის უფლებამოსილებანი, რომლებიც რომის სამართლის წყაროებში მოიხსენიებიან, მოისაზრებოდნენ როგორც სამართლებრივი, მაშინ, როდესაც მფლობელობა უპირატესად წარმოიშობოდა როგორც ფაქტობრივი ვითარება.

რომის სამოქალაქო სამართალი მფლობელობას უძღვნიდა სპეციალურ წესებს.

კანონი მხედველობაში ღებულობდა მფლობელობის როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ მხარეებს.

რომის სამართლის მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომაელები ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ საკუთრებას („პროპრიეტას“), მფლობელობას („პოსსესსიო“) და „დეტენციო“-ს, ნივთის ჭერას.

მფლობელობა, პრინციპში, შეიძლება ეფუძნებოდეს მესაკუთრის უფლებას.

რიგ შემთხვევაში მფლობელობა შესაძლოა ყოფილიყო ისეთი ფაქტი, რომელიც სამართლებრივ საწყისს არ ეფუძნებოდა. მაგ., იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ნივთი შეიძინა ქურდისაგან, ე.ი. იმ პირისაგან, რომელსაც მისი გასხვისების უფლება არ გააჩნდა.

მაგრამ შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ პირი ფაქტობრივადაც ნივთის მფლობელი იყო და არც სამართლებრივ ნორმებს არ არღვევდა.

რომის სამოქალაქო სამართლის ნორმების მიხედვით მფლობელობასთან მხოლოდ მაშინ გვექნებოდა საქმე, თუ ის თავის თავში აერთიანებდა ორ ელემენტს.

1. ნივთი პირის კონტროლის ქვეშ უნდა ყოფილიყო. ე.ი. პირს ნებისმიერ მომენტში უნდა შეეძლებოდა ნივთზე საჭირო ზემოქმედების მოხდენა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე.წ. „კორპუს

პოსსიდენდი“-სთან, ნივთის ფაქტობრივ მფლობელობასთან.

შეიძლება, ასეც მომხდარიყო, რომ ნივთის შექმნის შემდეგ მყიდველს ნივთი დაეტოვებინა გამყიდველისათვის ქირავნობის ხელშეკრულებით, ასეთ ვითარებაში ნივთის ნამდვილ მფლობელად რომის სამართალი ჩათვლიდა ახალ მესაკუთრეს.

2. მფლობელობისათვის მეორე აუცილებელ ელემენტად ითვლებოდა ნივთის ფლობის განზრახვა, ანუ გულზრახვა – “ანიმუს პოსსიდენდი“. ნივთის ფლობის გულზრახვაში რომის სამოქალაქო სამართალი გულისხმობდა ნივთის ფლობას თავისთვის და არა სხვისთვის.

ამიტომაც გარკვეული დროით ნივთის დამქირავებლები არ ჩაითვლებოდნენ მფლობელებად. მფლობელად არ ჩაითვლებოდა აგრეთვე პირი, რომელსაც ჯიბეში ჩაუდეს ნივთი, მაგრამ ამ ნივთის ფლობის გულზრახვა მას არ ჰქონია.

რომის სამართალი განასხვავებდა კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელს. კეთილსინდისიერ მფლობელს ლათინურად ეწოდებოდა “პოსსესსორ ბონა ფიდეს“, ხოლო არაკეთილსინდისიერ მფლობელს – “პოსსესსორ მალა ფიდეს“.

ნივთის ფაქტობრივი ფლობისა და ამ ფლობის განზრახვის გარეშე არ არსებობდა მფლობელობა. თუ პირმა ნივთი გაყიდა, ხოლო მყიდველმა გამყიდველის ხელში ნივთი დროებით დატოვა, გამყიდველი არ ჩაითვლებოდა ხსენებელი ნივთის მფლობელად, ვინაიდან იგი თავისთვის არ ფლობდა ნივთს. ამ შემთხვევაში გამყიდველის გააჩნდა “კორპუს პოსსიდენდი“, მაგრამ არ გააჩნდა “ანიმუს პოსსიდენდი“. მაშასადამე, ხსენებულ შემთხვევაში ნივთის გამყიდველი უნდა ჩაგვეთვალა უბრალოდ ნივთის დეტენტორად, მის მპყრობელად, მის ხელთმქონედ.

მართალია, რომაელ იურისტებს ახასიათებდათ მკაცრი ლოგიკური მსჯელობა, მაგრამ ზოგჯერ მათთანვე ვხვდებით ხელოვნურ მსჯელობებს, ხელოვნურ კონსტრუქციებს. მათი აზრით, მფლობელობის გულზრახვასთან – “ანიმუს პოსსიდენდისთან“ არა გვაქვს საქმე, თუ მფლობელობა ვადიანია. ხოლო უკიდურეს მფლობელობის შემთხვევა გაიგებებოდა იყო პირის გულზრახვასთან,

ყოფილიყო ნივთის მფლობელი, მაგრამ ემპითეკზისის შემთხვევაში ვადიანი მფლობელობა – ასი წლით მფლობელობა, ასი წლის განმავლობაში მიწის სარგებლობით გადაცემა ესაზღვრებოდა უვადობას და ამიტომაც ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკაში იძულებულნი ხდებოდნენ ემფითეკტი ელიარებინათ მფლობელად, კანონიერ მპყრობელად.

პირი, რომელმაც შესაკუთრისაგან შესანახად მიიღო ნივთი, ითვლებოდა არა ამ ნივთის მფლობელად, არამედ მის მპყრობელად, მის ხელთმქონედ, დეტენტორად. ასეთ მპყრობელს ეძახდნენ “დეტენტორ ალიენო ნომინე“-ს.

რომის სამოქალაქო სამართლის ნორმების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ იჯარად-რი (არენდატორი) მფლობელად კი არ ჩაითვლებოდა, არამედ მხოლოდ დეტენტორად, მპყრობელად.

საკუთრების უფლების სახეები

რამდენადაც სათანადო მასალების მონაცემებით შეიძლება მსჯელობა, რომში კერძო საკუთრების უძველესი სახეობა უნდა ყოფილიყო კვირიტული საკუთრება, რომელიც წყაროებში მოიხსენიება როგორც “დამინიშუმ ექს იურე კვირიციუმ“ – საკუთრება კვირიტული სამართლის მიხედვით. ვარაუდობენ, რომ კვირიტები ერთ-ერთი გაბატონებული ტომი უნდა ყოფილიყო რომში. ამ მოწინავე ტომის შიგნით უნდა განვითარებულიყო პირველად კერძო საკუთრება.

ჩვენი აზრით, კვირიტების გაბატონებულ, პატრიციული წარმოშობის ტომს ექნებოდა სათემო, სახელმწიფო, მიწების მფლობელობის და სარგებლობის უფლება, რომელიც თანდათან გადაიზარდა კერძო საკუთრებაში. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ იტალიისათვის უცხო არ იყო მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, რომელთა გაშენებაც მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობისათვის ხელშემწყობ ფაქტორად ითვლება.

ცივილური სამართლის მიხედვით კვირიტული საკუთრების სუბიექტებად შეიძლებოდა ყოფილიყვნენ რომის მოქალაქეები, მხოლოდ ხსენებული კატეგორიის პირთა შიგნით კვირიტული

საკუთრების ქონა.

ამ წესიდან გამონაკლისი დაუშვეს ლათინებისათვის, რომელთაც გააჩნდათ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის ძილების უფლება.

რამდენადაც ლათინებს კანონით მინიჭებული ჰქონდათ “იუს კომერციი“, ბუნებრივია, რომ ქონებრივ ურთიერთობაში მათ მონაწილეობას არაფერი უშლიდა ხელს.

კვირიტული საკუთრების ობიექტი, ანუ საგანი იყო მანციპირებული ნივთები. ხსენებული კატეგორიის ნივთებზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

ცხადია, კვირიტული საკუთრების შექმნა შეიძლებოდა მხოლოდ მანციპაციის რთული პროცედურის შესრულებით.

კვირიტული საკუთრების შექმნა ნივთის უბრალო გადაცემით დაუშვებელი იყო. ეს კი ხელს უშლიდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებისა და საერთოდ, სამოქალაქო ბრუნვის განვითარებას. ზოგადად, “ნექსუმ“ ფორმალური შეთანხმებაა კრედიტორსა და დებიტორს შორის, რომლის მიხედვითაც დებიტორი თავისი ვალის უზრუნველსაყოფად თავისივე პიროვნული თავისუფლებით იყო პასუხისმგებელი. მანციპიუმ არქაული სამართლებრივი მოვლენაა. სტუდენტებს ვურჩევთ, ხსენებულთან დაკავშირებით წაიკითხონ 1992 წელს ჟურნალ “ვესტნიკ დრევენე ისტორიის“ №3-ში ლ. კაჟანოვის წერილი “ნექსუმ“ და “მანციპიუმ“ თორმეტი ტაბულის კანონების მიხედვით“.

წინარეკლასიკურ ეპოქაში რომის სამოქალაქო სამართალს ახასიათებდა გარკვეული დუალიზმი, რომელიც მეტ-ნაკლებად ვლინდებოდა საკუთრების სამართალში, სანივთო სამართალში.

კვირიტული საკუთრების გვერდით არსებობდა პრეტორული საკუთრება, აგრეთვე – ბონიტარული საკუთრებაც. სახელწოდება – ბონიტარული წარმოშობილია გამოთქმიდან “რეს ინ ბონის“ – ქონებაში შემავალი ნივთები, რაც სწორად არ გადმოსცემს საკითხის არსს.

თუ ქონების შემბენი არ იყო რომის მოქალაქე და იძენდა მანციპირებულ ნივთებს მარტივი წესით, მაშინ წარმოიშობოდა

არა კვირიტული საკუთრება, არამედ ბონიტარული ან პრეტორული საკუთრება. მანციპირებული ნივთების მარტივი გადაცემით შეძენა წარმოშობდა არა კვირიტულ, არამედ პრეტორულ საკუთრებას. ასეთი საკუთრების დაცვის საშუალება იყო პრეტორის ედიქტი. ცივილური სამართალი საერთოდ არ ცნობდა პრეტორულ საკუთრებას. იბადება კითხვა: როგორ შეიძლებოდა ქონების პრეტორული დაცვის მოწყობა მაშინ, როდესაც კანონი ასეთ დაცვას არ ითვალისწინებდა?

ხსენებულ კითხვაზე სწორი პასუხი გასცა ო. ს. იოფემ. იგი წერდა: “აქაც, ისევე როგორც სხვაგანაც ძრავალოგზის, პრეტორული კონსტრუქციის შესაქმნელად გამოიყენეს კანონი, მაგრამ ის გამოიყენეს თავისებურად, დაეჯდნენ რა იმ სპეციფიკურ იურიდიულ ზერხს, როგორსაც წარმოადგენს ფიქცია“.

ავტორი განმარტავდა: “სამართლებრივი თვალსაზრისით სიტყვა ფიქცია – ესაა გარკვეული იურიდიული გულვება და ამაში მდგომარეობს მისი მსგავსება პრეზუმპციასთან. მაგრამ თუ პრეზუმპცია – ესაა გულვება, რომელიც ალბათობის დიდი ხარისხით შეესატყვისება რეალურ სინამდვილეს, ხოლო ფიქცია შეგნებულად არ შეესატყვისება მას და მით უფრო უნდა შესრულდეს ისე, თითქოს ის უმწიკვლო ჭეშმარიტება იყოს“.

მართლაც, ფიქციამ გარკვეული სამსახური გაუწია რომის სამართლის განვითარებას, პრეტორმა გამოიყენა ის გარემოება, რომ რომის სამოქალაქო სამართალმა იცოდა შექენითი ხანდაზმულობის ცნება – “უსუკაპიო“.

ვთქვათ, ნივთი იურიდიული დეფექტის არსებობის მიუხედავად იყო შექენილი, ეს ნივთი მაინც ხდებოდა შექენის საკუთრება იმ შემთხვევაში, თუ მას შექენი კანონით დადგენილი დროის განმავლობაში ფლობდა.

პრეტორი იყენებდა შექენითი ხანდაზმულობის ფიქციას და კვირიტული სამართლის მკაცრი მოთხოვნის დაუცველად ქონების შექენს იფარავდა ცივილური შესაკუთრის პრეტენზიებისაგან.

პრეტორული სამართალი თანდათან იკრებდა ძალებს. საბოლოოდ, მისი გამარჯვება დაფიქსირდა იუსტინიანეს სჯულ-

დებაში, VI საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ირკვევა, იუსტინიანეს კოდიფიკაციის შედგენისას, საკანონმდებლო კომისიის წევრებმა თვით კლასიკური ხანის იურიდიულ ტექსტებში შეიტანეს ცვლილებები და რიგ შემთხვევებში სიტყვა “მანციპაციო” შეცვალეს სიტყვით “ტრადიციო”, რის უფლებაც დღევანდელი თვალსაზრისით, მათ არ გააჩნდათ. მაგრამ ამას მოითხოვდა სამოქალაქო ბრუნვის ინტერესები.

არ იქნებოდა სწორი, არ გაგვეხსენებინა ის გარემოებაც, რომ ძველი რომის სახელმწიფოში, გარდა ზემოხსენებული საკუთრების ფორმებისა, არსებობდა აგრეთვე პერეგრინუსების — უცხოელების, არა რომის მოქალაქეების საკუთრება.

ერთ ხანს ლათინებიც რომის მოქალაქეთა შორის არ იგულისხმებოდნენ. ხოლო არარომაელები, უცხოელები თავის საკუთარი ქვეყნის სამართალს ემორჩილებოდნენ. “იუს გენციუმ”-ის, ანუ ხალხთა სამართლის აღიარებამ რომში კერძო სამართლის დუალიზმი წარმოშვა. “იუს ცივილე” გამოიყენებოდა რომის მოქალაქეთა მიმართ, ხოლო “იუს გენციუმს” გამოიყენებდნენ პერეგრინუსებისა და რომის მოქალაქეებს შორის ურთიერთობისას და თვით პერეგრინუსებს შორის ურთიერთობისას.

რომის სახელმწიფოსთან პროვინციების ეკონომიკური კავშირურთიერთობების განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა პერეგრინუსებისათვის სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უფლების მინიჭების პრაქტიკაც. თავდაპირველად, პერეგრინუსებსა და რომის მოქალაქეთა შორის ეკონომიკური ურთიერთობა დაიშვებოდა მოძრავი ნივთების გამო. ცივილური სამართალი ცალკეულ უცხოელებს ნებას რთავდა მონაწილეობა მიეღოთ რომის სახელმწიფოს სამოქალაქო ბრუნვაში. პერეგრინუსების — უცხოელების მიერ შექმნილი უფლებების დაცვა შესაძლებელი იყო პერეგრინუსების პრეტორის მეშვეობით ე.წ. ფიქტიური სარჩელების მეშვეობით.

რომის სამართლის წყაროებში ვხვდებით ინფორმაციას ე.წ. პროვინციული საკუთრების შესახებ.

პროვინციების მიწა ფორმალურად ითვლებოდა რომის

სახელმწიფოს – რომელი ხალხის საკუთრებად თვით დაპყრობის ფაქტიდან გამოძვინარე.

პროვინციების მიწა ჩვეულებრივ ორ ნაწილად იყოფოდა. ერთ ნაწილს ერქვა “აგერ პუბლიკუს” და ის სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა. პროვინციების მიწათა მეორე ნაწილი – “აგერ რედიტუს” მიწის ძველ მფლობელებს გადაეცემოდათ სარგებლობისათვის, მათივე ეროვნული ჩვეულებებისა და კანონების მოხვედრით.

ახ. წ. II საუკუნეში ხსენებული კატეგორიის მიწები მათ მფლობელთა ფაქტობრივ კერძო საკუთრებად გადაიქცა.

თანდათანობით, დროთა ვითარებაში ხდებოდა საკუთრების სხვადასხვა ფორმათა ინტეგრაცია.

§7. საკუთრების უფლების შექმნა. საკუთრების უფლების შექმნის ხერხები

როგორც რომის სამოქალაქო სამართლის წყაროებიდან ჩანს, საკუთრების უფლების შექმნის მრავალი ხერხი იყო ცნობილი ძველ რომში. მაგრამ დროთა ვითარებაში ეს ხერხები ცვლილებას განიცდიდა. ზოგი საერთოდ გაქრა, ზოგმაც სახე იცვალა და ა.შ.

საკუთრების უფლების შექმნის უპირველესი და ერთ-ერთი უძველესი ხერხი იყო ე.წ. მანციპაცია.

საკუთრების უფლების შექმნის ხსენებული ხერხი გათვალისწინებული იყო მხოლოდ რომის მოქალაქეებისათვის და ისიც მარტო მანციპირებული ნივთების შესაძენად.

მანციპირებული ნივთების შექმნა დაკავშირებული იყო შუადროებით რთულ პროცედურასთან. გამყიდველი (“ვენდიტორი”) მყიდველს (“ემპტორი”) წარმოუდგენდა გასაყიდ ნივთს (მაგ. მონას ან ხარს), ხოლო თუ ადგილ-მამული იყიდებოდა, მაშინ გამყიდველი წარმოადგენდა მიწის სიმბოლოს – მამულიდან წამოღებულ ბელტს.

გარიგებას უნდა დასწრებოდა ხუთი მოწმე, ხუთივე სრულწლოვანი რომის მოქალაქე. სავარაუდოა, რომ თავდაპირველად ეს ხუთი “მოწმე” არა მარტო უბრალო მოწმე იყო, არამედ გამყიდველის ახლო ნათესავიც; მომავალში მოსალოდნელი იყო

მათი მხრივ რაიმე პრეტენზიის წამოყენება გასაყიდი ადგილ-
მამულის, მონის თუ ტუშა პირუტყვის მიმართ. თუ ასეთი პირები
გარიგებაში მონაწილეობას მიიღებდნენ, ეს უზრუნველყოფდა
მოდავალში ამ “მოწმეების” მხრივ გარიგების კანონიერებისა და
ნამდვილობის დასტურს. არც ის არის გამორიცხული, რომ
წინარეკლასიკურ ხანაში ხსენებულ მოწმეთა შორის, თუნდაც
ერთი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ყოფილიყო.

რეს მანციპის კატეგორიის ნივთის გაყიდვას უნდა დასწრებოდა
მწონავი – “ლიბრიპენს” სასწორითა და სპილენძით. ამასთან
ერთად, მყიდველი წარმოთქვამდა წინასწარ მკაცრად განსაზღვრულ
ფორმულას ლათინურად: “ამგვარად მე ვამტკიცებ, რომ ეს კაცა
კვირიტული სამართლით მე მეკუთვნის, რამდენადაც ის ჩემი
ნაყიდა ამ სპილენძისა და ამ სასწორის მეშვეობით” (თუ საქმე
მონის შექენას ეხებოდა).

წარმოსთქვამდა რა ამ ფორმულას, მყიდველი აიღებდა
სპილენძის ნაჭერს და მას დაარტყამდა სასწორის ფიალაზე და
ამის შემდეგ მას გადასცემდა გამყიდველს, როგორც ნასყიდობის
საფასურის გადახდის სიმბოლოს.

როგორც ჩანს, ამ მომენტიდან ნივთის შესაკუთრედ მყიდველი
ითვლებოდა და მყიდველზე გადადიოდა ნივთის დაღუპვის რისკი.
ქართულ ნასყიდობის საბუთებში, რომელიც გამყიდველის სახელით
იწერებოდა, სპეციალურად იყო მითითება იმის შესახებ, რომ
გამყიდველმა მყიდველისაგან მიიღო ფასი სრული და უკლებელი,
რითაც მისი გული შეჯჯვრდა, დაკმაყოფილდა: რომ მყიდველს
არაფერი დარჩა გადასახდელი. ეს ფორმულაც იმის მაჩვენებელი
იყო, რომ ამ მომენტიდან საკუთრების უფლება ნივთზე და ნივთის
დაღუპვის რისკიც მყიდველზე გადავიდა.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა საკუთრების
უფლების შექენის შედარებით ნაკლებად ძნელ ხერხს, რომელსაც
ვრქვა უფლებების დათმობა, ლათინურად “ინ თურე ცესსიო”.

უფლებების დათმობისათვის გამოყენებული იყო მოჩვენებითი
სასამართლო პაქრობის ფორმა. მხარეები ვითომ სასამართლოს
წინაშე ცდილობდნენ ნივთზე თავიანთი უფლების დამტკიცებას.

მყიდველი აქ გამოდიოდა მოსარჩლის როლში. ის მოითხოვდა თავისი კუთვნილი ნივთის უკან დაბრუნებას. გამყიდველი განგებ პასუხს არ სცემდა მოსარჩლეს და ჩუმად იყო. ეს კი ითვლებოდა მოსარჩლის პრეტენზიების დაკმაყოფილებისათვის საკმაო საფუძვლად. მოპასუხის დუმილი მოსარჩლის პრეტენზიის სამართლიანობაზე მოუთითებდა. თავისი სიჩუმის მეშვეობით მოპასუხე თავის უფლებებს უთმობდა მოსარჩლეს.

ამასთან დაკავშირებით ო.ს. იოფე მართებულად შენიშნავდა: “უფლების დათმობა როგორც მანციპაციის “გაადვილებული” შემცველი, განხილულ უნდა იქნეს, როგორც საკუთრების უფლების შექმნის სპეციფიკურად რომაული ხერხი. გასაგებია, რომ ბურჟუაზიულ სასამართლო პროცესშიაც, რომელსაც დისპოზიციურობის საწყისები ახასიათებს, სარჩელის დაკმაყოფილება ხდება, თუ სარჩელის საფუძვლიანობას ცნობს მოპასუხე. ამიტომ უფლების დათმობის ფორმით ქონების გასხვისება დღესაც ხდება, მაგრამ რაიმენადაც სასამართლო პროცედურის ასეთი გამოყენების პრაქტიკული საჭიროება იშვიათად შეიძლება წარმოიშვას დღევანდელ განვითარებულ ქვეყნებში, ამიტომაც მას ბურჟუაზიული სამართალი იმ საფუძველთა ჩამონათვალში, რომელთაც ეყრდნობა საკუთრების უფლება, არც კი მოიხსენიებს”.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა საკუთრების უფლების შექმნის სხვა ხერხებსაც. ერთ-ერთი ასეთი საშუალება საკუთრების უფლების შექმნისა იყო ნივთის გადაცემა მყიდველისათვის. ლათინური “ტრადიციო” ქართულად ნიშნავს გადაცემას. საკუთრების უფლების შექმნის ხსენებულმა ხერხმა, ანუ “ტრადიციომ” თავისი მნიშვნელობა დღემდე შეინარჩუნა განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო სამართალში.

გერმანულ სამართალში ტრადიციო აღიარებულია ნივთზე საკუთრების უფლების შექმნის უმთავრეს ხერხად და მხოლოდ გარკვეული გამონაკლისებია დაშვებული რიგი შემთხვევებისათვის. ფრანგულ სამართალში კი ტრადიციო მხოლოდ გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთების გასხვისებისათვის გამოიყენება.

რაც შეეხება ძველ რომაულ სამართალს, აქ ტრადიციო

გამოიყენებოდა უძველესი ხანიდან, მაგრამ მხოლოდ არამანკიპირებული ნივთების მიმართ. დროთა განმავლობაში ტრადიციოს იყენებდნენ იმ ნივთების გასხვისების დროსაც, რომელთა შემქმნაც არ იყვნენ რომის მოქალაქეები. სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების ინტერესებიდან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო მეტ ავტორიტეტს იხვეჭდა საკუთრების უფლების შექმნის ხსენებული ხურხი და ტრადიციოს წესით ხდებოდა ე.წ. მანკიპირებული ნივთების გასხვისებაც. მაგრამ ეს მოხდა საკმაოდ გვიან. ახ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში. იმპერატორ იუსტინიანეს საკანონმდებლო კრებულის -- "კორპუს იურის ცივილის"-ის გამოცემის შემდგომმა ტრადიციომ, როგორც საკუთრების უფლების შექმნის ხერხმა, საბოლოოდ შეაუიწროვა როგორც მანკიპაცია, ასევე უფლებების დათმობაც.

ეკონომიკური ბრუნვის ინტერესებმა იძალა და ტრადიციოც, როგორც საკუთრების უფლების შექმნის შედარებით მარტივი საშუალება, გამარჯვებული გამოვიდა საკუთრების უფლების სხვა ხერხებთან ბრძოლის ასპარეზიდან.

ტრადიციოს მეშვეობით საკუთრების უფლების შექმნა გულისხმობდა ორი პირობის დაცვას:

1. ნივთის გადაცემა. მაშასადამე, მყიდველისა და გამყიდველის უზრალო შეთანხმება საკმარისი არ იყო საკუთრების გადაცემისათვის. რომაელებს ჰქონდათ ასეთი იურიდიული ანდაზაც: ნივთზე საკუთრების უფლება გადადის ტრადიციოთი და არა შეთანხმებით ("ტრადიციონიბუს დომინო რერუმ, ნონ პაკტის ტრანსფერრუნტურ").

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ნივთის გადაცემაში, ანუ ტრადიციოში იგულისხმებოდა არა მარტო ნივთის ფაქტობრივი გადაცემა მისი შემქმნისათვის, არამედ ზოგიერთი სიმბოლური მოქმედებაც; მაგალითად, თუ საცხოვრებელი სახლი იყიდებოდა, მაშინ ამ სახლას გასაღების გადაცემა მყიდველისათვის, ჩაითვლებოდა, როგორც ნივთის გადაცემა -- ტრადიციო. რომის სამართალში ამ აქტს ერქვა "ტრადიციო კლავიუმ".

რაც შემთხვევაში ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლის

მოქმეტად ჩაითვლებოდა წვრილობითი ხელშეკრულების გაფორმების დრო.

ლათინური გამოთქმა “ტრადიციო ბრევის მანუს“ ნიშნავდა ნივთის გადაცემას მხარეთა უბრალო შეთანხმებით რაიმე ფიზიკური მოქმედების გარეშე. სიტყვასიტყვით ეს გამოთქმა ნიშნავს მოკლე ხელით გადაცემას.

სოციალურ პრაქტიკაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც გაყიდული ნივთი მყიდველის ხელში გადადიოდა, მაგრამ მყიდველი ნებას რთავდა გამყიდველს, ვთქვათ გაყიდული სახლის ერთ ოთახში დარჩენილიყო მისი სამისდღეშიო. უვადო სარგებლობის წესით. ამ შემთხვევაში ყოფილი გამყიდველი ვერ იქნებოდა ხსენებული ერთი ოთახის მესაკუთრე. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან საცხოვრებელი სახლი იურიდიულად ითვლებოდა მყიდველის საკუთრებად და ამასთან ერთად, მეორე – დამატებითი ხელშეკრულების ძალით გამყიდველისათვის ნაწილობრივად (ერთი ოთახის სახით) დაბრუნებულად, რომელიც უკვე აღარ იყო სახლის მესაკუთრე. ასეთ ქმედებას ერქვა “ტრადიციო ლონგა მანუ“ – გრძელი ხელით გადაცემა.

შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ გამყიდველი, რომელმაც გაასხვისა თავისი საკუთრება, გამხდარიყო ამ გასხვისებული ნივთის არა მფლობელი, არამედ უბრალოდ მპყრობელი, ნივთის გარკვეული ვადით მოსარგებლე და ა.შ.

2. მეორე მხრივ, ნივთის გადაცემა (ტრადიციო) უნდა დამყარებოდა სამართლიან საფუძველს ე.წ. “იუსტა კაუზას“. ლათინური გამოთქმა “იუსტა კაუზა“ ნიშნავდა სამართლიან საქმეს, კანონიერ საფუძველს, კანონიერ პრეტენზიას, სათანადო მოტივს და ა.შ.

მაშასადამე, ნივთის გადაცემის სამართლიანი საფუძველი შესაძლოა ყოფილიყო ჩუქება, გაცვლილობა, ნასყიდობა და ა.შ.

ცხადია, თუ ნივთის გადაცემის დროს შეცდომა იქნებოდა დაშვებული, შეიძლებოდა დაშვებული შეცდომის გამოსწორება. თუ ნივთი გადასცეს არა იმას, ვისაც იგი აჩუქა მესაკუთრემ, შეიძლებოდა მისი უკანვე გამოთხოვა-დაბრუნება.

ამგვარად, როდესაც ნივთის ფაქტობრივი გადაცემა ემყარებოდა სამართლებრივად მართებულ საფუძველს, საკუთრების უფლება გამსხვიისებლის ხელიდან შექმნის ხელში გადადიოდა.

საკუთრების უფლების შექმნის სხვა წერხებიდან უნდა აღინიშნოს უპატრონო ნივთის დაუფლება, ლათინურად “ოკკუპაციო”.

უპატრონო ნივთში იგულისხმებოდა არა მართო ისეთი ნივთი, რომელსაც არ ჰყავდა მესაკუთრე, არამედ ისეთიც, რომელზე საკუთრების უფლებაზეც მესაკუთრე უარს აცხადებდა.

რომის სამხედრო, აგრესიული სახელმწიფო სამხედრო მოწინააღმდეგის ქონებასაც უპატრონო ქონებად თვლიდა. ამ შემთხვევაში სულ ერთი იყო ქონება ეკუთვნოდა დაპყრობილი ქვეყნის კორპორაციას, სახელმწიფოს თუ ცალკეულ პიროვნებას.

ლათინური იურიდიული ანდაზის მიხედვით უპატრონო ნივთი ეკუთვნოდა იმას, ვინც პირველად დაეუფლებოდა მას, ნივთის პირველ — “ოკუპანტს” (“რეს ნულლიუს ცედიტ პრიმო ოკკუპანტო”), მეორე ლათინური ანდაზა კი ამბობდა: უმესაკუთრო (უპატრონო) ქონება, ბუნებრივია, იმის საკუთრება ხდება, ვინც მას პირველი დაეუფლება: “რეს ნულლიუს ნატურალიტერ ფიტ პრიმი ოკკუპანტის”.

მაგრამ განძის მიმართ სხვა წესი იყო დამკვიდრებული. განძის ღირებულების ნახევარი ეკუთვნოდა იმ მიწის მესაკუთრეს, სადაც განძი იპოვნეს, ხოლო მეორე ნახევარი — მის აღმოჩენს.

ნივთზე საკუთრების უფლების დამოუკიდებელ წყაროდ ითვლებოდა ნივთის გადაშუშავება (ლათინურად “სპეციფიკაციო”). მაგალითად, მოქანდაკემ ქანდაკება შექმნა სხვისი მარმარილოს გამოყენებით, შეავეჯემ კარადა დაამზადა სხვისი საავეჯო მასალით და ა.შ. ღებოდა საკითხი, ვისი საკუთრება იყო ახლადშექმნილი ნივთი — ქანდაკება, ავეჯი და ა.შ.

მასალა და შრომა თუ ერთ პიროვნებას ეკუთვნოდა, მაშინ საკითხი აღვილად წყდებოდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მასალა ერთს ეკუთვნოდა, ხოლო შრომა გაწეული ჰქონდა მეორეს, ახლად შექმნილი ნაწარმის კუთვნილების საკითხი იწვევდა აზრთა სხვაობას.

რომაელი იურისტების ორი სხვადასხვა მიმართულება ამ

საკითხს განსხვავებულად წყვეტდა. იურისტ საბინუსის მიმდევრები თვლიდნენ, რომ ნივთის შესაკუთრედ უნდა ჩათვლილიყო ის, უსიც იყო მასალა, რომლისგანაც დაამზადდა ნივთი, ხოლო იურისტ პროკულუსის მიმდევართა აზრით ნივთის შესაკუთრედ უნდა ჩათვლილიყო ის პირი, ვინც ის დაამზადდა, მაგრამ მას მასალის შესაკუთრისათვის უნდა გადაეხადა სათანადო ანაზღაურება.

სამეცნიერო ლიტერატურაში 1902 წ. მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა პ. ე. სოკოლოვსკიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ რომაელ იურისტებზე ბერძნული ფილოსოფიის ზეგავლენით იყო გამოწვეული პროკულუსისა და საბინუსის მიმდევართა განსხვავებული მიდგომა სპეციფიკაციის პრობლემაში.

პროკულუსი და საბინუს მაზურიუსი ახ. წ. პირველ საუკუნეში ცხოვრობდნენ და ამ დროს ბერძნული ფილოსოფიით გატაცება რომში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. პროკულუსის მიმდევრები ვანიცდიდნენ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს ზეგავლენას, არისტოტელე და პერიპატეტიკული სკოლა მიიჩნევდა, რომ მოუზღავად მატერიის (მასალის) დიდი მნიშვნელობისა, ახალი ნივთის "ნოვა სპეციეს"-ის შექმნაში, მაინც, გადამწყვეტი იყო ახალი ფორმა, რომელიც მას ხელოვანმა შექმნა მისცა.

საბინუს მაზურიუსი და მისი მიმდევრები, სტოიციზმის ზეგავლენით გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდნენ მასალას, მატერიას.

იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობამ ეს საკითხი ასე გადაწყვიტა: თუ სპეციფიკანტი არ იყო ბოროტგანმზრახველი და თანაც შეუძლებელი იყო გადამუშავებული მასალის პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება, ყველაფერი თავდებოდა იმით, რომ ნივთი სპეციფიკანტის საკუთრებად ჩაითვლებოდა. რა თქმა უნდა, სპეციფიკანტს უნდა აენაზღაურებინა მასალის საფასური შესაკუთრისათვის.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა "აკცესსიოს" ცნებას.

აკცესსიოში იგულისხმებოდა მოძრავი ქონების შესაკუთრის უფლება სხვა შესაკუთრის იმ მოძრავ ქონებაზე, რომელიც მის ქონებას შეუერთდა. ასეთი შეერთება შეიძლებოდა მომხდარიყო

უძრავ ქონებათა შორისაც, შეიძლება მომხდარიყო “აღუვიო” დაშრევა და ნაპირი გადიდებულიყო. ან შეიძლება მდინარეში წარმოშობილიყო კუნძული ან ნახევარკუნძული. შეიძლება ისე შეერთებულიყო სხვადასხვა მესაკუთრეთა ჯოგი, რომ შეუძლებელი გამხდარიყო თითოეული მესაკუთრის კუთვნილი პირუტყვის ერთმანეთისაგან გამოცალკეება. წყაროებში ფიქსირებულია შემთხვევები უძრავი და მოძრავი ნივთების შეერთებისა (მაგ. შენობისა მიწის ნაკვეთთან, ნაყოფისა მიწასთან და ა.შ.). რომის სამოქალაქო სამართალში მოქმედი საერთო წესის თანახმად საკუთვნილი ნივთი მთავარ ნივთს მისდევდა. ამასთან დაკავშირებით, მოქმედებდა ლათინურ იურიდიულ ანდაზაში ფიქსირებული წესი. “აკცესორია ცელიტ პრინციპალის“, ამ წესის მიხედვით მდინარის ნაპირის მესაკუთრე გახდებოდა მისი მისილულ-მოშლამული ნაწილის პატრონი. მდინარის მესაკუთრე გახდებოდა მასში ამოზიდულ-ამოწვერილი კუნძულის თუ ნახევარკუნძულის მესაკუთრე.

ძვირი ნივთის მესაკუთრეს, რომელმაც შეიერთა იაფი ნივთი, ევალებოდა იაფი ნივთის მესაკუთრისათვის აენაზღაურებინა მიყენებული მატერიალური ზნება (ზიანი).

საკუთრების უფლების შექმნის კიდევ ერთი წყარო იყო ე.წ. შექმნითი ხანდაზმულობა (“უსუკაპიო”).

რომის მოქალაქეები ისეთ მანციპირებულ ნივთებს თუ ფლობდნენ დიდი ხნის განმავლობაში, რომელიც მათი საკუთრება არ იყო, ისინი ხდებოდნენ ხსენებული ნივთების მესაკუთრედ. თავდაპირველად მოძრავი ნივთის მიმართ შექმნითი ხანდაზმულობის ვადა იყო ერთი წელი, ხოლო უძრავისათვის – ორი წელი.

პრეტორმა უცხოელები – “პერეგრინუსები“ აღჭურვა შექმნითი ხანდაზმულობით ნივთის შექმნის უფლებით.

იგი ხდებოდა იმ ნივთის მესაკუთრედ, რომელსაც ის კეთილსინდისიერად ფლობდა ათი წლის განმავლობაში.

მაგრამ, თუ უძრავი ქონების მესაკუთრე საზღვარგარეთ, შორეულ მხარეში იმყოფებოდა, მაშინ მისი ნივთის მიმართ მფლობელის მხრივ შექმნითი ხანდაზმულობითი საკუთრების უფლების წარმოსაშობად საკმარისი არ იყო ათი წელი. ამ

შემთხვევაში კანონი მხოლოდ ოცი წლის შემდეგ აძლევდა უძრავი ნივთის მფლობელს შეძენითი ხანდაზმულობის შედეგად მესაკუთრის უფლებებს.

სათანადო ვადებში შეძენით ხანდაზმულობას სამართლებრივი ეფექტი მოყვებოდა შედეგად მხოლოდ ორი აუცილებელი პირობის არსებობის შემთხვევაში.

პირველი პირობა იყო “იუსტუს ტიტულუს“-ის არსებობა, სამართლებრივი საფუძვლის ქონა, ხოლო მეორე პირობა იყო მფლობელის კეთილსინდისიერება.

მფლობელი კეთილსინდისიერად ჩაითვლებოდა, თუ მან არ იცოდა, რომ მის მიერ შეძენილი ნივთი გამსხვისებლის საკუთრება არ იყო. თუ კეთილსინდისიერი შეძენი ნივთის მის მფლობელობაში გადსვლის შემდეგ შეიტყობდა, რომ გარიგების აქტს დეფექტი ახლდა, ეს ხელს უკვე ვერ შეუშლიდა შეძენითი ხანდაზმულობით საკუთრების უფლების წარმოშობას.

შეძენითი ხანდაზმულობის ვადის შიგნით მფლობელობა უწყვეტი უნდა ყოფილიყო. ბიზანტიაში, VI საუკუნეში იმპერატორმა იუსტინიანემ (გარდ. 565 წ.) შემოიტანა ე.წ. ექსტრაორდინალური შეძენითი ხანდაზმულობა ოცდაათი წლის ვადით. ხსენებულ ნორმას ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა ქვეყნებში. მას იყენებდნენ შუა საუკუნეების საქართველოშიაც.

შეძენითი ხანდაზმულობის საგანგებო იმაში მდგომარეობდა, რომ ხსენებული ვადის გასვლის შემდეგ, იმ შემთხვევაშიაც, თუ მფლობელს არ გააჩნდა “იუსტუს ტიტულუსი“, ის მაინც ხდებოდა ნივთის მესაკუთრე, რიგ შემთხვევაში ოცდაათწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ არაკეთილსინდისიერი მფლობელიც კი შეიძლებოდა გამხდარიყო მესაკუთრე.

რომის სამართლის ისტორიის მრავალ მკვლევარს შემჩნეული აქვს ის გარემოება, რომ იყო რა ერთ-ერთი ხერხი საკუთრების უფლების შეძენისა, შეძენითი ხანდაზმულობა არსებითი მოვლენა იყო ორი სხვა მიმართულებითაც.

პირველ ყოვლისა, შეძენითი ხანდაზმულობა ასე თუ ისე ფარავდა ქონების შეძენის ისეთ მანკს, რომლის შესახებაც მხარეებმა

კარგად უწყობდნენ. მხარეებს სურდათ იმ საკმაოდ მრავალრიცხოვანი გართულებების თავიდან აცილება, რაც დაკავშირებული იყო ძველი რომის სამართლის რიტუალობასა და ფორმალიზმთან. მეორე მხრივ, როდესაც შექნითი ხანდაზმულობის თვით ფაქტის დადგენის გარდა სხვა მტკიცებულება არ იყო საჭირო.

§ 8. საკუთრების უფლების შეწყვეტა და მისი სახეები

რომაელმა იურისტებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ რეალურ ცხოვრებაში, ცოცხალ იურიდიულ პრაქტიკაში არაიშვიათად ხდება ისე, რომ საკუთრების უფლება მოისპობა ერთი პირისათვის ისე, რომ ის არ წარმოიშობა მეორე პირისათვის. მაგალითად, ასე ხდებოდა ნივთის მოსპობის შემთხვევაში (ცეცხლმა გაანადგურა გემი, სახლი და ა.შ.).

საკუთრების უფლება შეიძლება მოისპოს ერთისათვის ისე, რომ ის არ წარმოიშვას მეორისათვის ისე, რომ ნივთი არ განადგურდეს. ასე ხდებოდა დერულიკციის შემთხვევაში. მესაკუთრე, დაფუშვით, უარს ამბობდა რომელიმე ნივთზე საკუთრების უფლებაზე. ამ დროს, ცხადია, ნივთი არ ისპობოდა, მაგრამ ის უკვე უპატრონო ნივთად გადაიქცეოდა. ცხადია, მას შეიძლებოდა ვინმე დაუფლებოდა და ასეთ შემთხვევაში ის გადავიდოდა ამ უკანასკნელის საკუთრებაში.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა პრინციპს — “ნემო პლუს იურის” ე.ი. არავის არ შეუძლო სხვისთვის იმაზე მეტი უფლება მიეცა, ვიდრე თვითონ გააჩნდა.

აქედან გამომდინარეობდა, რომ ნივთის ახალი მესაკუთრე იმავე უფლებებით ისარგებლებდა, რითაც მისი ძველი მესაკუთრე სარგებლობდა. რომაელ იურისტთა აზრით, საკუთრების უფლების ადრეული მატარებლისათვის შეწყვეტილი საკუთრების უფლება მის ახალ მატარებელთან, ახალ მესაკუთრესთან იმავე შინაარსის იქნება, რაც მას გააჩნდა წინა მესაკუთრესთან და საკუთრებას ექნება იგივე დატვირთულობა (საგირავნო და სხვა), რაც მას

დაკისრებული ჰქონდა გასხვისების აქტის შესრულების მომენტში.¹

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა საკუთრების უფლების შეწყვეტის სხვა ხერხსაც. ეს იყო ნივთის ამოღება ბრუნვიდან.

ნივთის ბრუნვიდან ამოღება იწვევდა წინა მესაკუთრის უფლების შეწყვეტას და ნივთი “ინ კომერციო” სფეროდან გადადიოდა “ექსტრა კომერციუმ“-ის სფეროში. ამდენად, აქ არ მოქმედებდა წესი “ნემო პლუს იურის“.

საკუთრების უფლება ნივთზე მესაკუთრეს შეიძლებოდა წართმეოდა მისი საკუთარი ნების წინააღმდეგაც (მაგალითად, ქონების კონფისკაციის შემთხვევაში).

მფლობელობის ხანდაზმულობა რომ საკუთრების უფლების წარმოშობის წყარო იყო, ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ამ შემთხვევაში მესაკუთრე არა მფლობელი კარგავდა ნივთზე საკუთრების უფლებას და მას იძენდა მფლობელი არა მესაკუთრე.

ძველმა საბერძნეთმა და ძველმა რომმა სწორედ კერძო საკუთრების მეშვეობით შეძლეს მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ძეგლებით გაუმდიდრებინათ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია.

აქ ჩვენ ვაღიარებთ ვართ გავიხსენოთ რულოლფ ზომის სიტყვები: “საზოგადოების განვითარების საწყის საფეხურზე ბატონობდა გულუბრყვილო კომუნიზმი, რომელიც ეროვნულ სიძლიერეს განიხილავდა როგორც საზოგადოებრივი კავშირის წევრთა (მეომართა) ავლადიდებას და მას მათ შორის საჯარო სამართლებრივი საშუალებებით ანაწილებდა. ძველად ცხოვრობდა მხოლოდ ხალხი, მასა. საჯარო სამართალი იყო ყველაფერი. მხოლოდ თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხს აიდგამს სამოქალაქო სამართალი და მასთან ერთად კერძო საკუთრებაც, რომ ინდივიდისათვის უზრუნველყო მისი განსაკუთრებული ბატონობის

¹ იხ. ო.ს. იოფე “რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები”, თბ. 1994, გვ. 73-74

სფერო. სამოქალაქო სამართალი მოასწავებდა ინდივიდის გამოცხადებას, ინდივიდუალური ცხოვრების გამოცალკევებას ჯოგურისაგან. ხალხის გვერდით ამიერიდან არენაზე გამოდის ისტორიის მეორე მამოძრავებელი ძალა — საკუთარი თავის თვითშემშუკნებელი პიროვნება. ის ხვლთ იღებს ხალხის განვითარების ინიციატივას. ის ცეცხლს გამოსტაცებს ღმერთებს, რათა კაშკაშა ჩირაღდნით გზა გაუნათოს მთელ ერს“.

§9. საკუთრების უფლების დაცვა

ძველი რომის ცივილური სამართალი კვირიტულ საკუთრებას იცავდა სავინდიკაციო სარჩელის მეშვეობით. სავინდიკაციო სარჩელის მეშვეობით მფლობელ არამესაკუთრეს ედავებოდა მესაკუთრე არა მფლობელი. ლეგისაქციური პროცესის ხანაში თითოეული მოდავე მხარეთაგანი აცხადებდა მაგისტრატის წინაშე საკუთარი მესაკუთრული უფლებების შესახებ და თავის ნათქვამის დასადასტურებლად ჯოხს “ვინდიკტას“ დაადებდა სადაო ნივთს. აქედან წარმოიშვა სახელწოდება — ვინდიკაციური პროცესი.

რომის სამოქალაქო სამართალი კვირიტულ საკუთრებას იცავდა სამი სარჩელით. სავინდიკაციო სარჩელის შესახებ ნაწილობრივ ვისაუბრეთ. გარდა სავინდიკაციო სარჩელისა, საკუთრებას იცავდნენ ნეგატორული და პროჰიბიტორული სარჩელებით.

სავინდიკაციო სარჩელს აღძრავდა მესაკუთრე არამფლობელი მფლობელი არამესაკუთრის წინააღმდეგ და მოითხოვდა ნივთის მისთვის დაბრუნებას.

ასეთ ვითარებაში მოსარჩელეს აწვა მტკიცების ტვირთი — “ონუს პრობანდი“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მოსარჩელეს უნდა ემტკიცებინა, რომ სადავო ნივთი მას ეკუთვნოდა საკუთრების უფლებით, ხოლო მოპასუხე არ იყო ვალდებული რაიმე ემტკიცებინა მისი უფლების შესახებ. ითვლებოდა, რომ მოპასუხის სასარგებლოდ მტკიცებულება თვით ნივთის ფლობის ფაქტი.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ვერ შეძლებდა თავისი კანონიერი უფლებების დამტკიცებას იმის შესახებ, რომ ნივთი მას

გეუთვნოდა საკუთრების უფლებით, მას სარჩელზე უარს ეტყოდნენ.

მოსარჩელის საკუთრების უფლებას ნივთზე მოპასუხის მხრივ შეიძლებოდა დაპირისპირებოდა იმავე ნივთზე გირავნობის უფლება. ამ შემთხვევაში მოპასუხეს კანონიერი საფუძველი ექნებოდა, რომ ნივთი ხელთ ჰქონოდა.

იმ ხანებში, როდესაც არსებობდა დაპირისპირება კვირიტულ და ბონიტარულ საკუთრებას შორის, ბონიტარული მესაკუთრე სარგებლობდა პრეტორისმიერი დაცვის ისეთი საშუალებით, როგორც იყო შესაგებელის წამოყენება. კვირიტული მესაკუთრის საინდიკაციო სარჩელს ბონიტარული მესაკუთრე დაუპირისპირებდა, შესაგებელ სარჩელს, მაგრამ თუ არ არსებობდა საფუძველი შესაგებელი სარჩელის წამოყენებისათვის, მაშინ ნივთს დაუბრუნებდნენ მოსარჩელეს. ლეგისაქციურ პროცესში გამტყუნებული მოპასუხე კარგავდა არა მარტო სადავო ნივთს, სარჩელის საგანს, არამედ წინასწარ შეტანილ “საკრამენტუმ“-საც.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი იღვა შეუზღუდველი ვინდიკაციის პოზიციებზე. რომის სამოქალაქო სამართალს ჩამოყალიბებული ჰქონდა წესი: სადაც მე ვიპოვნი ჩემს ნივთს, იქ ვავნდიცირებ (ვიბრუნებ). ლათინურად იგი ასე გამოითქმოდა: “თუბი რემ მეამ ინვენიო, იბი ვინდიცო“.

ქართულ ფეოდალურ სამართალშიც საპატო ადგილი ჰქონდა დათმობილი ვინდიკაციას. ამასთან დაკავშირებით ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნმა შემოგვინახა ძველი ქართული წესი, “კაცი თავის საქონელს იცნობს, შუას წყალში ჩაეჭიდებისო“ (158-ე მუხლი). მაგრამ შეუზღუდველი ვინდიკაციის განხორციელება ძნელდებოდა რიგი მიზეზების გამო. შეუზღუდველი ვინდიკაცია სოციალურ პრაქტიკაში გაძნელდა რომშიაც.

სამოქალაქო ბრუნვის კეთილსინდისიერი მონაწილეების ინტერესთა გათვალისწინება აუცილებელს ხდიდა შეუზღუდველი ვინდიკაციის პრინციპის შეზღუდვას.

მაგრამ ამის ღრმად გაგებისათვის ჯერ კიდევ არ დამდგარიყო დრო. როგორც ერთი მკვლევარი წერდა: “საჭირო გახდა კაპიტალიზმის დამკვიდრება და კაპიტალიზმით განპირობებული

სასაქონლო წარმოების საერთო ბატონობის და სასაქონლო ბრუნვის წარმოშობა, რომ შეეგნოთ არა მარტო კერძო საკუთრების ყოველმხრივი დაცვის აუცილებლობა (ამას ემსახურებოდა სავინდიკაციო სარჩელი), არამედ ისიც, რომ ეკონომიკური ბრუნვის მოთხოვნების ყოველმხრივი გათვალისწინება იყო საჭირო. ამას, კერძოდ, ხელს უმართავდა ეკონომიკური ბრუნვის ინტერესებისათვის მესაკუთრული უფლებამოსილებების სავინდიკაციო დაცვა“.

ძველი რომის სინამდვილეში არაერთხელ მომხდარა, რომ მსხვილი მეძამულის ადგილ-მაძულზე გავლით მიერეკებოდნენ პირუტყვს ისე, რომ ამის ნებართვა მესაკუთრისაგან არ ჰქონდათ. პირუტყვის მეპატრონე კი აცხადებდა პრეტენზიას, რომ მას ჰქონდა მეძამულის მიწაზე პირუტყვის გატარების უფლება. ასეთ ვითარებაში მიწის მესაკუთრე აღძრავდა სარჩელს მისი მესაკუთრული უფლებების დამრღვევის წინააღმდეგ. ასე გაჩნდა ე.წ. ნეგატორული სარჩელი, ლათინურად “აქციო ნეგატორი“, რაც ნიშნავს სარჩელს უარყოფის შესახებ.

ნეგატორული სარჩელის დაკმაყოფილება კი იმას ნიშნავდა, რომ სასამართლო დაადგენდა, რომ იმ ქონებას, რომელიც მოსარჩელის საკუთრებას შეადგენს, მესამე პირების სასარგებლოდ არ აკისრია სამართლებრივი დატვირთვა. მაშასადამე, მესამე პირთა რაიმე პრეტენზია ხსენებული საკუთრების მიმართ სასამართლოს მიერ იქნებოდა უარყოფილი და საფუძველს მოკლებულად გამოცხადებული.

მჭიდროდ დასახელებულ რომსა და ზოგიერთ სხვა ქალაქებშიც თუ ვინმე თავის ეზოში ისეთ ნაგებობას ააშენებდა, რომელიც მეზობელს ფანჯრებს, სარკმლებს უბნელებდა ან სხვა რიგად აწუხებდა, ამ შემთხვევაში შეწუხებული მესაკუთრე აღძრავდა ე.წ. პროჰიბიტორულ სარჩელს. მაშასადამე, “აქციო პროჰიბიტორია“ იყო სარჩელი წინააღმდეგობის გაწევის შესახებ. ლათინურად “პროჰიბიტორ“ ნიშნავდა წინააღმდეგობის გამწევს, შემაკავებელს.

თუ სასამართლო სარჩელს საფუძველიანად ცნობდა, მაშინ მოპასუხეს დაევალებოდა პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

რამდენიმე წინადადებით შეეჩერდეთ მფლობელობის დაცვაზე

რომის სამოქალაქო სამართლის მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომის სამოქალაქო სამართალი ანსხვავებდა მფლობელობას ნივთის უბრალო პყრობისაგან – “ლეტენციო“-საგან.

მფლობელობის დაცვა, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, თავდაპირველად ადგილ-მამულების მიმართ იქნა გამოყენებული, მაგრამ დროთა ვითარებაში მფლობელობის დაცვა გავრცელდა მოძრავ ნივთებზეც.

ლეტენციოსაგან, პყრობისაგან განსხვავებით მფლობელობა დამოუკიდებელი დაცვით სარგებლობდა. მფლობელს, როცა საქმე ეხებოდა მფლობელობის დაცვას, არავინ თხოვდა მტკიცებულებას, რომ მას ამ ნივთზე უფლება გააჩნდა. საკმარისი იყო დადგენა მფლობელობის ფაქტისა და ამ მფლობელობის დარღვევისა. ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთ არაზუსტ, ნაკლებად დახვეწილ მოსაზრებებს ვხვდებით “დიგესტებში“, სადაც ნათქვამია, რომ საკუთრებასა და მფლობელობას შორის არაფერი საერთო არ არისო (41.2.12.1).

უზუსტობა აქ იმაში მდგომარეობდა, რომ როგორც წესი, უძრავლეს შემთხვევებში ნივთს სწორედ ის პირი ფლობდა, ვინც მისი შესაკუთრე იყო. ამიტომ, ცხადია, შეუძლებელი იყო მფლობელობასა და საკუთრებას შორის არ არსებულიყო რაიმე საერთო.

პრეტორული სამართლის წიაღში თანდათან ჩამოყალიბდა მფლობელობის დაცვა, იგივე პოსსესსორული დაცვა. კანონი იცავდა თვით მფლობელობას, როგორც ფაქტს, მისი სამართლებრივი საფუძვლისაგან დამოუკიდებლად.*

თუ ნივთი ფაქტობრივად ერთი პირის ხელთ იყო, მაგრამ მის მფლობელობაზე პრეტენზიას აცხადებდა მეორე პირი, ასეთ შემთხვევაში მფლობელის დაცვა ხდებოდა პრეტორის ინტერდიქტით.

* სტუდენტებს ვურჩევთ წაიკითხონ გრ. რცხილაძის ამჟამად მივიწვებული წერილი “მფლობელობის დაცვა”. უურხალი “სამართალი” №1, 1928 წ.

მფლობელობა ხელუხლებელი დარჩებოდა, თუ იგი კანონის დარღვევით, ძალადობით არ იყო წარმოშობილი.

პირი, რომლის მფლობელობაშიც ნივთი ადრე იმყოფებოდა, დავის მომენტისათვის უკვე არ იყო მისი მფლობელი იმიტომ, რომ ეს ნივთი მას ძალის გამოყენებით წაართვა მეორე მხარემ, კანონით დაცული იქნებოდა პრეტორის ინტერდიქტით მფლობელობის აღდგენის შესახებ. ხსენებული ინტერდიქტის თანახმად მფლობელობა უნდა დაბრუნებოდა მის ძველ მფლობელს იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ის არსებობდა წარსულში და დაირღვა უკანონო ხერხით.

თუ აღმოჩნდებოდა, რომ მფლობელობა რაიმე კანონსაწინააღმდეგო ხერხით არ იყო მოპოვებული, მაშინ მფლობელობა უმტკიცდებოდა იმას, ვის ხელშიაც ხსენებული მფლობელობა იმყოფებოდა დავის გარჩევის მომენტში.

პოსსესორული პროცესის დროს არ დაიშვებოდა დავის გადატანა ფაქტობრივი ურთიერთობის სფეროდან უფლების სფეროში.

თუ მაგალითად, მესაკუთრემ ნივთი ძალით წაართვა მფლობელს და ამტკიცებდა, რომ ნივთი მას ეკუთვნოდა საკუთრების უფლებით, ეს აქცია მართებულად არ ჩაითვლებოდა აპოსსესორული (მფლობელობითი) პროცესის ფარგლებში, მაგრამ იმ მხარეს, ვინც თავს ნივთის მესაკუთრედ თვლიდა, უფლება ეძლეოდა წამოეწყო (აღეძრა) ე.წ. პეტიტორული პროცესი. ასეთ შემთხვევაში მესაკუთრეს ევალებოდა იმის მტკიცება, რომ მას ნივთზე საკუთრების უფლება გააჩნდა, თუ ამას დაამტკიცებდა, მაშინ ის მიიღებდა მფლობელობაში სადავო ნივთს, მაგრამ უკვე სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ო.ს. იოფემ დააყენა საკითხი: შეიძლება დაგვებადოს კითხვა, მაშ საერთოდ რა მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. "პოსსესორული პროცესს", რა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა მას, თუ ის არ გამორიცხავდა შემდგომში პეტიტორულ პროცესს, რასაც თან სდევდა შესაძლებლობა დავის სრული საწინააღმდეგო მიმართულებით გადაწყვეტისა?

მისი პასუხი კი ასეთია: პირველყოვლისა, პეტიტორული პროცესი ეს იყო – დავა უფლების შესახებ, სადაც მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა იმას, ვინც ნივთს არ ფლობდა, მაგრამ პრეტენზიას აცხადებდა მასზე, ნივთის მფლობელს კი არ ევალბოდა რაიმე მტკიცებულება წარედგინა სასამართლოსათვის, რამდენადაც მის სასარგებლოდ თვით მფლობელობის ფაქტი მეტყველებდა “მაგრამ მონაწილეთა ასეთი თანაფარდობა მფლობელობით პროცესში დამოკიდებული იყო თვით ამ პროცესის შედეგზე“. აღნიშნავდა რა ამ გარემოებას, ხსენებული ავტორი განაგრძობდა: “პოსესსორული პროცესის დამთავრება ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ იმას ნიშნავდა, რომ მტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრებოდა მეორე მხარეს, რომელიც ცდილობდა ნივთის ფლობის ფაქტისათვის დაეპირისპირებინა თავისი საკუთრების უფლება მასზე.

მეტნაკლებად გასაზიარებელია ავტორის აზრი იმის შესახებ, რომ “პოსესსორული“ – მფლობელობითი პროცესის პრაქტიკული აზრი და დანიშნულება პირველყოვლისა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მისი საშუალებით ხდებოდა მტკიცების ტვირთის შესაბამისი განაწილება მომავალი პეტიტორული პროცესის მონაწილეთა შორის.

რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის მკვლევართა დიდი ნაწილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ მფლობელობის დაცვა საბოლოო ჯამში სხვა არაფერი იყო, თუ არა საკუთრების უფლების დაცვა.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რომაელებმა მფლობელობა სპეციალური დაცვით უზრუნველყვეს, მაგრამ ნივთის დეტენტორი (მპყრობელი) ასეთი დაცვით არ აღჭურვეს. ეს კი იმიტომ უნდა მომხდარიყო, რომ რომაული გაგებით ნივთის მფლობელობას თან ახლდა განზრახვა ნივთის თავისთვის ფლობისა და უძრავლეს შემთხვევებში ეს განზრახვა თან ახლდა საკუთრების უფლებას. მესაკუთრე და მფლობელი ხომ უძრავლეს შემთხვევებში ერთ პიროვნებაში იყრიდა თავს. დეტენტორი ნიშნავდა ნივთის სხვისთვის ჭერას და, ამდენად, ის შორს იდგა საკუთრების უფლებისაგან.

საყურადღებოა ის დასკვნა, რომელიც გააკეთა ზემოხსენებულმა

ავტორმა. “ქონებრივი დავების გადაწყვეტის ძველრომაული საპროცესო ფორმალიზმის შესაბამისად მფლობელობის დაცვა აუცილებელია რომელიც გნებავთ სხვა საზოგადოებაშიც, თუ ის თავის სასამართლო პროცესს აგებს ისე, რომ მასში გამარჯვება ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე კი არ იყოს დამოკიდებული, არამედ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე და სხვადასხვა საკანონმდებლო გულზეაზე (პრეზუმპციაზე), რომელიც დადგენილი იყო თითოეული მათგანისათვის და თუ საბჭოთა სამართალმა არ იცოდა პოსესუსორული ინსტიტუტი, არა იმიტომ, რომ ის წავიდა საკუთრების უფლების დაცვის შესუსტების გზით. არამედ იმიტომ, რომ მას ფორმალიზმს მოკლებულს მფლობელობის დაცვა შეეძლო პოსესორული და პეტიტორული სარჩელების ხელოვნური ურთიერთ დაპირისპირების გარეშე, თვით საკუთრების უფლების და მისი საკანონმდებლო წესით განმტკიცებული დაცვის საშუალებების, იურიდიული დაცვის საშუალებების ერთობის გზით.

§ 10. უფლებები სხვის ნივთზე (“იურა ინ რე ალიენა“)

ძველი რომის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საადგილმამულო ურთიერთობებს ძველ იტალიაში. მიწაზე კერძო საკუთრება საკმაოდ ადრე წარმოიშვა და განვითარდა, თუმცა აქ საუკუნეების განმავლობაში მიწაზე საზოგადო საკუთრება თანაარსებობდა მიწაზე კერძო საკუთრებასთან. ერთი ცნობილი ეკონომისტის აზრით, “სრულიად საკმარისია, მაგალითად, რომის რესპუბლიკის ისტორიის ზერელე გაცნობა იმის გასაგებად, რომ მისი ისტორიის საიდუმლოებას მიწის საკუთრების ისტორია შეადგენს“.

მიწებზე კერძო საკუთრების წარმოშობამ, ადგილ-მამულთა დაწვრილ-ერთეულებამ, საკარმიდამო ნაკვეთების სიმცირემ, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა დიდ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში, წარმოშვა პრობლემა მეზობელი ნაკვეთების გამოყენებისა, რაც აუცილებელი ხდებოდა მიწის ნაკვეთების ექსპლუატაციისა და მიღებული მოსავლის რეალიზაციისათვის.

ამ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოშობილი ე.წ. სერვიტუტები. ლათინურად “სერვიტუს“ ნიშნავდა მონურ მღვდმარეობას, დამონებას, მამულზე გატარების უფლებასა და ა.შ.

რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის სპეციალისტები სერვიტუტს განმარტავდნენ, როგორც ადგილ-მამულის პატრონის უფლებას რაიმე მხრივ გამოიყენოს მეზობელი მიწის ნაკვეთი, მაშასადამე, სერვიტუტი არის სხვისი უძრავი ქონების შეზღუდულად სარგებლობის უფლება. რომის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, სერვიტუტის მიზანი იყო საკუთარი ნივთით სხვებისთვის, მესამე პირებისათვის სამსახურის გაწევა. რომის სამართლის წყაროების მიხედვით სერვიტუტის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ უძრავი ქონების მესაკუთრე სხვა მეზობელი მესაკუთრის სასარგებლოდ რაღაცას ითმენდა ან რაღაცას არ აკეთებდა. ცხადია, სერვიტუტები უნდა წარმოშობილიყო სამართალგანვითარების შედეგებით ძალაღონეზე მესაკუთრე შემამულებთა რთული სამეზობლო ურთიერთობების წიაღში.

თანდათან, სანივთო უფლებებში გამოიკვეთა სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება და უფლება სხვის სახლში ცხოვრებისა და სერვიტუტები, როგორც სხვისი ნივთებით სარგებლობის განსაკუთრებული სახეობა.

სერვიტუტების მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო ძველი რომის სახელმწიფოს მესაკუთრეთა ცხოვრებაში, რომ რომაელმა იურისტებმა მათი სამართლებრივი რეჟიმი საკმაოდ კარგად დაამუშავეს.

სერვიტუტები ორ ძირითად კატეგორიად იქნა გაყოფილი: სანივთო-საადგილმამულო სერვიტუტებად და პირად სერვიტუტებად. ცხადია, საადგილმამულო სერვიტუტები მიწის საკუთრებასთან იყო დაკავშირებული.

საადგილმამულო სერვიტუტების სამართლებრივ იდეას საფუძვლად ედო ერთი მესაკუთრე-შემამულის მხრივ მეორე შემამულე-მესაკუთრის მიმართ ვალდებულების შეგნება. მესაკუთრეთა უფლებების აბსოლუტიზაციის უარყოფა, ერთი ადგილ-მამულის ვალდებულებები მეორის სასარგებლოდ ამ ნაკვეთების მესაკუთრეთა

შეცვლისაგან, მესაკუთრეთა პიროვნებებისაგან დამოუკიდებლად. სერვიტუტებმა ხელა შეუწყვეს მეზობელი ადგილ-მამულების ნორმალურ სამეურნეო გამოყენებას, მეურნეობათა ინტენსივიკაციას. ამ სერვიტუტებს გაიუსი უწოდებდა “ქალაქისა და სოფლის ნაკვეთთა უფლებებს”.

სანივთო (საადგილმამულო) სერვიტუტები იყოფოდნენ სასოფლო და საქალაქო სერვიტუტებად.

სასოფლო სერვიტუტებს მთავრებდნენ მეზობლის ნაკვეთზე ქვეითად გავლის უფლებას, პირუტყვის გარეკვის უფლების სხვის მამულზე, ცხენზე ამხედრებულად გავლის უფლებას, მეზობლის წყაროდან (ჭიდან) წყლის აღების უფლებას, აგრეთვე, მეზობლის ადგილმამულზე (საძოვარზე) პირუტყვის ძოვების უფლებას.

საქალაქო სერვიტუტები დაკავშირებული იყო ძველი რომის სახელმწიფოში საქალაქო ცხოვრების სპეციფიკასთან. ქალაქში მცხოვრებნი მეზობელს მოითხოვდნენ, რომ მათ არ დაეზღუდებინათ მათი სარკმლები, არ დაეფარათ ხელი, მიეცათ მათთვის თავის ნაკვეთზე წვიმის წყლის ჩასადენის გაყვანის უფლება და ა.შ. ქალაქებში ხალხის შექურულად ცხოვრობდა და ამიტომ დგებოდა საკითხი მეზობლად მეზობლისათვის მიეცა კედელზე ნაგებობის დაყრდნობის უფლება და ა.შ.

ცალკე სასოფლო სასერვიტუტო უფლებამოსილებას წარმოადგენდა “აკტუს” – ოთხთვალთი გავლის უფლება ან კიდევ “აქველუქტუს” – წყლის გატარების უფლება მეზობლის მიწის ნაკვეთზე.

ხსენებული სერვიტუტებიდან გვიანდელ ხანაში წარმოშობილად ითვლება სხვისი ჭიდან წყლით სარგებლობის უფლება, სხვისი მიწის ნაკვეთის საძოვრად გამოყენების უფლება იმ შემთხვევაში, თუ პირს ეს უფლება წინა მესაკუთრის დროს გააჩნდა. პოსტკლასიკურ ხანაში უნდა იყოს წარმოშობილი აგრეთვე სხვის ადგილ-მამულზე წყლის გადაადების უფლება, სხვისი მიწიდან თიხის აღების უფლება და სხვა.

პირადი სერვიტუტები გულისხმობდნენ მესაკუთრის უფლებების შეზღუდვას კონკრეტული პირის სასარგებლოდ,

რომელსაც გარკვეული უფლებები ენიჭებოდა სხვისი ნივთების მიმართ.

პირადი სერვიტუტების უმნიშვნელოვანესი სახე იყო “უზუფრუკტუს“, უფლება სხვისი ნივთით და მისი ნაყოფით სარგებლობისა, ისე, რომ არ დარღვეულიყო თვით ნივთის არსი, არ დაზიანებულიყო და არ შეცვლილიყო ნივთი, არ შეცვლილიყო მისი სამეურნეო დანიშნულება.

სანამ მოქმედებდა უზუფრუკტუსის სახით პირადი სერვიტუტი, ნივთის მესაკუთრეს არ ჰქონდა უფლება მიეღო ნივთიდან შემოსავალი. ამდენად, ხსენებულ შემთხვევაში, საქმე გვეჩვენებოდა გ. წ. “შიშველ საკუთრებასთან“ (“ნუდა პროპრიეტას“).

უზუფრუკტუსი ერთ ნივთზე შეიძლებოდა ჰქონოდათ რამდენიმე პირს იდეალურ წილთა ფორმით. რამდენადაც ის პირადი სერვიტუტი იყო, მისი შემკვიდრებით გადაცემა არ შეიძლებოდა და არც მისი გასხვისება დაიშვებოდა. როგორც ვხედავთ, სერვიტუტით მესაკუთრის უფლებები იზღუდებოდა გარეშე პირის სასარგებლოდ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სერვიტუტის ძირითადი იდეის თანახმად, ადამიანს უნდა მიეცეს თავის ნაკვეთთან მისვლის საშუალება თუნდაც სხვის ნაკვეთზე გავლის საშუალებით.

უძველესად ითვლება საგზაო სერვიტუტი, რომელიც საკუთარ მამულთან მისვლის საშუალების გარდა გულისხმობდა სატრანსპორტო საშუალებისა და პირუტყვის გასავლელი გზის უფლების მოპოვებასაც.

უზუფრუკტუსის და სხვის ნივთზე სხვა უფლებების შესახებ დებულებას შეიცავენ თანამედროვე განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები. იცნობს მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც. რაც შეეხება ფეოდალური ხანის ქართული სამართლის ძეგლებს, იქ ისინი შედარებით მკრთალად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ სასამართლო პრაქტიკის მასალებში და კერძო სამართლებრივ მასალებში იგრძნობა, რომ სხვის ნივთზე უფლებების ინსტიტუტი საქართველოშიც არსებობდა. განსაკუთრებით კარგად არის გამოკვეთილი ქალაქურ დოკუმენტებში წყლის გზა.

რაც შეეხება სერვიტუტების სპეციალური ტერმინის საკითხს საქართველოში ჩანს, რომ ასეთი XII საუკუნეში არ არსებულა. ლათინური სერვიტუტის შესატყვისად “დიდი სჯულის კანონის” ქართულ თარგმანში იხმარება “საქმე”.

რამდენადაც უფლებები სხვის ნივთზე წარმოადგენდნენ სანივთო უფლებებს, მათაც გააჩნდათ სანივთო უფლებებისათვის დამახასიათებელი ისეთი თვისება, როგორცაა ნივთისათვის მიწის (მიღევნების) უფლება და უპირატესი დაკმაყოფილების წესი იმავე ნივთთან დაკავშირებულ პირად უფლებებთან შედარებით.

როგორც ვნახეთ, სერვიტუტები ისეთი სახეობა იყო სხვისი ნივთით სარგებლობის უფლებისა, რომლის ძალითაც უფლებამოსილ პირს შეეძლო სხვისი ნივთით სარგებლობა და სხვების შეზღუდვაც ამ ნივთით სარგებლობაში, სხვის ნივთზე ბატონობა ყოველთვის დაკავშირებული იყო საკუთარი ნივთის, საკუთარი მიწის ნორმალურ სარგებლობასთან.

რომაელმა იურისტებმა სცადეს შეემუშავებინათ ზოგიერთი საერთო ნორმა, რომელსაც უნდა მოეცვა სერვიტუტების ყველა სახეობა.

რომაელები ფიქრობდნენ, რომ, რამდენადაც სერვიტუტი სანივთო უფლებაა, ნივთზე უფლებაა, ლოგიკური იქნებოდა, სერვიტუტი არ ყოფილიყო საფუძველი უფლებამოსილი პირისათვის რომელიმე მოქმედების შესრულების მოთხოვნისა.

არსებობდა ლათინური იურიდიული გამოთქმა “სერვიტუს ინ ფაციენდო კონსისტერე ნონ პოტესტ” — “სერვიტუტი არ შეიძლება რომ მოქმედებას შეიცავდეს”.

რომაელთა აზრით, სერვიტუტის შინაარსი უნდა მდგომარეობდეს არა რაიმეს კეთებაში, არა რაიმეს ქმნაში, არამედ უფლებამოსილი პირის მოქმედების მოთმენა-ატანაში. როგორც ძველი რომაელები იტყოდნენ “ნონ ინ ფაციენდო, სედ ინ პატიენდო”.

საერთო წესის მიხედვით, ვაღდებულ პირს არ უნდა შეეცვალა უფლებამოსილი პირის ნაკვეთიდან ჩამომდინარე წყლისთვის მიძართულება, წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია უფლებამოსილი პირისთვის ამოუღო ჭიდან ან წყაროდან წყალი და ა.შ.

მაგრამ რომის სამართლის წყაროების მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაიშვებოდა იშვიათი გამონაკლისიც “სერვიტუს ონერიის ფერენდის” სახით. “სერვიტუს ონერიის ფერენდი” – ნიშნავდა უფლებას იმის შესახებ, რომ მეზობელს არ მოეხდინა ზემოქმედება იმ საგნებზე, რომლებიც ხელს უწყობდნენ ჩემი კუთვნილი შენობის სიმტკიცეს – ეს იყო დამძიმების აუცილებლობასთან დაკავშირებული სერვიტუტი.

ავიღოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, უფლებამოსილი პირის (სერვიტუარის, სერვიტუტის უფლების მქონის) შენობა ეყრდნობოდა ვალდებული პირის კედელს. ასეთ ვითარებაში, ეს უკანასკნელი ვალდებულად ითვლებოდა, ხსენებული კედელი გაერემონტებინა არა მარტო თავისი, არამედ უფლებამოსილი პირის ინტერესების გათვალისწინებითაც.

სერვიტუტი წყდებოდა, როგორც კი სერვიტუტით დამძიმებული (დატვირთული) ნივთი სერვიტუარის, უფლებამოსილი პირის, საკუთრებაში გადადიოდა.

თუ უფლებამოსილი პირი იგივე გაბატონებული ნაკვეთის მესაკუთრე შეიძენდა დაქვემდებარებულ ნაკვეთს როგორც კერძო საკუთრებას, ცხადია, სერვიტუტის უფლებაც ქრებოდა.

სანივთო სერვიტუტი ყოველთვის არსებობდა იმ ორი ნივთის ფარგლებში, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი იყვნენ ბატონობა – მორჩილებითი ურთიერთობებით (ბატონობა-დაქვემდებარებით).

რომის ცივილური სამართალი ერთ სიბრტყეზე განიხილავდა კვირიტულ საკუთრებასა და სერვიტუტებს. იგივე შეზღუდვები, რაც დამკვიდრებული იყო კვირიტული საკუთრების მიმართ, ვრცელდებოდა აგრეთვე სერვიტუტებზეც. სერვიტუტების დაწესება მიუღებლად ითვლებოდა უცხოელების (პერეგრინუსების) სასარგებლოდ. სერვიტუტები არ ვრცელდებოდა არც არამანციპირებულ ნივთებზე, კერძოდ, მიწებზე (ადგილ-მამულებზე) რომის პროვინციებში ე.ი. ისეთ მიწა-ალაგზე, რომელთა გასხვისებაც შეიძლებოდა უბრალო გადაცემით, ანუ ტრადიციით. ხანდა-ზმულობით შეიძინებოდა მხოლოდ სხეულებრივი ნივთები. სერვიტუტები კი უსხეულო ნივთებად ითვლებოდნენ.

მაგრამ დროთა ვითარებაში პრეტორებმა სერვიტუტები ცნეს პროვინციის მიწებზეც და პერუგრინუსებმაც მიიღეს სერვიტუტებით სარგებლობის უფლება.

ახ. წ. VI საუკუნეში ბიზანტიაში იმპერატორ იუსტინიანეს საკანონმდებლო მოღვაწეობა შეეხო სერვიტუტებსაც. სერვიტუტის დაწესება შეიძლებოდა “იუდიციუმ“-ის ხერხით, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სასამართლოს მხედველობაში უნდა მიეღო საზოგადოების ინტერესები, სამეურნეო სარგებლობის დონე. თუ ადგილ მამულის ოპტიმალური გამოყენება სერვიტუტის გარეშე შეუძლებელი იყო, სასამართლოს შეეძლო თავისი მიხედულებით მიეღო გადაწყვეტილება სერვიტუტის დაწესების შესახებ.

იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობამ სერვიტუტებზეც დააწესა შეძენითი ხანდაზმულობა. თუ პირი ათი წლის განმავლობაში მშვიდად და უწყვეტად სარგებლობდა სერვიტუტის უფლებით, შეძენითი ხანდაზმულობის შესახებ კანონის თანახმად ის უკვე კანონზე დაყრდნობით ისარგებლებდა ხსენებული უფლებით. თუ დაქვემდებარებული ადგილ-მამულის მესაკუთრე საზღვარგარეთ იმყოფებოდა, მაშინ სერვიტუტის წარმოსაშობად ხანდაზმულობის ოცი წელი იყო დაწესებული.

სერვიტუტის შეწყვეტა

პირადი სერვიტუტის უფლების მატარებლის გარდაცვალება იწვევდა სერვიტუტის უფლების შეწყვეტას. ეს უფლება მის მემკვიდრეებზე არ გადადიოდა.

მაგრამ თუ სერვიტუტი სანივთო ხასიათისა იყო, მაშინ ის წყდებოდა თუ გაბატონებული და დაქვემდებარებული ადგილ-მამული ერთი მესაკუთრის ხელში ერთიანდებოდა, ან თუ ეს ადგილ-მამულები რაიმე მიზეზით მოისპობოდა. ზოგჯერ ხდებოდა, რომ სერვიტუტის ძვლობელი უარს იტყოდა თავისი უფლების გამოყენებაზე, რასაც სერვიტუტის შეწყვეტა მოსდევდა.

შეიძლებოდა, როგორც ეს რომის სამართლის წყაროებიდანაც ჩანს, სერვიტუტის ძვლობელს სერვიტუტი არ გამოეყენებინა:

დიდი ხნის განმავლობაში, რაც სერვიტუტის შეწყვეტას იწვევდა. ცივილური სამართალი შეიცავდა ნორმას, რომლის მიხედვითაც ორი წლის განმავლობაში უძრავი ქონების მიმართ სასერვიტუტო უფლების გამოუყენებლობა იწვევდა მის შეწყვეტას. მაგრამ ეს ნორმა შეიცვალა და საბოლოოდ დადგინდა, რომ უძრავი ქონების მიმართ ხსენებული უფლების გამოუყენებლობა ათი წლის განმავლობაში გამოიწვევდა მის შეწყვეტას.

სერვიტუტების დაცვა ხდებოდა ე.წ. “აკციო კონფესსორიას”, ანუ კონფესსორული სარჩელის მიხედვით იმ შემთხვევაში, თუ სერვიტუტები წარმოშობილი იყო ცივილური სამართლის საფუძველზე.

სხვის ნივთებზე უფლებათა კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე სუპერფიცისი — მემკვიდრეობითი სარგებლობა სხვის მიწაზე აგებული შენობით და ემფიტევზისი — სამუდამო — მემკვიდრეობითი იჯარა.

სუპერფიცისი იყო სანივთო უფლება, რომელიც აღმოცენდება სხვის მიწაზე, სხვის ადგილ-მაბულზე აგებული სახლის ან სხვა ნაგებობის აღმართვის შედეგად.

პროფ. ო. ს. იოფე თავის ნაშრომში “რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები” წერდა: იურიდიულად მიწასა და მასზე აგებულ ნაგებობათა შორის არსებობდა ისეთივე თანაფარდობა, როგორც მთავარსა და დაქვემდებარებულ ნივთს შორის და იმ წესიდან გამომდინარე, რომ დაქვემდებარებული ნივთი იზიარებდა მთავარი ნივთის ბედს, გამომდინარეობდა კერძო დასკვნაც. სუპერფიცისი თან უნდა ახლდეს, მისდევდეს მიწის ნაკვეთს.

მართლაც, რომაელებს უყვარდათ იურიდიული ანდაზის გამეორება: “სუპერფიცის სოლო ცედიტ” — ყველაფერი რაც ამეხებულა მიწაზე (ჩაშენებულია მასში) იზიარებს მის ბედს.

ამ წესის თანახმად, ვისაც არ უნდა აეშენებინა სახლი სხვის ადგილ-მაბულზე, მის მესაკუთრედ ჩათვლიდნენ მხოლოდ იმ მიწის მესაკუთრეს, რომელზეც შენობა იყო აგებული.

სახლის ამშენებელი მიწის მესაკუთრესთან დებდა ხელშეკრულებას და ფორმალურად მისგან ქირაობდა იმ შენობას, რომელიც

მან თვითონ ააგო, ააშენა. ყოველწლიურად გადახდილი ქირა – “სოლარიუმ” – შენობის ამგებს აძლევდა უფლებას ხანგრძლივი დროით ესარგებლა მისივე აშენებული სახლით. ცხადია, ფორმალურად ბინის ამშენებელს გააჩნდა არა სანივთო, არამედ მხოლოდ პირადი უფლება აგებულ შენობაზე და, ცხადია, მასთან დაკავშირებულ მიწის ნაკვეთზეც.

მაგრამ სოციალური პრაქტიკა ცვლილებებს განიცდიდა. პრეტორმა შენიშნა შექმნილი ვითარების უხერხულობა. ამასთან დაკავშირებით, პრეტორმა შედარებით ფართო დაცვა მიანიჭა სხვის ადგილ-მამულში სახლის, შენობის ამშენებელს. მას უკვე შეეძლო მისი უფლება მემკვიდრეობით გადაეცა, გაესხვისებინა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, გამშენებლის უფლებების დაცვა შეიძლებოდა ყველასა და ცალკეულის წინააღმდეგ, თვით ადგილ-მამულის მესაკუთრის წინააღმდეგაც კი.

სუპერფიციარის უფლებების დაცვა შეიძლებოდა როგორც სარჩელებით, ასევე ინსტრუქტით. სარჩელები თავისი შინაარსით, არსებითად, ანალოგიური იყო სავინდიკაციო, ნეგატორული და პროჰიბიტორული სარჩელებისა. დროთა ვითარებაში სუპერფიციუსი პირადი უფლებიდან სანივთო უფლებად გადაიქცა.

საინტერესოა ემფიტევზისის განვითარების გზაც. ემფიტევზისი ბერძნული წარმოშობის სიტყვაა, სადაც ის სიტყვასიტყვით ნიშნავდა დანერგვას, დარგვას. ეს ინსტიტუტი საბერძნეთიდან შეიტვისა რომის სამოქალაქო სამართალმა. საბერძნეთში, უკვიპტესა და კართაგენში გავრცელებული იყო მიწის (ადგილ-მამულის) მემკვიდრეობითი იჯარა. რომის სამართალი იცნობდა მიწის ხანგრძლივ იჯარას. ასეთ ადგილ-მამულს, ჩვეულებრივ, იჯარით გასცემდა სახელმწიფო ან საჯარო კორპორაცია, რა თქმა უნდა, სათანადო საზღაურის გადახდის პირობით. თავდაპირველად, ეს ხანგრძლივი დრო ასე წლით განისაზღვრებოდა მოგვიანებით კი გადაიქცა სამუდამო იჯარად.

ემფიტევზისის მფლობელს უფლება ჰქონდა შეეცვალა ადგილმამულის დანიშნულება ისე, რომ არ გაეუარესებინა იგი. ემფიტევტს (ემფიტევზისის მფლობელს) უფლება ჰქონდა

გაესხვისებინა, დაეგირავებინა და მემკვიდრეობით გადაეცა იგი.

რომაული “იუს ინ აგრო ვეკტიგალი” – ემფიტევზისის რომაული ვარიანტი თანდათან შეერწყა აღმოსავლურ ემფიტევზისს და VI საუკუნის პირველ ნახევარში, იმპერატორ იუსტიანეს საკანონმდებლო რეფორმების ხანაში, გადაიქცა ერთიან ინსტიტუტად “ემპტიტევზისის” სახელწოდებით (იხ. “დიგესტების” ტექსტის წიგნის მესამე ტიტული).

რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის სპეციალისტების დასკვნით სუპერფიციუსის და ემფიტევზისის ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს პრეტორებმა. ითვლება, რომ ორივე ზემოხსენებული ინსტიტუტი ძირითადად პრეტორების მიერ იყო კონსტრუირებული. დროთა განმავლობაში დაძლეულ იქნა რომის სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი ლუალიზმიც.

საბოლოოდ, ემფიტევტს მიეცა ემფიტევზისის გაყიდვის უფლება იმ დათქმით, რომ მისი უპირატესი შესყიდვის უფლება ექნებოდა მესაკუთრეს. ამასთან ერთად, დადგენილ იქნა ისიც, რომ თუ ემფიტევტი სამი წლის განმავლობაში არ გადაიხდიდა ემფიტევზისის სარგებლობისათვის დაწესებულ გადასახადს (ე. წ. “კანონს”, “პენსიოს” თუ “ვეკტიგალს”), მაშინ ემფიტევტი კარგავდა ემფიტევზისს.

ავტორთა ნაწილი საგირავნო სამართალს განიხილავს სხვის ნივთებზე უფლებების კონტექსტში. ასე იქცეოდა, მაგალითად, პროფ. ივანე ბორისის ძე ნოვიცკი თავის ნაშრომში “რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები” (1956 წლის გამოცემა).

ავტორთა კოლექტივმა, რომელმაც შეადგინა რუსულ ენაზე “რომის კერძო სამართალი” (დაიბეჭდა 1948 წელს მოსკოვში, გვ. 582) გირავნობა განიხილა ვალდებულებითი სამართლის განყოფილებაში. ხსენებული ნაშრომის თანავტორები და რედაქტორები იყვნენ პროფესორები: ი. ბ. ნოვიცკი და ი. ს. პერტერსკი.

ი. ბ. ნოვიცკი საგირავნო სამართალს განიხილავდა, როგორც სხვის ნივთებზე უფლებათა ნაირსახეობას. თუმცა, ცხადია, მას კარგად ესმოდა, რომ გირავნობის დანიშნულება იყო ვალდებულების

შესრულების უზრუნველყოფა. გირავნობა განეკუთვნება სხვის ნივთებზე უფლებათა კატეგორიას, მაგრამ ამავე დროს დასაშვებია მისი განხილვა ვალდებულებითი სამართლის განყოფილებაშიც, რადგან მისი უპირველესი დანიშნულება სწორედ აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაა. გირაო კრედიტორს ჭირდება მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სანივთო უზრუნველყოფისათვის.

რევოლუციამდელი ხანის დიდი რომანისტებიდან პროფ. ვ. მ. ხვოსტოვი თავის “რომის სამართლის ისტორიაში” გირავნობის სამართალს განიხილავს სხვის ნივთებზე უფლებების განყოფილებაში.

გირავნობის ინსტიტუტმა რომის სახელმწიფოში განვითარების რთული გზა გაიარა. შეინიშნება ისიც, რომ რომის სამართალს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გირაო სხვადასხვა ტერმინით გამოიხატებოდა. “დიგესტებში” (20.1.4) გირაოს აღსანიშნავად უკვე გვხვდება “ჰიპოტეკა”.

გირაოს საფუძველია დებიტორის ვალდებულება და პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე. ეს ვალდებულება – “ობლიგაცია” განმტკიცებულია ნივთობრივად “ნივთის პასუხისმგებობით”. თუ დებიტორი თავის ვალდებულებას არ შეასრულებს კრედიტორის წინაშე, მაშინ კრედიტორს საშუალება ექნება გირაო ნივთიდან დაიკმაყოფილოს თავი.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით დებიტორის მიმართ. ის პირველ ყოვლისა კრედიტორის ინტერესებს იცავდა.

თავდაპირველად, როგორც ჩანს, წარმოიშვა ე.წ. “ფიდუცია” – გირაოს ისეთი ფორმა, რომლის მიხედვითაც გირაო ნივთი გადაეცემოდა კრედიტორს იმ პირობით, რომ მას შემდეგ, რაც კრედიტორის კანონიერი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნებოდა დებიტორის მიერ, გირაო ნივთს კრედიტორი დებიტორს დაუბრუნებდა.

ჩვენამდე შემონახულია ახ. წ. პირველი თუ მეორე საუკუნის ფიდუციური გირავნობის ტექსტი, საიდანაც ჩანს, რომ თუ დებიტორი კრედიტორს დროზე არ დაუბრუნებდა ნასესხებ თანხას, მაშინ

კრედიტორს უფლება ექნებოდა გაეყიდა ხსენებული თანხის ანგარიშში გირაოდ აღებული ადგილ-მამული და ძონა.

როგორც ჩანს, რესპუბლიკის ხანაში მაინც, ხალხი ენდობოდა ე.წ. "ფიდეს რომანა"-ს, რომაელთა პატიოსნებას, მათ პატიოსან სიტყვას. ეს ჩანს ისტორიკოს პოლიბიოსის თხზულებიდან (VI, 56), რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს რომაელთა სანდობას და ამაგებს ბერძენთა უპირობას და არაკეთილსაიმედობას საქმიან ურთიერთობებში. მაგრამ, ცხადია, სამართალი მართო რომაელთა მოსალოდნელ პატიოსნებას ვერ დაეკრძნობოდა. მით უფრო, რომ ეს პატიოსნება თანდათან ქრებოდა. თუ კრედიტორი თავის პატიოსან სიტყვას გატეხდა კრედიტორის მიმართ, პრეტორი მას დაიცავდა ე.წ. ფიდუციური სარჩელით.

დროთა ვითარებაში "ფიდუციაში" გზა დაუთმო პიგნუსს. გირაოს ასეთი ფორმის დროს დებიტორი გადასცემდა კრედიტორს ნივთს ვალის უზრუნველყოფად, მაგრამ უკვე არა საკუთრებაში, არამედ მხოლოდ მფლობელობაში.

"დიგესტებში" მოთავსებული განმარტების თანახმად "პიგნუსის" ტიპის გირაოს შემთხვევაში დაგირავებული ნივთი ითვლებოდა დებიტორის საკუთრებად და მხოლოდ მფლობელობა გადადიოდა კრედიტორზე.

ფიდუციასთან შედარებით ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი სამოქალაქო ბრუნვისა და საკრედიტო ურთიერთობის განვითარების გზაზე.

მაგრამ რომის სამოქალაქო სამართალმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ.

წარმოიშვა და გაფორმდა ადგილ-მამულთა გირაუნობის ახალი სახეობა — ჰიპოთეკა. ამ უკანასკნელის ფესვებს ბერძნულ და ეგვიპტურ სამართლის წიაღში ვარაუდობენ მკვლევარები.

ჰიპოთეკის შემთხვევაში დაგირავებული ადგილ-მამული ისევ დებიტორის მფლობელობაში რჩებოდა. გონივრული არ იქნებოდა, რომ დაგირავებული ადგილმამული იმ კრედიტორის ხელში მოხვედრილიყო, რომელსაც მისი მართვის და დამუშავების გამოცდილება არ გააჩნდა, უფრო მიზანშეწონილად ჩათვალეს

დაეტოვებინათ დაგირავებული ადგილ-მამული დებიტორის ხელში, რომ მას უფრო გაადვილებოდა კრედიტორისთვის ვალის გადახდა. უკვე ძველ საბერძნეთში კრედიტის მიღება შესაძლოა დაკავშირებოდა უძრავი ქონების დაგირავებას. თუ დებიტორი დროზე ვერ გადაუხდიდა ვალს კრედიტორს, ამ უკანასკნელს არ შეეძლო უცებ ხელთ ეგდო დებიტორის ადგილ-მამული და გაეყიდა ის, საჭირო იყო გარკვეული პროცენტის წამოწყება, რომ დებიტორის უძრავი ქონება კრედიტორის საკუთრებად ქცეულიყო. რა თქმა უნდა, რომშიც კრედიტორს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მის საკუთრებაში გადაეცათ ვალაუვალი დებიტორის უძრავი ქონება.

1872 წელს ვარშავაში რუსულ ენაზე გამოიცა თ. დიდინსკის წიგნი – “გირავნობა რომის სამართლის მიხედვით“, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ფასეულობას. ხსენებულ წიგნში საჰიპოთეკო სარჩელებს ეძღვნება ათიოდე გვერდი.

ფილუცია, პიგნუს და ჰიპოთეკა საგირავნო სამართლის განვითარების სათანადო ეტაპებთან იყო დაკავშირებული.

სავაჭრო ბრუნვის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობდა ვერც ფილუცია და ვერც “პიგნუს“-ი. ფილუციის შემთხვევაში მძიმე იყო დაზარალებლის ე. ი. იმ პირის მდგომარეობა, ვინც ნივთს აგირავებდა; ხოლო “პიგნუს“-ის დროს არ იყო სახარბიელო მოგირავნის მდგომარეობა, იმ პირის მდგომარეობა, ვინც მიიღო გირაო ნივთი. თუ ეს უკანასკნელი რაიმე მიზეზით ნივთს დაკარგავდა, მას ყოველთვის როდი შეეძლო თავისი უფლებების დაცვა და ნივთის უკანვე მიღება. თვით სამეურნეო პროგრესის მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოდიოდნენ გირავნობის ხსენებულ ფორმებთან.

რომის სამოქალაქო სამართლის კლასიკური ხანის პროდუქტი იყო გირაოს მომღვენო ფორმა – ჰიპოთეკა. მოვალე ამ შემთხვევაში რჩებოდა დაგირავებული ნივთის მესაკუთრედაც და მფლობელადაც, ხოლო მოგირავნეს შეეძლო, თუ მოვალე თავის ვალდებულებას არ შეასრულებდა, გამოეთხოვა დაგირავებული ნივთი ნებისმიერი პირისაგან, ვის ხელშიც არ უნდა აღმოჩენილიყო ის. მიღებული ნივთი გაეყიდა და აღებული საფასურიდან დაეფარა თავისი მოთხოვნა დებიტორის (მოვალის) მიმართ.

ვთქვათ, გაიუსს დომიციუსისა მართებდა ათასი სესტერციუს (ვერცხლის მონეტა) და თავისი ვალის უზრუნველსაყოფად მან დაგირავა ადგილ-მაძული. დაგირავებული მიწა კი კვლავ დებიტორს – გაიუსის საკუთრებასა და მფლობელობაში რჩებოდა. როცა ვალის გადახდის ვადა მოახლოვდა, გაიუსმა დაგირავებული ადგილ-მაძული გაყიდა. მიყიდა იგი ვინმე პაულუსს. დომიციუსს უფლება ჰქონდა წარედგინა სარჩელი პაულუსისათვის და მიეღწია იმისათვის, რომ საჯარო ვაჭრობით გაეყიდა ეს ადგილმაძული და აქედან აეღო თავისი კუთვნილი თანხა.

თუ ხსენებული ადგილ-მაძული ორი ათას სესტერციუსად გაიყიდებოდა, აქედან ათას სესტერციუსს მიიღებდა დომიციუსი, ხოლო დანარჩენ ათასს კი პაულუსი, როგორც მიწის მესაკუთრე. ხოლო თუ პაულუსს მიწის ნაკვეთში გადახდილი ექნებოდა ათას ხუთასი სესტერციუსი, მას შეეძლო ეს ხუთასი სესტერციუსი გადაეხდევინებინა გაიუსისათვის.

დაიშვებოდა ერთი და იგივე უძრავი ქონების დაგირავება რამდენიმე კრედიტორის მიერაც. თუ ადგილ-მაძული ღირდა ათი ათასი სესტერციუსი, მის მესაკუთრეს შეეძლო იგი დაეგირავებინა. ვთქვათ, სამი კრედიტორისათვის, რომელთაგან აღებული ვალი საერთო ჯამში ნაკლები იქნებოდა ათი ათას სესტერციუსზე. ვალში დაგირავებული მიწის გაყიდვის მოთხოვნის უფლება ამ შემთხვევაში ენიჭებოდა მის პირველ მოგირავნეს. რანგით დაბლა მდგომ მოგირავნეებს შეეძლოთ შეეთავაზებინათ პირველი მოგირავნისათვის მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და, თუ პირველი მოგირავნე დაკმაყოფილებული იქნებოდა, მის ადგილს დააკავებდა შემდგომი, ე.ი. მეორე მოგირავნე. ასეთი იყო საპიპოთეკო უფლებამონაცვლეობის წესი.

იმ შემთხვევაში, თუ დაგირავებული ნივთის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხა მოგირავნე კრედიტორებს დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ იქნებოდა, მაშინ, საერთო წესით, სარჩელის აღძვრა შეეძლოთ დებიტორის მიმართ.

§ 11. ვალდებულებითი სამართალი

ცხადია, რომის სამოქალაქო სამართალი ძვ. წ. V საუკუნეში და ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებში სულ სხვადასხვა ისტორიულ დონეზე იდგა.

უკვე ძვ. წ. II - I საუკუნეებში რომი მსოფლიო მნიშვნელობის სახელმწიფო იყო საკმაოდ განვითარებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობებით. სწორედ ამ დროს იწყებს ჩამოყალიბებას თავისი განვითარებული სახით ძველი რომის სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი – ვალდებულებითი სამართალი. ამ უკანასკნელმა რომის იმპერიის დაღუპვიდან ათასზე მეტი წლის შემდეგ დიდი ზეგავლენა მოახდინა გვიანფეოდალური ხანის ევროპულ სამართალზე. გვიანი შუა საუკუნეების იურისტ მკვლევარებს ეჩვენებოდათ, რომ სწორედ რომაელთა ვალდებულებითი სამართალში იყო აკუმულირებული უმაღლესი იურიდიული სიბრძნე.

1985 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა “ნაუკაშ” გამოსცა ორტომიანი ნაშრომი “ძველი რომის კულტურა“, რომლის პირველი ტომის მესამე თავად დაბეჭდილია ცნობილი მკვლევარის – ე.მ. შტაერმანის ნაშრომი – “რომის სამართალი“ (გვ. 210-247).

ხსენებულ ნაშრომში, რომელიც დაწერილია განათლებით ისტორიკოსის მიერ, კარგად არის ნაჩვენები რომის სამართლის ზრდა-განვითარების ისტორიული გზები და ეტაპები.

ე. მ. შტაერმანი მართებულად აღნიშნავდა, რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ ცხოვრებაში წარმოშვა სხვადასხვა სახის გარიგებანი: ნასყიდობის, იჯარის, სესხის, გირავნობის, ჰიპოთეკის, მუშაკთა დაქირავების, სხვისი საქმეების საწარმოებლად მინდობილობის და საქმიანი ამხანაგობების შექმნისა.

მონათმფლობელი მებატონეები ხშირად იყენებდნენ მონებს ან გააზატებულ მონებს, როგორც თავიანთ საქმიან აგენტებს. სამართალიც, დროთა ვითარებაში ითვალისწინებს სავაჭრო ბრუნვის მოთხოვნებს და აწესრიგებს ასეთ ურთიერთობებს.

ციცერონის აზრით, განუზოგადებელი სახით სამართლის მრავალრიცხოვანი წყაროების არსებობამ დიდი სიძნელეები შექმნა

სამართლის შესწავლის საქმეში, ის ჩიოდა, რომ მის თანამედროვე იურისტებს კარგად არ ესმით სხვადასხვა დახლართული საქმეებისა, სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებისა და ვალდებულებება. დროის მოთხოვნებით მიღებული იყო კანონები მევახშეობის წინააღმდეგ, რომლითაც წლიური საპროცენტო განაკვეთად ათი-თორმეტი პროცენტი იყო გადაწვეტილი. ამ კანონებმა გარკვეული როლი ითამაშა უზომო მევახშეობის წინააღმდეგ ბრძოლაში და შემოაღწიეს ფეოდალური ქვეყნების სამართლის წიგნებში, მათ შორის ქართული სამართლის ძეგლებშიც.

ვალდებულებითი სამართლის მოქმედების მთავარი არეალი იყო მიმოქცევის სფერო. ვალდებულების ძალით ერთი პირის ქონება შესაძლოა მეორე პირის ხელში გადავიდეს. ვალდებულებითი სამართლის ნორმების მოქმედება რომში წლებით წინ უსწრებდა ვალდებულების შესახებ ზოგადი ცნების წარმოქმნას.

ე. ძ. შტაერმანს კარგად აქვს ძაწვები, რომ რომის მსოფლიო სახელმწიფოდ გადაქცევამ და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ ახალი ამოცანები დასახა სამართლის წინაშე, მოძველებული თორმეტი ტაბულის კანონების მიხედვით უკვე ძელი იქნებოდა გართულებული საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგება, სოციალურმა პრაქტიკამ საჭიროდ აქცია ისეთი სამართლებრივი ნორმების შექმნა, რომლებიც ამ ახალ სიტუაციაში გამოდგებოდა.

ვალდებულება, ანუ “ობლიგაცია” იმპერატორ იუსტინიანეს ინსტიტუციებში განმარტებული იყო, როგორც სამართლებრივი ბორკილები, რომლებიც ჩვენ გვაიძულებენ მოვიმოქმედოთ რაიმე, ჩვენი სახელმწიფოს კანონების მიხედვით“.

რაც უფრო არქაული ხანის რომის სამოქალაქო სამართალთან გვაქვს საქმე, მით უფრო მკაცრ ნორმებს ვხვდებით ვალდებულებითი სამართლის სფეროში. ძვ. წ. V საუკუნეში რომის სამოქალაქო სამართალი საკმაოდ განვითარებული იყო, მაგრამ მაინც შეიცავდა უფრო არქაული ხანიდან გადმოყოლილ მკაცრ, შეიძლება ითქვას, ველურ ნორმებს ვალაუვალი პირის მიმართ, შეიძლებოდა დებიტორის, რომელიც ვალს ვერ გადაიხდიდა, დამონება, მონად

გაყიდვა ბაზარზე, მისი ბორკილებით შეკვრა და ა.შ. დაზონებულ დებიტორს კი კრედიტორი უფლებამოსილი იყო ისე მოქცეოდა, როგორც სივთს. ასე რომ, ვალაუვალი პირის მდგომარეობა ძველი რომის სახელმწიფოში სახარბიელი არ იყო. შექსპირის “ვენეციელ ვაჭარში” კრედიტორი ვალაუვალი დებიტორის სხეულიდან ხელწერილით გათვალისწინებული ხორცის მოჭრას რომ მოითხოვდა, ეს მოტივი არც ისე შორს იდგა სინამდვილისაგან.

ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობები არქაულ სამართლებრივ ხანაში უხეშ ფორმებში კლინდებოდა. კლასიკური ხანის რომაული სამართალი თანდათან იშორებდა ამ არქაულ გადმონაშთებს.

ვალდებულება გულისხმობს ორი პირის სამართლებრივ კავშირს მაგალითისათვის წარმოვიდგინოთ კრედიტორსა და დებიტორს შორის ურთიერთობა. ამასთან კრედიტორის მხარეზეა უფლებები, ხოლო დებიტორს აკისრია ვალდებულებები.

ვალდებულების შინაარსის შესახებ რომაელ იურისტებს გარკვეული მოძღვრება ჰქონდათ შემუშავებული.

ვალდებულების საგანი შესაძლოა ყოფილიყო “დარე” (რაიმეს მიცემა ან გადაცემა) და “ფაცურე” (გარკვეული მოქმედების შესრულება). გარდა ამისა, წყაროებში ვალდებულების შინაარსის აღსანიშნავად ვხვდებით გამოთქმას “პრაესტერე”, რომელშიაც იგულისხმება პირველ ყოვლისა ზარადის (ზიანის) ანაზღაურების ვალდებულება.

რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ი. ს. პერეტერსკი წერდა:

“უძველეს პერიოდში, განუვითარებელი აღებ-მიცემობის პირობებში, ვალდებულებანი მხოლოდ სასტიკად განსაზღვრულ და მცირერიცხოვან შემთხვევაში აღმოცენდებოდა, ვალდებულების აღმოცენებისათვის ჩვეულებრივ საჭირო იყო განსაზღვრულ ფორმალობათა შესრულება, ვალდებულების შედეგად იქმნებოდა მოვალის პიროვნული პასუხისმგებლობა (მოვალის დაკაბალების შესაძლებლობა და მისთანები. მაგრამ რესპუბლიკის მიწურულიდან, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით, მატულობს ისეთი შემთხვევების რიცხვი, როცა ვალდებულებანი

ჩნდება. ვალდებულებათა წინანდელი ტიპები დიფერენცირდება და ვალდებულებათა ახალი ტიპები წარმოიშობა. სუსტდება წინანდელი ფორმალიზმი. პირველ ადგილზე გვევლინება მოვალის ქონებრივი პასუხისმგებლობა“.

მართებულია მოტანილი მოსაზრება, მართლაც, რესპუბლიკის მიმწეხრზე ჩამოყალიბებას იწყებს კლასიკური, მაღალგანვითარებული სამართალი.

ვალდებულებითი სამართლის განვითარების უმთავრესი ფაქტორი იყო არა იმდენად კანონმდებლობა, არამედ პრეტორისა და იურისტების გონივრული საქმიანობა, რომელიც ეხმაურებოდა და სწორად განსაზღვრავდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს, ისტორიული აუცილებლობის მოთხოვნებს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვალდებულებათა სარჩელით უზრუნველყოფას. სამართლებრივად ვალდებულებასთან მხოლოდ მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც იგი სარჩელითაა უზრუნველყოფილი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ, რომაელების შეხედულებით, საქმე გვეჭებოდა ე.წ. “ნატურალურ“ ვალდებულებასთან. ხსენებული ვალდებულება კი სარჩელით არ იყო დაცული. ნატურალურ ვალდებულებათა წარმოშობის წყარო იყო ოჯახის უფროსის – “პატერფამილიას“-ის ძალაუფლების ქვეშ მყოფთა ქმედებანი. ოჯახის უფროსს შეეძლო ეღიარებინა მართებულად მის ხელქვეშეთ მყოფი პირის აღებული ვალი და შეეძლო უარიც ეთქვა მის გადახდაზე. “პატერფამილიას“-ის ძალაუფლების ქვეშ მცხოვრებს კანონით არ ჰქონდა უფლება ვალის აღებისა. ამიტომაც კრედიტორი ასეთი ვალისათვის სარჩელს ვერ აღძრავდა ოჯახის უფროსის წინააღმდეგ. მისი ასეთი სარჩელი არ დაკმაყოფილდებოდა. თუ მონამ აიღო სესხი და სესხის აღების შემდეგ ის გააზატებული იქნებოდა, ამ შემთხვევაში კანონი დაიცავდა მონის კრედიტორის ინტერესებს სარჩელით.

იმპერატორ იუსტინიანეს “ინსტიტუციების“ მიხედვით ვალდებულებების წარმოშობის საფუძვლები იყო: 1) ხელშეკრულებები; 2) თითქოს ხელშეკრულებები (ლათინურად “ქვაზი

ექს კონტრაქტუ“); 3) დელიქტები; 4) თითქოს დელიქტები.

ერთ დროს ლათინური ტერმინი “ნექსუმ“ ნიშნავდა ხელშეკრულებას დადებულს კრედიტორსა და დებიტორს შორის, სადაც დებიტორი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად საკუთარი, პირადი თავისუფლებით აგებდა პასუხს, ხელშეკრულების შეუსრულებლობას შესაძლებელია მოჰყოლოდა დებიტორის დამონება.

ძვ. წ. I საუკუნეში ციცერონი ვალდებულების ცნების გამოსახატავად სიტყვა “ნექსუმ“-ს იყენებს.

რომის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება ზეგავლენას ახდენდა ვალდებულებითი სამართლის ნორმების დახვეწაზე, რომაელებს ურთიერთობა ჰქონდათ ებრაელებთან, ეგვიპტელებთან, ბერძნებთან და ა.შ. ეს ურთიერთობა წინ სწევდა სამართალგანვითარების დონეს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი: უნდა აგოს თუ არა მოვალემ პასუხი ყველა შემთხვევაში ვალდებულების შეუსრულებლობისათვის? თანდათან ჩამოყალიბდება შეხედულება, რომ მოვალემ პასუხი უნდა აგოს მხოლოდ ვალდებულების ბრალეული შეუსრულებლობისათვის. უკვე ყურადღება ექცევა მოვალის ბრალს.

საბოლოოდ რომაელმა იურისტებმა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევები სამ ჯგუფად დაჰყვეს:

1) ვალდებულება არ შესრულებულა მოვალის ბოროტი ნების გამო, მოვალის განზრახული, მავნე მოქმედების გამო. ასეთ მოქმედებას “დოლუს“ ერქვა.

2) ვალდებულება არ შესრულებულა მოვალის გაუფრთხილებელი მოქმედების გამო, მისი წინდაუხედავობის გამო. იგულისხმებოდა, რომ ხელშემკრელ ვალდებულ მხარეს ასეთი წინდახედულება ევალებოდა. ასეთ წინდაუხედავობას “კულპა“ ერქვა. კლასიკურ ლათინურში “კულპა“ ნიშნავდა როგორც გაუფრთხილებლობას, ასევე გადაცდომასაც და დანაშაულსაც. ზოგჯერ ხსენებული ტერმინი ბრალის მნიშვნელობითაც იხმარებოდა. ლათინური იურიდიული ანდაზა ამბობდა: “კულპაე პონენა პარ ესტო“ – დაე

სასჯელი დანაშაულის შესატყვისი იყოს.

3) ვალდებულება არ შესრულებულა თვით მოვალე პირის მხრივ ბრალის გარეშე, მოვალისაგან დამოუკიდებელი შემთხვევის თუ დაუძლეველი ძალის გამო. ასეთ შემთხვევას “კაზუსს” ეძახიან.

რომელმა იურისტებმა სამოქალაქო სამართალში შემოიტანეს არა მარტო გაუფრთხილებლობის ცნება, არამედ ეს ცნება დაანაწევრეს რიგ სახეობებად და სარისხებად.

ცალკე იქნა გამოყოფილი “კულპა ინ ფაცციენდო” – გაუფრთხილებლობა მოქმედებისძიერი, ე.ი. გაუფრთხილებლობა დაკავშირებული მოვალის მოქმედებასთან.

თუ პირმა დაიქარავა ცხოველი და მას გაუფრთხილებლობით მისცა არასათანადო საკვები, ეს იქნებოდა “კულპა ინ ფაცციენდო”.

როდესაც პირი არ ჩაადენდა ისეთ მოქმედებას, რომელიც მას ევალებოდა და რომელიც აუცილებელი იყო ვალდებულების სწორად შესრულებისათვის, ეს იქნებოდა “კულპა ინ ნონ ფაცციენდო”, გაუფრთხილებლობა დაკავშირებული მოვალე პირის უმოქმედობასთან.

რომის სამოქალაქო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებდა უხეშ და მსუბუქ გაუფრთხილებლობას, უხეშ გაუფრთხილებლობას ერქვა “კულპა ლატა”, ხოლო მსუბუქ გაუფრთხილებლობას – “კულპა ლევის”.

უხეშ გაუფრთხილებლობასთან გვექნებოდა საქმე მაშინ, როდესაც მოვალე პირმა ისეთი ზომა არ მიიღო, რომელსაც ნებისძიერი ნორმალური ადამიანი მიიღებდა.

მსუბუქ გაუფრთხილებლობად ჩაითვლებოდა ისეთი ზომის მიუღებლობა, რომელსაც მიიღებდა გონიერი და წინდახედული მესაკუთრე, მაგრამ მოვალე პირმა ეს არ გააკეთა.

უხეშ გაუფრთხილებლობას რომელი იურისტები განზრახვას უახლოვებდნენ. ლათინური იურიდიული ანდაზის თანახმად, უხეში გაუფრთხილებლობა უთანაბრდებოდა განზრახვას (“კულპა ლატა დოლო კომპარაბიტურ”).

მოვალის პასუხისმგებლობის მასშტაბი, ცხადია, ხელშეკრულებით წესდებოდა. ხელშეკრულ მხარეებს შეეძლოთ

გათვალისწინებიათ ბრალის ის ხარისხაც, რომელიც პასუხისმგებლობას წარმოშობდა. მაგრამ, ცხადია, მოვალე მხარე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ აიცილებდა პასუხისმგებლობას ვალდებულების განზრახ შესრულებლობისათვის.

ხშირ შემთხვევებში, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ იყო მოვალის პასუხისმგებლობის მასშტაბები და დეტალები. ასეთ ვითარებაში იურიისტებმა შეიძუშავეს პასუხისმგებლობის წესები მოვალისათვის. იურისტები იმ აზრს ავითარებდნენ, რომ მოვალე პასუხს არ აგებდა ბრალის გარეშე. ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული იყო უფასო, უსასყიდლო მომსახურება, თუ არ შესრულდებოდა, შედეგად გამოიწვევდა მომსახურების გაშწევის პირის შემცირებულ პასუხისმგებლობას. პირი, რომელმაც უსასყიდლოდ მიიღო ნივთი შესანახად, პასუხს აგებდა ნივთის განზრახ განადგურებისათვის – “დოლუსისათვის”. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ვრცელდებოდა “კულპა ლატა“-სთვის, უხეში გაუფრთხილებლობისათვის.

სასყიდლიანი ხელშეკრულების შემთხვევაში მოვალე პასუხს აგებდა როგორც განზრახი ბრალისათვის, ასევე გაუფრთხილებელი ბრალისათვის.

ცნობილი რომაელი იურიისტი მარკუს ანტისციუს ლაბეონი (ძვ.წ. 50–ახ.წ. 18) თვლიდა, რომ ზღვით ტვირთის გადაშინდავი პასუხს არ აგებდა ტვირთის შესაკუთრის წინაშე, თუ ტვირთი, რომელიც ზღვით გადაჰქონდათ, დაიღუპებოდა გემის დაღუპვის ან გემზე მეკობრეთა თავდასხმის გამო, ან თუ სასტუმროში დატოვებული ნივთები დაიღუპებოდა ე. წ. “დაუძლეველი ძალის” (“ვის მაიორ“) ზემოქმედებით.

ხელშეკრულების შეწყვეტის ჩვეულებრივი საშუალება იყო მისი შესრულება.

რომის სამოქალაქო სამართლის ნორმების მიხედვით დაიშვებოდა ერთი ვალდებულების მეორეთი შეცვლა, ანუ ნოვაცია. “დიგესტების“ მიხედვით ნოვაცია არის წინანდელი ვალის სხვა ვალდებულებით შეცვლა წინანდელი ურთიერთობიდან ახლის წარმოშობა იმგვარად, რომ წინანდელი ისპობა“.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა “კომპენსაციოს” (გაბრას), როდესაც ვალისა და მოთხოვნის ურთიერთანგარიშსწორება, ურთიერთჩათვლა ხდებოდა.

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უბველეს საშუალებად ითვლებოდა თავდებობა. თავდები დებიტორთან ერთად პასუხს აგებდა კრედიტორის წინაშე.

თავდებს უნდა შეესრულებინა იგივე მოქმედება, რისი შესრულებაც დებიტორმა იკისრა. იყო შემთხვევები, როდესაც თავდები მოვალის (დებიტორის) ნაცვლად შეასრულებდა ვალდებულებას და შემდეგ მოვალისაგან მოითხოვდა მის მიერ გადახდილის დაბრუნებას.

იმ შემთხვევაში, თუ წამოყენებული იყო რამდენიმე თავდები, კრედიტორს შეეძლო თითოეულისაგან მოეთხოვა ვალის მხოლოდ გარკვეული ნაწილის გადახდა.

წყაროებში იხსენიება თავდებობის განსაკუთრებული ფორმა – “ფიდელიუსსიო”. თუ თავდები გარდაიცვლებოდა, თავდების მოვალეობა მის მემკვიდრეებზე გადადიოდა.

გირავნობაზე, როგორც კრედიტორის უფლებათა უზრუნველყოფის საშუალებაზე უკვე გვქონდა საუბარი. ძველ რომში გავრცელებული იყო მევახშეობა, როგორც ერთი მკვლევარი აღნიშნავდა, მევახშეობის სფეროში რომაელებმა გადაამეტეს ყოველივეს, რაც იყო მანამდე და შემდეგში.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა ბეს ცნებას.

ბედ ჩაითვლებოდა გარკვეული ფულადი თანხა ან ნივთი, რომელსაც ხელშეკრულების დამდები ერთი მხარე მეორეს გადასცემდა მომავალ გადასახდელთა ანგარიშში და ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად.

გაიუსის ინსტიტუციების თანახმად, ის, რაც ბეს სახელით გაიცემოდა, იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დამამტკიცებელი საბუთი (გ. 132).

მაგრამ თანდათან ბე ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი საბუთიდან გადაიქცა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებად. ბეზე ამ ახალი შესხედულების

გავრცელების მიზეზად რომის სამართლის მკვლევარები ბერძნული სამართლის ზეგავლენასაც მიიჩნევენ.

ამის დამადასტურებელია ბეს ბერძნული სახელწოდებას (არრჰა) შემოდწევა ლათინურში. “არრჰაე სპონსალიციაე” – ლათინურში ნიშნავდა ნიშნობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარის მეორისთვის მართმეულ საჩუქარს. საბოლოოდ, დამკვიდრდა წესი, რომ თუ მყიდველი, რომელმაც ბე გაიღო, უარს იტყოდა ხელშეკრულების შესრულებაზე, ბე გამყიდველს დარჩებოდა. ხოლო თუ გამყიდველი, რომელმაც ბე დაიტოვა, მაგრამ ნივთი მაინც არ მიჰყავდა ბეს დამტოვებელს, ვალდებული იყო ბე ორმაგი ოდენობით დაებრუნებინა.

მაშასადამე, გამყიდველი, რომელმაც პირობა დაარღვია, თავისი ქონებიდან ჰკარგავდა ბეს ღირებულებას. ხსენებული წესი რომის სამართალში საბოლოოდ ასე იქნა ჩამოყალიბებული: “ვინც გაყიდვას შეჰპირდა და უარი სთქვა გაყიდვაზე, ვალდებულია ორმაგი ბე დააბრუნოს, და ვინც დათანხმდა გაყიდვას და უარი თქვა გაყიდვაზე, იმას არ შეუძლია ბეს დაბრუნება მოითხოვოს”.

ხელშეკრულების ცალკეული სახეები.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებას ყოველთვის თან ახლავს ვალდებულებითი სამართლის განვითარება. ასე მოხდა ძველ რომშიც. თანდათან წარმოიშვა და განვითარდა სხვადასხვა ხელშეკრულებები. სავაჭრო ბრუნვის განვითარება-გართულებამ საჭირო გახადა ხელშეკრულებათა არსში გარკვევა და მათი სათანადო კლასიფიკაცია.

ცნობილი რომაელი იურისტი გაიუსი ხელშეკრულებათა კლასიფიკაციას საფუძვლად უდებდა მათი დადება-გაფორმების წესს, “ხელშეკრულების“ წესს.

ხსენებული კრიტერიუმით რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა სხვადასხვა ხელშეკრულებას: რეალურს, ვერბალურს, ლიტტერალურს და კონსესუალურს.

1. რეალურ ხელშეკრულებად ჩაითვლებოდა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც თავისი ნამდვილობისთვის ნივთის

გადაცემას გულისხმობდა.

2. ვერბალური ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელი იყო წინასწარ დადგენილი და განსაზღვრული სიტყვების წარმოთქმა.

3. ლიტტერალური ხელშეკრულება იქნებოდა ისეთი ხელშეკრულება, რომელიც თავისი ნამდვილობისათვის წერილობითი საბუთის, დოკუმენტის შედგენას მოითხოვდა.

4. კონსენსუალური ხელშეკრულების ნამდვილად ცნობისათვის საკმარისი იყო იმის დადგენა, რომ მხარეთა შორის კონსენსუსი (თანხმობა) არსებობდა და სავალდებულო არ იყო ნივთის გადაცემა ან გარკვეული სიტყვების თუ ფორმულის წარმოთქმა, ან წერილობითი საბუთის შედგენა.

რეალურ ხელშეკრულებაში იგულისხმებოდა “მუტუუმ” — სესხი.

სესხის შემთხვევაში ნივთი გადაეცემოდა მსესხებელს საკუთრებაში. სესხის საგანი ჩვეულებრივ იყო ფული ან სხვა გვარეობითი ნიშნით განსაზღვრული ნივთი. ამიტომაც ნივთის თუ ფულის მიძღები ვალდებულები იყო დაებრუნებინა არა ის ნივთები, რომელიც მან მიიღო სესხად, არამედ ასეთივე ნივთების ასეთივე რაოდენობა. სესხა შეიძლებოდა პროცენტთანაც ყოფილიყო და უპროცენტოც.

სესხად გადაცემული ნივთი გადაცემისთანავე მსესხებლის საკუთრებად იქცეოდა და ნივთის დაღუპვის შემთხვევაში ან მისი დაკარგვისას ის პასუხს აგებდა კრედიტორის (გამსესხებლის) წინაშე. “ინსტიტუციებში” ნათქვამი იყო, რომ “ვინც სესხი მიიღო და როგორღაც შემთხვევით დაჰკარგა ის, რაც მიიღო, მაინც ვალდებული რჩება”.

უპროცენტო სესხი თანდათან გაქრა და დამკვიდრდა პროცენტთან სესხი.

რეალურ ხელშეკრულებად ითვლებოდა აგრეთვე განათხოვრება — “კომმოდატუმ”. განათხოვრებაში იგულისხმებოდა ნივთის დროებითი დათმობა უსასყიდლო სარგებლობისათვის.

ნივთის შესანახად მიბარებაც — “დეპოსიტუმ” რეალური ხელშეკრულების სახეობად ითვლებოდა.

რეალური ხელშეკრულების ერთ-ერთი სახეობა იყო “ფიდუცია”: ის ერთ-ერთ უძველეს ხელშეკრულებად ითვლება.

ი. ს. პერეტერსკი ამ ხელშეკრულების შინაარსს ასე გადმოსცემს:

“ნივთი საკუთრებად გადაეცემოდა მეორე მხარეს, მაგრამ ნივთის მიძღები ვალდებული იყო გარკვეული პირობების დადგომისას დაებრუნებინა იგი ან სხვა პირისათვის გადაეცა. ამ ფორმით სრულდებოდა უძველესი გირავნობა“. . .

ამ ხელშეკრულების შესრულების მთავარ გარანტიას წარმოადგენდა ნივთის მიძღები პირის “ფიდეს” – პირიანობა, ნამუსიანობა. აქედან არის სახელწოდება “ფიდუცია”. ამ ხელშეკრულების დამრღვევი უპატიოსნოდ, პატივ და ღირსება – დაკარგულად ჩაითვლებოდა.

გირავნობის ხელშეკრულებაც რეალურ ხელშეკრულებად ჩაითვლებოდა.

ვერბალური ხელშეკრულება სიტყვიერი ხელშეკრულება იყო. მისი წარმოშობა იმ ხანას განეკუთვნება, როდესაც წერა-კითხვის ცოდნა მასობრივ მოვლენას არ წარმოადგენდა. რესპუბლიკის მიმწუხრზე ის თანდათან სახეს იცვლის, კარგავს სიტყვიერი ხელშეკრულების ხასიათს.

ვერბალურ ხელშეკრულებად ითვლებოდა მაგალითად “ლოტის დიკციონი” – ვალდებულება, მიეცათ მზითვეი იმათთვის, ვინც ქორწინდებოდა.

რამოდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ლიტტერატურ ხელშეკრულებებზე.

კლასიკურ ლათინურში “ლიტტერატურა” ნიშნავდა ხელნაწერს, დაწერილს, ანბანს, გრამატიკას, განათლებულობას, ენათმეცნიერს და ა.შ., რომაელებს ჰქონდათ სახუმარო თქმა: “ჰომო ტრიუმ ლიტტერარუმ”, სიტყვა-სიტყვით – სამანბანიანი სუბიექტი – იგულისხმებოდა ქურდი, რომლის სახელწოდებაც ლათინურში სამი ასოსაგან შედგებოდა (“ფურ”).

ძვ.წ. I საუკუნისათვის რომაელებში წერა-კითხვა საკმაოდ გავრცელებული იყო და სამოქალაქო სამართლის სუბიექტები

თავიანთ ურთიერთდამოკიდებულებას ხშირად წერილობით აფორმებდნენ. გარიგებას ეს მეტ სიმტკიცეს მატებდა. ვაჩნდა ლათინური ანდაზაც: დაწერილი სიტყვები რჩებიან (არ წაიშლებიან). იმპერიის ხანაში რომაელები დოკუმენტებს პაპირუსზე წერდნენ. თავდაპირველად წერილობითი საბუთი მხოლოდ ხელშეკრულების არსებობის დამადასტურებელ საგნად ითვლებოდა, მაგრამ მოგვიანებით წერილობითი საბუთის ქონა იქცა ხელშეკრულების არსებობის უმთავრეს მტკიცებულებად.

რომის სამართლის ისტორიის სპეციალისტები მართებულად აღნიშნავენ, რომ ძველ რომში ლიტტერალური ხელშეკრულება, ამ სიტყვის საკუთარი აზრით ისეთი ხელშეკრულება იყო, რომელიც წერილობით ფორმას მოითხოვდა, როგორც თვით ხელშეკრულების არსებობის სავალდებულო პირობას.

რომაელ ვაჭრებს გააჩნდათ შემოსავალ-გასავლის დავთრები.

თუ გასავლის წიგნში (დავთარში) ვაჭარმა დააფიქსირა რომელიმე პირისათვის მიცემული თანხა და ეს პირიც აღიარებდა ხსენებული თანხის მიღებას, მაშინ ლიტტერალური ხელშეკრულება შეიძლებოდა ამ ჩანაწერის ძალით წარმოშობილიყო, მით უფრო, თუ თანხის მიმღებ პირს ის თავის დავთარშიც ექნებოდა გატარებული.

მაგრამ ლიტტერალური ხელშეკრულების წარმოშობის ასეთი ხერხი იმპერიის ბოლო ხანებში უარყოფილ იქნა. იუსტინიანეს ინსტიტუციებში ნათქვამია, რომ “ოღესლაც ვალდებულება ჩანაწერის ძალით წარმოიშობოდა“, მაგრამ ახლა უკვე ეს არ იხმარებაო.

დასასრულ, შევეხოთ კონსესუალურ ხელშეკრულებასაც. “კონსენსუს“ ლათინურად თანხმობას ნიშნავს. ხსენებული ხელშეკრულების ნამდვილობისათვის გადამწყვეტი იყო მხარეთა შეთანხმება. ცხადია, ხელშემკვრელ მხარეთა შეთანხმება ყოველგვარი ხელშეკრულებისათვის არის სავალდებულო, მაგრამ, როგორც ერთი მკვლევარი აღნიშნავდა, შეთანხმების თვით ფაქტისათვის სავალდებულო ძალის მინიჭება მოწმობდა აღებ-მიცემობისა და იურიდიული ტექნიკის ვანვითარების მაღალ დონეს.

ცნობილი რომაელი იურისტი გაიუსი მიუთითებდა

კონსენსუალური ხელშეკრულების მოხერხებულობაზე: კონსენსუალური ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთად არმყოფ პირთა შორისაც წერილის ან შუამავლის მეშვეობით (ინსტიტუტ 3.136).

კონსენსუალურად ითვლებოდა ყიდვა-გაყიდვის – “ემპციო-ვენდიციო“-ს ხელშეკრულება, ანუ სხვაგვარად ნასყიდობის ხელშეკრულება, ქირავნობის, იჯარის ხელშეკრულება, დავლების, ამხანაგობის ხელშეკრულებები და ა.შ.

ნასყიდობა ქართული ტრადიციული ტერმინია. ის იხმარება ძველ ქართულ საბუთებში და გამოსადეგია დღესაც. ნასყიდობის ხელშეკრულების ძალით გამყიდველი ვალდებულებას კისრულობს საკუთრებაში გადასცეს ნივთი მყიდველს ფულში გამოხატული შეთანხმებული ფასის (“პრეციუმ“) გადახდით.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში ყოველთვის იყო აღნიშნული გაყიდული ნივთის კონკრეტული ფასი. ამისგან განსხვავებით ქართული ნასყიდობის საბუთებში დიდ უმრავლეს შემთხვევაში, გაყიდული ნივთის კონკრეტულ ფასს ვერ ვპოულობთ. მის სანაცვლოდ გამყიდველი აცხადებდა, რომ აიღო ფასი სრული და უკლებელი, რითაც მისი გული შეჯერდა.

უძველესი ხანის რომის სამართალში მანციპაციის შესახებ უკვე წინა პარაგრაფებში გვქონდა საუბარი. “მანციპიუმ“ ერქვა ნასყიდობის არქაულ წესს, რომლის თანახმადაც გასაყიდ ნივთს ხელში იღებდნენ ხუთი მოწმის თანდასწრებით და ა.შ.

შედარებით რთული იყო “ინ იურე ცესსიო“-ს წესით ნივთის გასხვისება.

სამოქალაქო ბრუნვის ინტერესები, ეკონომიკის და კულტურის განვითარება მოითხოვდა ტრადიციის ფარგლებში ტრადიციის დაძლევას, ფორმალიზმის დაძლევას და გამარტივებას. თანდათან ფორმალიზმმა გზა დაუთმო თანხმობას, კონსენსუსს. იურისტებმა შეიმუშავეს კონსენსუალური ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები.

გამყიდველის მოვალეობა იყო მყიდველისათვის გადაეცა შეპირებული ნივთი, ხოლო მყიდველს ევალებოდა შეთანხმებული ფასის გადახდა. ხოლო ხელშეკრულების დადების მომენტთან ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი მყიდველს ეკისრებოდა.

გამყიდველი პასუხს აგებდა მყიდველის წინაშე, თუ იგი ნივთის ნაკლოვანებებს განზრახ დამალავდა. ასეთი რამ კი ხდებოდა, ვაჭრული ხრიკები უცხო არ ყოფილა სოციალური პრაქტიკის სინამდვილეში.

ფასის გადახდა დასაშვები იყო ხელშეკრულების დადების შემდეგ, რაც ჩანს გაიუსის “ინსტიტუციების” ერთი ადგილიდან: “ყიდვა-გაყიდვა განხორციელებულია მაშინ, როცა მხარეები ფასზე შეთანხმდებიან, თუნდაც ფასი ჯერ კიდევ არ იყოს გადახდილი და ბუც არ იყოს მიცემული“ (3.139).

კონსენსუალურ ხელშეკრულებად ითვლებოდა აგრეთვე ქირავნობა – “ლოკაციო-კონდუკციო“. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებამ ძველი რომის სახელმწიფოში ხელი შეუწყო ქონების ქირავნობის ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარებას. აქირავებდნენ მუშა პირუტყვს, მონებს. იჯარით გასცემდნენ მიწის წვრილ ნაკვეთებს. უცხოელი ვაჭრების ჩამოსახლებამ რომში ხელი გაუძარტა ბინის გამქირავებლებს.

რომის სამართლის წყაროებში იხსენიება “ლოკაციო ოპერის“ – ხელშეკრულება ნივთის გარემონტების შესახებ, როდესაც რემონტისათვის გამოიყენებოდა ნივთის მესაკუთრის მასალები.

რომაელი იურისტები ცდილობდნენ ერთმანეთისაგან გაემიჯნათ ნივთის ქირავნობისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები. მოვიტანოთ სათანადო ადგილი გაიუსის ინსტიტუციებიდან: “თუ მე შენ გადმოგცემ გლადიატორებს იმ პირობით, რომ მათი მუშაობისთვის ოც-ოც დინარს მივიღებ, ხოლო თითოეული იმათგანისთვის, ვინც მოკლული იქნება – ათას-ათას დინარს. გასარკვევია საკითხი, დადებულია ნასყიდობის თუ ქირავნობის ხელშეკრულება; უძრავლესობამ გადაწყვიტა, რომ იმათ შესახებ, ვინც უვნებელი გამოვიდა, დადებულია, ალბათ, ქირავნობის ხელშეკრულება, ხოლო მოკლულთა და დასახინჩრებულთა შესახებ – ნასყიდობის ხელშეკრულება“ (3.146).

როგორც ვხედავთ, რომაელ იურისტებს, კერძოდ კი გაიუსს, მაინც და მაინც არ აწუხებდა საკითხი, რომ გლადიატორიც ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორც მისი დამქირავებელი ან

გამქირავებელი.

მართალია, რომის სამოქალაქო სამართალი თავისი ეპოქისათვის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და მაღალი დონის იყო, მაგრამ ისიც კი ვერ ანსხვავებდა იჯარას ვიწრო გაგებით ქონების ქირავნობისა და პირადი ქირავნობისაგან. იჯარას, ქონების ქირავნობასა და პირად ქირავნობას რომის სამართალი ერთი სახელწოდებით “ლოკაციო - კონდუკციოს” უწოდების სახით განიხილავდა.

რომაელები ერთმანეთისაგან ანსხვავებდნენ სახლის ქირავნობას და სხვადასხვა ნივთის ქირავნობას. ნივთის ქირავნობას ერქვა “ლოკაციო რეი”, სახლის დამქირავებელს ლათინურად ერქვა “ინქვილინუს” – მდგმური.

ადგილ-მამულის, მიწის ნაკვეთის დამქირავებელს ერქვა “კოლონუს”.

დამქირავებელს და მის ინტერესებს კანონი იცავდა სარჩელით დაქირავებულის შესახებ. სპეციალური სარჩელით დაცული იყო აგრეთვე გამქირავებელიც (“აკციო ლოკატი”). თუ დამქირავებლის ბრალით დაქირავებულ ქონებას მიაღებოდა ზიანი, რა თქმა უნდა, დამქირავებელს დაეკისრებოდა ზიანის ანაზღაურება. დამქირავებელი პასუხს აგებდა არა მარტო საკუთარი, არამედ ხელქვეითების ქმედებისთვისაც. დამქირავებელი მოვალე იყო სათანადო ზედამხედველობა და კონტროლი გაეწია ხელქვეითებისათვის.

გამქირავებელი ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი თვით გამქირავებლის კისერზე იყო.

რომაელებმა ამ წესიდან გამონაკლისის სახით გაიზიარეს ე.წ. როდოსელთა კანონი ტვირთის ზღვაში გადაყრის შესახებ.

საქმე ეხებოდა გემით ტვირთის გადაზიდვას. თუ გემის მჭერიდან მოსახსნელად სხვა გზა არ არსებობდა, თუ არა ტვირთის ნაწილის ზღვაში გადაყრა, მაშინ გემის კაპიტანი უფლებამოსილი იყო ეს გაეკეთებინა.

ზარალის ოდენობას კი ერთმანეთში ინაწილებდნენ გემის მესაკუთრე და ტვირთის მესაკუთრე. შეაფასებდნენ გემს, შეაფასებდნენ ტვირთსაც და მათი ფასის პროპორციულად

განაწილებდნენ ზიანსაც.

ეს წესი დროთა ვითარებაში გადაიქცა იმ ინსტიტუტის ფორმირების საფუძვლად, რომელსაც ავარია ჰქვია და იყენებენ საზღვაო სამართალში.

საერთაშორისო სამართალში საერთო ავარიას ეძახიან იმ ზიანს, რომელიც განიცადა გემმა იმის შედეგად, რომ საჭირო გახდა განზრახვი, მაგრამ გონივრული ხარჯები, საგანგებო ხარჯები ან მსხვერპლი, ვთქვათ, ტვირთის გადაყრა ზღვაში იმ მიზნით, რომ გადავარჩინოთ ხომალდი, ფრახტი და გემით გადასაზიდი ტვირთი საერთო საშიშროებისაგან.

ჩვეულებრივ ქირავნობა წყდებოდა ხელშეკრულებაში ფიქსირებულ სათანადო ვადის გასვლასთან ერთად.

მაგრამ შეიძლებოდა ისეც მომხდარიყო, რომ დაქირავებული მონა ავად გამხდარიყო და მას უკვე მისი დაქირავებლისათვის სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. მაშინ შრომისუნარდაკარგული მონის გამო მისი დაქირავებული იზარალებდა და ამიტომაც მონის დაქირავებული უფლებამოსილი იყო ცალმხრივ მოეშალა ხელშეკრულება.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა მინდობილობა-დავალების ხელშეკრულებას. ლათინურად მინდობილობა იქნებოდა “მანდატუმ”. მინდობილობის ხელშეკრულებით მარწმუნებელი ავალებდა რწმუნებულს რაიმეს, მრწმუნებლის ინტერესებისათვის.

ლათინურად მრწმუნებელი იქნებოდა “მანდანს”, ხოლო რწმუნებული — “მანდატორ”.

მინდობილობის ხელშეკრულებისათვის მთავარი ელემენტი იყო მინდობილობა. ის ითვლებოდა უსასყიდლო ხელშეკრულებად და ამით განსხვავდებოდა ნასყიდობისა და ქირავნობისაგან.

ექსტრაორდინარული პროცესის ხანაში, როგორც ჩანს, რწმუნებულს ეძლეოდა შესაძლებლობა მოეთხოვა სარჩელის მეშვეობით საკუთარი შრომის ანაზღაურება.

წყაროებში ჩანს შემთხვევები, როდესაც მრწმუნებელი რწმუნებულს ავალებდა მთელი ქონების მართვას (“პროკურაციო ომნიუმ ბონორუმ”).

თუ მრწმუნებელი რწმუნებულს არ აუნაზღაურებდა იმ ხარჯებს, რომელიც მან მართებულად გასწია მრწმუნებლის ინტერესებისათვის, რწმუნებული იძენდა უფლებას მრწმუნებლის წინააღმდეგ აღედრა სარჩელი.

თეორიულად რწმუნებულს თითქოს არ შეეძლო მოეთხოვა თავისი შრომის ანაზღაურება მრწმუნებლისაგან. რომაელთა აზრით, თავისუფალი ადამიანისთვის დამამცირებელი იყო საკუთარი შრომისთვის ანაზღაურების მოთხოვნა.

რომაელმა იურისტებმა აქ ფიქციას მიმართეს. მრწმუნებულს ხომ შეეძლო რწმუნებულისათვის ფული მიეცა ნიშნად პატივისცემისა. ამ თანხას ეწოდებოდა “ჰონორარიუმ”. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა რწმუნებულის ხარჯების საზღაურიც და თვით რწმუნებულის გასამრჯელოც.

რომაელი იურისტები კონსენსუალურთა რიგს მიაკუთვნებდნენ ამხანაგობის ხელშეკრულებას. ლათინურად ამხანაგობას “სოციეტას” სიტყვით გამოხატავდნენ.

ამხანაგობის ხელშეკრულებაში დასაშვები იყო პირთა ნებისმიერი რაოდენობის მონაწილეობა. ამხანაგობის წევრები თავიანთ ქონებრივ შენატანებს აერთიანებდნენ რომელიმე კანონიერი საერთო მიზნისათვის, მეურნეობის საწარმოებლად, ვაჭრობის საწარმოებლად, საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და ა.შ.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა ოთხი სახის ამხანაგობას:

1. ამხანაგობის ყველაზე გავრცელებული სახეობა იყო — “სოციეტას ომნიუმ ბონორუმ”, რაც ნიშნავდა მთელი ქონებით ამხანაგობას. ფიქრობენ, რომ ხსენებული ამხანაგობის სახეობა წარმოშობილი უნდა იყოს პატრიარქალურ-საოჯახო ურთიერთობათა წიაღში. დიდი პატრიარქალური ოჯახის რღვევა მტკივნეული პროცესი იყო. მემკვიდრეები, ახლო ნათესავები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ საოჯახო ერთობა. ისინი ცდილობდნენ ამხანაგობის ხსენებული ფორმის გამოყენებით ქონებრივი ერთობა გაეგრძელებინათ როგორც მათ ხელში არსებულ ქონებაზე, ასევე იმ შენაძენზეც, რომელსაც მომავალში მიიღებდნენ.

1927 და 1933 წლებში იპოვნეს პაპირუსები (დაახლოებით III-IV საუკუნეებისა), რომელიც შეიცავდა დიდი რომაელი იურისტის – გაიუსის “ინსტიტუციების” ნაწყვეტებს. ხსენებული აღმოჩენა საშუალებას იძლევა შევავსოთ წინათ ცნობილი ტექსტის ზოგიერთი ხარვეზი. კერძოდ, აქ აღნიშნულია, რომ ამხანაგობის ხელშეკრულება უძველესი დროიდან იყო ცნობილი რომაელი ხალხისათვის. ჩანს, რომ ოჯახის უფროსის – მამის გარდაცვალების შემდეგ, ძმები ცდილობდნენ ეწარმოებინათ საერთო მურწუნობა. გაიუსის სიტყვებით ეს ამხანაგობა “კანონიერი და ბუნებრივი ამხანაგობა” იყო. მისივე აზრით, “სხვა სახის ამხანაგობანი ძმების ამხანაგობის ნიმუშის მიხედვით აღმოცენდნენ” (გაიუსის ინსტიტუციები, 3.154).

2. მეორე სახის ამხანაგობას რომაელები ეძახდნენ “სოციეტას ქვაესტუს” (შემოსავლიანი ამხანაგობა). ხსენებული ამხანაგობის დამფუძნებლები აერთიანებდნენ არა მთელ თავიანთ ქონებას, არამედ მხოლოდ ნაწილს, განსაზღვრულ ქონებას. ასეთ ამხანაგობას ადგენდნენ გარკვეული სამურწუნო ოპერაციის შესასრულებლად.

3. ამხანაგობის შემდეგი სახეობა იყო “სოციეტას ალიქვიუს ნეგაციონის” (ამხანაგობა რომელიმე საქმისთვის). ასეთი ამხანაგობის დაარსება უპირატესად სავაჭრო მიზნით ხდებოდა. ხელშეკრულებას ხელი უნდა შეეწყო ამხანაგთა ქონების გაერთიანებით საერთო მიზნის მიღწევისთვის.

4. ამხანაგობის შემდეგი სახეობა იყო “სოციეტას უნიუს რეი” (ერთი ნივთის-საქმის, ამხანაგობა).

ჩვეულებრივ, ერთიანდებოდნენ ერთი ადგილ-მამულის ექსპლუატაციისათვის. შეიძლებოდა ასეთი ამხანაგობის მიზანი ყოფილიყო რომელიმე სხვა ერთეული ღონისძიებაც.

ამხანაგობის ყველა სახეობისათვის საერთო იყო ის, რომ განსაზღვრავდნენ თითოეული ამხანაგის წვლილს საერთო საქმეში, საერთო შენატანში. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ამხანაგობის წევრებს არათანაბარი შენატანები შეუტანიათ ამხანაგობის ყველა წევრი, ჩვეულებრივ, თანაბარ მონაწილეობას ღებულობდა ამხანაგობის ხარჯებში და ასევე თანაბრად იყოფდნენ მოსავალსაც. მაგრამ ამხანაგებს შეეძლოთ შეთანხმებულიყვნენ იმის შესახებ,

რომ ამხანაგობის შემოსავალი და გასავალი თანაბრად კი არ განაწილებულიყო, არამედ თითოეულის შენატანის შესაბამისად.

ამხანაგობის ხელშეკრულების მოშლას ექნებოდა ადგილი, თუ რომელიმე ამხანაგთაგანი გარდაიცვლებოდა ან მიღწეული იქნებოდა ის მიზანი, რომელიც დასახული ჰქონდა ამხანაგობას. თუ ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად შექმნილი საერთო ქონება დაილუპებოდა, ამხანაგობაც დაიშლებოდა. ამხანაგობის მოშლის მიზეზად გამოდგებოდა იმ გარემოების დადგენა, რომ საერთო მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

ამხანაგობა იურიდიული პირი არ ყოფილა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ერთ-ერთი ამხანაგთაგანის სიკვდილი ამხანაგობის დაშლას იწვევდა.

რომის სამართლის წყაროები იცნობდნენ აგრეთვე ე.წ. “კონტრაქტუს ინნომინანტი“-ს ცნებას – უსახელო ხელშეკრულების ცნებას. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების შესაბამისად ზოგიერთი ისეთი ხელშეკრულება წარმოიშვა, რომელთაც თავდაპირველად სასარჩელო დაცვა არ ჰქონდათ მინიჭებული.

ძრავალმა ურთიერთობამ, რომელიც ერთ დროს სასამართლო დაცვით არ სარგებლობდა, დროთა ვითარებაში ასეთი დაცვა მოიპოვა.

რომის სახელმწიფოში დროდადრო, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების ხანაში, გარკვეული მოთხოვნილება გაჩნდა გაცვლილობის ხელშეკრულებაზე. გაცვლილობა იყო ერთ-ერთი ასეთი უსახელო ხელშეკრულება.

გაცვლილობის ხელშეკრულება უსახელოდ იმითომ იწოდებოდა, რომ ის მოხსენიებული არ იყო სარჩელთა არსებულ ნუსხაში. გაცვლილობას ლათინურად ერქვა “პერმუტაციო“. გაცვლილობის შემთხვევაში ნივთი იცვლებოდა არა ფულზე, არამედ სხვა ნივთზე. რომაელი იურისტების ნაწილი ცდილობდა, რომ გაცვლილობის ხელშეკრულება გაეერთიანებინა ნასყიდობის ხელშეკრულებასთან, მაგრამ ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა. გაცვლილობის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ იმ ნივთის გადაცემის შემდეგ, რომელიც გაცვლის საგანს შეადგენდა.

რომის სახელმწიფოში, სოციალურ პრაქტიკაში თანდათან დამკვიდრდა პრეკარული ურთიერთობა. ერთი პირი მეორეს გადასცემდა ადგილ-მამულს უსასყიდლო სარგებლობაში. ნივთის მისარგებლე ვალდებული იყო დაებრუნებინა იგი გადასცემის პირველი მოთხოვნისთანავე.

პრეკარიუმი რომ დროებით სარგებლობაში გადაცემულ ნივთს ნიშნავდა, ეს კარგად ჩანს.

რომის სამოქალაქო სამართლისთვის ცნობილი იყო ფიცით შეთანხმება. ყოფილა შემთხვევები, როდესაც კრედიტორი მოითხოვდა პირისაგან, რომ მას მისთვის გადაეხადა აღებული სესხი. მაგრამ დებიტორი სესხის აღების ფაქტს კატეგორიულად უარყოფდა. ზოგჯერ დებიტორი სთხოვდა კრედიტორს: “დაიფიცე, რომ მე შენი ფული მმართვეს და მე შენ დაგიჯერებ“. იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი დაიფიცებდა, რომ დებიტორს მისი ფული მართებდა, დებიტორი ვალდებული ხდებოდა კრედიტორისათვის ფიცით დადასტურებული თანხა გადაეხადა.

ფიცით შეთანხმების თანახმად, დებიტორისთვის ხსენებული თანხის იძულებით გადახდევინებაც შეიძლებოდა.

ფიცით შეთანხმებას რომელი იურიისტები პრეტორულ პაქტებს მიაკუთვნებდნენ. “პაკტა პრაეტორია“-ს დაცვა კი ევალებოდა პრეტორს.

უსახელო ხელშეკრულებათა რიგს მიეკუთვნებოდა ე.წ. “კონტრაქტუს აესტიმატორიუს“ – შეფასებითი ხელშეკრულება. შეფასებით კონტრაქტად აღიარებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულ ნივთს ერთი მხარე გადასცემს მეორეს გასაყიდად კონკრეტული ფასის დაღებით. მეორე მხარეს კი ევალებოდა გაეყიდა ნივთი იმ ფასად, რა ფასადაც იგი შეფასებული იყო, ან ნივთი დაებრუნებინა პირველი მხარისათვის.

ასეთი ხელშეკრულება სამართლებრივ, იურიდიულ ძალას შეაძენდა ნივთის გადაცემის მომენტიდან და შესაძლოა, რომ სწორედ ამიტომ მიაკუთვნეს იგი უსახელო კონტრაქტებს.

პირი, რომელსაც გადაეცა ნივთი განსაზღვრული ფასდაღებით გასაყიდად, ცხადია, არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ მოუხელავად

ამისა, ამ პირის მიერ მყიდველისთვის გადაცემული ნივთი, სათანადო ფასის გადახდის შემთხვევაში, ჩაითვლებოდა მყიდველის საკუთრებად. ხელშეკრულების თანახმად შუამავალი პირი, რომელმაც განსაზღვრულ ფასში გასაყიდად ჩაიბარა ნივთი, ვალდებული იყო ან გაესხვისებინა ნივთი წინასწარ დადგენილ ფასად, ან დაებრუნებინა ის მესაკუთრისათვის. ეს გარემოება არ გამორიცხავდა შუამავლის მიერ ნივთის სათავისოდ შექენას, არც იმას, რომ შუამავლის ნივთი უფრო ძვირად გაეყიდა, ვიდრე შეფასებული იყო და, ამგვარად, თანხის ნაბეჭდი ნაწილი თავისთვის დაეტოვებინა. ხსენებული ურთიერთობა სასარჩელო დაცვის ქვეშ მოექცა და მას “აკციო დე აესტიმატო” იცავდა. “დიგესტებში” მოთავსებულ ცნობილი იურისტის ულპიანუსის თხზულების ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ ხსენებული ხელშეკრულებისათვის სასარჩელო დაცვის მინიჭების საკითხი თურმე ეჭვს იწვევდა.

სარჩელს უნდა დაეცვა ნივთის გაყიდვის ხელშეკრულება თუ ნივთის ქირავნობის ხელშეკრულება, აი რა იყო დავის საგანი. “აკციო ლოკატი” და “აკციო კონდუკტი” უარყვეს როგორც ხსენებული ურთიერთობის სასარჩელო დაცვის საშუალება და მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალურად “კონტრაკტუს აესტიმატორიუს“-ისთვის შექმნილი სარჩელით იცავდნენ.

რომის სამოქალაქო სამართალში დროთა ვითარებაში გაჩნდა “კვაზი კონტრაკტუს“-ების, ანუ “თითქოს ხელშეკრულებათა“ ცნება. “თითქოს ხელშეკრულების“ შემთხვევაში მხარეთა შორის კონებრივი კავშირურთიერთობა იქმნებოდა, მაგრამ მისი საფუძველი არ იყო ხელშეკრულება. მხარეთა ურთიერთობა, ვალდებულებითი ურთიერთობა ისე ყალიბდებოდა, თითქოს მათ შორის ხელშეკრულება ყოფილიყო დადებული. ხსენებული ვალდებულებითი ურთიერთობა არც სამართლებრივი ნორმის დარღვევიდან, მხარის უფლების დარღვევიდან იყო წარმოშობილი.

რომელმაც იურისტებმა “თითქოს ხელშეკრულების“ მონაწილე მხარეთა პასუხისმგებლობის საქმე გადაწყვიტეს ანალოგიურად იმისა, როგორაც წყვეტდნენ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა პასუხისმგებლობის საკითხს.

თითქოს ხელშეკრულების სახეობა იყო “ნეგოციარუმ გესციო” – სათანადო დავალებისა და მინდობილობის გარეშე სხვისი საქმის წარმოება. ი. ს. პერეტერსკის ხსენებული “თითქოს ხელშეკრულების” საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითი მოაქვს: რომელიმე პირი რწმუნებულის დაუტოვებლად სხვაგან წავიდა, ხოლო მისი ქონება რემონტს საჭიროებდა. მესამე პირს, თუმცა მას დავალება არა ჰქონია, გაურემონტებია სხვაგან წასული პირის ქონება. ეს პირი გარდაცვლილა, ხოლო მისი მემკვიდრე სხვაგან ყოფილა წასული. მესამე პირს დაუკრძალავს მიცვალებული და ამით მემკვიდრის მოვალეობა შეუსრულებია.

იმ პირმა, რომელმაც ფორმალური ხელშეკრულების დადების გარეშე სხვისი საქმეები აწარმოვა, თავისი მოქმედება-მოღვაწეობის ანგარიში უნდა ჩააბაროს ხსენებულ შემთხვევაში ქონების მესაკუთრეს და მემკვიდრეს. ეს უკანასკნელნი კი ვალდებულნი იქნებოდნენ აენაზღაურებინათ გაწეული ხარჯი. თუ ქონების მესაკუთრე მოიწონებდა მისი სხვაგან ყოფნის დროს მისი ინტერესებისათვის გაწეულ საქმიანობას (“რატიჰაბიციო”), ეს მოწონება გაუთანაბრდებოდა დავალების ხელშეკრულების დადებას და, ცხადია, შედეგებიც იგივე იქნებოდა, როგორც სათანადო ხელშეკრულების დადებისას.

პრეტორის ერთ-ერთ ედიქტში ნათქვამი იყო: “თუ ვინმე სხვის საქმეებს აწარმოებს ან რომელიმე გარდაცვლილი პირის საქმეებს უძღვება, მე მას ამ საფუძველზე უზრუნველვყოფ სარჩულით”.

სხვისი საქმის, სხვისი ქონების გამძღოლს, რომელსაც სათანადო დავალება ამის შესახებ არ ჰქონდა დაკისრებული, ერქვა “გესტორ”, ხოლო იმ პირს, ვის საქმესაც ხსენებული გესტორი აწარმოებდა, ერქვა “დომინუს”.

თუ ვინმე შეცდომით თავის ვალს გადაუხდიდა არა კრედიტორს, არამედ სულ სხვა პირს, ისე, რომ უკანასკნელს არ ექნებოდა საფუძველი მიეღო აღნიშნული თანხა, მას უნდა დაებრუნებინა უსამართლოდ მიღებული. “დიგესტებში” პირდაპირ იყო ჩაწერილი, რომ “ის, რაც მიღებულია უკანონო საფუძველით,

შეიძლება გამოთხოვილ იქნეს“.

ხსენებულ წესს რომ ემოქმედა, ამისთვის საჭირო იყო როგორც ქონების გადამცემს, ისე მის მიმღებს შეცდომით ემოქმედა. თუ ქონების მიმღებს ეცოდინებოდა, რომ ქონებაზე მას არავითარი უფლება არ ჰქონდა, მაშინ მას ქურდად ჩათვლიდნენ. ხოლო თუ ქონების გადამცემი შეცდომით არ მოქმედებდა, მაშინ რომელი იურიისტებას აზრით, საქმე გვექნებოდა ნაჩუქრობასთან.

თუ პირი კეთილსინდისიერად და შეცდომით ფიქრობდა, რომ ნივთის მესაკუთრეა, გაყიდდა სხვის ნივთს და მიღებულ თანხას თავის ქონებას მიუმატებდა, მაშინ ის (გესტორი) ნივთის ნამდვილი მესაკუთრის წინაშე პასუხს აგებდა იმ თანხის მოცულობით, რა თანხაც მან მიიღო ნივთის გაყიდვისას.

ლათინური გამოთქმა “კონდიკციო ინდებიტი“ ნიშნავდა პრეტენზიის, სარჩელის გაცხადებას შეცდომით დაკარგულის შესახებ.

თუ ვინმემ მიიღო მზითევი, მაგრამ დაქორწინებაზე უარი განაცხადა, მზითევის მესაკუთრეს უფლება ეძლეოდა უკანვე გამოეთხოვა იგი, რადგანაც ის მიზანი, რასაც მზითევის გადაცემა ისახავდა, არ შესრულებულა.

ცხადია, შეიძლებოდა იმ თანხის უკანვე მოთხოვნა, რაც მიღებული იყო კანონიერი საფუძვლის უქონლად. მაგალითად, კანონით ნებადართულზე მეტი პროცენტის, ვახშური პროცენტის მიღება იკრძალებოდა, და უკანონოდ მიღებულის უკანვე გამოთხოვა ნებადართული იყო.

თუ პირის ქმედობა რომაელთა კეთილ ზნე-ჩვეულებებს ეწინააღმდეგებოდა, უკანონოდ ითვლებოდა. ფული გადაცემული იმ მიზნით, რომ პირმა არ ჩაიდინოს ხსენებული კეთილი ზნე-ჩვეულებით აკრძალული ქმედობა, უკანვე უნდა დაებრუნებინა მის მიმღებს. მაგალითად, ფული გადაუხადეს პირს იმისათვის, რომ მკვლელობა არ ჩაედინა.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა საზიარო ქონების ცნებას. ქონების საზიარობა, გარდა ამხანაგობისა, სოციალურ პრაქტიკაში გვხვდებოდა მემკვიდრეთა შორის. თუ მიწის მესაკუთრეს რამოდენიმე მემკვიდრე ჰყავდა და სამკვიდროდ ადგილ-მამული

დარჩებოდა, თითოეულ მესაკუთრე-მემკვიდრეს შეეძლო მოეთხოვა საერთო ნივთის გაყოფა. თუ სხვა მემკვიდრეები ადგილ-მაძულის გაყოფის წინააღმდეგნი იყვნენ, გაყოფის მსურველს შეეძლო ძეგლი მისი წილი მიწის საფასური ან თუ ეს არ სურდა, საერთო ძეგლიდან გამოეყო თავის კუთვნილი მიწა და, შემდგომ, ნებისმიერი წესით მოეხმარა ის. მაგრამ თუ სამკვიდრო ქონება ისეთი ნივთი იყო, რომლის ნატურით გაყოფა შეუძლებელი იყო, მაშინ ნივთი გაიყიდებოდა და მიღებული თანხა გაიყოფოდა მემკვიდრეთა შორის.

§ 12. კერძო დანაშაულებანი (“დელიქტა პრივატა”)

რომაული სამართალი განასხვავებდა სამართალდარღვევათა ორ კატეგორიას: “დელიქტა პუბლიკას” და “დელიქტა პრივატას”.

საჯარო დანაშაულად ჩაითვლებოდა, ისეთი უმართებული ქმედობა, რომელიც ხელყოფდა სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთ ქმედობებს სახელმწიფოს სახელით სჯიდნენ.

კერძო დანაშაულად ითვლებოდა ისეთი სახის სამართალდარღვევა, რომელიც ცალკეულ ადამიანთა, კერძო პირთა ინტერესებს ლახავდა. კერძო დანაშაული მხოლოდ კერძო პირის, დაზარალებულის ინიციატივით იდევნებოდა. ისინი ე.წ. კერძო მართლმსაჯულების “აუდიციუმ პრივატუმ“-ის წესით განიხილებოდნენ. რომაული იურიდიული ანდაზის თანახმად “კერძო პირების კეთილდღეობამ ადგილი უნდა დაუთმოს საერთო კეთილდღეობას” (“პრივატუმ კომმოდეუმ პუბლიკო ცედიტ”), მაგრამ თვით კერძო ინტერესებს, თუ ისინი სახელმწიფო ინტერესებს არ ეწინააღმდეგებიდნენ, მთელი სისრულით იცავდნენ.

“კერძო დანაშაულობათა” ჩამდენნი ფულად ჯარიმას იხდიდნენ დაზარალებულთა სასარგებლოდ.

დროთა ვითარებაში, იმპერიის ხანაში ზოგიერთი კერძო სამართალდარღვევა გამოცხადებულ იქნა საჯარო დარღვევად. ზოგიერთი სახის სამართალდარღვევისთვის დაზარალებულ მხარეს ეძლეოდა არჩევანი: მიემართა სახელმწიფო ორგანოებისთვის დამრღვევის სისხლის სამართლის წესით დასჯის შესახებ ან დამრღვევისათვის გადაეხდებინებინა კანონით გათვალისწინებული

ჯარიმა “იუდიციუმ პრივატუმ“-ის წესით.

როგორც რომის სამართლის პირველწყაროების ანალიზიდან ჩანს, დროთა ვითარებაში ფართოვდებოდა იმ ქმედობათა წრე, რომლების კერძო დელიქტების ცნებაში ექცეოდნენ. ცხადია, ასეთი ქმედებისათვის დამრღვევებს აჯარიმებდნენ.

როგორც ი.ს. პერეტერსკი აღნიშნავდა, რომის სამოქალაქო სამართალი “. . . ფართო განზოგადობებამდე არ მისულა; იგი არასოდეს არ იდგა იმ თვალსაზრისზე, რომ ზიანის მიმყენებლობის ყოველი მოქმედება პასუხისმგებლობას იწვევს. პასუხისმგებლობის საფუძველს მხოლოდ ის მოქმედება წარმოადგენდა, რომელიც სპეციალურად აკრძალული იყო კანონით თუ ედიქტით. პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდა, თუ ასეთი გათვალისწინებული იყო კანონით, ე.ი. თუ სათანადო სარჩელი იყო დადგენილი. თუ სარჩელი არ იყო დადგენილი, მაშინ არც სამართლდარღვევასთან გვექნებოდა საქმე. ასეთი იყო რომის კერძო სამართლის ძირითადი პრინციპი.

უძველესი ხანის რომის სამართალში ზიანის ბრალეული და არაბრალეული მიყენება ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული. პასუხისმგებლობის საფუძველი იყო თვითონ უკანონო მოქმედება. დროთა ვითარებაში სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სამართლებრივი განვითარების პროცესში წინა პლანზე წამოიწვეს სამართალდამრღვევის განზრახვის თუ გაუფრთხილებლობის პრობლემა “დოლუს“-ის თუ “კულპა“-ს პრობლემა.

კერძო დარღვევას ძირითადად ჯარიმის გადახდევინება მოჰყვებოდა. ფულად ჯარიმას რომაელები სიტყვა “პონა“-თი აღნიშნავდნენ. სამართალდარღვევიდან გამომდინარე სარჩელებს “აკციონეს პონალეს“-ს ეძახდნენ.

როგორც კლასიკური ხანის რომის სამოქალაქო სამართლის მკვლევარები აღნიშნავენ, ზიანის მიმყენებლისათვის გადახდევინება ერთსა და იმავე დროს ჯარიმაც იყო (რომელიც მიზნად ისახავდა ზიანის მიმყენებლის დასჯას) და ზარალის ანაზღაურებაც. უძველეს, წინარერესპუბლიკურ ხანაში კერძო დარღვევას შედეგად ძირითადად ჯარიმა მოჰყვებოდა, ხოლო ზიანის ანაზღაურება დამატებით

ღონისძიებად ითვლებოდა. კლასიკური სამართლის დამკვიდრების ხანაში კი წინ წაძოიწევს ზიანის ანაზღაურების იდეა.

თუ უძველესი ხანის რომის სამართალში სასჯელის იდეა სჭარბობდა, დროთა ვითარებაში ზიანის ანაზღაურების მომენტი იძენს პირველობას. მაგრამ რომის სამოქალაქო სამართლის მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ “პონა“-ს თავდაპირველი დასჯითი ხასიათი ჩანს რომის ისტორიის მთელ მანძილზე. მართლაც, რომის სამართალი არ მოერიდა ჯარიმის და ზარალის ანაზღაურების კომბინირებას. შესაძინეია, რომ რიგი კერძო დარღვევებისა (“დელიქტა პრივატა“) იწვევდა ზიანის მიმყენებლის მკაცრ პასუხისმგებლობას. ის პასუხს აგებდა მიყენებულ ზიანთან შედარებით სამჯერ მეტ ფარგლებში, ზიანს ანაზღაურებდა სამმაგად. ისიც საყურადღებოა, რომ კერძო დელიქტებიდან, კერძო დარღვევებიდან გამომდინარე ვალდებულებანი შემკვიდრებზე არ გადადიოდა.

მთელი რიგი კერძო დარღვევებისა, როგორც ეს სათანადო წყაროებიდან ჩანს, იწვევდა ზიანის მიმყენებლის “ინფამია“-ს, რაც ნიშნავდა “უპატიობას“, ცუდი რეპუტაციის ადამიანად მიჩნევას.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა “ინფამია ფაქტი“-ს ცნებას, ფაქტობრივი უპატიობის ცნებას, როდესაც პირი ივარაუდებოდა დამნაშავედ, მაგრამ ეს დანაშაული დამტკიცებული არ იყო. ამისაგან განსხვავებით “ინფამია იურის“ იყო იურიდიული, სამართლებრივი უპატიობა, რაც შედეგად მოჰყვებოდა დანაშაულისთვის განკითხვას.

“ინფამია“, რომელსაც ცენზორი არამართებული ქცევისათვის ადებდა, განუწესებდა სენატორს, იწვევდა სენატიდან მის გარიცხვას. “ინფამია“ – უპატიობით დასჯილი პირი მაგისტრატად ვერ იქნებოდა არჩეული, ვერც მოსამართლედ იბუშავებდა. მას მოსამართლეთა სიიდან ამოშლიდნენ. რაც შეეხება პრეტორის განკარგულებით დადებულ (განწესებულ) “ინფამია“-ს, მას შედარებით, ნაკლებად მკაცრი შედეგები მოსდევდა. ასეთი პირები ვერ აწარმოებდნენ სხვის სასამართლო საქმეებს.

რომის სამოქალაქო სამართალში “ინიურია“-ს ცნება თანდათან ფართოვდებოდა. მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო

სამართალდარღვევა. ადამიანის პიროვნების ხელყოფა. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა ადამიანის როგორც ფიზიკური ხელყოფა, ასევე მისი სიტყვიერი შეურაცხყოფაც. რომის სამართლის წყაროების თანახმად “ინიურია” შეიძლებოდა ჩადენილი ყოფილიყო “ვერბის აუტ რე” – სიტყვით და საქმით. წყაროებში ჩანს მოსახლეობის მთელი ჯგუფის მხრივ შეურაცხყოფის ფაქტებიც. “ფამოსი ლიბელლი“-ს, ე. ი. შეურაცხყოფელი წერილების არსებობაც არის დაფიქსირებული გვიანდელ რომის სამართალში. შეურაცხყოფა, რა თქმა უნდა, განზრახ მოქმედებას გულისხმობდა. ამიტომ შეურაცხყოფის მიყენება არ შეეძლო შეურაცხადს – გიუს ან მცარეწლოვანს. “დიგესტებიდან“ ჩანს, რომ შეურაცხადი პირების – გიუების თუ არასრულწლოვანების შეურაცხყოფისათვის პასუხისმგებლობა იყო დაწესებული.

შეურაცხყოფილი ქალის მეუღლესა და მამას უფლება ჰქონდათ მინიჭებული ედევნათ შეურაცხყოფელი, რაც შეეხება ვისიმე მონის შეურაცხყოფას, ასეთი საქციელი მონის ბატონისათვის შეურაცხყოფის მიყენებად აღიქმებოდა.

“ინიურიას“ ყველაზე საშიში შემთხვევები სახელმწიფო მნიშვნელობის დარღვევად გამოცხადდა იმპერიის ხანაში. ასეთი დელიქტები სისხლის სამართლის წესით იდევნებოდა, მაგრამ არ იყო უარყოფილი დევნის კერძოსამართლებრივი წესიც:

რესპუბლიკის ბოლო პერიოდში პრეტორი უფლებამოსილი იყო დაეცვა მძიმედ შეურაცხყოფილი პირის პატივი და ღირსება შეურაცხყოფელის დაჯარიმებით. რა თქმა უნდა, ჯარიმის სიდიდეზე გავლენას ახდენდა თვით ჩადენილი ქმედობის სიმძიმე და შეურაცხყოფილი პირის საზოგადოებრივი მდგომარეობა. მაგრამ საქმე ამით არ ამოიწურებოდა. შეურაცხყოფელს “ინფამიით” – გამაწბილებელი სასჯელით სჯიდნენ, სამოქალაქო პატივს აყრიდნენ, შეარცხვენდნენ.

ძველ ქართულ სამართალში ვხვდებით ნორმას, რომლის მიხედვითაც შეურაცხყოფილ პირს შეურაცხყოფელი შეეხვეწებოდა, პატივს გამოთხოვდა, ცოდვა-დანაშაულს მოინანიებდა და, გარდა ამისა, გადაუხდიდა კანონით დადგენილ ჯარიმასაც. “შეხვეწილი“

ერქვა პირს, ვინც შეურაცხყოფილს პატიებას შეეხვეწა, ვინც მონანია თავისი უმართებულო საქციელი. “შეხვეწილი” – შეხვეწნიდან არის ნაწარმოები. შეხვეწნა კი საკუთარი ქმედობის მონანიებასთან იყო დაკავშირებული. როგორც ვხედავთ, საქართველოში კანონით, სამართლის ნორმით იყო დადგენილი ჯარიმა შეურაცხყოფისათვის და მისი ოდენობა მოსამართლის მიხედულებაზე არ იყო დამოკიდებული.

დაუბრუნდეთ ისევ რომის სამოქალაქო სამართალს.

რომაელი იურისტები ქურდობას განმარტავდნენ, როგორც ნივთის ბოროტგანზრახვით დაპატრონებას სარგებლობის ნახვის მიზნით. ცხადია, რომაული “ფურტუმ” არ ემთხვეოდა ქურდობის დღეს მიღებულ სამართლებრივ ცნებას.

რომაელი იურისტების აზრით, ქურდობად ჩაითვლებოდა როგორც სხვისი ნივთით არაკანონზომიერი სარგებლობა, ასევე სხვისი ნივთის მოტაცება, ე.წ. “ფურტუმ რეი”. ქურდობად ითვლებოდა აგრეთვე “ფურტუმ პოსესიონის”. აქ იგულისხმებოდა ისეთი შემთხვევა, როდესაც მესაკუთრე თავის ნივთს იპარავდა იმ პირისაგან, რომელსაც ის მფლობელობაში ჰქონდა გადაცემული, ვთქვათ, გირაოს სახით. უძველეს ხანაში ქურდი დაზარალებულ მხარეს, გაქურდულს გადაეცემოდა. მთლად ნათელი არ არის, რა მოელოდა ასეთ შემთხვევაში ქურდს. ღაბით შეირალებული ქურდის მოკვლა ნებადართული იყო. თუ ქურდობის ფაქტი დადასტურდებოდა, ქურდს ავალდებულებდნენ ფულადი ჯარიმის გადახდას. მთელ რიგ შემთხვევებში ქურდს ახდევინებდნენ ნაქურდალის ორმაგ, ზოგჯერ ოთხმაგ ღირებულებასაც კი. პროფ. ო.ს. იოფე მართებულად წერდა, რომ “ქურდობა რომის სამართალში ფართო ცნება იყო. ქურდობაში რომაული სამართალი უფრო ფართო შინაარსს ათავსებდა, ვიდრე მოძღვენო ისტორიული ეპოქებისა. ქურდობას მიაკუთვნებდნენ სხვისი უფლების ყოველგვარ განზრახ და არაკეთილსინდისიერ მითვისებას, მიუხედავად იმისა, გამოიხატებოდა ის ქონების მთლიანად მითვისებაში თუ არა. რომის სამართალი იცნობდა სარგებლობის ქურდობის ცნებას. მაგალითად, ნივთის შეზნახვლს არ ჰქონდა შესაძლებელი ნივთით სარგებლობის

უფლება. თუ ის ამ ნივთით ისარგებლებდა, ქურდობას ჩაიდენდა“.

ზოგჯერ მიმართავდნენ ქურდის სხეულებრივ დასჯას, გაროზგვასაც. ქურდობისათვის დასჯილი პირი საზოგადოების თვალში შერცხვენლად ითვლებოდა.

გაქურდულ, დაზარალებულ მხარეს იცავდა სარჩელი მიტაცებული ნივთის დაბრუნების შესახებ (“კონდიკციო ფურტივა“). რა თქმა უნდა, გაქურდულ მესაკუთრეს ქურდისათვის შექმლო წარედგინა სავინდიკაციო სარჩელიც, მაგრამ ნივთის მესაკუთრისათვის უფრო ხელსაყრელი იყო “კონდიკციო ფურტივას“ სარჩელის წარედგენა, რადგანაც მოსარჩლისათვის საკმარისი იყო იმის მტკიცება, რომ მას ნივთი მოპარა მოპასუხებ, მაშინ, როცა ვინდიკაციური (სავინდიკაციო) სარჩელის შემთხვევაში მოსარჩლეს უნდა დაემტკიცებინა ავრეთვე ისიც, რომ მოპარული ნივთი მას ეკუთვნოდა საკუთრების უფლებით.

ქურდობის იურიდიული შედეგი არ ამოიწურებოდა მესაკუთრისათვის ნაქურდალის დაბრუნებით. დაზარალებულ მხარეს, მესაკუთრეს, ქურდისათვის შექმლო წარედგინა ახალი სარჩელი “აკციო ფურტი“, რომელიც ქურდისთვის ჯარიმის გადახდევინებას იწვევდა.

თუ ქურდს ქურდობაზე წაასწრებდნენ, ეს იქნებოდა “ფურტუმ მანიფესტუმ“ და მას ჯარიმის სახით გადახდევინებდნენ ნაქურდალის ოთხმაგ ღირებულებას, ხოლო სხვა შემთხვევაში, ქურდს ჯარიმის სახით ახდევინებდნენ ნაქურდალის ორმაგ ღირებულებას.

იმპერიის ხანამდე ძარცვა (“რაპინა“) კერძო დარღვევად, კერძო დანაშაულად ითვლებოდა. მძარცველს ანაზღაურებინებდნენ ნაძარცვი ნივთის ოთხმაგ ღირებულებას, გარდა ამისა, დამნაშავეებს “ინფამია“ არ ასცდებოდათ.

რომის სამოქალაქო სამართლის განვითარების პროცესში, როგორც ეს არაერთხელ გვაქვს აღნიშნული დიდი როლი შეასრულა პრეტორის საქმიანობამ. სოციალური სინამდვილისა და სოციალური იდეალის ჯანსაღი შეჯიბრების პროცესში პრეტორი არაიშვიათად სამართლიანობისა და სოციალური იდეალის მხარეზე აღმოჩნდებოდა ხოლმე. სამართალსა და სამართლიანობას შორის შეჯიბრებაში

პრეტორიც მონაწილეობდა.

პრეტორს შეეძლო ედიქტის (კანონის) გამოცემა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. პრეტორი წყვეტდა, თუ რა უნდა ჩათვლილიყო სამართლად.

თავის ნაშრომში – “პრეტორული სამართლის გენეზისი“, რომელიც 1902 წელს დაიბეჭდა, პროფ. ი. ა. პოკროვსკიმ მოუთითა, რომ პრეტორის ედიქტში, როგორც წესი, არ იყო მოცემული უფლების წარმოშობის და უფლების შეწყვეტის საფუძვლები. პრეტორის აქტში მხოლოდ მითითებული იყო ის წინამძღვრები, რის საფუძველზეც შეიძლებოდა სამართლებრივი დაცვის მინიჭება.

მართებულად არის შენიშნული, რომ ამითვე განისაზღვრებოდა რომაელი იურისტის აზროვნება. მისი დაინტერესების სფეროში შემოდიოდა არა მარტო კანონის და უფლების არსი, არამედ მისი ფორმაც, სასამართლო პროცესი როგორც ასეთი, როგორც კანონის სიცოცხლის ფორმა.

რომაელი იურისტი დაინტერესებული იყო არა იმდენად იმით, სახეზეა თუ არა სამოქალაქო უფლება ამა თუ იმ განსახილველ შემთხვევაში, არამედ უპირატესად იმით, თუ რა შეიძლება განახორციელო სასამართლო პროცესში, როგორ წარმართო პროცესი. ამის შესახებ მართებულად მოგვითხრობს ჰ. დერნბურგი თავის “პანდექტებში“ (ტ. I, § 127).

ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტების განხილვამაც დაგვარწმუნა, რომ რომის სამართალში ჩვენს წინაშე არა იმდენად სამოქალაქო უფლებათა სისტემა, არამედ სამოქალაქო სარჩელების სისტემა. სწორი იყო პროფ. ი. ა. პოკროვსკი, როდესაც აღნიშნავდა, რომ რომის სამოქალაქო სამართალში სამოქალაქო უფლებათა სისტემა განიხილებოდა როგორც სარჩელების პროექცია.

ე. მ. შტაერმანს თავის ნაშრომში “რომის სამართალი“ ნაჩვენებია აქვს, რომ პროგრესული მიმართულების რომაელი იურისტები და საზოგადოებრივი მოღვაწეები კანონის არსის დაცვის მომხრეები იყვნენ და არა მისი ანბანისა. ციცერონი, მაგალითად, წინააღმდეგი იყო კანონის სიტყვასიტყვითი, სკრუპულოზური გაგებისა. ციცერონი თვლიდა, რომ კანონის სიტყვების გამოდევნებამ შეიძლება

უსამართლობაზე მიგვიყვანოს. ამასთან დაკავშირებით, ის იმონებდა ცნობილ ლათინურ ანდაზას: — “სუმუმ იუს-სუმმა ინიურია” უმაღლესი კანონიერება — უმაღლესი უკანონობაა.

აქ შეიძლება გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ ციცირონის აზრით, ორატორი კანონის ტექტს არ უნდა დაშორდეს, მაგრამ მას აქვს უფლება კანონის ახსნა-განმარტებისა. ორატორებმა შეიძლება კანონი განმარტონ საქმის მოვების ინტერესებისათვის, მაგრამ ციცირონი ურჩევს მათ გაითვალისწინონ რომ კანონში მხოლოდ ისაა ძითითებული, რაც აუცილებელია, ხოლო დანარჩენი ჩვენს გაგებაზეა დამოკიდებული. ასე რომ, ციცირონის აზრით, უნდა მივდიოთ არა კანონის სიტყვას, არამედ კანონმდებლის ნებას.

ციცირონი შექმნა აზნიშნავდა, რომ შეიძლება ის, რაც ერთ კანონში წერია, ეწინააღმდეგებოდეს იმას, რაც მეორე კანონითაა დაწესებული ან შესაძლოა კანონი ეწინააღმდეგებოდეს წესჩვეულებას, ბუნებას, სამართლიანობას და სიკეთეს.

ციცირონის თქმით, ანტონიოსი, რომელიც უარყოფდა კანონის ზედმიწევნით ციხის აუცილებლობას, შესანიშნავად დამჯერებლად ამტკიცებდა კანონის აზრის უპირატესობას კანონის სიტყვასთან შედარებით და უგებდა კიდევ საქმეებს თავის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მხოლოდ სამართალს ეყრდნობოდნენ და გადმოდიოდნენ სამართლიანობისა და სიკეთის წინააღმდეგ.

ხსენებულთან დაკავშირებით მოვუსმინოთ ე. მ. შტაერმანს:

“წინააღმდეგობა ამ ორ მიმართულებას შორის იმდენად აქტუალური იყო, რომ თვით სკოლებშიაც კი, სადაც მოძავალი სასამართლო ორატორები იზრდებოდნენ, შემოთავაზებული კაზუსების თემაზე სიტყვების წარმოთქმაში მოვარჯიშეთავან ერთნი კანონის სიტყვას იცავდნენ, ხოლო მეორენი სამართლიანობას” . . .

სამართლიანობასა და პოზიტიურ სამართალს შორის ეს “შეჯიბრება”, მათი თანაარსებობა, სრულიადაც ხელს არ უშლიდა რომში კანონის უზენაესობის იდეის დამკვიდრებას.

მეტისმეტა სიბრიყვე იქნებოდა, — ამბობდა ციცირონი (მკ. წ. 106-43), — კანონიერად, “იუსტა“-დ ჩაგვეთვალა ყველაფერი ის, რასაც ხალხის მიერ მიღებული კანონები შეიცავენ.

ასეთ, ადამიანების მიერ თვითნებურად მიღებულ კანონებს ციცირონი უპირისპირებს ბუნების კანონებს, ბუნების სამართალს, ადამიანთა ბუნებას. სამოქალაქო სამართალს ამ ზოგად სამართალში მხოლოდ მცირე ადგილი უკავია.

ციცირონის აზრით, ბოროტებასა და სიკეთეს ჩვენ ვანსხვავებთ არა კანონის მიხედვით, არამედ იმ ბუნებითი საზომის მიხედვით, რომელსაც ციცირონი “ნატურაე ნორმა“-ს ეძახის.

ხსენებული ბუნებითი ნორმა ციცირონის თანახმად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე პოზიტიური კანონი.

ციცირონის აზრით, კანონი სამართლიანი და ბუნების შესატყვისია, როდესაც ის საკუთრებას იცავს, რამდენადაც სხვების ხარჯზე გამდიდრება ბუნების საწინააღმდეგოა და ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებაზე დაფუძნებულ ყველა ხალხისათვის საერთო, ე.წ. “ხალხთა სამართალს“ (“იუს გენციუმ“).

ცალკეული ქალაქების, პროვინციების და სახელმწიფოების კანონების მიხედვითაც დაუშვებელია, რომ საკუთარი სარფისათვის, საკუთარი გამდიდრებისათვის სხვას მიაყენო ზიანი. მას, ვინც ძირს უთხრის ადამიანთა თანაცხოვრებას, სჯიან და აჯარიმებენ. ასე გვკარნახობს ბუნების გონება, რომელიც არის ღვთაებრივი და ადამიანური კანონი.

“იუს ცივილეს“ და “იუს გენციუმის“ საფუძვლად ციცირონი მიიჩნევს სიტყვის შესრულებას, ერთმანეთისადმი ნდობას, პატიოსნებას, კეთილსინდისიერებას. ციცირონის მიხედვით, ხსენებულ სათნოებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მეურვეობის, ამხანაგობის, მინდობილობის, ნასყიდობის თუ ოჯახის საქმეებში. საზოგადოება დაინტერესებულია თავის წევრთა შორის კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

ციცირონს გამოთქმული აქვს მოსაზრება ვალდებულებითი სამართლის საკითხებზეც. ის წერდა ხელშეკრულებათა დაცვის საჭიროებაზეც. ხელშეკრულებები უნდა სრულდებოდეს, როგორც კანონის შესაბამისად, ასევე უბრალო შეთანხმების თანახმადაც.

რომაელებს უყვარდათ იურიდიული ანდაზის გამოხატვა: “პაქტა სუნტ სერვანდა“ – ხელშეკრულებანი უნდა სრულდებოდეს, მაგრამ

აქ იგულისხმებოდა, რომ ხელშეკრულება არ შეიცავდა უკანონო და უხამს საფუძველს. მეორე, გავრცელებული ანდაზის თანახმად ხელშეკრულებები, რომლებიც კანონსაწინააღმდეგო და უხამს საფუძველს შეიცავდნენ, არ უნდა შესრულებულიყვნენ. “შეთანხმებანი, რომელნიც უხამს საფუძველს შეიცავენ, არ უნდა სრულდებოდნენ“, ამბობდა ლათინური იურიდიული ანდაზა.

§ 13. პირები

რომაელი იურისტების ნაწერებში ადამიანის სამართლებრივი მდგომარეობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი “სტატუსი”. მათი აზრით, რომის სახელმწიფოში ადამიანს შეიძლება გააჩნდეს სამგვარი სტატუსი:

1) “სტატუს ლიბერტატის” განსაზღვრავდა რომის სახელმწიფოსათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხს: ეკუთვნოდა თუ არა ადამიანი თავისუფალთა ფენას. ამ თვალსაზრისით, ადამიანი შეიძლებოდა ყოფილიყო თავისუფალი ან მონა. კანონი მათ შორის არავითარ საშუალოს არ ცნობდა.

2) “სტატუს ცივიტატის” – მიგვითითებდა იმის შესახებ, ადამიანი რომის მოქალაქე იყო თუ არა. უცხოელები – “პერეგრინუსები” რომის მოქალაქეთა უფლებებით ვერ ისარგებლებდნენ.

3) “სტატუს ფამილიაე” განსაზღვრავდა რომელი მოქალაქის მდგომარეობას ოჯახში. ოჯახში რომელი ან ოჯახის უფროსი, ოჯახის მეთაურია, (“პატერფამილიას”) ან მისი ხელქვეითია.

საუკუნეების განმავლობაში რომელი “პატერფამილიას” თითქმის იმავე უფლებებით სარგებლობდა, როგორც მონარქი სახელმწიფოში.

რომის სამოქალაქო სამართალი იცნობდა პირის უფლებაუნარიანობის შემცირებას და მას აღნიშნავდა ტერმინით “კაპიტის დემინუციო”. ამ მიმართებით, ცხადია, ადამიანის მიერ თავისუფლების დაკარგვა იქნებოდა მისი უფლებაუნარიანობის მაქსიმალური შემცირება. ამ მოვლენას ასეც ერქვა: “კაპიტის დემინუციო მაქსიმა”.

თუ ადამიანს რომის მოქალაქეობას ჩამოართმევდნენ, ეს

იქნებოდა “კაპიტის დემინუციო მქდია“. ამ შემთხვევაში პირი კარგავდა მოქალაქეობას, მაგრამ თავისუფლებას ინარჩუნებდა.

“კაპიტის დემინუციო მინიძას“ შემთხვევაში, ადამიანი კარგავდა თავის მდგომარეობას ოჯახში, მაგრამ ინარჩუნებდა სხვა უფლებებს (პირველ ორ სტატუსს).

ძველი რომის სამოქალაქო სამართლის მიხედვით სამართლის სუბიექტად შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ცალკე ადამიანი, მოქალაქე, ასევე კორპორაცია. საამქრო, საგვარეულო და ა.შ., ე. ი. დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ფიზიკურ პირთა გავრთიანებანი. რომის სამართლის წიაღშივე გაჩნდა იურიდიული პირის ცნება. თუმცა, იურიდიული პირები რომში აღიარებულ იქნენ სამართლის სუბიექტებად, უნდა ითქვას, რომ იურიდიული პირების განვითარების დონე შედარებით დაბალი იყო. მხოლოდ კაპიტალიზმის ხანაში გახდა შესაძლებელი იურიდიული პირების სრულმასშტაბიანი განვითარება.

სამეცნიერო ლიტერატურაში რომში იურიდიულ პირთა ინსტიტუტს მიძღვნილი აქვს ცალკე წიგნები მაგ., რუსმა მკვლევარმა ვ. ელიაშევიჩმა რომში იურიდიული პირების წარმოშობა-განვითარების საკითხებზე საკმაოდ დიდი თხზულებაც კი დაწერა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი რომის სამოქალაქო სამართლისათვის იურიდიული პირის იდეის შემოტანა სამართალში დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით დიდი ცივილისტი და რომანისტი ი. ა. პოკროვსკი თავის კაპიტალურ ნაშრომში – “რომის სამართლის ისტორია“ – წერდა, რომ იურიდიული პირის იდეის, როგორც სამოქალაქო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის, როგორც სამეურნეო ცხოვრების დამოუკიდებელი ცენტრის, შექმნა წარმოადგენს რომის სამართლის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებას. მხოლოდ რომის სამოქალაქო სამართლის მეშვეობით იურიდიული პირის იდეამ შემოაბიჯა თანამედროვე ევროპული სამართლის წიაღში.

თვით რომის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე იურიდიული პირი შედარებით ნელა, მაგრამ განუხრელად ვითარდებოდა, სანამ ის იმპერიის ხანაში შედარებით ნათლად არ ჩამოყალიბდა.

ამ ხანებში, როდესაც რომში მეურნეობას პატრიარქალურ-ნატურალური ხასიათი ჰქონდა, არ არსებობდა საჭიროება ქონებათა ხანგრძლივი კონცენტრაციისა, რაც საფუძველი იქნებოდა იურიდიული პირების, როგორც სამართლის იმ განსაკუთრებული სუბიექტის წარმოსაშობად, რომლებიც წარმოადგენდნენ უკვე არა ცალკეულ პირებს, არამედ გარკვეული მიზნით გაერთიანებულ პირთა და ქონებათა გაერთიანებას, შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე წარმონაქმნებს.

იურიდიულ პირთა წარმოშობის პროცესს რომში წინ უძღოდა სხვადასხვა ამხანაგობათა და გაერთიანებათა მოძალების პროცესი.

თავდაპირველად ასეთი გაერთიანებები, მაგალითად, დამკრძალავთა გაერთიანება, არ წარმოადგენდნენ იურიდიულ პირებს და, მაშასადამე, არც სამართლის სუბიექტებად ითვლებოდნენ. ამ გაერთიანებებს ჯერ კიდევ არ გააჩნდათ განკერძოებული ქონება, რომელიც გაერთიანების წევრთა ქონებისაგან განსხვავებული იქნებოდა. გაერთიანების მონაწილეთა ქონება მათ მონაწილეთა კუთვნილებად ითვლებოდა. პრინციპატისა და, განსაკუთრებით, კილომინატის ხანაში და ისიც გამონაკლისის სახით ცნობენ სხვადასხვა გაერთიანებათა დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობას. აღიარებულ იქნა, რომ გაერთიანებას შეიძლება გააჩნდეს მის შემადგენლობაში შემავალ ადამიანთა უფლებაუნარიანობისაგან განცალკევებული უფლებაუნარიანობა.

პრიმიტიული იურიდიული აზროვნებისათვის იურიდიული პირის იდეა არ არის დამასასათებელი, ასე იყო ეს რომის სამართლის განვითარების ადრეულ საფეხურზე. ძვ. წ. II-I საუკუნეებში რომი ძლიერი სახელმწიფო იყო. ამ სახელმწიფოს გააჩნდა უზარმაზარი ქონება—მიწები, მონები, შენობები და ა.შ., მაგრამ ეს ქონება რომაელი იურისტების აზრით, სამოქალაქო ბრუნვაში ვერ მოექცეოდა. ისინი ითვლებოდნენ როგორც “რეს ექსტრა კომმერციუმ” და ჩვეულებრივი სამოქალაქო ურთიერთობის გარეთ იდგნენ. ისინი საზოგადო ქონებად ითვლებოდნენ და ეკუთვნოდნენ თითქოს ყველას და არავის კერძოდ. არავის არ ჰქონდა მათზე უფლება. მას მართავდნენ საჯარო

სამართლის საწყისებზე.

სამეურნეო თვალსაზრისით საჭირო გახდა სახელმწიფო მიწების და სხვა ქონების გონივრული მოხმარება. მაგისტრატებმა იჯარით გასცეს სახელმწიფო ადგილ-მაძულები. მაგისტრატების მიერ არენდატორებთან დადებული ხელშეკრულება განიხილებოდა არა როგორც ჩვეულებრივი სამოქალაქო ხელშეკრულება. მაგისტრატსა და არენდატორს შორის წარმოშობილ კონფლიქტს გაარჩევდა არა სამოქალაქო სასამართლო, არამედ სახელმწიფო მოხელე – მაგისტრატი.

სამართალგანვითარების ამ საფეხურზე სახელმწიფო ხაზინა წარმოადგინებოდა არა როგორც სამართლის სუბიექტი, არა როგორც იურიდიული პირი, არამედ როგორც სახელმწიფო ფასეულობათა შესანახი საწყობი, როგორც სახელმწიფო “საჭურჭლე”.

განვითარების მომდევნო საფეხურზე ისტორიულმა აუცილებლობამ რომაელი იურისტები მიიყვანა იმის აღიარებამდე, რომ სახელმწიფო, თავისი ხაზინის სახით არის იურიდიული პირი, რომ ქალაქის თვითმმართველობები არიან იურიდიული პირები და ა.შ. ფისკი და ქალაქის თემები და ა.შ. ხელშეკრულებებს დადებენ და რიგ შემთხვევაში ხელშეკრულებებიდან გამომდინარე უფლებათა და მოვალეობათა სუბიექტებად ითვლებოდნენ.

მაგრამ თვით რომის სახელმწიფოს აყვავების ხანაშიც იურიდიული პირები მაინც და მაინც დიდ როლს არ ასრულებდნენ და ვერც შეასრულებდნენ. მხოლოდ კაპიტალისტურ ხანაში შეეძლოთ იურიდიულ პირებს დიდი როლის შესრულება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ცნობილი რომაელი იურისტის გაიუსის ცნობით თორმეტი ტაბულის კანონის მიხედვით რელიგიურ გაერთიანებებს ჰქონიათ უფლება საკუთარი წესდებების გამომუშავებისა იმ პირობით, რომ ეს წესდებები კანონსაწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო. ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ძველ რომში არსებობდნენ რელიგიური თუ სამეურნეო მიზნით შექმნილი კოლეგიები თუ კორპორაციები, რომლებიც იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობდნენ და, ამდენად, განიხილებოდნენ ერთ მთლიან ერთეულად, გაერთიანებად,

ასეთი გაერთიანებების ვალები მათი მონაწილეების ვალებად არ ჩაითვლებოდა. დიგესტებში ნათქვამი იყო, რომ "გაერთიანების ვალი არ არის ცალკეულ პირთა ვალი, და ის, რაც გაერთიანებას მართებს, ცალკეულ პირებს არ მართებთ".

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადადგმული რომის სამოქალაქო სამართლის მიერ იურიდიულ პირის ცნების კონსტრუირების საქმეში. რომაელი იურისტები მიხვდნენ, რომ ზოგიერთი გაერთიანების არსებობა დამოკიდებული არ არის იმაზე, გარდაიცვალა თუ არა გაერთიანების რომელიმე წევრი, ან დარჩა თუ არა გაერთიანებაში წინანდელ წევრთა მხოლოდ ნაწილი თუ ყველა წევრი შეიცვალა. რომაელი იურისტების აზრით, ქალაქის თვითმმართველობა პირის ფუნქციებს ასრულებდა და თვითმმართველობის განმახორციელებელ კონკრეტული პირების ცვალებადობაზე არ იყო დამოკიდებული თვით თვითმმართველობის, როგორც ასეთის არსებობა.

რომის სამართლის მკვლევარებს შორის საკამათოა საკითხი, იყო თუ არა უძველეს ხანაში რომის სახელმწიფო იურიდიული პირი.

რომის სამოქალაქო სამართლის ცნობილი მკვლევარები, კერძოდ, ჟარარი და მომშენი ფიქრობდნენ, რომ რომის სახელმწიფო უძველესი ხანიდან ითვლებოდა იურიდიულ პირად.

მაგრამ უფრო მართებული უნდა იყოს პროფ. ია. პოკროვსკის შეხედულება, რომ რომის სახელმწიფომ როგორც იურიდიულმა პირმა სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობა მხოლოდ რესპუბლიკური წყობილების მეორე ნახევარში დაიწყო.

როგორც ცნობილია, ძვ. წ. 753 წლიდან 510 წლამდე რომში მეფეების, ანუ რეესების ხანა იყო. რესპუბლიკის ხანად ითვლება ძვ.წ. 510-31 წლების მონაკვეთი რომში. მაშასადამე, რომის სახელმწიფო იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა დაახლოებით ძვ.წ. III საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს საფუძველი ეყრებოდა რომის სახელმწიფოს ოქროს ხანას.

სწორედ ამ ხანაში ყალიბდებოდნენ კორპორაციები და საქალაქო თემები, აგრეთვე სახელმწიფო, იურიდიულ პირებად. თანდათან

პროცესუალური (საპროცესო) უფლებაუნარიანობა მოიპოვეს კერძო კორპორაციებმაც.

პრეტორმა სცნო საქალაქო თემების უფლება ისარჩლონ და მოპასუხედ გამოვიდნენ სასამართლოში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით. ეს წარმომადგენელი თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში ინიშნებოდა ბუნიციპალური საბჭოს მიერ.

რომის სამოქალაქო სამართალი თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე უკვე კარგად აყალიბებს იურიდიული პირების ძირითად თვისებებს.

1. რომელი იურისტების ნაწერებიდან ჩანს, რომ ისინი კორპორაციას კერძო სამართლის სფეროში ისევე უყურებდნენ, როგორც კერძო პირებს, ფიზიკურ პირებს. “დიგესტებში” მოთავსებული ცნობილი იურისტის – გაიუსის თხზულების ფრაგმენტის თანახმად თემები (“ცივიტატეს”), განიხილებოდნენ, როგორც კერძო პირები (50.16.16).

2. იურიდიულად კორპორაციის მოშლას ვერ გამოიწვევდა გაერთიანებებიდან ცალკეული პირების გამოსვლა. “დიგესტებში” ნათქვამი იყო იმის შესახებ, რომ კორპორაციის იურიდიულად არსებობა არ წყდება გაერთიანებიდან ცალკეულ პირთა გამოსვლით.

3. კორპორაციის ქონება განკერძოებული იყო, გამოცალკევებული იყო მისი წევრების ქონებისაგან.

4. კორპორაცია, როგორც იურიდიული პირი, სხვა იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებდა იმ ფიზიკური პირების თუ პირის მეშვეობით, რომელსაც იურიდიული პირისაგან მიღებული პქონდა ამის უფლებამოსილება.

ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ ყველა იურიდიული პირის უფლებამოსილების მოცულობა ერთნაირი არ იყო ძველ რომში. ზოგ იურიდიულ პირს გააჩნდა უფლება მიეღო საანდერძო დაკისრებისა და ლევატის მეშვეობით ქონება, ზოგსაც არა. კოლუგეებმა ანდერძის მეშვეობით ქონების მიღების უფლება მიიღო მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეში.

რესპუბლიკის პირველ ხანაში, რესპუბლიკური წყობილების პირველ ნახევარში კერძო კორპორაციების წარმოშობას სახელმწიფო

არ ზღუდავდა. მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე კორპორაციის დაარსებისთვის სენატის ნებართვა იყო საჭირო. კოლეგია ჩაითვლებოდა კანონიერად, თუ მისი არსებობა ნებადართულა იყო სენატის მიერ. თავისუფლად, ნებართვის გარეშე მხოლოდ დამკრძალავი ბიუროს შექმნა შეიძლებოდა.

თუ სენატი კორპორაციის შექმნის ნებართვას იძლეოდა, ეს იმასაც ნიშნავდა, რომ სენატი მას იურიდიულ პირად სთვლიდა.

ქრისტიანული რელიგიის გამარჯვებამ რომის იმპერიაში ხელი შეუწყო საეკლესიო დაწესებულებების იურიდიულ პირად აღიარებას. იურიდიულ პირად აღიარეს ეკლესიები, საქველმოქმედო დაწესებულებები და ა.შ. მათ შორის საავადმყოფოები და თავშესაფრებიც.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალი, როგორც აღვნიშნეთ, სამართლის სუბიექტს, ჩვენებურად “პირს“, პერსონას უწოდებდა.

სამოქალაქო უფლებაუნარიანობის აუცილებელი პირობა იყო ადამიანის თავისუფალი სტატუსი. არათავისუფალი ადამიანი, ვთქვათ მონა, ლათინურად “სერვუს“ ვერ იქნებოდა სამართლის სუბიექტი.

რომის უძველესი კანონმდებლობა მონას თვლიდა არა სამართლის სუბიექტად, არამედ სამართლის ობიექტად. ლათინური იურიდიული ანდაზის მიხედვით მონა არის ნივთი (“სერვუს სუნტ რეს“).

მაშასადამე, უფლებაუნარიანობა იყო არა თავისთავად საგულისხმებელი ბიოლოგიური მოვლენა, არამედ სოციალური. კანონი ყველა ადამიანს კი არ ანიჭებდა უფლებაუნარიანობას, არამედ მხოლოდ ზოგიერთებს, ისეთებს, რომელთაც თავისუფალი სტატუსი ვაჩნდათ, ე.წ. “სტატუს ლიბერტატის“-ს.

ცნობილი ცივილისტი და რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი – პროფ. ი. ა. პოკროვსკი ამასთან დაკავშირებით წერდა:

“ისტორიის მთელი პერიოდის მანძილზე რომის სამართალში სამოქალაქო უფლებაუნარიანობის უმაღლეს, ძირითად პირობას წარმოადგენდა თავისუფლების ქონა. მონა “სერვუს“ სამართლის სუბიექტი კი არ იყო, არამედ მისი ობიექტი. მონა იყო არა

“პერსონა“, არამედ ნივთი – “რეს“. დროთა ვითარებაში მონის მდგომარეობა შესაძლოა შეცვლილიყო, ის გამხდარიყო უკეთესი ან უარესი, მაგრამ ეს იურიდიული პრინციპი უცვლელად რჩებოდა. რეალურმა ცხოვრებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ რომის სამართალმა მრავალ შემთხვევაში ამ პრინციპის ლოგიკური შედეგებისაგან უკან დაიხია; მაგრამ ყოველ ამ უკანდახევას განსაკუთრებული, საგამონაკლისო ხასიათი ჰქონდა და ვერ შეარყევდა ძირითად საწყისს, რომ მონა სამართლებრივად ნივთი იყო“.

ძველი რომის სამოქალაქო სამართლისათვის უცნობი იყო ტერმინი უფლებაუნარიანობა. უნარს, ყოფილიყავი სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, რომელი იურისტები სიტყვა “კაპუტ“-ის მეშვეობით გამოხატავდნენ.

ლათინურად “კაპუტ“ ნიშნავდა თავს, სიცოცხლეს, მეთაურს, მოთავეს და ა.შ., მაგრამ დროთა ვითარებაში მან რომელი იურისტებთან სწორედ დღევანდელი უფლებაუნარიანობის მნიშვნელობა მიიღო.

რომის სამოქალაქო სამართალში უფლებაუნარიანობის ქონა გამოიხატებოდა ტერმინით – “კაპუტ ჰაბერე“, ხოლო მისი არქონა – “კაპუტ ნონ ჰაბერე“, ან კიდევ – “ნულლუმ კაპუტ ჰაბერე“.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უფლებაუნარიან პირს რომაელები “პერსონა“-ს ეძახდნენ. ლექციის დასაწყისში ვთქვით და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ ფიზიკური პირის, ცალკე აღებული პიროვნების უფლებაუნარიანობა სამი რამისაგან იყო დამოკიდებული: თავისუფალი ადამიანის სტატუსისაგან (“სტატუს ლიბერტატის“), მოქალაქეობის სტატუსისაგან (“სტატუს ცივიტატის“) და საოჯახო სტატუსისაგან (“სტატუს ფამილიაე“). ეს გარემოება იურისტმა პაულუსმა ასე გამოთქვა: “ტრია სუნტ ქვე ჰაბემუს: ლიბერტატემ, ცივიტატემ, ფამილიამ“ (დიგესტები, 4,5, ფრაგმენტი 11). მაშასადამე, სამი რამით განისაზღვრებოდა სამოქალაქო უფლებაუნარიანობა: თავისუფალი ადამიანის სტატუსით, მოქალაქეობისა და ოჯახური მდგომარეობის სტატუსით.

როგორც ვხედავთ, უფლებაუნარიანობით ყველა ადამიანი როდი იყო აღჭურვილი. ცნობილია, რომ რესპუბლიკის პერიოდის

მიმწუხრზე და იმპერიის ხანაშიც, რომში მონათა რიცხვა რამდენიმეჯერ ჭარბობდა თავისუფალთა რიცხვს. და ეს დიდი უძრავლესობა ადამიანებისა მოკლებული იყო უფლებაუნარიანობას. მონას ოჯახის შექმნის უფლებაც კი არ გააჩნდა.

ძველ რომში შესაძლოა სამართლის სუბიექტად ყოფილიყო მხოლოდ თავისუფალი ადამიანი, მაგრამ სრულფასოვანი სამართალსუბიექტობისათვის ესეც არ იყო საკმარისი, ვინაიდან, კიდევ საჭირო იყო რომის მოქალაქეობაც. რომის სახელმწიფოს იმ ქვეშევრდომებს, რომლებიც რომის მოქალაქეები არ იყვნენ, შესაძლოა ჰქონოდათ შეზღუდული უფლებაუნარიანობა. მხოლოდ რომის იმპერიის არსებობის უკანასკნელ ეტაპზე მიენიჭა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომს რომის მოქალაქეობა.

არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საოჯახო მდგომარეობასაც. ძველ ასირიასა და ძველ რომში ოჯახი პატარა სახელმწიფოს მოგვაგონებდა. ამდენად, ოჯახის უფროსიც აღჭურვილი იყო დიდი ძალაუფლებით. რომში ოჯახის უფროსი, იგივე “პატერფამილიას” ყოველთვის სრულუფლებიან პირად ითვლებოდა. დიდი ხნის განმავლობაში ოჯახის უფროსის ხელქვეშეთ პირებს, ისევე როგორც მონებს, სამოქალაქო უფლებაუნარიანობა არ გააჩნდათ. მაგრამ, თანდათან სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარების კვალობაზე, საჭირო გახდა, რომ ოჯახის უფროსის ხელქვეშეთ მყოფი პირების უფლებები გარკვეულად გაეზარდათ. მაგრამ მიუხედავად ამისა, რომის სახელმწიფოს არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ოჯახის წევრების უფლებები მთლიანად ვერ გაუთანაბრდა “პატერფამილიას“-ის უფლებებს.

როგორც ვნახეთ, სრული სახის უფლებაუნარიანობისათვის საჭირო იყო, რომ პირი ყოფილიყო თავისუფალი და არა მონა, მოქალაქე და არა ქვეშევრდომი, ამასთან, თავისი ოჯახური მდგომარეობით ოჯახის უფროსის ძალაუფლებიდან “პატრია პოტესტას“-ისაგან თავისუფალი.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროში სრული უფლებაუნარიანობისათვის პირს უნდა ჰქონოდა ე.წ. “იუს კონკრეტი” – უფლება რომაული წესით ქორწინებისა და რომაული ოჯახის

შექმნისა, ქორწინება კი უნდა მოძნდარიყო რომის სამართლის მიერ გათვალისწინებული წესის მიხედვით. ამას გარდა, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროში სრული უფლებაუნარიანობისათვის საჭირო იყო, რომ ჰქონოდა “იუს კომპერციი” – უფლება ყოველნაირი ქონებრივი ურთიერთობის სუბიექტად ყოფნისა და სათანადო გარიგებებში მონაწილეობისა.

უფლებაუნარიანობა პირისათვის, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა, დაბადებისთანავე იწყებოდა და გარდაცვალებამდე გრძელდებოდა. რომაელი იურისტები უფრო შორსაც მიდიოდნენ, ფიქრობდნენ, რომ ჩასახულ, მაგრამ ჯერ არდაბადებულ ბავშვს გააჩნდა იმ მამის ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება, რომელიც მის დაბადებამდე გარდაიცვალა.

ამავე დროს, რომის სამოქალაქო სამართალი ახალ გახსნილ მემკვიდრეობას, რომელიც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული მემკვიდრეს, განიხილავდა, როგორც გარდაცვლილის პიროვნების გაგრძელებას.

რომაელი იურისტების აზრით, დატოვებული მემკვიდრეობა მამკვიდრებლის პიროვნების გაგრძელებაა და ამ თვალსაზრისმა “დიგესტებშიაც” პოვა თავისი ასახვა (41.1.34).

ამიტომაც, – სამართლიანად აღნიშნავდა ვ. ა. ფლუეშიცი, მონებს შეეძლოთ სამკვიდრო მასის ინტერესებიდან გამომდინარე “ექს პერსონა დეფუნკტი” ჩაეტარებინა იურიდიული ქმედებანი, თითქოს და ამით გრძელდებოდა გარდაცვალებულის უფლებაუნარიანობა.

იმპერიის ხანაში თვით რომაელ იურისტებს შორის ჩნდება ეჭვი, რომ ულპიანუსის სიტყვები იმის შესახებ, რომ მონები ნივთები არიანო, ყველა ვითარებაში უნდა განვიხილოთ უცილობელ ჭეშმარიტებად თუ არა.

სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ და რომის სახელმწიფოში სამოქალაქო ბრუნვის ლოგიკამ დღის წესრიგში დააყენა მონების გონებრივი მონაცემებისა და მათი პირადი თაოსნობითი უნარისა და სამრეწველო ენერჯის მებატონეთა სასარგებლოდ გამოყენების საკითხი. მონას გამოეყო მცირე ქონებრივი მასა

პეკულიუმის სახით, რომელიც მის უშუალო გამგებლობაში იყო. დროთა ვითარებაში ძველი, პატრიარქალური ხანის მონათმფლობელური იდეოლოგია შეირყა. თვით ცნობილი იურისტი ულპიანუსი წერდა, რომ მართალია, ცივილური სამართლის თვალსაზრისით მონები ნივთებად ითვლებიან, მაგრამ ეს ასე არ არის ბუნებითი სამართლის მიხედვით, რადგანაც ბუნებითი სამართლის თვალსაზრისით ყველა ადამიანი თანასწორია. (დიგესტები 50.17.32). ცნობილი იურისტი დომიციუს ულპიანუსი ცხოვრობდა 170-228 წლებში.

ცნობილი რომაელი იურისტი ფლორენტინუსი გაცდა ტრადიციის ფარგლებში ტრადიციის დაძლევის იდეას მაშინ, როდესაც მან აშკარად დაუპირისპირა მოქმედი პოზიტიური სამართალი ბუნებით სამართალს, სოციალური სინამდვილე-სოციალურ იდეალს, სამართალი-სამართლიანობას.

ხსენებულ რომაელი იურისტის აზრით, მონობა სხვადასხვა ხალხების პოზიტიური სამართლის დანაწესია, რომლის შემჯობობითაც ერთი, ბუნებითი სამართლის წინააღმდეგ, მეორის ძალაუფლებას ემორჩილება (დიგესტები 1.5.4.1).

მაგრამ რომის სამოქალაქო სამართალი ამ იდეების შესატყვისად არ გარდაქმნილა.

მართალია, ბუნებითი სამართლისათვის მონობის ინსტიტუტი უცხო იყო, მაგრამ სოციალურ პრაქტიკაში მონობა მართლდებოდა ომით, რომელსაც რომის სახელმწიფო გამუდმებით ეწეოდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რომში მონობის ინსტიტუტს თავისი პარადოქსიკ ახლდა თან.

ანტიკური მონობის შესახებ სათანადო მასალების შესწავლის შედეგად რომის ისტორიის სპეციალისტები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ მონობის სახით ძველ იტალიაში განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. როდესაც მონას ვახასიათებთ, როგორც ნივთს, როგორც მოლაპარაკე იარაღს, ამით ვერ ვიძლევიტ მონობის, როგორც სოციალური მოვლენის, სრულ დახასიათებას.

თვით რომის სამართლის დამოკიდებულება მონისადმი გაორებული იყო. ეს ეხება, უპირატესად, შედარებით მოწიფებულ, კლასიკური ხანის რომის სამართალს. ერთი მხრივ, მონა

განხილვობდა როგორც ნივთი, მაგრამ მეორე მხრივ, იძულებულნი იყვნენ ის განეხილათ როგორც პირი.

რომის სამართალი პირებს ყოფს თავისუფალ პირებად ან მონებად. მაგრამ რომის სამართლის წყაროებში გვხვდება ასეთი დებულებაც: პირების ერთი ნაწილი საკუთარი უფლებით არის აღჭურვილი, ხოლო მეორენი სხვისი ძალაუფლების ხელქვეშეთნი არიან. ამ უკანასკნელ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ საბატონო მონებს, ე.ი. მონებს, რომლებიც ოჯახის უფროსის ძალაუფლების ქვეშ ცხოვრობდნენ.

ამ შემთხვევაში მონები არ უპირისპირდებოდნენ სხვა პირებს და ოჯახის უფროსის შვილებთან ერთად შეადგენდნენ რთულ, რომაულ საოჯახო ურთიერთობაში ჩართულ სუბიექტებს. რომაული მართლშეგნებისათვის დამახასიათებელი იყო “სახლის ბატონის” – ოჯახის უფროსის ძალაუფლების განხილვა როგორც ერთიან საწყისებზე მესაკუთრისა, როგორც შვილების, ასევე მონების მიმართ.

ზოგიერთ იურიდიულ სიტუაციაში და პროცედურაში ოჯახის თავისუფალი წევრები და მონები ერთმანეთთან იყვნენ იურიდიულად (და არა სოციალურად) გათანაბრებულნი.

რომაული მართლშეგნების თანახმად ოჯახის უფროსის კანონიერი შვილები და მონები ხელქვეშეთთა ერთიან ცნებაში შედიოდნენ.

რომაული მართლშეგნების თანახმად მონას არ გააჩნდა პიროვნება, მონა არ იყო პიროვნება, მაგრამ ამავე დროს მონა იყო ან შესაძლოა ყოფილიყო თავისი ბატონის წარმომადგენელი და, ამდენად, პიროვნება.

რომაული სოციალური პრაქტიკის ამ პარადოქსებზე შეიძლება წავიკითხოთ ვ. ს. სმირინისა და ს. ლ. უტჩინკოს ნაშრომებში. გთხოვთ წავიკითხოთ ჟურნალი – “ვესტნიკ დრევნი ისტორიი” (1979 წლის №2, გვ. 219).

თავდაპირველად უცხოელები რომში მოკლებულნი იყვნენ როგორც პოლიტიკურ, ასევე ქონებრივ უფლებებს, მაგრამ თანდათანობით, დროთა ვითარებაში, უცხოელების ქონებრივი ინტერესები კანონიერად იქნა ცნობილი და აღიარებული.

რომაელი მოქალაქე უცხოელთან სპეციალური შეთანხმების დადებით თავს ივალდებულებდა, რომ როგორც პატრონი, ის დაიცავდა თავისი კლიენტის ინტერესებს. პატრონი კლიენტის წარმომადგენლად არ ითვლებოდა და საკუთარი სახელით გამოდიოდა. ასეთი სახის შეთანხმებას ცივილური სამართალი არ ცნობდა, მაგრამ ის დაცული იყო რელიგიისა და საზოგადოებრივი აზრის ძალისხმევით.

თანდათანობით, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მოთხოვნილებით ლათინებისა და უცხოელების (პერეგრინუსების) უფლებების გაფართოება ხდებოდა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს რომის იმპერატორის – მარკუს ავრელიუს ანტონინუს ბასსიანუს კარაკალლას (185-217) მიერ გატარებული ღონისძიება. ახ. წ. 212 წელს ხსენებული იმპერატორის მიერ გამოცემული კანონის მიხედვით რომის იმპერიის ყველა თავისუფალმა მცხოვრებმა მიიღო რომის მოქალაქის სტატუსი.

ა.წ. მესამე საუკუნის დასაწყისისათვის “იუს გენციუმ“-ის, ე. ი. რომის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების სამართლისა და თვით რომაელთა სამართლის – “იუს ცივილეს“ ურთიერთშერწყმამ და ურთიერთზე გავლენამ იმ დონეს მიაღწია, რომის მოქალაქეებისა და უცხოელების უფლებრივი განსხვავება თითქმის არ შეიმჩნეოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კერძო სამართლის სფეროში სრული უფლებაუნარიანობისთვის საჭირო იყო, რომ პირს ოჯახში გარკვეული სტატუსი ჰქონოდა, ის უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი უფლების მქონე, რომის სახელმწიფოებრიობის განვითარების ადრეულ საფეხურზე, ე.ი. უძველეს ხანაში, ოჯახი იყო ადამიანთა ისეთი კავშირი, რომელსაც აერთიანებდა ოჯახის უფროსის (“პატერ ფამილიას“) ძალაუფლება. საუკუნეების განმავლობაში სწორედ ეს სახლის ბატონი – “პატერ ფამილიას“ იყო კერძო სამართლის სფეროში სრული უფლებაუნარიანობის მატარებელი, დამოუკიდებელი პიროვნება, ანუ “პერსონა სუი იურის“.

ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც ოჯახის ბატონის ხელისუფლების ქვეშ იყვნენ – “პერსონა ალიენი იურის“-ს ეძახდნენ

და მათ კერძო სამართლის სფეროში უფლებაუნარიანობა არ გააჩნდათ.

დროთა ვითარებაში თანდათან ფართოვდებოდა “პატერ ფამილიას“-ის ძალაუფლების ქვეშ მყოფთა უფლებები. ხსენებული ძალაუფლების ქვეშ მყოფმა ჯარისკაცებმა მიიღეს ოქში ნაშოვნ ქონებაზე საკუთრების უფლება. ასევე, გაფართოვდა სამოქალაქო სამსახურში მყოფი ოჯახის უფროსის ძალაუფლების ქვეშ მყოფი პირის უფლებებიც მის მიერ შეძენილ ქონებაზე.

დასასრულ, ახალი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობის მიხედვით ოჯახის უფროსს შვილების ქონებაზე მხოლოდ მცირეოდენი უფლებები შერჩა. მაგრამ თვით იმპერატორ იუსტინიანეს სამართალშიაც სრული სამოქალაქო უფლებაუნარიანობა მხოლოდ “პერსონაე სუი იურის“-ს ეკუთვნოდა.

ცხადია, რომის მოქალაქეს გააჩნდა გარკვეული პოლიტიკური უფლებებიც:

1) მას უფლება ჰქონდა ემსახურა რომის სახელმწიფოს რეგულარულ არმიაში;

2) რომის მოქალაქეს უფლება ჰქონდა სახალხო კრებაში მონაწილეობისა და იქ ხმის მიცემისა;

3) რომის მოქალაქეს გააჩნდა აგრეთვე ე.წ. “იუს კონორუმ“-ის უფლება – არჩეული ყოფილიყო რაიმე საპატრიო თანამდებობაზე.

ჩვეულებრივ, რომის მოქალაქის სრული სახელი სამი ნაწილისაგან შედგებოდა, მაგრამ რესპუბლიკის ეპოქის მიმწუხრსა და იმპერიის ხანის დასაწყისში რომის მოქალაქის სახელი უკვე ხუთი ნაწილისაგან შედგებოდა. სრული სახელის პირველ ნაწილს შეადგენდა “პრენომენ“ – საკუთრივ სახელი, მეორე ნაწილი იყო “ნომენ“ – იმ ოჯახის ან გვარის დასახელება, რომელსაც მოქალაქე ეკუთვნოდა. მამაკაცის სრული სახელის მესამე ნაწილი იყო მამის სახელი ნათესაობით ბრუნვაში. მაგალითად. გაიუსის ძე, გაიუსის შვილი, პაულუსის ძე და ა.შ. სრული სახელის მეოთხე ნაწილი იყო იმ ტრიბის დასახელება, რომელსაც პირი ეკუთვნოდა და რომელთა ერთადაც ის ხმას აძლევდა სახალხო კრებაში; დასასრულ, სრული სახელის მეხუთე ნაწილი იყო მეტსახელი ან შერქმეული

სახელი, რომელიც ასე გავრცელებული იყო რომში. ასე რომ, ციცერონის სრული სახელი იქნებოდა მარკუს ტულიუს მარკო ფილიუს, კორნელიანა ციცერო. აქედან, მარკუს იყო “პრაენომენი”, ტულიუს – “ნომენი”, კორნელიანა მიუთითებდა ტრიბას, რომელსაც ის ეკუთვნოდა, ხოლო “მარკო ფილიუს” ნიშნავდა მარკოსის ძეს, ციცერო (ციცერონი) იყო ზედმეტსახელი, შერქმეული სახელი.

§ 14. ძველი რომის მემკვიდრეობის სამართლი

რომის სამოქალაქო სამართლის ისტორიის რიგი სპეციალისტები გამოყოფენ სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით მემკვიდრეობითი სამართლის განვითარების ოთხ ძირითად ეტაპს:

1) ძველი ცივილური სამართლისათვის დამახასიათებელ მემკვიდრეობის სამართალს;

2) პრეტორის ედიქტებში ფიქსირებულ მემკვიდრეობის სამართალს;

3) იმპერიის ხანის მემკვიდრეობის სამართალს (ახ. წ. VI საუკუნემდე, იმპერატორ იუსტინიანეს (527) ეპოქამდე);

4) იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქის (527-565) მემკვიდრეობის სამართალს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მემკვიდრეობის ცნება, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სახელმწიფოსა და სამართლის საბოლოო ჩამოყალიბებამდე ვაჩნდა.

ზემოხსენებულ, მემკვიდრეობის სამართლის განვითარების ოთხ ეტაპს შეიძლება შევუთანაწყოთ, შევუსაბამოთ შემდეგი სოციოლოგიური კანონზომიერება.

საერთოდ, მემკვიდრეობის სამართალმა ისტორიულად განვლილი სამი ძირითადი ეტაპი. თავდაპირველად მემკვიდრეობა წრეს მთელი გვარი შეადგენდა. გვარის ქონება, გვარის ეკუთვნილი ავლა-დიდება გვარის გარეთ ვერ გავიდოდა. განვითარების მომდევნო ეტაპზე გვარი იყოფა დიდ ოჯახებად და, ცხადია, მემკვიდრეობაც ამ ოჯახთა წევრების წრეში ტრიალებს. დასასრულს, ე.წ. “დიდი ოჯახი”, ანუ საოჯახო თემი იშლება მარტივ, მონოგამიურ, წვრილ-წვრილ ოჯახებად და მემკვიდრეობა წრესაც ძირითადად ამ ოჯახის წევრები შეადგენენ.

ძველი რომის მემკვიდრეობის სამართალმაც მეტნაკლებად განვითარების ზემოხსენებული ეტაპები განვლო. იმისდა მიუხედავად, თუ როგორ ვითარდებოდა ძველი რომის სახელმწიფოში კულტურა, მეცნიერება, ეკონომიკა, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაცია, ვითარდებოდა რომის სამართალიც და, მათ შორის, ცხადია, მემკვიდრეობის სამართალიც. ცხადია, არ შეიძლება უარვყოთ მემკვიდრეობის სამართლის დამოკიდებულება და კავშირი ქვეყნის საწარმოო, ეკონომიკურ ურთიერთობასთან, მაგრამ კიდევ უფრო ღრმა კავშირი ჰქონდა რომის მემკვიდრეობის სამართალს კულტურასთან და ამ უკანასკნელის უმთავრეს ნაწილთან – რელიგიასთან.

ძველ რომში და, საერთოდ, მთელ იტალიაშიც უძრავ ნივთებზე კერძო საკუთრება ძალიან ადრე განვითარდა, რამაც ხელი შეუწყო, ხელი გაუშართა რომის კერძო სამართლის განვითარებასაც.

ცხადია, მემკვიდრეობის სამართლის განვითარება ღრმად იყო დაკავშირებული მშობლებსა და შვილებს შორის პირადი და ქონებრივი ურთიერთობების ისტორიული, სტადიური განვითარების დონისაგან.

რომში მონოგამიური ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობამ ახალი ეტაპი შექმნა მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაში. მაგრამ ტრადიციის და რიგი სხვა მიზეზების ზეგავლენით ეს ურთიერთობა დიდხანს ატარებდა პატრიარქალურ ხასიათს.

ბრძოლა პატრიარქალურ და შედარებით პროგრესულ, კერძო მესაკუთრულ იდეებს შორის ძველ რომში დიდხანს, რიგი საუკუნეების განმავლობაში ვრძელდებოდა. ამ ბრძოლაში საბოლოოდ იმარჯვებს კერძო საკუთრება საგვარეულო-საოჯახო საკუთრებაზე და კერძო საკუთრება თანდათანობით იშორებს საოჯახო და საგვარეულო საკუთრების გადმონაშთებს. სამართალი ნებას რთავს კერძო მესაკუთრეს თავისუფლად გაასხვისოს თავისი ქონება. წარმოიშობა საანდერძო განკარგულება, ანდერძის განვითარებული ინსტიტუტი.

რომის სამართალმა ფეოდალურ ევროპას მემკვიდრეობით

დაუტოვა ანდერძის თავისუფლების სამართლებრივი იდეა, რომელიც თავდაპირველად გაუგებარი იყო ადრეფეოდალური ევროპისთვის, მაგრამ იგი ქრისტიანული ეკლესიის ზეგავლენით თანდათანობით სათანადო ადგილს იკავებს შუა საუკუნეების სამართალშიც კი, რომელიც პრინციპულად კანონით შემკვიდრეობის უპირატესობას აღიარებდა.

ძველი რომის შემკვიდრეობის სამართალი იყო იმ იურიდიული ნორმების სისტემური ერთობლიობა, რომელიც ქონებრივი უფლებებისა და ვალდებულებების გადასვლის რიგს აწესრიგებდა გარდაცვლილი პირიდან მის უფლებამონაცვლეზე.

მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება ჩვეულებრივ, პირველ ყოვლისა, გადადიოდა მისივე ოჯახის წევრების ხელში.

რომის სამართლის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ, რომ უძველეს ხანაშიც კი, რომლის შესახებაც ჩვენ ცნობები მოგვეპოვება, რომაული შემკვიდრეობის სამართალი უკვე განვითარებული სახით წარმოგვიდგება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ძვ.წ. V-III საუკუნეებამდე რომის შემკვიდრეობის სამართალს განვითარების საკმაოდ დიდი გზა უნდა ჰქონოდა გამოვლილი.

შემკვიდრეობის უპირველესი საგანი, ცხადია, ქონება იყო. მაგრამ ქონების ძიებით არ ამოიწურებოდა შემკვიდრეობა. შემკვიდრე ვალდებული იყო დაეცვა მამკვიდრებლის (სამკვიდროს დამტოვებლის) ოჯახის კულტი, შეესრულებინა ოჯახის მოვალეობა ღმერთების წინაშე, შეენარჩუნებინა ოჯახის ტრადიციული ურთიერთობა გარდაცვლილის კლიენტებთან. თუ მამკვიდრებელს თავის მფარველობაში ყავდა უცხოელები, შემკვიდრე ვალდებული იყო მფარველობა არ მოეკლო მათთვის.

ძველი რომაული ოჯახი პატრიარქალური იყო, მის სათავეში იდგა სახლის (ოჯახის) მეთაური – ლათინურად “პატერ ფამილიას“. რომაული ოჯახი, რომის სამართლის ცნობილი სპეციალისტის – პროფ. ი. ა. პოკროვსკის სიტყვით “პატარა მონარქიას“ წარმოადგენდა და მესამე პირების წინაშე ეს “პატარა მონარქია“ დახურული იყო ოჯახის ბატონის – “პატერ ფამილიას“-ის პიროვნებით.

ოჯახის ცალკეული წევრები ასეთ ვითარებაში, ცხადია, სამართლის სუბიექტები ვერ იქნებოდნენ.

თავდაპირველად რომაული პატრიარქალური ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ ჰქონოდათ რაიმე საკუთრება. მათ არ გააჩნდათ უფლება მოსარჩლეებად და მოპასუხეებად გამოსვლისა. ოჯახის წევრების უფლება შთანთქმული იყო “პატერ ფამილიას“-ის პიროვნებაში. მაგრამ დროთა ვითარებაში ხსენებული ოჯახი, რომელიც თვით რომის სახელმწიფოს წინაშეც კი “პატარა მონარქიას“ წარმოადგენდა, თანდათან სახესა და შინაარსს იცვლიდა. ოჯახის უფროსის, ოჯახის ბატონის ძალაუფლებას პირველად თავს აღწევს მისი მუუღლე. სოციალურ პრაქტიკაში შემოდის ქორწინების ახალი სახეობა “სინე მანუ“. ქორწინების ხსენებული სახეობის დროს ცოლი იურიდიულად ქმრის “ფამილია“-ში არც კი შედის. ის ისევ თავისი მშობლების ოჯახის წევრად ითვლებოდა. ქორწინების ასეთი ფორმის შემთხვევაში ქმარს არ გააჩნდა არავითარი უფლება არც ცოლის პიროვნებაზე და არც ცოლის ქონებაზე. ხსენებული, ქმრის ხელისუფლებისაგან თავისუფალი, ქორწინების შემთხვევაში, ცოლს თუ მამა ცოცხალი ჰყავდა, მას შეეძლო თავისუფლად გაესხვისებინა თავისი ქონება.

რომში პატრიარქალური ქორწინების გვერდით დიდხანს არსებობდა თავისუფალი ქორწინება, სანამ ბოლოს ამ უკანასკნელმა არ გაიმარჯვა ტრადიციულ ქორწინებაზე. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების შესატყვისად, თანდათან, ოჯახის სხვა წევრებმაც მოიპოვეს თავისუფლება.

დასასრულ, რომის რესპუბლიკის მიმწუხრზე საზოგადოებაში ზნეობის დაცემამ და თავისუფლების ბოროტად გამოყენებამ, კანონმდებელი აძულა ეზრუნა საზოგადოების ამ უმნიშვნელოვანესი უჯრედის – ოჯახის გაჯანსაღებაზეც და წაეხალისებინათ მრავალშვილიანობა. ამავე ხანებში მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა მემკვიდრეობის სამართალიც.

საგულვებელია, რომ ძველი რომის ისტორიის უძველეს ხანაში, უფრო სწორად, წინარესახელმწიფოებრივ ხანაში მიწაზე

კერძო საკუთრება უცნობი იყო.

ადგილ-მაძული ეკუთვნოდა გვარს, თემს, პატრიარქალურ ოჯახს და არა ინდივიდს.

ადგილ-მაძულის კავშირი ოჯახთან თავისთავად იგულისხმებოდა. თუ ოჯახის უფროსი გარდაიცვლებოდა, ეს არ იწვევდა საოჯახო ადგილ-მაძულის ბეითაღმანობას, უპატრონობას. თუ ოჯახი ამოწყდებოდა, ოჯახის ადგილ-მაძულს ეუფლებოდა თემი, გვარი, ან უახლოესი განაყარი ოჯახი.

ოჯახის უფროსის მკაცრი ძალაუფლების გამართლებას ძველი რომაელები მის სამეურნეო მიზანშეწონილობაში ხედავდნენ. ოჯახის უფროსი ერთმმართველი, განუსაზღვრელი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი. ამავე დროს ის იყო ოჯახის მთელი ქონების მესაკუთრე. ოჯახის წევრების მიერ შეძენილი ქონება ეკუთვნოდა ოჯახის უფროსს. ეს უკანასკნელი უფლებმოსილი იყო საკუთარი შეხედულებისამებრ განეგო ოჯახის წევრების სამუშაო ძალა, გაექარავებინა ეს წევრები, დაესაჯა და, ზოგ შემთხვევაში, გაეყადა კიდევ.

ძველა ცივილური სამართლისათვის დამახასიათებელი მემკვიდრეობის სამართალი აისახა ძვ.წ. V საუკუნეში შედგენილ თორმეტი ტაბულის კანონში, რომელიც იცნობდა როგორც კანონით, ასევე ანდერძით მემკვიდრეობასაც.

თუ მამკვიდრებელი (სამკვიდროს დამტოვებელი) ანდერძს არ დატოვებდა, კანონით მემკვიდრეები დაეუფლებოდნენ მემკვიდრეობას, თუმცა ამის პირდაპირი ჩვენება არ ჩანს წერილობით წყაროებში. მემკვიდრეობის თავდაპირველი რიგი იქნებოდა კანონისმიერა მემკვიდრეობა, რომელსაც რომაელები მონისენიებდნენ, როგორც “ჰერედიტას ლეგიტიმა“-ს. როგორც ჩანს, ძვ.წ. V-III საუკუნეებში ანდერძით მემკვიდრეობა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა.

თორმეტი ტაბულის კანონებში მემკვიდრეობის სამართლის ის საფუძვლიანი აისახა, როდესაც ანდერძის თავისუფლების პრინციპს საოჯახო საკუთრების გადმონაშთებთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული.

თვით ანდერძი, როგორც სამართლებრივი მოვლენა, უცებ არ წარმოშობილა, მაგრამ ამის შესახებ სათანადო ცნობები სათანადო სისრულით არ არის ჩვენამდე მოღწეული. ანდერძის თავისუფლება შეზღუდული იყო სახალხო კრების გადაწყვეტილებით ან სამხედრო ნაწილის თანხმობით. ჯერ კიდევ საჭირო იყო კონტროლი მონდერძისა, რომ მას ბოროტად არ გამოეყენებინა თავისი უფლებები. განიხილავდნენ იმ პირობა მდგომარეობასაც, ვისაც წართვეს კანონით შემკვიდრების უფლება და აკონტროლებდნენ, სამართალიანი იყო თუ არა მონდერძის გადაწყვეტილება.

შეიძლება ითქვას, რომ თორმეტი ტაბულის კანონებში შემკვიდრების სამართლის ის საფუძური აისახა, როდესაც ანდერძის თავისუფლების პრინციპს საოჯახო საკუთრების გადმონაშთებთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული.

თვით ანდერძის თავისუფლების პრინციპის წმინდა რომაულ მოვლენად გამოცხადება არ იქნებოდა სწორი, როგორც ამას ზოგჯერ ვხვდებით სამეცნიერო ლიტერატურაში. ანდერძის თავისუფლება სამართალგანვითარების შედეგებით ძალაღ საფუძურზე ჩნდება.

თავდაპირველად რომში არსებობდა აგნატური ოჯახი. კოგნატური ნათესაობა ჯერ კიდევ არ იძლეოდა შემკვიდრების უფლებას. აგნატებად ითვლებოდნენ ის პირები, რომლებიც ერთი და იმავე ოჯახის უფროსის – “პატერ ფამილიას“-ის ძალაუფლებას ექვემდებარებოდნენ. ამასთან, აგნატები, და ერთსა და იმავე დროს, კოგნატებიც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. ოჯახის უფროსის “პატერ ფამილიას“-ის ღვიძლი შვილები ერთსა და იმავე დროს მისი აგნატებიც იყვნენ და კოგნატებიც. აგნატად ჩაითვლებოდა ოჯახის უფროსის რძალი (ვაჟიშვილის ცოლი). თვით “პატერ ფამილიას“-ისათვის აგნატური ნათესაობა იყო ნათესაობა მხოლოდ მამრობითი ხაზით. ოჯახის მეთაურის ქალიშვილი, რომელიც “კუმ მანუ“-ს წესით გათხოვდა, ის თავისი ქმრის ან მისი ოჯახის უფროსის აგნატური ოჯახის წევრი ხდებოდა და თავისი მამისა და ღვიძლი და-ძმების აგნატობას კარგავდა.

“აგნაციო“ ნიშნავდა ნათესაობას მამის მეშვეობით, ხოლო “კოგნაციო“ – სისხლით ნათესაობას.

აგნატური ნათესაობის ხარისხი პირდაპირი ხაზით შედარებით

აღვილად წარმოსადგენი იყო. ამა თუ იმ პირის აგნატურ ნათესაობას განსაზღვრავდა დაბადებათა რაოდენობა, რომლითაც პირი დაშორებული იყო "პატერ ფამილიას"-საგან, ოჯახის უფროსისაგან. ვაჟიშვილი იყო მამის პირველი ძეხლის აგნატი და ა.შ.

რომის სამართლის ისტორიკოსებს ხშირად მოჰყავთ მაგალითი: თუ ოჯახის უფროსი მონას გაყიდდა, მაგრამ ახალი ბატონი მას თავისუფლებას მიანიჭებდა, გათავისუფლებულ მონაზე ძველ ბატონს ხელი არ მიუწვდებოდა. ხოლო თუ მამა თავის ვაჟიშვილს გაყიდდა და ეს უკანასკნელი თავისუფლებას მოიპოვებდა, ის ხელახლა უნდა დაშორჩილებოდა მამის ძალაუფლებას. და ასე ორგზის. თუ შესამჯდ გაყიდვის შემდეგ შვილი მოიპოვებდა თავისუფლებას, ის უკვე მამის ძალაუფლების ქვეშ არ მოექცეოდა და საბოლოოდ თავისუფლად ჩაითვლებოდა.

ასეთი რამ ძნოლოდ ძვ.წ. მეხუთე საუკუნეში იქნა აღიარებული. მანამდე კი ვითარება უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო ოჯახში.

რომის სამართალმა თავისი განვითარების შედეგებით გვიან საფეხურზე საერთოდ უარყო შვილების გაყიდვის პრაქტიკა.

ეკონომიურად შვილების უუფლებობის იდეა დიდხანს შეინარჩუნა რომის სამოქალაქო სამართალმა.

მამის ძალაუფლების ქვეშ მყოფ ვაჟიშვილს უფლება ჰქონდა მაღალი თანამდებობა დაეკავებინა სახელმწიფოში, მაგრამ ის საკუთრების უფლებას იქნებოდა მოკლებული მამის ძალაუფლებით შეჯავშნული ოჯახში დაახლოებით ისევე, როგორც მონა. პროფ. ე. მ. შტაერმანს თავის "რომის სამართლის ისტორიაში" მოაქვს ასეთი მაგალითი:

თუ რომაელი მოქალაქის ვაჟიშვილი, მონა ან ცხენი შეჯიბრებაში თავს ისახელებდა, საჩუქარს გვირგვინის სახით ღებულობდა "პატერ ფამილიას" – ოჯახის უფროსი. ძნოლოდ ეს უკანასკნელი იყო სრულუფლებიანი პიროვნება კანონის წინაშე. თორმეტი ტაბულის კანონის მეათე ტაბულიდან ჩანდა, რომ პიროვნება ჯერ კიდევ არ იყო გამოთავისუფლებული ოჯახის არტახებიდან.

ცნობილმა მეცნიერმა ფ. დე მარტინომ იტალიურ ენაზე გამოსცა "სამართალი და საზოგადოება ანტიკურ რომში", რომელშიც

გამოთქვა საფუძვლიანი მოსაზრება, რომ რომელი “პატერ ფამილიას”, რომელსაც ხელთ ეპყრა ოჯახის მთელი რესურსები, თავისი ძალაუფლებით ყველაზე უფრო ეფექტურად უზრუნველყოფდა მიწის დამუშავებას ძველ რომში მიწათმოქმედებისათვის საკმაოდ მძიმე პირობების არსებობის ვითარებაში.

ძველ რომში ყოველ მემკვიდრეს უფლება ჰქონია, მოეთხოვა ოჯახის თავდაპირველ, საერთო საკუთრებაში მყოფი თანამემკვიდრეთა ქონებიდან წილის მიღება, მამის ქონებიდან საკუთარი წილის გამოყოფა.

რომის სამართლის მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ძველ რომაელებს ახასიათებდათ განსაკუთრებული ინდივიდუალიზმი და კერძო მესაკუთრული ინსტიტუტი. მეტ-ნაკლებად მართებულია ემ. შტაერმანის მოსაზრება, რომ თანამესაკუთრეთა, თანამემკვიდრეთა საერთო საკუთრების დანაწილების უფლება, ახალ ოჯახებად დანაწევრების შესაძლებლობა, ძველი რომაული კანონმდებლობის მიერ იმიტომ იქნა დაშვებული, რომ წაეხალისებინათ მეურნეობის წარმოების ყველაზე ეფექტური ფორმა.

§ 15. მემკვიდრეობა პრეტორული სამართლის მიხედვით

მემკვიდრეობითი სამართლის სფეროში პრეტორული ეტაპი დაიწყო ჯერ კიდევ რესპუბლიკის ხანაში და დასრულდა პრინციპატის ეპოქაში. თავდაპირველად პრეტორს სამკვიდროს მფლობელობაში შეყავდა ის პირები, რომელიც ცივილური სამართლის ნორმების მიხედვით, მემკვიდრეებად ეგულებოდა.

თუ სამკვიდრო ქონებაზე გარდაცვლილის უახლოესი ნათესავი უარს იტყოდა, სამკვიდრებელი ბუთალმანად ცხადდებოდა და ის შეეძლო მიეთვისებინა ყოველ პიროვნებას. ასეთი ვითარების აღსაკვეთად პრეტორმა სამკვიდროს დასაუფლებლად მოიწვია გარდაცვლილი მემკვიდრებლის უახლოესი ნათესავის მოძღვენო ნათესავი. ამით პრეტორი თითქოს ავსებდა ცივილური სამართლის ხარვეზს. ძველი რომის ისტორიის გარკვეულ საფეხურზე მამის ხელისუფლებისაგან გათავისუფლებული ვაჟიშვილები მამის ქონების მემკვიდრეებად არ ითვლებოდნენ. დროთა განმავლობაში ასეთი ვითარება საზოგადოებრივმა აზრმა უსამართლოდ ჩათვალა.

პრეტორმა ამით ისარგებლა, უსამართლოდ გამოაცხადა “პატრია პოტესტას“-ისაგან თავისუფალი შვილებისათვის შემკვიდრების წართმევა და კოგნატური ნათესაობა ჩათვალა კანონით შემკვიდრების საფუძვლად.

პროფ. ი. ა. პოკროვსკის კაპიტალურ ნაშრომში – “სამართალი და ფაქტი რომის სამართალში“ ნაჩვენებია, რომ შემკვიდრების სამართლის ძირეული ცვლილებები რომში პრეტორმა განახორციელა. პრეტორი, როგორც წესი, ძველ კანონს არ აუქმებდა, მაგრამ ის სამკვიდრო ქონებას იმ პირთა მფლობელობაში გადასცემდა, რომელთაც ის პრეტორის თანამედროვე ეპოქის მართლშეგნებით, ახალი საოჯახო წესწესობილების მოთხოვნილებით ერგებოდათ.

რომის სამართლის ისტორიის მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ის პირები, რომლებიც პრეტორის მართლშეგნების და განკარგულების ძალით შემკვიდრებას ღებულობდნენ, იურიდიულად ქონების მესაკუთრეები კი არ იყვნენ, არამედ მხოლოდ მფლობელები, მაგრამ პრეტორის ძალაუფლების ავტორიტეტით განმტკიცებული ეს მფლობელობა ფაქტობრივად საკუთრებად გადაიქცა. იმპერიის ხანაში, როგორც ეს სათანადი წყაროებიდან ჩანს, კანონმდებლობა დიდ ყურადღებას უთმობდა შემკვიდრებითი სამართლის საკითხებს.

ადრეიმპერიის (პრინციპატის) ეპოქაში კანონების (ლათ. “ლეგეს“) ადგილი თანდათან “სენატუს კონსულტუმ“-მა, რომის სენატის აქტებმა დაიკავა, რომელთა შნიშვნელოვანი ნაწილიც შემკვიდრების სამართალს ეხებოდა. იმპერიის ხანაში კი იმპერატორის ბრძანებულებით წესრიგდებოდა შემკვიდრების სამართლის საკითხები.

რესპუბლიკის მიმწუხრზე და იმპერიის ხანის დასაწყისში ჩნდება აუცილებელი შემკვიდრების, აუცილებელი სამკვიდრო წილის იდეა.

იმპერიის ხანაში თანდათან ყალიბდებოდა და მტიკცებოდა შემკვიდრების პრეტორული წესი და ადგილი ჰქონდა პრეტორული სამართალშემოქმედების განზოგადებას.

იმპერიის ხანაში კიდევ უფრო იზრდებოდა ანდერძით შემკვიდრების ინსტიტუტი. რომის სასამართლის წყაროების მიხედვით, ანდერძით შემკვიდრებას ყოველთვის დიდი ადგილი

ეჭირა სამემკვიდრეო სამართლის სფეროში. მაგრამ განსაკუთრებულად იზრდებოდა მისი როლი იმპერიის ხანაში.

ფერდინანდ ლასალს ეკუთვნის გამოთქმა, რომ ძველი რომის სამოქალაქო სამართალი ანდერძის ინსტიტუტის ირგვლივ ტრიალებდა. ანდერძის დადება სახალხო კრებაზე ხდებოდა (ძველ საქართველოში იტყოდნენ “ანდერძის დაგდებას”). ზოგიერთი ისტორიკოსი უძველეს რომაულ ანდერძში ხედავს მომავალი მემკვიდრის – “აროგაციოს“-ს შემოყვანას მამკვიდრებლის ოჯახში და ასეთნაირად, მის გადაქცევას კანონიერ მემკვიდრედ. ასეთი მოსაზრების გაზიარება ჭირს.

მაგრამ შვილად აყვანას ერთ დროს უთუოდ ეჭებოდა ანდერძის თავისუფლების სუროგატის მნიშვნელობა.

ზოგჯერ ხარვეზი ანდერძში, მოანდერძის მხრივ რაიმეს გაუთვალისწინებლობა თავსატეხს უჩენდა სასამართლოს.

ერთმა მდიდარმა რომაელმა, რომელსაც ცოლი ორსულად ჰყავდა, სიკვდილის წინ ასეთი შინაარსის ანდერძი დატოვა: თუ ჩემი გარდაცვალების შემდეგ ცოლი შობს ქალიშვილს, ჩემი ქონების ერთი მესამედი დარჩეს ქალიშვილს, ხოლო ორი მესამედი მის დედას. თუ შემეძინა ვაჟიშვილი, მაშინ ქონების ორი მესამედი დარჩეს ვაჟიშვილს და ერთი მესამედი მის დედას. მოანდერძის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ მისმა მეუღლემ დაბადა ტყუპი – ქალი და ვაჟი.

მოსამართლეს გაუჭირდა ანდერძის აღსრულება – ქონების განაწილება მოანდერძის სურვილისამებრ, რადგანაც ანდერძი არ ითვალისწინებდა ტყუპების დაბადებას. საქმე სწორად გადაწყვიტა კონსულმა, რომელმაც სწორად განსაზღვრა მოანდერძის ნების შინაარსი. ქონება შვიდ ნაწილად გაიყო, საიდანაც მხოლოდ ერთი მეშვიდედი ერგო ქალიშვილს.

რომში მემკვიდრეობა დაიშვებოდა ორი ფორმით: პირველს ეწოდებოდა “ჰერედიტას“ და ნიშნავდა მამკვიდრებლის (სამკვიდროს დამტოვებლის) ქონებრივი უფლებებისა და მოვალეობების უნივერსალურ მემკვიდრეობას. ამასთან, დაიშვებოდა ისეთი შემთხვევაც, როცა მემკვიდრეს მემკვიდრეობით დარჩებოდა ისეთი

უფლებებიც, რომლის არსებობის შესახებ მან არაფერი იცოდა სამკვიდროს მიღებამდე.

თუ მამკვიდრებულს ვაღი მეტი აღმოაჩნდებოდა ვიდრე ჭონება, მემკვიდრეს მაინც უნდა გაესტუმრებინა, უნდა გადაეხადა მამკვიდრებლის (სამკვიდროს დამტოვებლის) ვალი.

სასაქონლო ფულადი ურთიერთობების განვითარებამ, ეკონომიკური ბრუნვის ინტერესებმა სამოქალაქო სამართლის წინაშე დასვა ამოცანა, რომ საქმიანი ურთიერთობები, რომლებიც მხარეების კრულიტუნარიანობას ემყარებან, ვერ უნდა დაარღვიოს შემთხვევითმა მოვლენებმა, ვთქვათ, კონრაპენტის სიკვდილმა. გარდაცვალებულის მემკვიდრემ უნდა გადაიხადოს გარდაცვალებულის ვალი. რომის მემკვიდრეობის სამართალზე გარკვეული გავლენა უნდა მოეხდინა აგრეთვე რელიგიასაც. ძველი რომაელების შეხედულებით მემკვიდრეობა პირველ ყოვლისა თვით გარდაცვალებულის, მამკვიდრებლის პიროვნების მონაცვლეობაა². ამიტომაც გარდაცვალებულის უახლოეს ნათესაებს, მისი ოჯახის წევრებს არ შეეძლოთ უარი ეთქვათ (მამკვიდრებლის) ვალებისათვის.

რომის სამართალი იცნობდა სინგულარულ მემკვიდრეობასაც — “ლეგატუმ“-ს. ამ შემთხვევაში მემკვიდრე იღებდა გარდაცვალებულის ჭონების ნაწილს, როგორც აქტივს და მამკვიდრებლის ვალებისათვის, როგორც წესი, პასუხს არ აგებდა. ეს წესი მოქმედებდა მაშინაც, თუ სინგულარული მემკვიდრე ჭონების უფრო მეტ ნაწილს მიიღებდა, ვიდრე უნივერსალური მემკვიდრე.

ლეგატარიუსის სიკვდილის შემთხვევაში მისი უფლებები ლეგატუმზე ლეგატარიუსის მემკვიდრეზე გადადიოდა.

ახ. წ. VI საუკუნის 30-იანი წლებიდან ბიზანტიაში რომის მემკვიდრეობის სამართალმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

უკვე მეოთხე საუკუნის პირველი ოცეულიდან რომის მემკვიდრეობითი სფეროში სფეროში ახალი ეტაპი იწყება. ქრისტიანულმა ეკლესიამ და რელიგიამ დიდი გავლენა მოახდინა

² იხ. ი. ა. პოკროვსკი. სამოქალაქო სამართლის ძირითადი პრობლემები. პეტროგრადი. 1917. გვ. 296. (რუს)

იმპერატორ იუსტინიანეს ნოველებზე. ქრისტიანული იდეები გადაიქცა სამართლის თეორიულ საფუძველად.

რომაული მემკვიდრეობის სამართალი ძრავალი ხალხისათვის მზა ნიმუში იყო კერძო საკუთრების მემკვიდრეობის უფლებრივი მოწესრიგების სფეროში. იმპერატორ იუსტინიანეს ზეობის წლებში (527-565) რომის მემკვიდრეობის სამართალი ძირეულ ცვლილებებს განიცდის. ასე, რომ ამ დროისათვის ძველი რომის სამართალი კარგავს თავის პირველდაწყებით სახეს. იუსტინიანეს ახალი მემკვიდრეობის სამართლის პრინციპები გადმოცემულია მის ცნობილ 118-ე ნოველაში, რომელიც 543 წელს გამოქვეყნდა და რომელსაც შემდეგ დაემატა ახალი – 127 ნოველა. იმპერატორ იუსტინიანეს კანონმდებლობის მიხედვით, კანონით მემკვიდრეობის მთავარ საფუძველად მტკიცედ და ურყევად აღიარეს სისხლით ნათესაობა, ანუ კოგნატობა. იუსტინიანეს განკარგულებით შედგენილი კანონმდებლობის მიხედვით მემკვიდრეობის სამართლის ძირითადი ნიშნები შემდეგში მდგომარეობდა:

1. უარყოფილია პირველშობილობის უფლება.
2. ვინც სისხლით უფრო ახლო ნათესავია მამკვიდრებლისა, ის უფრო ახლოა მემკვიდრეობასთან.
3. მამრობით სქესს არა აქვს უპირატესობა მემკვიდრეობის საკითხებში მღელრობითის წინაშე.
4. არაა განსხვავებული უძრავი და მოძრავი ქონების მემკვიდრეობის რეჟიმი.

5. გვერდითი შტოს ნათესავებს მემკვიდრეობის უფლება აქვთ იმდენად, რამდენადაც მათი მშობელი სისხლით ახლო იდგა გარდაცვლილ ნათესავთან. გვერდითი შტოს ნათესავებშიაც არ არის უპირატესობა მამაკაცს დედაკაცს შორის მემკვიდრეობის საკითხებში.

აღსანიშნავია, რომ იმპერატორმა იუსტინიანემ დასავლეთ სომხეთის ინკორპორაცია დაუკავშირა სომხური მემკვიდრეობის სამართლის ბიზანტიურით შეცვლის საკითხს. ამასთან დაკავშირებით, მან სპეციალური, 31-ე ნოველაც კი გამოსცა 536 წელს, ხსენებულ ნოველაში ბიზანტიის იმპერატორი მაღალფარდოვნად აცხადებს: “ჩვენ გვსურს, რომ სომხები გავანთავისუფლოთ წინათ აქ არსებული

უსამართ-ლობისაგან, გადავიყვანოთ ისინი ყველაფერში ჩვენს კანონებზე და ვუწყალობოთ მათ შესაბამისი თავისუფლება“.

ნოველის თანახმად კანონმდებელ იმპერატორს გაუგია სომხეთში არსებული “შკაცრი და ბარბაროსული“ კანონის შესახებ, რომელიც მას უხამსად მიაჩნია როგორც რომაელებისათვის ისე სახელმწიფოში, იმპერიაში მიღებული “სამართლიანობის არსისათვის“. ამ უსამართლობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სომხეთში შშობლების ქონებას იმემკვიდრებდნენ მამაკაცები და არა ქალები.

იმპერატორ იუსტინიანეს განკარგულებით, დასავლეთ სომხეთის მოსახლეობას ამიერიდან ბიზანტიურ-რომაული კანონებით უნდა ეცხოვრა. იუსტინიანეს კანონები ძალაში შედიოდა იუსტინიანეს მეფობის დროიდან. ხსენებულ ნოველაში იმპერატორი საზეიმოდ აცხადებდა:

“ჩვენ გვსურს, რომ ქალებმაც მიიღონ მონაწილეობა იმ ადგილ-მამულის მემკვიდრეობაში, რომელთაც საგვარეულო ეწოდებათ, მაგრამ, თუ გამოჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც თავიანთ ქალიშვილებს მემკვიდრეებად ჩაწერენ, ასეთებს უარი არ უნდა უთხრან მემკვიდრეობის მიღებაზე“. იუსტინიანეს მიაჩნია, რომ სომხეთში არსებობს ე.წ. ადიაფეტური ჩვეულება — ანდერძის გარეშე მემკვიდრეობის ჩვეულება. როგორც ჩანს, VI საუკუნის სომხეთისათვის ჯერ კიდევ უცნობი იყო ანდერძით მემკვიდრეობის ინსტიტუტი. 536 წელს გამოცემული კანონით იმპერატორი იუსტინიანე სომხეთის პროკონსულს უბრძანებდა სომხური ჩვეულებითი სამართლის ნორმების ბიზანტიურ (იმპერიის) კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას.

იმპერატორის კანონს პრეტენზია ჰქონდა, რომ აღმოეფხვრა სომხეთში არსებული ბილწი ბოროტება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მემკვიდრეობა შშობლებისაგან, ძმებისაგან და სხვებისაგან ეკუთვნოდა მხოლოდ მამაკაცებს და არა ქალებს და რომ სომხები ქალებს უმწითვოდ ათხოვებდნენ. იმპერატორის კანონის ტექსტს თუ დაეჯერება, სომხეთში ქალები ნაყიდნი იყვნენ იმ პირთა მხრივ, რომელთაც მათთან თანაცხოვრება უნდოდათ და ა.შ.

ჩანს, VI საუკუნის 30-იანი წლების სომხეთში არსებული მემკვიდრეობის წესის მიხედვით ქალებს არ გააჩნდათ სამემკვიდრეო უფლებები, ქალებს მზითვს არ აძლევდნენ და მამაკაცები საცოლეებს ყიდულობდნენ ქალის მშობლებისა და ნათესავებისაგან.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ იმპერატორმა იუსტინიანემ 543 წელს გამოცემული ნოველით დიდი ცვლილებები შეიტანა მემკვიდრეობის წინათ არსებულ წესში.

იუსტინიანეს ხსენებული ნოველის მიხედვით ანდერძის გარეშე გარდაცვლილ პირს პირველ რიგში მემკვიდრეობდა დაღმავალი ხაზის მემკვიდრე, სულ ერთია მამაკაცი იქნებოდა თუ ქალი. ამასთან ერთად, დაღმავალი ხაზის ნათესავი პირველი რიგის მემკვიდრედ ჩაითვლებოდა მიუხედავად იმისა, თუ ნათესაობის რომელ რიგს ეკუთვნოდა გარდაცვლილის ნათესავი. თუ გარდაცვლილს არ დარჩებოდა დაღმავალი ხაზით მემკვიდრე ნათესავი და აღმავალი ხაზით კი ასეთი სახეზე იყო, მაშინ ის ღებულობდა მემკვიდრეობას. აღმავალი ხაზით მემკვიდრეებიდან პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდა დედა და მამა. არ ქონდა მნიშვნელობა ქალი იქნებოდა მემკვიდრე თუ კაცი, აგნატი თუ კოგნატი, "თვითმფლობელი თუ ქვეშევრდომი". თუ სამკვიდროს დამტოვებელს (მამკვიდრებელს) არ დარჩებოდა არც დაღმავალი და არც აღმავალი ხაზით ნათესავები, მაშინ მემკვიდრეობას ღებულობდნენ გარდაცვლილის გვერდითი ხაზის ნათესავები და მათ შორის პირველ რიგში მამკვიდრებლის დები და ძმები. და-ძმებიდან მემკვიდრეობა პირველყოვლისა ერგებოდა მამკვიდრებლის ღვიძლ და-ძმებს.

მოგვიანებით, VIII საუკუნეში "ეკლოგაშ" კანონით მემკვიდრეობა წრე შვიდ კატეგორიად /კლასად/ დაჰყო:

1. პირველი რიგის მემკვიდრეებად, ისევე როგორც იუსტინიანის სამართალი "ეკლოგა" დაღმავალი ხაზის ნათესავებს აღიარებს.

2. მეორე რიგის მემკვიდრეებად ითვლებოდნენ აღმავალი ხაზის ნათესავები: გარდაცვლილის დედა და მამა.

3. მესამე რიგის მემკვიდრეა გარდაცვლილის და-ძმა და ღვიძლი და-ძმის უახლოესი გვერდითი ხაზის სისხლით ნათესავები.

4. მეოთხე რიგის შემკვიდრებად ითვლებოდნენ გარდაცვლილის ნახევარი და და ნახევარი ძმა.

5. მესამე რიგის შემკვიდრებად ითვლებოდა უახლოესი ხარისხის ყველა დანარჩენი ნათესავი.

6. მეექვსე რიგის შემკვიდრებად ითვლებოდა გარდაცვლილის ცოლი, როდესაც სხვა ნათესავი არ იყო სახეზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცოლი ღებულობდა მხოლოდ სამკვიდრო ქონების ნახევარს; მეორე ნახევარი კი სახელმწიფოს მიჰქონდა.

7. როდესაც გარდაცვლილს არ დარჩებოდა არც ნათესავი და არც მეუღლე, მაშინ სამკვიდრო ქონება სახელმწიფოს მიჰქონდა.

როგორც ვხედავთ, რომის შემკვიდრების სამართალმა გააარა განვითარების რთული წინააღმდეგობრივი გზა. საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ, რომის სამართალმა შეძლო მოეხანა საშუალება ანდერძის თავისუფლებისა და კანონისმიერი პრინციპების ურთიერთშეთანხმებისა. კანონით შემკვიდრეთა ნაწილის ინტერესების დაცვა მოხდა მათთვის აუცილებელი სამკვიდრო წილის შენარჩუნებით, რომელსაც მოანდერძე ვერ განკარგავდა. რომის სამოქალაქო სამართლის მიერ გამოქვეყნებული ძირითადი ინსტიტუტები და ცნებები შეითვისა თანამედროვე განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო სამართალმა. ეს პირველ ყოვლისა იმიტომ მოხდა, რომ რომის სამართალში კარგად იყო დამუშავებული ფეოდალური შეზღუდვებისაგან თავისუფალი კერძო საკუთრების ცნება, კერძო საკუთრების უფლება.

ქართველ ხალხს ანტიკურ ხანაში ხშირი კონტაქტები ჰქონდა რომაელებთან. ამის გამოხატულება უნდა იყოს სვანურში შემორჩენილი სიტყვა ფამლი შინამოსამსახურის, ლაქისა და შინაყმის მნიშვნელობით*. ლათინურ ენაზე “ფამულუს” ნიშნავდა მსახურს, მონას, ხოლო “ფამულა” მსახურ ქალსა და მხევალს.

* იხ. ვ. თოფურია, მ. ქაღანი, სვანური ლექსიკონი. თბილისი, 2000. გვ. 754.

ლათინური სამართლებრივი სიტყვა-თქმანი ქართული შესატყვისებითურთ

1. Aberratio delicti – შეცდომა დანაშაულის ჩადენის დროს
2. Abusus non tollit usum – ნივთის ბოროტად გამოყენების ფაქტი არ გამოდგება საბუთად მისი ნორმალური გამოყენების წინააღმდეგ
3. Actio in factum – praescriptis verbis - სარჩელი, რომლის მეშვეობითაც მოსარჩლე, რომელმაც შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულება, მოითხოვს, რომ მოპასუხემაც შეასრულოს თავისი
4. Actore non probante reus absolvitur – თუ მოსარჩლე ვერ ამტკიცებს, მოპასუხე თავისუფლდება
5. absolutio – აბსოლუცია, განთავისუფლება (პასუხისმგებლობისაგან), გამართლება
6. absolutio ab instantia – ეჭვის ქვეშ დატოვება
7. acceptilatio – აქცეპტილაცია (ვალის სტუმრების აქტი)
8. accessio cedit rei principali – საკუთონელი (ნივთი) მთავარ ნივთს მიჰყვება
9. acta publica – საჯარო მნიშვნელობის საქმე
10. actio bona fidei – კეთილსინდისიერი სარჩელი
11. actio in personam – სარჩელი (ვალდებული) პირისადმი, პიროვნული სარჩელი
12. actio in rem – ხანივთო სარჩელი (საკუთრების უფლების და სხვა ხანივთო უფლებების დასაცავად (ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად))
13. actio rerum amotarum – ერთი მეუღლის სარჩელი მეორის მიმართ, რომელმაც მოსარჩლის ქონება მოიპარა განქორწინებადღე
14. actio redhibitoria – ნივთის მყიდველის სარჩელი გამყიდველისადმი ნასყიდობის გარიგების გაუქმების შესახებ მას შემდეგ, რაც ნაყიდ ნივთს აღმოაჩნდა წუნი
15. actio perpetua – სარჩელი, რომლის მიმართაც არ არის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.
16. actio ad supplendam legitimam – პირის სარჩელი ანდერძით შემკვიდრეთა მიმართ გარდაცვლილის ქონებიდან კანონიერი წილის მოთხოვნით

17. *actio petitoria* – პუბლიკორული სარჩელი, სარჩელი საკუთრების გამო
18. *actio possessoria* – ძვლობელობითი სარჩელი
19. *actor sequitur forum rei* – მოსარჩლე სარჩლობს მოპასუხის ბინადრობის მიხედვით
20. *Ad bestias* – მხეცებთან (ადამიანის მხეცებისათვის მივდება) სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი სახეობა ძველ რომში
21. *actio furti* – სარჩელი მოძრავი ქონების მოპარვის გამო (თუ ქურდს წაასწრეს, მაშინ ის იხდის ნაქურდალი ნივთის ოთხმაგი ღირებულებას, თუ არა და ორმაგად)
22. *actori incumbit onus probandi* – მტკიცება მოსარჩელეს აწევს (მოსარჩელის ვალდებულებაა)
23. *ad impossibilia lex non cogit* – კანონი შეუძლებელს არ ითხოვს
24. *aequior est dispositio legis quam hominis* – კანონი წყვეტს უფრო სამართლიანად, ვიდრე ადამიანი
25. *aequum et bonum est lex legum* – სამართლიანობა და კეთილდღეობა კანონთა კანონია
26. *aequum est neminem cum alterius detrimento fieri locupletiores* – სამართლიანობაა, რომ არავინ არ გამდიდრდეს სხვისი ტანჯვის მეშვეობით
27. *aestimatio capitis* – “თავის ფასი“ (სისხლის სამართლებრივი ჯარიმა მკვლელობისათვის “სისხლი“)
28. *aestimatio litis* – სასამართლოს მიერ დადგენილი მიყენებული ზიანის ოდენობა
29. *affectus punitur, licet non sequatur effectus* – (დანაშაულის) მცდელობა დასჯადია, თუმცა ჩაფიქრებული შედეგი არ განხორციელებულა
30. *affirmanti, non neganti, incumbit probatio* – მტკიცების ტვირთი იმას აწევს, ვინც რაიმეს ამტკიცებს და არა იმას, ვინც უარყოფს
31. *agentes et consentientes pari poena plectantur* – როგორც ამსრულებელი, ასევე ის, ვინც თანხმობა განაცხადა, ერთი და იგივე სასჯელს იმსახურებენ
32. *agere injuriam* – სარჩელის აღძვრა ზარალის ანაზღაურების შესახებ

33. *agri limitati* – დაპყრობილი ტერიტორია, რომელიც ვეტერანთა შორის ნაწილდებოდა
34. *aiō* – 1) ვამბობ, 2) ვლაპარაკობ, (ასე იწყებოდა სასარჩელო განცხადება)
35. *alibi* – “აღიბი“, ბრალდების უარყოფა იმის მტკიცებით, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის მომენტში არ იმყოფებოდა იქ, სადაც იგი მოხდა
36. *aliena negotia exacto officio geruntur* – სხვა პირის ნაცვლად შესრულებულ საქმეს განსაკუთრებული გულმოხდინებით უნდა მოვეკიდოთ
37. *aliena res* – სხვისი ქონება
38. *alienus homo* – სხვისი კუთვნილი კაცი (მონა)
39. *aliquis non potest esse iudex in propria causa* – არავინ არ შეიძლება იყოს მოსამართლედ საკუთარ საქმეზე
40. *aliud est possidere, aliud esse in possessione* – ერთია მფლობელობა, მეორე – მფლობელად ყოფნა
41. *aliud est tacere, aliud celare* – ერთი საქმეა – გაჩუმება, მეორე – მიჩუმათება.
42. *allegari non dabit quod probatum non relevat* – არ უნდა ვამტკიცოთ ის, რასაც დამტკიცების შემთხვევაში საქმესთან კავშირი არ ექნება
43. *aliud est vendere, aliud vendeti consentire* – ერთი საქმეა – გაყიდვა, მეორე – შეთანხმება გაყიდვის შესახებ
44. *allegata et probata* – ის, რასაც ამტკიცებენ და ის, რაც მტკიცდება
45. *alterum non laedere* – სხვას არ მივაყენოთ ზიანი
46. *animo et facto* – ზრახვა და ფაქტი
47. *animo possidendi* – განზრახვა მფლობელობისა, მფლობელობის განზრახვა
48. *argumentum ab auctoritate* – სასამართლო პრეცედენტზე დამყარებული საბუთი (არგუმენტი)
49. *argumentum ab impossibili* – საბუთი, რომელიც ეფუძნება რაიმეს შეუძლებლობას

50. *argumenta ad hominem* – *argumentum ad hominem* - არგუმენტი ადამიანისათვის, ადამიანისათვის განკუთვნილი მტკიცებულება
51. *argumenta ad rem* – საბუთი, რომელიც ეფუძნება საქმის გარემოებას, საქმის დადასტურებული მტკიცებულება
52. *argumenta ambigua* – *argumentum ambiguum* – ორმხრივი საბუთი, ორმხრივი მტკიცებულება
53. *argumenta ad ignorantiam* – საბუთი, გათვლილი აუდიტორიის უვიცობაზე
54. *argumentum a simili* – ანალოგიით არგუმენტირება, მტკიცება
55. *argumentum baculinum* – ძალადობაზე (ჯოხზე) დამყარებული საბუთი
56. *arma in armatos jura sinunt* – კანონები ნებას გვაძლევენ გამოვიყენოთ იარაღი შეიარაღებულთა წინააღმდეგ
57. *aucupia verborum sunt iudice indigna* – ასოკირკიტობა მოსამართლის ღირსებაზე დაბლა დგას, ასოკირკიტობა მოსამართლეს არ ეკადრება
58. *baculus nuntiatorius* – თეთრი ჯოხი (ხელჯოხი) რომელსაც ჩაასობდნენ მოპასუხის მიწაზე იმის ნიშნად, რომ მის წინააღმდეგ აღძრულია სარჩელი
59. *bastardus nullius est filius; aut filius populi* – უკანონოდშობილი (ბუში) არავისი შვილი არ არის; ან ის ხალხის შვილია
60. *bis dat qui cito dat* – ორგზის იძლევა, ვინც სწრაფად, დროულად იძლევა (ორგზის იხდის ის, ვინც სწრაფად, დროულად იხდის)
61. *bona fide* – კეთილსინდისიერად მოქმედი
62. *bona fides* – კეთილსინდისიერება
63. *bona gratia matrimonium dissolvitur* – განქორწინების შესახებ სრული თანხმობა
64. *bona immobilia* – უძრავი ქონება, ადგილმამული, შენობა
65. *bona mobilia* – მოძრავი ქონება
66. *bona adventicia* – შეძენილი, გარედან მოსული სიკეთე (მონაგები, კეთილშეძენილი და არა შემკვიდრუბით მიღებული ქონება)
67. *bonae fidei possessio* – კეთილსინდისიერი მფლობელობა (ქონება)

68. bona hereditaria – მემკვიდრეობით მიღებული ქონება
69. brachylogus juris civilis – სამოქალაქო (ცივილური) სამართლის მოკლე სახელმძღვანელო
70. brevi manu – მოკლე ხელით (სწრაფად, პირდაპირ)
71. Calumnia – ცრუ ბრალდება, ცილისწამება
72. Caesar non supra grammaticos – კეისარი არ დგას გრამატიკოსებზე მაღლა (კეისარიც ემორჩილება გრამატიკას)
73. Capitis accusare – ბრალის დადება, სისხლის სამართლის დანაშაული
74. Capitalis debitor – ძირითადი დებიტორი, მთავარი დებიტორი
75. Capitis condemnare – სიკვდილის მისჯა
76. Capitis deminutio – სამოქალაქო სიკვდილი (‘თავის შეზღუდვა’) უფლებათა შეზღუდვა
77. Capitis deminutio media – სამოქალაქო უფლებათა ნაწილობრივი შეზღუდვა
78. Causa causans – არსებითი მიზეზი
79. Causa propinqua (proxima), non remota spectatur – მხედველობაში მიიღება უახლოესი და არა შორეული მიზეზი
80. Causa sine qua non – მიზეზი, ურომლისოდაც შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა (საქმე არ მოხდებოდა)
81. Cautio usufructuaria – უზუფრუქტუარის დაპირება დაუბრუნოს ნივთი მესაკუთრეს სათანადო ვადის გასვლის შემდეგ და სათანადო იზრუნოს მასზე
82. Charta de non ente non valet – ხელშეკრულება არარსებული საგნის შესახებ ბათილია
83. Cognatio – სისხლით ნათესაობა
84. Collatio bonorum – სხვადასხვა პირთა ქონების გაერთიანება მათი შემდგომში თანაბრად გაყოფის მიზნით
85. Collegium – საზოგადოება, იურიდიული პირი
86. Comitia – სახალხო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო მიეღო კანონები და აერჩია თანამდებობის პირები
87. Commodatum – ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის უსასყიდლოდ გადაცემა სარგებლობისათვის მისი ნატურით

დაბრუნების პირობით

88. *Commodum ejus esse debet cuius periculum est* – ვინც ქვევარისკს, მანვე უნდა მიიღოს სარგებელიც

89. *Communis error facit jus* – საერთო შეცდომა სამართალს ქმნის (თუ ყველას შეცდომით აქვთ გაგებული კანონი)

90. *Confessio facta in iudicio omni probatione major est* – სასამართლოში (დანაშაულის) აღიარება, ყველა სხვა მტკიცებულებაზე მნიშვნელოვანია

91. *Confessus iudicatus habetur* – მ აღიარებული გასამართლებულად მიიჩნევა

92. *Conscientia mille testes* – სინდისი ათასი მოწმეა

93. *Consensus facit nuptias* – თანხმობა ქმნის ქორწინებას

94. *Consortes litis* – მოძივანი მხარეები, დავის მონაწილეები

95. *Consuetudo est quasi altera natura* – ჩვეულება თითქოს მეორე ბუნებაა

96. *Consuetudo est altera lex* – ჩვეულება მეორე კანონია, ჩვეულება კანონის სახეობაა, კანონის წყაროა

97. *Consuetudo est optimum interpretis legum* – ჩვეულება კანონის საუკეთესო განმმარტებელია (ინტერპრეტატორია)

98. *Contra jus et fas* – კანონისა და ღმერთის ნების წინააღმდეგ, კანონისა და ნებადართულობის წინააღმდეგ

99. *Contractus ex turpi causa, vel contra bonos mores nullus est* – ხელშეკრულება დადებული სამარცხვინო (უზნეო) მიზნის განსახორციელებლად, ბათილია

100. *Contra negantem principia non est disputandum* – უსარგებლოა იდგომისათვის, ვინც პრინციპებს უარყოფს

101. *Contra delicti* – დანაშაულის შემადგენლობა, დანაშაულის ჩადენის ფაქტი

102. *Crimen laesae majestatis* – დანაშაული, რაც წარჩინებული პირის შეურაცხლოვით გამოიხატა, სახელმწიფო ღალატი

103. *Crimen sacrilegii* – მკრეხელობა

104. *Crimen laesae majestatis omnia alio crimina excedit quoad poenam* – სასჯელი სახელმწიფო ღალატისათვის უფრო მაღალია,

ვიდრე რომელიმე სხვა დანაშაულისათვის

105. *Crimina morte extinguuntur* – დანაშაული სიკვდილით ქარწყლდება

106. *Cujus regio, ejus religio* – ვისიცაა სახელმწიფო, მისივე რელიგიაც

107. *Cui jus est donandi, eidem et vendendi et concedendi jus est* – ვისაც აქვს უფლება გასცეს (გააჩუქოს), მასვე აქვს უფლება გაყიდოს და გადასცეს მფლობელობაში

108. *Cui licet quod maius non debet quod minus est non licere* – იმას ვისაც აქვს (დიდი) უფლება, არ შეიძლება უარი ეთქვას მცირე უფლებაზე

109. *Culpa* – ბრალი, გადაცდომა, გაუფრთხილებლობა

110. *Culpa ficta* – ყალბი (ფიქტიური) ბრალდება

111. *Culpabilis* – ბრალდებული

112. *Culpa lata* – მძიმე ბრალი, მძიმე ცოდვა

